

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეა გურგენიძე

ალექსანდრე ყაზბეგი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის

დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სპეციალობა: ქართული ლიტერატურა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლუიზა ბოჩკოვა–ხვიჩია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

საპატიო პროფესორი

თელავი

2014

## შესავალი

ლიტერატურის ისტორიაში რომელიმე შემოქმედს იშვიათად განუცდია საზოგადოებისაგან იმდენი დამცირება და შევიწროება, რამდენიც ალექსანდრე ყაზბეგმა გამოსცადა, მაგრამ ვერც უმართებულო გალაშქრებამ, ვერც ფილისტერების (შეზღუდული გონებისა და ფარისევლური ქცევის ადამიანებმა, რომელთა ინტერესები შემოფარგლურია ყოველდღიური წვრილმანებით) მიერ შეთხზულმა ჭორებმა ვერ გატეხეს დიდებული მთიელის – ალექსანდრე ყაზბეგის ნებისყოფა. „ავტობიოგრაფიულ ცნობებში“ მწერალი მკითხველს მიმართავს: – „მე მყავს ჩემი საზოგადოება და ჩვენ მივხვდით ერთმანეთის გულის ძგერას. ჩვენ გავიგონეთ ერთმანეთის გულის კვნესა და ხმები დიდი ხანია, რაც შევაწყვეთ. ერთი გვაქვს სიხარული და ერთივე სამგლოვიარო. ჩვენ ხმამიუცემელი ვერ დავრჩებით. მე მყავს ჩემი მკითხველი და რა ბუნდადაც არ უნდა იყოს დაწერილი ჩემი მოთხრობები, იმათ მაინც ესმით მგოდებელი გულის გმინვა და ცრემლს არ იშურებენ მის დასატირად. როდესაც ეს მხურვალე ურთიერთობა საზოგადოებასა და ჩემისთანა განდეგილს საერთო საგრძნობის სიმხურვალით ერთმანეთს შეაერთებენ, ამ კავშირს ნუ ეხუმრებით. მისი გაწყვეტა ეგრე ადვილი არ არის...“

მე შემთხვევით არ გამოვსულვარ ლიტერატურის ასპარეზზე, დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე ჩვენს ლიტერატურას შეეხება სერიოზული კრიტიკა და აუცილებლად ჩემი თხზულებებიც შიგ მოჰყვებიან, უეჭველია, დაიწყებენ ძებნას იმ მიმართულების მიზეზებისას, რომელსაც მე ვადგავარ.“ ( ყაზბეგი, 1948, 49).

ჩემი საკვალიფიკაციო ნაშრომიც – „ალექსანდრე ყაზბეგი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“ ალ. ყაზბეგის ამ სიტყვების გამოძახილია.

ვცადე, მოკრძალებული წვლილი შემეტანა და მეჩვენებინა ქართული კლასიკური მწერლობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი – ალექსანდრე ყაზბეგი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

როგორც ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი, ალექსანდრე ყაზბეგიც უპირატესობას ანიჭებდა ეროვნულ საკითხს. ის თავის შემოქმედებაში ქართველთა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის

ბრძოლას ასახავდა, მაგრამ არც საქართველოს მოსახლეობის წოდებათა, კლასთა ურთიერთობის საკითხს უგულვებელყოფდა.

ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნებასა და შემოქმედებაზე ბევრი მნიშვნელოვანი და საგულისხმო რამ დაწერილა. თუმცა საკვლევი კვლავ რჩება. დროისა და ეპოქის, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი დონის შესაბამისად იცვლება ის კრიტერიუმები, რითაც ხდება აქამდე უკვე „ახსნილი“ მხატვრული ტექსტების ხელახალი გააზრება და შეფასება. ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების მეცნიერული შესწავლისა და გაანალიზების აქტუალობას განსაზღვრავს მწერლის მდიდარი მემკვიდრეობა, ამავე დროს აქტუალურია მწერლის პოზიციების შეჯერებაც.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება ყოველთვის იქცევდა მკვლევართა და მკითხველთა ყურადღებას. აზრთა სხვადასხვაობაც არსებობდა მისი ცალკეული მოთხრობების, პიესების, ლექსებისა თუ ნათარგმნი დრამების შესახებ, როგორც სიცოცხლეში, ასევე გარდაცვალების შემდეგაც. გამოითქვა ბევრი საყურადღებო და ანგარიშგასაწევი მოსაზრება. ისინი გაბნეულია სხვადასხვა წიგნსა და პერიოდულ გამოცემაში.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების კომპლექსური ანალიზითა და მიღებული დასკვნების განზოგადებით, მწერალზე არსებული შეხედულებების თავმოყრით, გაანალიზებით, შესაძლებელია ქართული კრიტიკული აზროვნების მემკვიდრეობის განვითარების ნათელყოფა. ინტერესი ავტორის მიმართ ლიტერატურულმა კრიტიკამ მწერლის სიცოცხლეშივე, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლისთანავე გამოამჟღავნა. გამოითქვა არაერთი შეხედულება, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ შეფასებათა ობიექტიც იყო. დაიწერა კრიტიკული წერილები, გამოკვლევები. ჩემი მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორაა შესწავლილი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

მეცნიერთა არაერთი ნაშრომი მიემდგნა, როგორც თეორიული პრაქტიკის ქვემოთ განხილულ სპეციფიკურ პრობლემებს, ასევე ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას. დაგროვდა დიდძალი მასალა, რაც დღემდე არ იყო სისტემაში მოყვანილი. კვლევის მიზანია მეცნიერული სიღრმით გამორჩეულ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით ყურადღება გავამახვილოთ, ვაჩვენოთ ის დიდი

საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი როლი, რომელსაც ქართულ სალიტერატურო აზროვნებაში ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება ასრულებს.

საკვალიფიკაციო ნაშრომში წარმოჩენილია ქართულ ლიტერატურულ კრიტიკასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და იმ შემოქმედთა როლი, რომლებმაც არსებითად განსაზღვრეს იმ პერიოდის ლიტერატურული ცხოვრების ხასიათი და ძირითადი ტენდენციები. საკითხისადმი ამგვარი მიდგომით იძენს წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი თავის აქტუალობას.

მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს დასკვნები, როგორ იქნა გააზრებული ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, როგორი შეფასება მისცეს მის მხატვრულ ნააზრევს კრიტიკოსებმა, ქართველმა ლიტერატურათმცოდნეებმა და რა დასკვნამდე მივიდნენ ისინი. შესწავლილია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაცია. თითოეულს ახლავს ჩემეული შეფასება.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალა ყველაზე ვრცლად მიმოიხილავს ალ. ყაზბეგის შემოქმედებაზე არსებულ კრიტიკულ ლიტერატურას. ნაშრომში კრიტიკულადაა შეფასებული მკვლევართა შეხედულებები და მის საფუძველზე მოცემულია კონკრეტული დასკვნები.

შესწავლილია ალ. ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაზე არსებული სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურა, ვმსჯელობ ცალკეულ ნაწარმოებთა თავისებურებებზე, მოცემულია ამ თხზულებათა ჩემეული შეფასება.

ჩემი ნაშრომის თემა, წარმოადგენს ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული მოღვაწეობის მართებულად შეფასების ცდას და მის შესახებ ლიტერატურულ კრიტიკაში დამკვიდრებულ თვალსაზრისთა შესწავლას. ყოველივე ემსახურება ქართული კრიტიკული აზროვნების ადგილის განსაზღვრას ქართული ლიტერატურის არეალში.

ჩემს წინაშე იდგა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. მომეპოვებინა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ამ თემასთან დაკავშირებით;
2. შემესწავლა ალ. ყაზბეგის ნაშრომებში ჩადებული მორალურ–ზნეობრივი, სამართლებრივი კოდი;

3. ამ საფუძველზე შემეფასებინა მათი აღმზრდელობითი ღირებულებები;

4. გამეანალიზებინა იდეები, მეჩვენებინა მათი პროგრესულობა, აქტუალობა თანამედროვეთათვის;

5. დამეზუსტებინა ფუნქციები.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ მასში:

ა) გამოვლენილია საკვლევი პრობლემის ახალი წახნაგები;

ბ) ჩამოყალიბებულია მიდგომები და მეთოდოლოგია;

გ) შემოტანილია მეცნიერულ მიმოქცევაში მანამდე გაუთვალისწინებელი მასალა;

ე) შემოთავაზებულია ახალი კლასიფიკაციები და სხვა; რაც დაეხმარება ამ, ან მომიჯნავე პრობლემატიკის შესწავლით დაინტერესებულ პირებსა და მკვლევარებს. გამოკვლევის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას სალექციო კურსების მოსამზადებლად.

პრაქტიკულ ღირებულებად მიმაჩნია ჩატარებული კვლევის შედეგების შემოქმედებითი გამოყენება უშუალოდ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების მონოგრაფიულად შესწავლის დროს. აგრეთვე XIX საუკუნის ქართული პროზის პრობლემებზე მუშაობის პროცესში ალ. ყაზბეგისა და მისი თაობის წარმომადგენელთა წვლილის, როლისა და ნოვაციების გათვალისწინება.

## თავი I.

### ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების გზა

ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების სტილი სხვებისაგან მკვეთრად განსხვავებული იყო. მხოლოდ მას შეეძლო განდგომა ამქვეყნიური სიამტკბილობისაგან და მეცხვარეებთან ერთად ტყე-ტყე ხეტიალი. თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, ეს მისი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო. ამ წლებმა დაახლოვა იგი უბრალო, მშრომელ ხალხს, მიწას და ცას, ცხოვრება დაანახა იმ თვალთ და ისე, როგორც შეუძლებელია შეიცნოს სამყარო ფარჩა-ატლასში გამოხვეულმა დიდებულმა.

ალ. ყაზბეგმა იმდენი დაცინვა, დამცირება და შევიწროვება განიცადა, ალბათ არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც იშვიათად თუ განუცდია ვინმეს. თუმცა მისი ნებისყოფა მაინც ვერ გატეხეს, იგი დაუშრეტელი ენერგიით ქმნიდა მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურულ შედეგებს. როგორც თავად ამბობდა: – „მე მყავს ჩემი საზოგადოება და ჩვენ მივხვდით ერთმანეთის გულის ძგერას. მე მყავს ჩემი მკითხველი და რაოდენ ბუნდადაც არ უნდა იყოს დაწერილი ჩემი მოთხრობები, იმათ მაინც ესმით მგოდებელი გულის გმინვა და ცრემლს არ იშურებენ მის დასატირებლად.“ (ყაზბეგი, 1948, 48–49).

სწორედ ეს ურთიერთობა იყო ყაზბეგსა და მკითხველს შორის, რაც ყაზბეგს უბიძგებდა შეექმნა ერთმანეთზე უკეთესი ლიტერატურული ქმნილებები და როგორც თავად ამბობდა, დროს მიანდო მათი და საკუთარი ბედი. დრო კი, როგორც ყოველთვის, კარგი გამრჩევი გამოდგა და შესაბამისი ადგილი დაუმკვიდრა, როგორც ნაწარმოებებს, ისე მათ ავტორს ქართულ ლიტერატურაში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ყაზბეგის შემოქმედება ჯერ კიდევ არაა ისე დაფასებული, როგორც ამას იმსახურებს, თავისი შინაარსიდან, პრინციპებიდან და იდეებიდან გამომდინარე.

ალ. ყაზბეგს აღწერილი აქვს მიწიერი ცხოვრების ყველა სურათი, კარგიც და ავიც, ბედნიერიც და უბედურიც, ტკივილით და ტანჯვით სავსეც და სიხარულით გაცისკროვნებულიც, ადამიანი–თავისი კარგით და ცუდით.

–„ნიჭიერ მწერალს უნდა უყვარდეს ადამიანი, რათა ღრმად ჩასწვდეს მისი სულის ლაბირინთებს და სააშკარაოზე გამოიტანოს გმირის ნაფიქრ–ნაგრძნობი, მხოლოდ ამ გზით შესძლებს მწერალი გზა გაუკვალოს თავის გმირებს მკითხველის გულებისაკენ. მწერალს უნდა ჰქონდეს უნარი სხვასაც აგრძნობინოს და განაცდევინოს, რასაც თავად გრძნობს და განიცდის. ყოველი ახალი წაკითხვისას მკითხველმა ნაწარმოებში რაღაც ახალი, მანამდე უგრძნობი, განუცდელი უნდა იპოვნოს და გაითავისოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში არ მობეზრდება მკითხველს ნაწარმოები. ალ. ყაზბეგს აქვს უდიდესი ნიჭი, მკითხველი აღაფრთოვანოს და აიყვანოს იმ სიმაღლემდე, რომ მთის მწვერვალზე მიმოხეულ ნისლებს ააცდინოს და უფალს დააახლოოს. ეს კი არამხოლოდ რჩეული მწერლის, არამედ რჩეული მკითხველის უნარიცაა უფლისაგან უხვად ბოძებული.

მიუხედავად მის ნაწარმოებებში აღწერილი არაერთი მძიმე სცენისა, ყაზბეგი მაინც ჰუმანისტ მწერლად რჩება, რადგან მისებრ ალბათ არავის უყვარს ადამიანი, არავინ განიცდის თავისი გმირების ცხოვრებას ისე, როგორც ყაზბეგი. არავინ ცდილობს შეგვაყვაროს ადამიანი და სიცოცხლე ისე, როგორც ყაზბეგი, რომელიც სიცოცხლის ტრფიალად შეიძლება ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ მისი გმირები უმეტეს შემთხვევაში გმირულად, მაგრამ მაინც ეთხოვებიან სიცოცხლეს. ალ. ყაზბეგის ყოველ გმირს თავისი მისია, დანიშნულება აქვს, მასთან არ არსებობენ დიდი და პატარა გმირები, თავად ეპიზოდური ლიტერატურული გმირებიც კი დიდხანს და ღრმად რჩებიან მკითხველის გულსა და გონებაში.“ (კალანდაძე, 1988, 111).

თუ ლიტერატურა შუქურაა, რომელიც ადამიანებს გზას უნათებს, მაშინ ალექსანდრე ყაზბეგი ის მკვეთრი სხივია, შორიდანვე რომ შეიმჩნევა და იმედს უსახავს ცხოვრების მღვრიე ტალღებში დაკარგულ მკითხველს.

ყაზბეგის ცხოვრება, ისევე, როგორც მისი ნაწარმოებები, ტრაგიზმითაა სავსე. ალბათ, ეს გახდა მიზეზი ამქვეყნიური მანკიერებებისაგან განრიდებისა და მწყემსად

წასვლისა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ყაზბეგის „კეთილისმსურველებში.“

–„საკვირველ ბედზედა ვარ გაჩენილი,“– ამბობდა ყაზბეგი. რაც მეტად ვეცნობით მის შემოქმედებას და ცხოვრებას, მით მეტად ვრწმუნდებით ამაში. დიდი გულისტკივილი ჩანს მის სიტყვებში: –„ყველა ცდილობს, უეჭველად თავის მოვალეობად ჰხადის სიცოცხლეშივე მიწაში ჩამფლას, თუნდაც თავის მოქმედების მიზეზად საბუთიც არა ჰქონდეს.“ იქნებ სწორედ ეს იყო მიზეზი, რამაც აიძულა ყაზბეგი ქალაქის აურ–ზაურისთვის ზურგი ექცია და მთასა და კლდეებს შეჰფარებოდა, იქნებ სულის სიმშვიდედარღვეულმა ძალების მოკრება ბუნებაში განიზრახა, ალალ, უანგარო ადამიანებთან, რომელთათვისაც უცხო იყო ის წუმპე, მაშინდელი მაღალი საზოგადოება რომ ჩაძირულიყო ყელამდე და სულის მოთქმის საშუალებაც არა ჰქონდა. მთაში გონებადამშვიდებულმა გაათკეცებული ძალით შემოუტია თავის (და არამარტო) „მოკეთებებს“ მხატვრული სიტყვის იარაღით. მანამდე კი გაოცებული ყაზბეგი წერს:

–„საკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი, ყველამ, განურჩევლად ყველამ მასხრად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელოვანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო, მაგრამ მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვილი და ეს იქამდე ძლიერი იყო, რომ არავითარ რჩევას ყური არ ვუგდე; მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო მათი სურვილი, მეცხოვრა მათი ცხოვრებით, ჩემს თავზე გამომეცადა ის მოთხოვნილება და ის გაჭირვება, რომელიც თან სდევს მუშა ხალხს.“ (ყაზბეგი, 1948, 111).

იქნებ ყაზბეგს იმაშიც სჭირდებოდა დარწმუნება, რომ მთას ჯერ კიდევ შემორჩა ხალხი, ვისთვისაც ფასი ჯერ არ ჰქონდა დაკარგული იმ ღირებულობებს, რაც ასაზრდოებდა ყაზბეგის გულსა და გონებას, რაც მისი შთაგონების წყარო იყო.

ყაზბეგი იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის ხალხს, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ორიოდე მწერალი თუ შეედრება მას. იგი კარგად იცნობდა თავისი ხალხის ბუნებას, ჩასწვდა მათი გრძნობის იმ სიღრმეებს, რომელზედაც ბევრი მისი კრიტიკოსი ვერც (თუ არც) კი იოცნებებდა. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ყაზბეგის ნაწარმოებები ასე ახლობელია მკითხველისთვის. თუმცა



მკითხველებში ეჭვი მეპარება მოიპოვებოდეს ისეთი ადამიანი, ვისაც ყაზბეგის ნაწარმოებების წაკითხვისას შთაბეჭდილებებიდან თავის დაღწევა სურდეს.

ისიც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მწყემსობამ არამხოლოდ უკვდავი ქმნილებები შეაქმნევინა ყაზბეგს, არამედ იმ დროისთვის ბევრი სიკეთე გააკეთებინა რუსებისაგან შევიწროვებული თავისი ხალხისთვის, რომელთაც საკუთარი თავის დაცვაც კი არ შეეძლოთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვერ ერკვეოდნენ კანონებსა და, შესაბამისად, თავიანთ უფლებებში. ალ. ყაზბეგისთვის კი თავისი ხალხის დაცვა, მათ გვერდით დგომა უპირველეს მოთხოვნილებად იყო ქცეული, ეს იყო მისი ცხოვრების აზრი.

„მოკეთე–მეგობრებს ყაზბეგი უხსნიდა და არწმუნებდა კიდევ, ადამიანმა სწავლულმა თუ უსწავლელმა თავის დედულ–მამულს თვითონვე უნდა მოუაროსო. სხვებს წერა–კითხვას ასწავლიდა, ერთმანეთთან მოდავე სოფლებს ამშვიდებდა და არიგებდა. „შარიანი“ კაზაკ–რუსების ძალადობისაგან იფარავდა, ყველას იმედი იყო, „მთიელთა ფარი“, თავის ქონებას უნაწილებდა და ჩუქნიდა გლეხებს. ხევ–მთიულეთ–გუდამაყრის ნამგალა მწყემსებს, თუ უცნობებს არავის დააჩაგვრინებდა. ალ. ყაზბეგმა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი მამულებისა გაყიდა და გაასაჩუქრა, ხოლო დარჩენილის გაქირავებას მიჰყო ხელი.“ (მოზდოკელი, 1988, 151–153, 156, 159–167, 176, 183, 200).

ვერავინ იგებდა მისი ასეთი ქცევის მიზეზს. ვერ, თუ არ იგებდნენ მისი გულის ტკივილს, იმ ცეცხლის მიზეზს, რომელიც მის სულში გიზგიზებდა. თვითონ გლეხებსაც კი არ ესმოდათ მისი, რომლებიც წლების მანძილზე შეეჩვივნენ იმას, რომ თავადაზნაურთა წრიდან გამოსული ყოველი კაცი აუცილებლად მათი მბრძანებელი უნდა ყოფილიყო, თავად კი უპრეტენზიოდ ესრულებინათ მათი ნება–სურვილი. ამიტომაც ეჭვითა და გაცემით უყურებდნენ ხევის ზვიადი მებატონის მხოლოდშობილი ძის თითოეულ ნაბიჯს. თუნდაც ეს ნაბიჯები მათდამი უდიდესი სიყვარულის გრძნობით ყოფილიყო ნაკარნახევი.

თუ მდაბიონი გაცემულნი იყვნენ ალექსანდრე ყაზბეგის მწყემსად წასვლით, არისტოკრატები აღშფოთებას ვერ მალავდნენ ხევის ბატონიშვილის ამ „უკადრისი“ საქციელით. მის ასეთ ნაბიჯს ხან თვალთმაქცობად თვლიდნენ, ხანაც

არისტოკრატიული წოდების შეურაცხყოფელ აქტად, ზოგნი კი –საკვირველად. ყაზბეგი კი არად აგდებდა მათ ასეთ დამოკიდებულებას, მწყემსებთან ერთად იჯდა ცეცხლის პირას, ისმენდა უძველეს ზღაპრებს, შაირებს, სიმღერებსა და თავის გულსა და გონებაში აწრთობდა, და ჩვენამდე შესანიშნავი თხზულებების სახით მოჰქონდა უკვე ჩამოყალიბებული, ხალხის წიაღში აღმოცენებული მარგალიტები.

–„მე ჩემს სიამოვნებაზედ მინდა ვიცხოვრო!“– ამბობდა ყაზბეგი. თუ გონების თვალთ შევხედავთ იმ დროს, როცა ყაზბეგი მთა–მთა მხარზე კომბალგადებული მწვანეზე მიშვებულ ცხვარს მიჰყვებოდა ფეხდაფეხ, დავრწმუნდებით, რომ მართლაც დიდ სიამოვნებას იღებდა ბუნების ლალი შვილი თვალუწვდენელ მთებში გატარებული ყოველი წუთიდან. და ალბათ ეს იყო საუკეთესო წლები ალ. ყაზბეგის ცხოვრებაში, რადგან შემდეგ ცხოვრებამ არ დაინდო და მწარე სილა გააწნა სახეში ქართველი ხალხის, საქართველოს დიდ მოამაგეს – ალ. ყაზბეგს.

მოგვიანებით კი მწერალ–მოაზროვნე თავს იმით იმართლებდა ორივე მხარის წინაშე, რომ ძველად, საგლეხო რეფორმამდე „სხვა დრო იყო და ახლა სხვააო“. თან დასძენდა: –„მსურდა მეცხვარეობის შემწეობით მომეგლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თანა სდევს... მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ თავზე გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს. დასავლეთ ევროპელებს და რუსებს „ველურებად და ბარბაროსებად“ რომ მიაჩნდათ და დანარჩენ ქართველებსაც აღარ ესმოდათ ხეირიანად „ჩვენი (მთის თ.გ.) ხალხის ცხოვრება, ჩვეულება და ხასიათი.“ (ყაზბეგი, 1948, 46).

ყაზბეგი არამხოლოდ მთის უბრალო ხალხის ამბების გაცნობის წადილით იყო შეპყრობილი, არამედ უკვე მოსკოვში ცხოვრებისა და სწავლის დროიდან კითხულობდა რუსულ თუ ფრანგულ ლიტერატურას, სამწერლო თუ სათეატრო ასპარეზზე გამოსასვლელად ემზადებოდა, აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, წერდა მოთხრობებს, ლექსებს, პიესებს, ნარკვევებს...

1874 წელს ალ. ყაზბეგი ნაგროვები მარგალიტებით თბილისში ჩამოსულა, მაგრამ ჩვენი ინტელიგენციის „მოწინავე რაზმი“, უწინარეს ყოვლისა, სათეატრო

კომიტეტის ზოგი მოღვაწე, გულცივად შეხვედრია, მთიდან ჩამოტანილი პიესები არ მოუწონებიათ, უფრო მეტიც – „საზოგადოების საერთო გულგრილობა და კაცობრიული გრძნობის უქონლობა“ უჩვენებიათ დიდი შემოქმედისთვის.

– „დავდიოდი ჩემს ქალაქში,– წერს ალ. ყაზბეგი,– ჩემს მოძმეთა შორის, ჩემს საყვარელთ შორის, რომელთაც ელტვოლდა, ისე განუსაზღვრელად ეახლებოდა მთელი ჩემი არსება და ამ ყოველს შორის დადიოდა მარტო, განცალკევებული როგორც გზადაკარგული უდაბნოსა შინა!... არა მგონია, რომ ისტორიაში აღმოჩნდეს ისეთი ჯალათი, რომელიც თავის მსხვერპლს ასე უღმერთოდ, შეუბრალებლად მოჰქცევოდეს, როგორც ეს განათლების მომსახურენი მე მომექცნენ.“

ალ. ყაზბეგს არ შორდებოდა მწვავე დეპრესია, რაც მის შემოქმედებაზე დიდ გავლენას ახდენდა. მაშინ, როცა ასეთი სულიერი სტრესის, დეპრესიის ქვეშ მყოფმა ალ. ყაზბეგმა ასეთი შესანიშნავი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა; მისთვის შესაფერისი გარემო რომ შეექმნათ, ალბათ ყაზბეგი მსოფლიოს გააცნობდა და გააოცებდა ქართველი, მთის ადამიანის შეურყენელი ბუნებით, ორიგინალურობით.

მაგრამ ამაზე ოცნებაც არ შეიძლება, რადგან წაბორძიკებულ ალ. ყაზბეგს არათუ ხელი შეაშველეს, არამედ, განურჩევლად ყველამ, შინაურმა თუ გარეულმა ზურგი შეაქცია და უბიძგეს საბოლოოდ დაცემისაკენ, სულიერი და ფიზიკური განადგურებისაკენ ქართული ლიტერატურის ისეთ გენიას, როგორიც იყო უკვდავი ნაწარმოებების „ელგუჯას“, „ხევისბერი გოჩას“ და მრავალი მარგალიტის ავტორი – ალექსანდრე ყაზბეგი.

ბევრი კრიტიკული შენიშვნა მიუღია თვისი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ელოდა მასზე და მის ნიჭიერებაზე განაწყენებული და შურით ავსილი ადამიანების მხრიდან. როგორც ჯალათები, სიტყვის ნაჯახით ჩეხდნენ მის სულს და ყვავ-ყორნებით ესეოდნენ მის ნაფლეთებს. თუმცა, ამ ჯალათებშიც გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ზურგი არ შეუქცევია ყაზბეგისთვის. მაკო საფაროვას მეგობრულ დამოკიდებულებას ოდნავ დაუმშვიდებია ალ. ყაზბეგი. მის ბენეფისს წარმატებაც მოჰყოლია პიესის ავტორისთვის და უნუგეშებია, მაგრამ ჟურნალ „ივერიას“ თავისი ფურცლები

დაუთმია მისი მოწინააღმდეგეებისათვის, რომელთაც, როგორც ყოველთვის, არ დაინდეს და ყაზბეგს კვლავ მარტოობის და „ობლად დარჩენილის“ სულისკვეთება დაუფლებია.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ალ. ყაზბეგმა დაიპყრო ქართული პრესა და აზროვნება. ოპონენტებიც ვერ მალავდნენ, რომ ხუთი წლის განმავლობაში „მთელ თბილისში სანდროს ქება ისმოდა, მთელ საქართველოში მოჩხუბარიძის ხმა ქუხდა და ელავდა. სანდროს ნიჭის თაყვანისმცემლები მრავლდებოდნენ, მოჩხუბარიძის ნაწერებს მთელი საქართველო კითხულობდა, მკითხველი საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა.“ (წერეთელი, 1989, 108).

ამბობენ, ყოველი ადამიანი თავისი ეპოქის პირმშოაო. ალ. ყაზბეგის პიროვნება ამ დებულების ბრწყინვალე დადასტურებაა. განსაკუთრებულ ეპოქაში მოუხდა ალ. ყაზბეგს მოღვაწეობა. 1881 წელს ტერორისტ-ხალხოსნებმა მოკლეს ალექსანდრე II. ეს გახდა საშინელი რეაქციის დასაწყისის სიგნალი, რაც მწვავედ განიცადა კავკასიელმა ხალხმა. ეროვნულად და სოციალურად დაჩაგრული მოსახლეობა გარეშე ძალის ზეგავლენით კარგავდა საკუთარ ენას, საკუთარ ზნეს, ხასიათს, ჩვეულებას.

თვითმპყრობელური რუსეთის აპარატი მძიმე ტვირთად აწვა მხრებზე თავადაზნაურობის მიერ ისედაც გადატაკებულ და დაბეჩავებულ მოსახლეობას. ქართველი თავადაზნაურობა, როგორც საერთოდ, ახლაც თვითმპყრობელობის ყურმოჭრილი მონა შეიქმნა. კიდევ მეტი, ისინი აიძულებდნენ და უბიძგებდნენ ისედაც დაკნინებულ ქართველ ხალხს საბოლოო გადაგვარებისაკენ.

ამ ატმოსფეროში გაისმა ალ. ყაზბეგის ამაყი და დამოუკიდებელი ხმა, რაც იმ ეპოქის პირობებში მოწოდების ზარი იყო. მწერლის პოლიტიკური შეხედულებები ამ ეპოქის დაღს ატარებს.

–„ჩემი არსება გადაბმულია ჩემი ქვეყნის არსებასთან უხილავის ძალით... სადაც უნდა ეტკინოს ჩემს ერს, მისივე ტკივილი მეც მაგრძნობინებს და მის გუნების გვარად მოაწყობს ჩემს გუნებასაც. ამ დღეში მყოფის წადილი ნალველის ამოდვრისა, თავის მახლობელთან, თავის არსების შემადგენელს ნაწილთან, არის წესიერი, ჩვეულებრივი და აუცილებელი მოვლენა! მისი გამოთქმის უფლება აქვს ყველას, საერთო ტკივილის დროს კვნესა ერთისა, არის უფლება თვითოეულისა და წმინდა მოვლენის შეხება

უწმინდურის ხელითა არის კაცისათვის უღირსი საქციელი, მისივე დამამცირებელი საქციელი. ამ ფიქრებმა, ამ აზრმა დაბადა ჩემი პიესები, მოთხრობები და ლექსები.

პირველსავე ნაბიჯიდან მე მივეც ერთი მიმართულება ჩემს ნაწერებს და დღემდე მივდეგ მას. მივდეგ მას, თუმცა ეს შრომა ბევრჯერ გარჩეული კი არაა, რადგანაც ჩვენში დღემდის შრომის ღირსების გარჩევა არ არის, არამედ პირადი ლანძღვა...“ (ყაზბეგი, 1948, 46).

ალ. ყაზბეგის, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატის სახელი, მალე საყოველთაოდ ცნობილი გახდა. საზოგადოება მის ყოველ ახალ ნაწარმოებს მოუთმენლად მოელოდა. როგორც ირკვევა, მწერალს მკითხველებისაგან ხშირად პირადი წერილებიც მოსდიოდა. სამწუხაროდ ასეთი წერილებიდან გადარჩენილია მხოლოდ ზოგიერთი, მაგრამ ამ მცირედიტაც ნათლად იგრძნობა ის გავლენა, რომელსაც მწერალი იმ დროის მკითხველთა წრეებზე ახდენდა.

–„მწერალმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა იპოვოს ხმა, კილო, ამის შემდეგ კი თითქოს ყველაფერი ნათელია. მართლაც თუ შეიგრძენი ხმა, მაშასადამე იპოვნე რიტმი პროზისა, ე.ი. მიაგენი მის ხმოვანებას, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ პროზაც ფლობს ისეთსავე შინაგან მელოდიას, როგორც ლექსი და მუსიკა.“–სარგის ცაიშვილის ეს მოსაზრება კარგად მიესადაგება ალ. ყაზბეგის შემოქმედებას.

„ალ. ყაზბეგის, როგორც პროზის ოსტატის პირველი დიდი აღმოჩენა, ჩემი აზრით, ის იყო, რომ მან საოცარი სიზუსტით მიაგნო თხრობის შესაფერის კილოს. მან მონახა პირდაპირი გზა მკითხველის გულისაკენ, თითქოს მოხსნა ყოველგვარი პირობითობა და პირდაპირ, უშუალოდ გაგვაცნო მის არსებაში გარდატეხილი ჩვენთვის კი მანამდე უცნობი სამყარო.“

ადამიანური ბიოგრაფიები ალ. ყაზბეგთან უფრო ფართო პრიზმაშია გარდატეხილი, მხიარულება და სევდა აქ ისევე ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც სიკვდილს–სიცოცხლეს, რაც კიდევ ერთი ცალკე თემაა მისი შემოქმედების განსახილველად და შესაფასებლად.

ალ. ყაზბეგი, უწინარეს ყოვლისა, შთაბეჭდილებების მწერალია. ამიტომაცაა ასეთი ცოცხალი და უშუალო მისი დიალოგები, თუ საერთოდ მის მიერ წარმოსახული მხატვრული სინამდვილე. ამასთან, და ეს ყველაზე ნიშანდობლივია,

ცალკეული დეტალი, თუ ერთი შეხედვით სულ უბრალო ეპიზოდის კი, დატვირთულია ცხოვრებისეული სიბრძნით, განზოგადების დიდი ძალით.

„მორალური შეხედულებები და გრძნობები კაცობრიობის წინაისტორიულ ეპოქაში ბრძოლის პროცესში ისახება. ამიტომ არის, რომ პიროვნების მორალურობა ყოველთვის განისაზღვრება იმ ადგილითა და მდგომარეობით, რომელიც მას გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, სოციალურ ჯგუფში, კლასში უჭირავს. საზოგადოების გარეშე არ არსებობს არც ადამიანი და არც მორალურობა. შეუძლებელია აბსტრაქტული მორალური ჭეშმარიტების – „საერთოდ მორალის“, „საერთოდ სამართლიანობის“ არსებობა. ეს კატეგორიები ჭეშმარიტების შემცველნი არიან. ისინი ყოველთვის საჭიროებენ საკითხის დაკონკრეტებას: – „რა პირობებში?“ „როდის?“ „სად?“ ზნეობრივი ურთიერთობა, მორალური ცნობიერება თავისი წარმოშობით ერთ-ერთი ყველაზე უძველესია. თავისი მნიშვნელობით კი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული.

მორალი საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტია. საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარებამ აუცილებელი გახადა კოლექტივის წევრებს შორის ურთიერთობის მოწესრიგების აუცილებლობა. ცალკეული ადამიანისა და კოლექტივის ქცევათა შეთანხმების საჭიროება.

მორალი გამომდინარეობს არა იმდენად ადამიანის ბუნებიდან (თუმცა ეს ბუნება მორალის გარკვეულ პოტენციალს შეიცავს), არამედ ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობიდან, საზოგადოებრივი შრომისადმი წარმოების პროცესში მისი მონაწილეობიდან, რომლის საშუალებითაც ადამიანში ისახება მორალური საწყისები, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობისადმი მიდრეკილება.“ (სურგულაძე, 1956, 16).

სირთულე ზნეობრიობის, მორალის არსის გარკვევისას უძველესი დროიდანვე იყო მისი ზებუნებრივი და ღვთაებრივი ბუნების მტკიცების, მისი ბუნებრივი მიზეზებით წარმოშობის აუხსნელობის საფუძველი: ღვთისმსახურების მიხედვით სინდისი ღვთის ხმაა. ადამიანის სინდისიერებას, მორალურობას ღვთისმსახურები დღემდე მიიჩნევენ ზეციური ღვთაების არსებობის დამადასტურებელ საბუთად.

ზოგადი ზნეობრივი კანონი – თანაგრძნობა, ურთიერთ დახმარება, რომელიც დასაბამიდანვე წარმოადგენდა ადამიანთა თანაცხოვრების პირობასა და კეთილდღეობის საშუალებას, შეიცვალა კლასობრივი ზნეობით. აქ იკვეთება ზნეობის არსიც და სპეციფიკაც. ზნეობის არსია პიროვნებათა შეგნებული ზრუნვა ერთმანეთისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

მორალსა და ზნეობაზე იმიტომაც დაგვჭირდა საუბარი, რომ ალ. ყაზბეგს ხშირად უზნეოდ, ამორალურად ექცეოდნენ და უსაფუძვლოდ სტკენდნენ გულს. საერთო საზოგადოებრივ მიზანს აზრთა სხვადასხვაობა და აზრთა ჭიდილი არ არღვევს. პირიქით, აღრმავებს, მნიშვნელოვანსა და მრავალფეროვანს ხდის. საერთო საზოგადოებრივ მიზანს შლის და არღვევს ეთიკური უპატივცემულობა. უპირველესად ამიტომ არ უნდა დაერღვიათ იგი ალ. ყაზბეგის შემოქმედების ვაი-კრიტიკოსებს.

განსაცვიფრებელია ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებითი ენერჯია, პათოსი, მიზანსწრაფვა, ნაყოფიერება, გრძნობის, აზრის სიღრმე. თუ ამ თხზულებებსა და ვარიანტებს მაინც „ვარჯიშის“ გამოხატულებად ჩავთვლით, მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორის მოგვიანო ხანის ბრწყინვალე კლასიკურ ნიმუშებს ვიცნობთ.

–„საწყალო საქართველოვ! როდის იქნება, რომ შენ შვილებსაც შეხვდეს ის საზოგადოების სინათლე, რომელიც აშკარად აჩვენებს ხალხს თავის საზოგადოების მდგომარეობას. როდის იქნება, რომ შენ თვითონ თავისუფლად შეიძლო განარჩიო შენი საზოგადოების შემადგენელი პირები?! როდის იქნება, რომ შენ შეიძლო ზოგიერთ პირს აღუკვეთო სამუდამოდ ფეხი საზოგადო საქმეში გასარევად, რომელსაც თავისი ერთი მიკარებიტაც კი აჭუჭყიანებს.“ (ყაზბეგი, 1948, 49).

სხვაგან ვკითხულობთ:

–„ნუ გაქვს, საქართველოვ, შენს ბომონდზე იმედი, სამუდამოდ დაივიწყე ის აზრი, რომ ბომონდმა კეთილი მოინდომოს შენთვის... ამათ უნდინარ მხოლოდ იმიტომ, რომ შენ, ტკბილო მშობელო, დაბადო შავთვალა ქალები, რომლებზედაც მოიმოქმედონ ყოველი გარყვნილი კაცის დამამცირებელი მოქმედება... ძალიან ნუკი შეგეშინდება, მამულო, უკეთუ დაინახავ შენს საზოგადოებაში აფერისტებს, მუქთახორებს, ბომონდს... არა, არ უნდა შეგეშინდეს... მოდიან ახალგაზრდა

საქართველოს ყვავილები, რომლებიც მზად იქნებიან, ყოველ წამს სიხარულითა, თავისი სისხლი დაღვარონ შენი კეთილდღეობისათვის და ბედნიერებისათვის. უბედურება, სიღარიბე, შევიწროება, ესენი ყველა იმგვარი შემთხვევები არიან, რომლებიც კაცს აღვიძებენ და აგონებენ იმ ფიქრებს, რომ კაცობრიობამ მოიფიქროს თავის თავზედ, დაინახოს სხვისი უბედურებაც, შეუერთდეს და ერთის ძალით გადაიგდოს დესპოტური შევიწროება ბომონდისაგან... იმედი კარგია, თქვა ერთმა ჩვენმა ნაცნობმა და მეც გავიმეორებ: –იმედი კარგია! თან დავატან: –გავწიოთ, შვილნო მამულისანო!“ (ყაზბეგი, 1948, 49).

აქ უკვე ჩანს ჩამოყალიბებული მხატვრისა და მოაზროვნის სოციალურ-ეროვნული და ზნეობრივი კრედო. ავტოგრაფები რომ არ გვქონდეს, ვერც კი დავიჯერებთ, რომ ეს შეხედულებები იმ დროს, 1868 წელსაა გამოთქმული.

მაშინდელ ჩვენს პრესაში ხშირად იბეჭდებოდა ასეთი მოწინავე შეხედულებები? ასეთი პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებები? განა რომელიმე რედაქცია უარს იტყოდა მათს გამოქვეყნებაზე? მაშ, რატომ არ გაუგზავნია დასაბეჭდად?!

არ აკადრა თავის თავს! მეტის იმედი ჰქონდა!

ყაზბეგი ყოველთვის ცდილობდა რამე სასარგებლო გაეკეთებინა თავისი სამშობლოსთვის. იგი მოსკოვში ჩასვლისთანავე დაუკავშირდა სტუდენტთა ერთ ისეთ არალეგალურ წრეს – „ამხანაგობას“, რომელიც რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში არსებობდა.

ერთ–ერთ წერილში წერდა: –„მე და ჩემმა ამხანაგებმა გადავწყვიტეთ ვიღვაწოთ საზოგადოებისათვის.“ ამ „ამხანაგობის“ თვალსაზრისი, შეხედულებებია გამოხატული იმდროინდელ მის ლექსებსა და მოთხრობებში.

როცა ვიცით, რომ 1868-1869 წლებში ალ. ყაზბეგი მამხილებელი ნიუანსებით დატვირთულ ნაწარმოებებს წერდა, ნათელი ხდება, რა მოღვაწეობისათვის, რა ცხოვრებისათვის ემზადებოდა ჭაბუკი შემოქმედი, რითი სუნთქავდა, რა მოსწონდა, რა ეზიზღებოდა, ნათელი ეფინება მის შემდგომ ნაბიჯებს, მის ცხოვრებას, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ორიოდე წლის შემდეგ – ინციდენტიდან სათეატრო კომიტეტსა და ჟურნალ „ივერიასთან“, ალ. ყაზბეგმა მწყემსობა მიატოვა, რუსეთ–თურქეთის 1877–1878



წლების ომის დროს რუსეთის ჯარის ერთ-ერთი არც თუ ისე წარმატებული მომმარაგებელ-მოიჯარე გახდა. ბოლოს თბილისში გადმოსახლდა, „დროების“ რედაქტორ – სერგეი მესხს დაუმეგობრდა. ქართულ თეატრში მსახიობობა დაიწყო, შემომწყრალი „ივერიასაც“ შეურიგდა და 1880–1885 წლებში ჯერ „დროების“, შემდეგ „ივერიის“ ფურცლებზეც გამოაქვეყნა თავისი დიდებული ნაწარმოებები, რომლებმაც მას მალე უდიდესი პოპულარობა და უკვდავება მოუპოვა.

თბილისში ჩამოსულ, ნათესაური წრის მიერ შერისხულ, გადარიბებულ, ლუკმა-პურის მამიებელ ალექსანდრე ყაზბეგს დეპრესია დაუფლებია, მაგრამ ჯერ აკაკი წერეთელი, მერე სერგეი მესხი, ბოლოს კი ივანე მაჩაბელი გასჩენია მხსნელად. აკაკი სწვევია ალ. ყაზბეგს, შემდეგაც მრავალგზის სტუმრებია... – „რაც შევატყე, რომ ჩემი მისვლა არ სწყინდა, მიუხედავად მისი ახირებულობისა... იმ ხანებში,– განაგრძობს პოეტი,– მე ქართულ სცენას განვაგებდი და მისი ოთახიდან გამოსატყუებლად მოვიგონე, რომ ერთი მსახიობი მაკლდა და, რომ ის იკისრებდეს, არ იქნება ურიგო-მეთქი. შვიდ თუმანნახევარი დავუნიშნე თვეში და გადავიყვანე... მსახიობებში რომ გაერია და საქმე გაუჩნდა, დღეს ხვალობით გამობრუნდა და ძვირად მოუვლიდა ხოლმე ახირებულობა... რაც სეზონი გათავდა და ჩემი საქმეც ცუდად წავიდა, მე მარტოკა მისი შველა აღარ შემეძლო და გადავიყვანე „დროების“ რედაქციაში, სერგეი მესხთან... რედაქციაში ბინა ვიშოვეთ, მაგრამ საჭმელ-სასმელი ჩვენ რა გვექონდა ბევრი, რომ მისთვის ბევრი მიგვეცა? მაგრამ ეს... მისთვის სულ ერთი იყო!... ერთხელ საგვარეულო ძვირფასი სახარება მიჰყიდა ჩვენს „წერა-კითხის საზოგადოებას“ და ამავე დროს დედამისის დანარჩენი ქირმანის შალი, რომელიც ძვირფასი იყო, სულ თხუთმეტ მანეთად... და ბათუმში ამოჰყო თავი... რომ დაბრუნდა აღარა ჰქონდა რა და ერთი პატარა ჯაკო- მაიმუნი ჩამოიყვანა მხარზე შესკუპებული. შვილი არ ეყვარება ადამიანს ისე, როგორც იმას ჟაკო უყვარდა... მაგრამ ბოლოს იმისთანა გაჭირვებაში ჩავარდა, რომ ის თავის საყვარელი ჟაკო თუმნად გაჰყიდა. როცა „დროება“ მაჩაბელის ხელში გადავიდა, ყაზბეგიც თან გაჰყვა. მაჩაბელმა კეთილად მიიღო. მიუჩინა ცალკე ოთახი, საწოლი, საჭმელ-სასმელი... „დროების“ დახურვის შემდეგ სადღაც გაქრა თფილისიდან, ვგონებ კახეთში წავიდა და მას შემდეგ ერთხელ კიდევ შევხვდი, მაგრამ მაშინ ის სულ აღარ იყო ჭკუაზე.“

ინტერესმოკლებული არ ყოფილა სერგეი მესხის დამოკიდებულებაც ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. „დროების“ თავდადებულმა რედაქტორმა არ მოიწონა მისი ზოგი პიესა და მსახიობობა, მაგრამ ყოველმხრივ ყოფითი დახმარება გაუწია მას; პირველმა დაბეჭდა მისი მოთხრობები, თუმცა არ შეუფასებია ისინი და მიაკუთვნა იგი ხუთ-ექვს „უმთავრეს“ ქართველ მოღვაწეს, „რომელთაგანაც,– მისივე თქმით,– ჩემზე მომეტებული თუ არა, ნაკლები სამსახური არ გაუწევია გაზეთისათვის („დროებისათვის“ თ.გ.).“ შეიტყუებდნენ კაბინეტში, ჩაკეტავდნენ და მანამდე არ გამოუშვებდნენ, სანამ რამეს არ დაწერდა გაზეთისთვის. ასე ექსპრომტად დაუწერინებიათ მისთვის ერთ-ერთი მისი საუკეთესო მოთხრობა „ციცკა“ 1881 წელს. უფრო ადრე სერგეი მესხის რჩევით დაუწერია ხევის ეთნოგრაფიული მიმოხილვა, რომელიც მისი პროზაული ნაწერებიდან პირველი დაიბეჭდა „დროებაში.“ (მესხი, 1880, №197, 167).

„დროების“, რედაქტორი – სერგეი მესხი იყო მისი მწერლობის ნათლია, რომელსაც ალ. ყაზბეგი პირდაპირ აღმერთებდა და ლამის ლოცულობდა მასზე. თუმცა ალ. ყაზბეგს „დროებასთან“ უთანხმოებაც ჰქონია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სერგეი მესხი მას 80-იანი წლების დამდეგის „დროების“ ერთ-ერთ მესვეურად მიიჩნევდა.

თავად ყაზბეგიც იხსენებს: –„მას შევთვისდი და ეს გაზეთი შეიქმნა ჩემი არსების ნაწილი... ვმუშაობდი ყინვაში, სიცივეში, მთელს ღამეებს ვატარებდი უძილობაში... მაშინ გვერდსა მდგომია მეტის მუშაობით დაოსებული „დროების“ რედაქტორი და მისი ძმა დ. მესხი. იმათთან ერთად გვიწევია უღელი. ამ ყოფით მიგვიტანია ის იმ დღემდის, სანამ ახალ რედაქციას გადავცემდით.“

„დროების“ ახალ და უკანასკნელ რედაქტორთან – ვანო მაჩაბელთანაც მეგობრობდა ალ. ყაზბეგი, ილია ჭავჭავაძემც პატივს სცემდა და თავის გაზეთ „ივერიაში“ იწვევდა, ხოლო ჟურნალში „ივერია“ არაერთი დიდებული ნაწარმოები გამოაქვეყნა.

ალ. ყაზბეგს თბილისის მიხაილის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში აახლეს თავის თხზულებათა პირველი სრული გამოცემის ერთ-ერთი ტომი, მაგრამ ამ დროს ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ წიგნში

დაბეჭდილი თავისი ფოტოსურათი ვერ იცნო, ამოგლიჯა და ცეცხლში შეაგდო. აქ იგი 1889 წლიდან იწვა, თუმცა პროგრესული ფსიქიკური დამბლის ნიშნები უკვე 1886 წლიდან აღმოაჩნდა. მას შემდეგ მას მნიშვნელოვანი აღარაფერი შეუქმნია. უმთავრესად თეატრალურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისსა და ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, თელავში. ცეკვადა, მსახიობობდა, კრიტიკას, განსაკუთრებით უსამართლოს, როგორც ყოველთვის, ახლაც ვერ ურიგდებოდა. მისი აზრით უსამართლოდ ექცეოდნენ „ბატონი ხონელ–ბნელოები, ილო–ტილოები... ვანო მჭედლიშვილი, დავით კეზელი... და სხვანი.“ ყველაზე მეტად კი ის უშლიდა დასუსტებულ ნერვებს, რომ აკრიტიკებდნენ და ჭკუას არიგებდნენ უსაქმური, რომელთაც წაკითხულიც კი არ ჰქონდათ იმდენი, რამდენიც ათიოდე წელიწადში ეგრძნო და დაეწერა დიდ მწერალ–მოაზროვნეს.

ალ. ყაზბეგს მიმოწერა ხშირად პოლემიკური ჰქონდა იონა მეუნარგიასთან, სიკო ცაგარელთან, ანტონ ფურცელაძესთან და სხვებთანაც. აგრეთვე საქმიანი–ალექსანდრე ხახანაშვილთან, ალექსანდრე ნებიერიძესთან, კოტე მესხთან, სოფრომ მაგალობლიშვილთან, გრიგოლ დადიანთან, ილია ჭავჭავაძესთან. რამდენიმე წერილი მისწერა მან დედას– ელისაბედ თარხნიშვილს, რომელიც მწარე ცრემლით დაიტირა და დაასაფლავა 1888 წელს. მას შემდეგ, ჩანს, კიდევ უფრო გაუარესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. 1893 წლის 10 დეკემბერს კი უპატრონოდ და ტრაგიკულად შეწყდა მისი ტანჯვით და ტკივილით სავსე სიცოცხლე თბილისის მიხეილის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში.

მეორე დღეს დავით მიქელაძემ „ივერიაში“ ალ. ყაზბეგი „ჩვენი დროის უპირველეს ქართველ პატრიოტად“ მოიხსენია, არტემ ახნაზაროვმა კი – „უკვდავად“, რომელიც – „გარდაიცვალა, მაგრამ უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს?... ორჯერ დაბადებულს ღვთიური მადლით ცხებულს, სიკვდილი ვერას უზავს. ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას... მისი აკვანი ყოველი ქართველის გულში ირწეოდა და ასეთ აკვანში გაზრდილს ადამიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს... ვიდრე საქართველოს სახელი არ გაქრება, ვიდრე ერთი ქართველი დარჩება ქვეყნად და ქართულს სიტყვას მთქმელი და მსმენელი ეყოლება... ზეცას დაიბადა, ქვეყნად ცხოვრობდა, დამარხულია ჩვენს გულშიო.“

გიორგი წერეთელმა „კვალში“ ალ. ყაზბეგს უწოდა „ჩვენი დროის საუკეთესო მწერალი“, რომლის მიერ დატოვებული „გონების საუნჯით, აზროვნებით“ შეგვიძლია „მსოფლიოდ თავი მოგვქონდეს და ამოვუდგეთ დასავლეთის განათლებულ ერთა მხარში.“

19 დეკემბერს განსვენებული ალ. ყაზბეგი ქვაშეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადაასვენეს, საიდანაც წაასვენეს სტეფანწმინდისაკენ. გასვენებას უამრავი ხალხი ესწრებოდა, არამარტო თბილისელები და ქართველები, არამედ საქართველოს, კავკასიის და რუსეთის მრავალი მხარის წარმომადგენელი, სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიის ადამიანები. ვერის დაღმართამდე მისული სამგლოვიარო პროცესიის წინაშე გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს; აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, გრიგოლ აბაშიძემ, ელენე ჭიჭინაძემ, ვალერიან გუნავამ, დავით ტერ–დავითიანცმა, ვაჟა–ფშაველამ და გრიგოლ გველესიანმა.

განსვენებული ღამით დუშეთს დაასვენეს, 20 დეკემბერს კი წაასვენეს სტეფანწმინდისაკენ. გზად დიდი პატივისცემით შეეგებნენ მიცვალებულს მგლოვიარე ფასანაურელები და მლეთელები, გუდაურელები და კობელები, სიონელები და ბოლოს სტეფანწმინდელები, რომლებმაც ალ. ყაზბეგის ნეშტი ჯერ საკუთარ სახლში მიასვენეს, მერე ყაზბეგების საგვარეულო ეკლესიაში დაასვენეს. მოხეური დატირების ყველა რიტუალის შესრულების შემდეგ, 22 დეკემბერს ალ. ყაზბეგის ნეშტი დაკრძალეს საგვარეულო სასაფლაოზე. საფლავთან სამგლოვიარო სიტყვები წარმოსთქვეს: სვიმონ შადურმა, პავლე ლუდუშაურმა და სხვებმა.

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის შემდეგ საქართველოს არ ახსოვდა ასეთი ხალხმრავალი და დიდებული დასაფლავება.

ალ. ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ, კიდევ უფრო გაიზარდა მისი პოპულარობა და ნაწარმოებების გავრცელების არე. დღითიდღე მეტ ინტერესს იჩენდა მკითხველი. 1893 წელს მისი შემოქმედების შესახებ ქართულ, რუსულ და სომხურ პრესაში დაიბეჭდა არაერთი წერილი. მომდევნო 1893–1898 წლებში გამოქვეყნდა მწერლის რამდენიმე ლექსი და დაუმთავრებელი მოთხრობა.

1904–1905 წლებში ორჯერ გამოსცა დავით კარიჭაშვილმა ალ. ყაზბეგის თხზულებანი (1204 გვერდი).

1917–1921 წლებში თითქმის ყოველწლიურად იბეჭდებოდა ალ. ყაზბეგის ცალკეული ნაწარმოებები პრესაში თუ წიგნებად. გამოვიდა დიდი ტირაჟით მისი რჩეულ ნაწარმოებთა რამდენიმე კრებული, რომელთაგანაც აღსანიშნავია ალ. აბაშელისა და ივ. გომართელის მიერ გამოცემული ორტომეული „რჩეული თხზულებებისა“ 1924 წელს 4 ათასი ტირაჟით (729 გვერდი), სახელგამის მიერ ათ ტომად გამოცემული „რჩეული ნაწერები“ 1937 წელს (759 გვერდი), გერონტი ქიქოძის მიერ 1946–1947 წლებში გამოცემული ორტომეული „რჩეულ თხზულებათა“ (1157 გვერდი), სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ნატროშვილის, შოთა ძიძიგურის, სოლომონ ყუბანიძის მიერ 1948–1950 წლებში გამოცემული ალ. ყაზბეგის „თხზულებათა სრული კრებული“ 5 ტომად (2694 გვერდი) 10 000–იანი ტირაჟით. 1974 წელს გურამ ასათიანის ბოლოსიტყვაობით 30 000–იანი ტირაჟით გამოვიდა ალ. ყაზბეგის „რჩეული“, ხოლო 1985 წელს თამაზ ჭილაძის წინასიტყვაობით 100 000–იანი ტირაჟით ალ. ყაზბეგის „თხზულებანი“.

#### ა) აღიარება გარდაცვალების შემდეგ

გლოვის დღეებში გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდებოდა ცნობები მწერლის ცხოვრებასა, ავადმყოფობასა და გარდაცვალებაზე. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იგზავნებოდა დეპეშები, წერილები. მთელი საქართველო მტკივნეულად განიცდიდა მწერლის სიკვდილს. გამოქვეყნდა ლექსებიც, რომლებიც ეძღვნებოდა მწერალს, ადამიანს, მოქალაქეს და შემოქმედს. შეფასდა ალექსანდრე ყაზბეგის მოღვაწეობის წლები. დაისვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მწერლის შემოქმედების დაფასების, ყაზბეგის თხზულებების ზემოქმედების საკითხი ქრთველი მკითხველის შეგნებაზე, რომანების, მოთხრობების შემეცნებით, მხატვრული ღირებულების მნიშვნელობასა და რაობაზე.

მწერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ყველა მასალა საყურადღებოა. რადგან იგი აჩვენებს არამხოლოდ ალ. ყაზბეგის ახლობელ-მეგობრების, არამედ მკითხველის დამოკიდებულებას, შთაბეჭდილებებს ალ. ყაზბეგის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

წერილებს შორის, რაც „ივერიაში“ გამოქვეყნდა, გამოირჩეოდა 1893 წლის 12 დეკემბრის ნომერში გაზეთის ერთ-ერთი ხელმძღვანლის – დავით მიქელაძის („მეველის“) წერილი. მას დეტალურად არ განუხილავს მწერლის შემოქმედება, მაგრამ იგი გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. მან აღნიშნა, რომ ალ. ყაზბეგის შემოქმედების დაფასება ქართული კრიტიკის მომავალი საქმეა. ამასთან, განმარტავდა, რომ „ყაზბეგის შემოქმედების სრული და მართებული კრიტიკული განხილვა ჯერ არ მომხდარა. ახლა კი, როცა მწერალმა დაასრულა ცხოვრება, მისი მოღვაწეობის შეფასება უნდა იყოს ამომწურავი და სრული.“ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მას შემდეგ ამდენი წელი გავიდა და ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, განხილული და შეფასებული ალ. ყაზბეგის ცხოვრება და შემოქმედება ისე, როგორც ის იმსახურებს.

დ. მიქელაძე წერდა: –„ამ ცხოველს ნიჭს, ცხოვრების დასურათებისას, საფუძვლად და მცნებად აქვს სამშობლოს უანგარო სიყვარული, რაც განსვენებულს უხვად უღვიოდა გულში. მაშინ ადვილი მისახვედრია, რომ ასეთ მწერალს დიდი და გასაოცარი გავლენა უნდა ჰქონოდა მკითხველზე. ალ. ყაზბეგი ყველასათვის თანასწორად გასაგები იმიტომ იყო, – აღნიშნავდა იგი, – რომ მან იცოდა სიყვარულის ძალა. იგი იყო სიყვარულისა და შურისძიების დამხატველი მწერალი. ამიტომაც იპოვა სხვადასხვა ფენის შეგნებისაკენ გზა.“ ყოველივე ამის საფუძვლად კი მწერალმა კრიტიკოსმა აღიარა პატრიოტიზმი: –„აქ, ამ სფეროში, როდესაც თავისუფლების მოყვარული, ლაღი და უშიშარი მოხვევე ებრძვის ძალმომრეობას, ალ. ყაზბეგი მართლა რომ გასაოცარია და ყოვლად შეუდარებელი... ყაზბეგი იყო ჩვენი დროის უპირველესი ბელეტრისტი, რომელმაც ნამდვილის ქართულის ფერებით შეამკო და ცოცხლად წარმოგვიდგინა თვალწინ ჩვენი ერის სულისკვეთება, შეუდარებელის კალმით დაგვიხატა ჩვენი ქვეყნის გასაოცარი სიტურფენი და ზოგისაგან აბუჩად აგდებული, თითქო ველური მთიულის ყოვლად უბრალო ტანისამოსის ქვეშე

მბგერალი, განუდრეკელი სიმხნე და თან ქალწულებრივი სინაზე-სინარნარე, რომანტიული ღირსება და კაცური კაცობა.“ (მიქელაძე, 1893, №268, 2).

ამ გამონათქვამში ჩანს „ივერიისა“ და მისი მეთაურების დამოკიდებულება. წამოწეულია ქართველი ინტელიგენციის ძირითადი დებულება, რაც ილიამ პრესისა და ქართული ლიტერატურის ძირითად მოთხოვნილებად აქცია.

ალ. ყაზბეგის შემოქმედება ამ მოთხოვნილებებს მთლიანად მიესადაგებოდა. დავით მიქელაძემ ეს წერილი ასე დაამთავრა: –„ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია სამშობლოსი და მოძმის უმაღლესი სიყვარულით, იმ გრძნობით, რომელიც კაცობრიობისა და ცივილიზაციის საუკეთესო სამკაულია. სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ ყაზბეგის სახელით, რომელიც არ დაავიწყდება ქართველს ერს, ვიდრე ცოცხალი იქნება ქართული ენა.“(მიქელაძე, 1893, №268, 2).

ამავე ნომერში „ფარნაოზის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა არტემ ახნაზაროვის, „ივერიის“ მუდმივი თანამშრომლის წერილი. აქაც ხაზი აქვს გასმული პატრიოტიზმს ყაზბეგის შემოქმედებაში, რომლითაც გამსჭვავულია მწერლის ყოველი ფიქრი და განზრახვა. ყველაფერი ეს დაკავშირებული იყო ქვეყანასთან, ერთან, მის ბედთან და არსებობასთან: –„ყოველი სურათი და სიტყვა შეუწყვეტელი ჯაჭვი იყო სამშობლოს სიყვარულისა, აღტაცებისა და იმისი ბედკრულობის გამო გლოვისა, წუხილისა, დრტვინვისა, ჩივილისა და მოთქმისა.“ (ხუციშვილი, 1987, 12).

„ფარნაოზი“ ხაზს უსვამს ალ. ყაზბეგის შემოქმედების დანიშნულებას, რომ იგი შექმნილია არა „ამა ქვეყნის ძლიერთა სმენის დასატკბობად“, არამედ ადამიანთა, ერის, „საკინძქამოწყვეტილ“ მოხევეთათვის, რომელთა ირგვლივ მხოლოდ ბუნებაა თავისუფალი „და სხვას ყველას კი ახალმა სიომ მოჰბერა, ახალმა დრომ თავისი ნიშანი დაასო.“

კრიტიკოსისაგან რბილად ნათქვამი „ახალი სიო“ და „ახალი დრო“ შეეხება იმ პერიოდსა და ვითარებას, რაც ხევში შეიქმნა XIX საუკუნის დასაწყისიდანვე რაც ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების ძირითად თემად და მასალად იქცა.

„ფარნაოზ“- არტემ ახნაზაროვს ეკუთვნის ის დაუვიწყარი და მეტად მნიშვნელოვანი ფრაზა, რომელიც არაერთხელ გაუმეორებიათ ალ. ყაზბეგის

დასახასიათებლად: –„ორჯერ დაბადებულს, ღვთიურის მადლით ცხებულს, ერთი სიკვდილი ვერას უზამს.“

ალ. ყაზბეგის მეორედ დაბადება კრიტიკოსს მიჩნეული აქვს ის დრო, როცა მწერალმა ნიჭიერი კალამი უძღვნა სამშობლოსა და ერს. მისი შეხედულებით, მწერლის ადგილი ყოველი ქართველის გულია. რადგან მან აქ მოიპოვა ადგილი, „მას სიკვდილის ხელს ვერ შეახებს.“

„ფარნაოზმა“ ამით თქვა, რომ ალ. ყაზბეგის მხატვრული შემოქმედება ხალხურია, ხალხში აქვს საფუძველი და მაშასადამე, ხალხთან ერთად უკვდავია. კრიტიკოსის დასკვნით, ალ. ყაზბეგი –„ზეცას დაიბადა, ქვეყნად ცხოვრობდა და დამარხულია ჩვენს გულში.“ (ხუციშვილი, 1987, 12).



## თავი II .

### ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების ძირითადი მხარეები

გამორჩეული გემოვნების, შინაგანი კულტურის, ერუდიციის, მოწინავე მსოფლმხედველობის დადასტურებაა ყაზბეგის არამხოლოდ ნაწარმოებები, არამედ იმდროინდელი თარგმანებიც.

ლიტერატურაში, ადამიანთა ცხოვრებაში, გმირებით მოვიდა, დიდებული გმირებით. გმირები იყვნენ პირველი მისი დიდი პერსონაჟები, გმირის ქებას ამბობდა ლექსი თუ პოემა, ლეგენდა თუ ტრაგედია. ეს გმირები ხალხის სულისკვეთებისა და მისწრაფების, სამომავლო იდეალის გამომხატველნი იყვნენ, ისინი განასახიერებდნენ ოცნებას იდეალურ ადამიანზე, მის ამაღლებულ გრძნობებზე.

„ხალხს მუდამ სჭირდება მისაზაბი მაგალითი, იდეალი, ვინც ამაღლებულსა და მარადიულ ფასეულობებს აზიარებს, ვინც უბიძგებს სრულყოფილი, იდეალურობამდე მიყვანილი ცხოვრებისაკენ. ამგვრი გმირები ყაზბეგთან ცხოვრებიდან მოდიან, ზოგჯერ ნამდვილად არსებულნი და კონკრეტულნი, ზოგჯერ კი მრავალ გმირულ სახეთაგან ერთ იერ-სახედ გამოკვეთილნი და განზოგადებულნი.“

ხალხს ძალზედ უყვარს გმირი არამხოლოდ ცხოვრებაში, არამედ ლიტერატურაშიც. ალ. ყაზბეგმა ეს კარგად იცოდა, მან შეიძინა მრავალგვარი გამოცდილება, დაეუფლა ახალ ფორმებს და მხატვრული გამოსახვის ხერხებს, უფრო „ღრმად ჩაიხედა ადამიანის სულში, შეისწავლა მისი უღრმესი შრეები და ეს ყველაფერი კვლავ და კვლავ მოხდა ერთი მთავარი მიზნისთვის: ეპოვა გმირი, მთელი სიღრმით ეჩვენებინა შინაგანი სიმდიდრე, სიდიადე ადამიანისა, წარმოედგინა იგი, როგორც უძლეველი, ბატონი და მბრძნებელი ცხოვრებისა.“

მკითხველი მუდამ ინტერესით გაჰყვება გმირს, რომელიც მას თავისი კლასიკური უბრალოებით, ზნეობრივი სისპეტაკით, ბოროტის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით, სრულყოფილებით მოხიბლავს და დაიპყრობს. კრიტიკული პათოსით, მამხილებელი პასაჟებით შეძრწუნებულ მკითხველს მუდამ ებადება სურვილი ხელში

აილოს ფურცელი, რომელზეც ამოიკითხავს უბრალო, მარადიულ ჭეშმარიტებას: – ადამიანი უძლეველია!

ყაზბეგი გვიხატავს მისაბამ გმირებს. ისინი ხალხის შვილები არიან, ყოველთვის ხალხში ტრიალებენ, ხალხის სიხარულითა და ტკივილით ცხოვრობენ, მათი ბედნიერებისა და უბედურების მოზიარენი არიან. მისი გმირები შემკულნი არიან ყველა იმ თვისებით, რასაც აღფრთოვანებამდე მივყავართ. მხოლოდ ყაზბეგს შეეძლო უარყოფითი პერსონაჟებიც კი ისე წარმოედგინა, რომ მათ მიმართ არათუ აგრესიულად, არამედ თანაგრძნობით განგვაწყოს, მათ გვერდით დგომის სურვილი გაგვიჩინოს, ხელი შევაშველოთ, წამოდგომასა და ცხოვრების სწორი გზის არჩევაში დავეხმაროთ. ბოლომდე განვიცადოთ მათი ტრაგედია. გავხდეთ მოზიარენი მისი ავ-კარგისა.

იღებს რა სინამდვილეს ისე, როგორც ის მოცემულია, ალ. ყაზბეგი მას განიხილავს სტატიურად, მოვლენათა ზედაპირულ ფორმაში არ ეძებს შინაგანი კანონზომიერების გამოვლინებას, არ მიდის ამ კანონზომიერებამდე, წინ არ სწევს მას. ის წერს მასზე, რაც ხდება, როგორც მოხდება, მაგრამ უპასუხოდ არ ტოვებს კითხვას: რატომ?... ის გვიჩვენებს და ხატავს შედეგებს, ეძებს მიზეზსა და საფუძველს, პერსპექტივას, რომელიც მოვლენათა კანონზომიერ განვითარებაშია გამოხატული. ის თავისუფალია, არ ემონება ფაქტებს, საგნებს, მოვლენებს. მათში ჩაწვდომის, მათი არსების გაგების შედეგად იმორჩილებს მათ, მალღდება, ბატონობს მათზე, რადგან სწვდება მათ შინაგან, ნამდვილ და არსებით კანონზომიერებას. ის ჯადოსნური ფუნჯის ერთი მისმით გარდაქმნის ყველაფერს ისე, როგორც საჭიროდ მიაჩნია, როგორც უფრო მეტ გავლენას მოახდენს მკითხველის გულსა და გონებაზე, მოაჯადოებს მას. ის კმაყოფილდება წარმოსახულის რეალური ფორმით. მოცემული გარემო, ცხოვრება, სინამდვილე მისთვის განისაზღვრება მათგან მიღებული უშუალო შთაბეჭდილებებით. მისთვის ამოსავალი წერტილია არა სინამდვილე, როგორც შთაბეჭდილების განმსაზღვრელი, არამედ შთაბეჭდილება, რომელიც თვით განსაზღვრავს სინამდვილეს. არა სინამდვილის რაობიდან მსჯელობს ის შთაბეჭდილებაზე, არამედ შთაბეჭდილების რაობიდან აფასებს სინამდვილეს. ამიტომაც ის უაღრესად სუბიექტური. ამავე დროს, შთაბეჭდილებებში ის ეძებს არა

ყველასათვის საერთოსა და ზოგადს, არამედ გამონაკლისსა და კერძოს. ეს შთაბეჭდილება უმთავრესად წუთიერი და თვითნებურია, ამიტომ საგნები და მოვლენები განხილულნი არიან მათ წუთიერ, ხშირად არაკანონზომიერ მდგომარეობაში. მისი საგანია არა თვით მოვლენა და მისი არსება, არამედ იმ მოვლენათა ზემოქმედების ფორმა, შთაბეჭდილება. ამასთანავე ეს შთაბეჭდილება, როგორც უკვე ვთქვით, განსაზღვრულია არა მოვლენათა ბუნებით, არამედ აღმქმელი სუბიექტის თავისებურებით, იმით რაც შთაბეჭდილებაში უმთავრესად და ძირითადად სუბიექტურს შეადგენს, სუბიექტს ეკუთვნის.

ალ. ყაზბეგთან სიმკვეთრე და განსაზღვრულობა იძლევა იმის საშუალებას, რომ პირობითად ჩამოყალიბდეს ურთიერთობის ფორმები. ყოველი მათგანი ეძებს და პოულობს ისტორიულ ახსნას, მოტივირებას. იგი ეყრდნობა იმ კლასის, ფენისა თუ წრის ისტორიულ მდგომარეობას საზოგადოებაში, რომელსაც მწერალი ეკუთვნის. მთავარია, რომ ამ ურთიერთობას გამოხატავენ ლიტერატურული სახეები, პერსონაჟები. ამასთანავე, სინამდვილესთან დამოკიდებულების ეს ფორმები ატარებენ ზოგად ხასიათს და ძირითადად იდეოლოგიური ხასიათისანი არიან.

მწერლის მიზანი მდგომარეობს არსებულის შესწავლასა და წარმოსახვაში. აქ არ ხდება სინამდვილის, როგორც თემის, როგორც ამოსავალი წყაროს უარყოფა. შემეცნების საგანი და ობიექტი არის ის საზოგადოებრივი ადამიანი, რომელიც ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული. ალ. ყაზბეგი ასახავს მოცემულ საზოგადოებრივ სტრუქტურას და ამ საზოგადოების სოციალურ ძალთა პერსონიფიკაციას სახეში. იგი ეძებს დამახასიათებელსა და ტიპიურს, გავრცელებულსა და, გარკვეული აზრით, ჩვეულებრივს.

მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი მარადიული თემა – სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება, ბრძოლა ზნეობრივი იმპერატივების დასამკვიდრებლად ყველა დროსა და ეპოქაში სხვადასხვა ფორმით, ინტენსიობით წამოიჭრებოდა და, შესაბამისად, სხვადასხვაგვარად წყდებოდა კიდეც.

ქართული მწერლობა ამ პრობლემას საკუთარი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით და ტრადიციის გათვალისწინებით წყვეტდა. „მუშანიკის წამებიდან“ მოყოლებული დღემდე ჩვენს მწერლობაში ეს პრობლემა ნაირგვარი „ვარიაციით“ იყო

წარმოდგენილი. „ქართულ აგიოგრაფიაში, როგორც ჩანს, უპირველესად, ეთიკური კატეგორიაა.“ (სირაძე, 1975, 165).

ძველი ქართული მწერლობა იდეალური ადამიანის, პიროვნების ზნეობრივი სრულყოფის წვდომის გზებს ეძებდა: „ქრისტიანულმა კულტურამ იმთავითვე ადამიანთა პიროვნული სრულყოფის პრობლემები წამოსწია და ზნეობრიობის ახალი კატეგორიები აღმოაჩინა. სასულიერო მწერლობაც სწორედ ამ გზით ვითარდებოდა და ადამიანის თავისებურ ესთეტიკურ იდეალს უყრიდა საფუძველს, მხატვრული აზროვნების ახალ სიმაღლეებს ეუფლებოდა.“ (ცაიშვილი, 1989, 630).

აგიოგრაფიამ უარყო მითოსური იდეალები და ადამიანის პიროვნული ზნესრულყოფის ახალ იდეალად ღმერთი აღიარა. უარყო ფიზიკური ძლიერების კულტი და იგი ახალი გმირის სულიერი სიძლიერით განსაზღვრა. ამგვარი იდეალური გმირის წარმოსახვას ისახავდა მიზნად „მუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და სხვა ამ პერიოდის თხზულებები, რომლებიც საფუძველს უყრიან და ამშვენებენ ქართულ ლიტერატურას.

ამ საკითხებისადმი ყურადღება არც რენესანსის ეპოქაში მოუკლია ქართულ მწერლობას. ადამიანის, პიროვნების სწრაფვა მაღალი ზნეობრივი იდეალებისაკენ, ჭეშმარიტ ზნეობრივ ღირებულებებზე ორიენტირება იყო „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავ გმირთა უპირველესი მიზანი. რუსთაველის რენესანსული შეხედულებები ადამიანზე, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და ზნეობრივ იდეალებზე, ასაზრდოებს ქართულ ლიტერატურას.

აღორძინების ეპოქაშიც ჰპოვა ამ საკითხმა გარკვეული ასახვა. მნიშვნელოვანია სულხან–საბა ორბელიანის ქადაგებები, „სწავლანი“, „სიბრძნე–სიცრუისა“, რომლებიც ამკარად სცილდებიან არსებულ დოგმატურ ჩარჩოებს, გამოირჩევიან თანადროული საქართველოსათვის საჭირო, მტკივნეული საკითხების პირველ პლანზე დაყენებით.

ზოგადსაკაცობრიო იდეების ქადაგება, მატერიალურიდან სულიერ სრულყოფისაკენ მიმავალი გზების ძიებაა დავით გურამიშვილის ბრწყინვალე შემოქმედების დიდი ნაწილიც. შეიძლება ითქვას, რომ ეს ავტორი ერთ–ერთი გამორჩეული პოეტია ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც რუსთაველის

გავლენასაც კი დააღწია თავი. სხვათაშორის, ამ გზას დავით მეფსალმუნისეული შემოქმედების გააზრებით მიაგნო. ვგულისხმობთ იმ ცნობილ ფაქტს, რასაც თავადვე აღიარებს ავტორი დავითის შესხმებში. გურამიშვილისთვის ყველაფრის პირველმიზეზად შემოქმედი ითვლება. მასთან სიახლოვით ან დაშორებით განისაზღვრება თავსდამტყდარი უბედურება, როგორც პირადად მისთვის, ისე მისი მშობელი ქვეყნისთვის.

XVII საუკუნის საქართველოს მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული ზნეობრივ ღირებულებათა დევალვაციის შემაშფოთებელმა ტენდენციებმა, ბუნებრივია, განგაშის გრძნობა დაბადა ქართულ მწერლობაში. ამ ტკივილმა შეაქმნევინა არჩილ ბატონიშვილს „საქართველოს ზნეობანი“. ეროვნული გადაგვარების უდიდეს საფრთხეს მეფე-პოეტი კარგად გრძნობდა და ხედავდა, სწორედ ამიტომ საგანგებოდ ეხებოდა ეთიკის საკითხებს. იგი ზნეთსწავლას გვთავაზობს. ზნეობრივი სრულყოფილების მაგალითად და საზომად პირადი ღირსება, საქმიანობა და საზოგადოების წინაშე დამსახურება მიაჩნია.

ადამიანის ზნეობრივი იდეალებისადმი ყურადღება არ შენელებულა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაშიც. ჯერ კიდევ XIX საუკუნის I ნახევარში ქართველმა რომანტიკოსებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ამ პრობლემას.

სულიერი სწრაფვის სწორი გზის ძიება, ადამიანის სურვილების უსაზღვროება, პიროვნების არსისა და დანიშნულების შეცნობა, საყოველთაო სიკეთის, ჭეშმარიტების, სიყვარულის იდეალების დამკვიდრებითაა განმსჭვალული ნიკოლოზ ბართაშვილის პოეზია.

ზნეობრივი იდეალები, პრობლემები, თერგდალეულების სამოქმედო პროგრამაშიც კარგად აისახა.

მაღალი მორალური კატეგორიების, ზნეობრივი კანონების გარეშე ილიას ადამიანი არ მიაჩნია ადამიანად, პიროვნებად. ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი იდეალი მაცხოვარი – ქრისტიანობაა, ქრისტიანული მცნებები კი – უმაღლესი ფასეულობებია. ზნეობრივი, ზნესრული პიროვნების ძიება, სწრაფვა სრულყოფილებისაკენ ილიას შემოქმედების უმთავრესი პრინციპია.

ალ. ყაზბეგს კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი მისია და როლი, როგორც ქართულ ლიტერატურაში, ისე ზოგადად ცხოვრებაში. იგი ნათლად გადმოსცემს თითოეულ დეტალს, ფერებს, შუქ-ჩრდილებს, რაც კიდევ უფრო ეხმარება მკითხველს წაკითხულის სრულფასოვნად აღქმაში, ნებისმიერი სიტუაციის სწორად გააზრებასა და გაანალიზებაში.

– „რამდენადაც დიდი ნიჭის პატრონია მწერალი, მით უფრო მტკიცედ არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან,“ – წერდა ვაჟა-ფშაველა. თუ მის ნათქვამს გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები გახდება ალ. ყაზბეგის ნიჭის სიდიადე და სისავსე, რადგანაც ქართულ ლიტერატურაში ადვილად ვერ მოვიძიებთ მეორე ისეთ ადამიანს, ვისაც ცხოვრებასთან ყაზბეგისვით ხელჩაკიდებულს ევლოს, მასავით კარგად შეეცნოს ცხოვრების ავ-კარგი, თვალეში ჩაეხედოს ცხოვრების წყვდიადისათვის და თვალი ასე თამამად გაესწორებინოს მისთვის. მან გამოსცადა ყველაფერი, რაც შეიძლება გამოსცადოს და აიტანოს ადამიანმა და ისიც რის ატანაც ადამიანის ძალებს აღემატება. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მან ეს ტვირთი ღირსეულად ატარა, მიუხედავად ყველაფრისა.

– „მე მარტოდ დარჩენილი, დაობლებული, ჩემსავე ქვეყანაში გამხმარს ხესავით ვიდევ... ასე უპატრონოდ... ვიწვებოდი ჩემის მდგომარეობისაგან... ჩემის მოძმე ხალხის მიერ...“ – ეს გულნატკენი ყაზბეგის სიტყვებია. ცოტა გადაჭარბებულად რომ იყოს ყაზბეგის ეს შთაბეჭდილება, მისი პიესების გამო, უდავო ფაქტია, რომ უჩვეულო მწერალ-მოაზროვნემ, რომელსაც „ყოველი კაცი (ლიტერატორი) უბიწოდ“ მიაჩნდა, ვერ აიტანა მისდამი ჩვეულებრივი დამოკიდებულება, თუნდაც მცირედი უგულისყურობა და უკომპრომისო გულწრფელობით გამოთქვა თავისი მკაცრი აზრი მაშინდელი ქართული თეატრისა და ჟურნალის ხელმძღვანელობისადმი, რომლებსაც ისიც „არ ესმოდათ, რომ ხალხის გაცნობა მხოლოდ ხალხში შეიძლება.“ (ყაზბეგი, 1948, 77).

მან, ალექსანდრე ყაზბეგმა, მთელი ცხოვრება ხალხში გაატარა და სრულად გაიცნო მისი ცხოვრება, მდგომარეობა, დამოკიდებულება მეზობელ ხალხთან, ზნეობა, ჩვეულება. სწორედ იმიტომაც არის მისი ნაწარმოებები საუკეთესონი და სრულყოფილნი, იმიტომ გვხიბლავს, რომ თითოეულ გმირში ქართული ხასიათის

დიდ ნაწილს ვხედავთ, რომელიც ყაზბეგს შესაშური სიზუსტითა და ფერადოვნებით აქვს გადმოცემული.

როგორც ვთქვით, ყაზბეგთან ყველა გმირია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი უარყოფით პერსონაჟს განასახიერებს, მკითხველი დადებითად არის განწყობილი მის მიმართ, რადგანაც ყაზბეგი ამ უარყოფითსაც კი საოცარი სისავსით აღწერს. მასშიც ეძებს სიკეთის მარცვალს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კიდევ პოულობს და არამხოლოდ პოულობს, მკითხველსაც ანახებს. სწორედ ეს ხდის ყაზბეგს ქართულ (და არამართო) ლიტერატურაში შეუდარებელ მწერალს. მწერლის მოვალეობაც ხომ სწორედ ესაა, დაინახოს და დაანახოს სხვებსაც სიკეთის თუნდაც სულ მცირე მარცვალი ნებისმიერ ადამიანსა თუ მის მოქმედებაში, ჩაებლაუჭოს ამ მარცვალს და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეუქმნას, რათა მან დიდი და მშვენიერი ნაყოფი გამოიღოს.

ალ. ყაზბეგი იყო უაღრესად თავმოყვარე პიროვნება, რომელსაც სწამდა საერთო ადამიანური ღირსება და არც თავი ავიწყდებოდა. კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი პიროვნული და მწერლური ღირსება—უპირატესობა, იმათთან ერთად, ვინც დიდად აფასებდა, ყველანაირად ხელს უწყობდა და იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც ჰიპერკრიტიკულად უდგებოდა მის მწერლობას და აზროვნებას. —„დღეს მლანძღავენ, მიწასთან მასწორებენ ზოგიერთნი,— უთქვამს მას თვალზე ცრემლმორეულს დავით კლდიაშვილისთვის,— მაგრამ მე მწამს, რომ მოვა დრო, როცა ჩემს სახელს სხვანაირად ახსენებენ.“

აკი აუხდა კიდევ წინასწარმეტყველება !

### თავი III.

#### კრიტიკული მოსაზრებები და გამონათქვამები

#### ალექსანდრე ყაზბეგზე

##### ა) სინამდვილის აღქმა ალექსანდრე ყაზბეგთან

ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები უნდა იყოს და არის კიდევ, როგორც სინამდვილის „მხატვრული გამეორება“, ასევე მისი მსჯავრდება, მხატვრულ-ესთეტიკური შეფასება. მწერალს პრივილეგია აქვს, როგორც თემის არჩევაში, ასევე ამ თემის გაგებასა და გადაწყვეტის ხასიათში, სინამდვილის იდეოლოგიურ და ესთეტიკურ შეფასებაში. ამიტომ ლიტერატურული ნაწარმოების სინამდვილესთან ურთიერთობის საფუძველი და ამოსავალი წერტილი არის მწერალი. მიუხედავად ამ დამოკიდებულების სხვადასხვა იდეოლოგიური და მხატვრული ხასიათისა, იგი სინამდვილისადმი ურთიერთობას წარმოაჩენს სახეში. ამასთანავე მწერლის ასეთი დამოკიდებულება იშვიათად, ან თითქმის არ ატარებს წმინდა სუბიექტურ ხასიათს. მწერალში, ისევე, როგორც ყველა ადამიანში, შეხედულებების, გემოვნების რაგვარობას განსაზღვრავს ის საზოგადოება, კლასი, ფენა, წრე, რომლის წარმომადგენელიცაა.

ლიტერატურული ნაწარმოების სინამდვილესთან ურთიერთობის ხასიათს განსაზღვრავს მწერლის არამხოლოდ „ღვთაებრივი ნიჭი“, არამედ განათლებაც. ყველა მწერალს თითქოს თანდაყოლილი აქვს სინამდვილისადმი, ადამიანისადმი განსაკუთრებული დაკვირვების, შესწავლის უნარი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს უნარი ყველა მათგანში ერთნაირი სიძლიერით არაა განვითარებული და შესაბამისად ვერც წარმოჩინდება ერთნაირად. რაც შეეხება ალექსანდრე ყაზბეგს, მასში ასეთი უნარი სრულიად იყო აღმოცენებული.

ალ. ყაზბეგი იშვიათად იძლევა თეორიულ დასკვნებს და ამ თეორიის შესამოწმებლად არა აქვს ექსპერიმენტის ჩატარების საშუალება. ის წერს, მაგრამ რომ დაწეროს, უნდა იცოდეს, სულ ცოტა ორი რამ – რა უნდა დაწეროს და როგორ უნდა დაწეროს. პირველ პირობას აღწევს თავისი ცხოვრებით, ცხოვრებაში ჩაბმით, მასზე დაკვირვებით და განათლებით. ალ. ყაზბეგის მიერ სინამდვილის შესწავლა, უმეტეს შემთხვევაში, ატარებს უშუალო ხასიათს.



პირველი შთაბეჭდილებიდან გამოტანილ აზრს, ამ აზრის მეტი სიცხადით შეგნების შემდეგ ათავსებს ისევ შთაბეჭდილების ფორმაში. მაშასადამე ცხოვრებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას ინახავს ლიტერატურულ სახეში, მაგრამ განსხვავებით პირველი უშუალოებისაგან ეს შთაბეჭდილება უკვე დაქვემდებარებულია გონების კანონებს. ყველა შთაბეჭდილება არაა შემონახული და გამოსადეგი, ხდება საგანთა შორის სხვადასხვა და მსგავს შთაბეჭდილებათა შერჩევა. შთაბეჭდილება კი ამ შემთხვევისთვის წარმოადგენს საგნისაგან მიღებული ემოციის, განცდის ფიქსირებას გონებაში. სწორედ ამიტომ, ალ. ყაზბეგთან ლიტერატურული სახე ყოველთვის გამოხატავს მას, რაც მწერალმა პირადად განიცადა, შეიგრძნო. (განცდილი და ნაგრძნობი კი მის ცხოვრებაში არცთუ ისე ცოტა იყო.) ამასთანავე, ცალკეული საგნისა თუ მოვლენის შეგრძნება, განცდა, ყოველთვის როდი იძლევა საერთოსა და არსებითის შენიშვნის შესაძლებლობას. მაშადამე, ამ უშუალო დამოკიდებულებიდან ახერხებს სინამდვილის არსებითი კანონზომიერების შეცნობას. მრავალში ყურადღებას იპყრობს საერთო, ყველასათვის დამახასიათებელი. სინამდვილის შესწავლა პირველ რიგში, განსაზღვრავს მისი ტიპიური მხარეებისა და ნიშნების ცოდნას. (ბიბილეიშვილი, 1979, 77).

„ყოველი მწერალი, და მათ შორის ალ. ყაზბეგი, ღებულობს რა ემოციებსა და შთაბეჭდილებებს სინამდვილესთან უშუალო კონტაქტის შედეგად, განაგრძობს მათ შესწავლას და დამუშავებას, ადარებს მათ სინამდვილეს, ცხოვრებას, ამოწმებს თავის შეხედულებებსა და ცოდნას სინამდვილეზე. ამასთანავე ის აზუსტებს ამ შთაბეჭდილებებისა და ემოციების აზრს მათი ობიექტთან შეჯერებით.“

ყაზბეგთან „განცდები, ემოციები იცვლიან სახეს და ლაგდებიან მთლიანად ახლებურად. ლოგიკა, რომელიც გამომუშავებულია პრაქტიკაში და გულისხმობს ასეთი ადამიანის ასეთ ნაბიჯს, ხასიათიდან მოქმედების და მოქმედებიდან ხასიათის ლოგიკურ გამომდინარეობას, ყაზბეგის შემთხვევაში იძენს რეალურად არსებულის უფლებას და წარმოდგენაში შექმნილი სახიდან გამოჰყავს მხოლოდ და მხოლოდ ის ქცევა, ის მოქმედება, როგორც მას ექნებოდა, მართლაც რეალური რომ ყოფილიყო. მეტიც, იშვიათი როდია შემთხვევა, როცა ლიტერატურული პერსონაჟი თავისი ბუნებით სცილდება სინამდვილეს, არ ჰგავს რეალურს, მაგრამ სწორედ ამიტომ მისი

არსებობისა და მოქმედების გარემოც დაცილებულია „რეალობას“, გადადის ერთგვარ სიმბოლიკაში და აქაც ყველაფერი ერთმანეთს განსაზღვრავს ისე, როგორც ცხოვრებაში. აქ გვაქვს ცხოვრების ანალოგია, ოღონდ სიმბოლოებით. სიმართლე, რეალიზმი არის მათ ურთიერთობაში, მათ აზრში, მათ შინაგან და არა გარეგან მსგავსებაში ცხოვრებასთან.

წარმოდგენაში არსებულის, როგორც რეალურის, განცდის უნარი, ცხადია, მნიშვნელოვანია, თუნდაც დამახასიათებელი შემოქმედისათვის. უნდა ითქვას, რომ რაც არ უნდა ძლიერი იყოს ცოცხლად წარმოდგენისა და განცდის უნარი, იგი მაინც განსხვავდება რეალური საგნის განცდისაგან. მიუხედავად ამისა, ალ. ყაზბეგს უჩვეულოდ ჰქონდა განვითარებული გმირთან თანაარსებობის, თანაცხოვრების უნარი, რეალური ადამიანისა და თავისი პერსონაჟის განცდა თითქმის არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან რეალურობითა და სიძლიერით.“ (ქიქოძე, 1985, 57).

ცნობილია, რომ ადამიანის სახის ხატვისას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სახესთან შესისხლხორცების უნარს, ე.ი. გმირის, პერსონაჟის არამარტო რეალურად, ცოცხლად წარმოდგენის, არამედ მისი ცხოვრებით ცხოვრების უნარს.

ალ. ყაზბეგს განსაკუთრებით მკაფიოდ აქვს განვითარებული სხვისი განცდების საკუთრად ქცევის, საკუთარი თავის სხვის ბედში ჩაყენების უნარი. ის ახერხებს იმის განცდას, რასაც სხვა გრძნობს, ან უნდა გრძნობდეს ამ მომენტში. სხვისი განცდების საკუთარ თავზე გადმოტანის ასეთი უნარი არის ერთ–ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც რეალურის ბეჭედს ასვამს მხატვრულ გამონაგონს. ეს გასაგებიცაა, რადგან მხოლოდ ასეთი უნარის მქონე პიროვნება შეძლებდა ადამიანის ფსიქოლოგიური სურათის დახატვას შექმნილ გარემოში. ეს აძლევს საშუალებას ალ. ყაზბეგს ნათელი ფერებით დაახატვინოს ნებისმიერი სიტუაცია, ნებისმიერი გმირი და ნაწარმოების სრულ ტყვეობაში მოაქციოს მკითხველი.

გამოცდილება აძლევს მწერალს იმის საშუალებას, რომ იხელმძღვანელოს შერჩევის პრინციპით. ასეთ შერჩევას საფუძვლად უდევს არამარტო მწერლის პიროვნება და მისი ხასიათი, არამედ რეალური საგნების, ადამიანების ისეთი თვისებები, რომლებიც ძალაუნებურად იქცევენ მის ყურადღებას.

ინდივიდუალური და კერძო მოვლენები, რომლებშიც ურთიერთობანი იჩენენ თავს, მოითხოვენ ახალ ფორმებს ხელოვნებაში. ამ ახალ ფორმებს კი მუდამ განსაზღვრავდა წარმოსასახავი მოვლენის სიახლე, მისი ახლებური მდგომარეობა, ფუნქცია, მნიშვნელობა სინამდვილეში. სწორედ ამიტომ, ძიება და ამ ძიების დროს მარცხებიც აუცილებელი არიან მრავალფეროვანი ლიტერატურული ცხოვრებისათვის.

ზემოთქმულის შემდეგ შესაძლებელია მსჯელობა სინამდვილისაგან მიღებული შთაბეჭდილებების და ემოციების დამუშავების ხასიათზე, კანონზომიერების შეტანაზე ამ მასალაში. ცხადი უნდა იყოს, რომ შთაბეჭდილების ხასიათს როდი განსაზღვრავს საგნის მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური ბუნება. აქ დიდ როლს თამაშობს მწერლის მსოფლმხედველობა, მისი კლასობრივი და სოციალური მდგომარეობა, რომლებიც თავს იჩენენ საგანთა ურთიერთობაში, მის შეფასებაში, საგნისაგან მიღებული შთაბეჭდილებების ხასიათსა და აქედან გამომდინარე დასკვნებში. ამიტომ ერთი და იგივე მოვლენა, ერთი და იგივე ამბავი შეიძლება გახდეს ერთმანეთის მთლიანად საწინააღმდეგო აზრებისა და შთაბეჭდილებების, მამასადამე – შეფასების საფუძველიც.

ალ. ყაზბეგი უშუალოდ სინამდვილესთან ურთიერთობაში ამჟღავნებს თავის სოციალურ მდგომარეობას, თავისი პიროვნების ობიექტურ ბუნებას, რომელიც საზოგადოების გარკვეული ფენების არსს გამოხატავს.

წერდა, რაც წლობით გულს შემოსწოლოდა, რაც ენახა, რაც საკუთარ თავზე გამოეცადა, რაც გაეგონა მთა–მთა თუ სოფელ–სოფელ სიარულისას. ამას მოსდევდა ახალი გულისტკენა, ახალი ბრალდებები! ახალი დაცინვა! ახალი თავზარი! არამხოლოდ წერის, არამედ ქართული ენის უცოდინრობასა და მიმბამძველობასაც აბრალებენ! აბუჩად იგდებენ! „მოხევე“ – ყაზბეგი სულ კოტე ყიფიანს შეჰყურებდა: – „რას იზამს, რომ მეც გავიმეოროო!“

– „გუშინ ხომ არ დაწყებულა! შორიდან მოდის! ეს არის ხალხი, რომელსაც პირად მტრად მივაჩნივარ, რადგანაც მათ ყბედობას ყბედობითვე არ შევპასუხებივარ, თავი არ გამიყადრებია, ისინი ვერ შეურიგდებიან ამას, დამაცადეთ, მე მხოლოდ ვიწყებ. ხალხი გონიერია და დღეს თუ ხვალ, უეჭველად დაინახავს კეთილსინდისიერ

შრომას, უფრო მეტად, ვიდრე დღევანდელი კრიტიკოსები, რომელთა მოქმედება ტალახის, ლაფის, ღვარძლის, შურისა და სრულის უმეცრებისაგან შედგენილა. პირველის მოქმედების შემდეგ, მე ხალხი მიწვევდა და მიკრავდა ტაშს, დარბაზი აღტაცებულის ძახილით მეგებებოდა, ქვეყნის გულშემატკივარნი იქ იმყოფებოდნენ.“ (ყაზბეგი, 1948, 111).

შავ ნაბადში გახვეული, მთვარეულივით დაეხეტებოდა ქუჩებში. არ ეგულებოდა არავინ, ვინც გაუგებდა, თანაუგრძნობდა, გამოესარჩლებოდა... ვისთვისაც შეეძლო თავისი ტანჯვა გაეზიარებინა და ვისგანაც შეიძლება ნუგეში მიეღო. ეშინოდა დაცინვის, გამასხარავების, მტრული შემოხედვის, რომელსაც შეეძლო გაენადგურებინა, კატასტროფამდე მიეყვანა. მის ფაქიზ სულზე ყველაფერი სარკესავით აისახებოდა, ლაქად რჩებოდა და აბუნდებდა, ანადგურებდა.

თითქმის ერთდროულად, რამდენიმე თხზულება დაუბეჭდეს „დროებასა“ და „ივერიაში“, რომლებმაც ბევრი აალაპარაკა და მისკენ მიახედა. რედაქციებმა ამჯერად მოწყალე თვალი მიაპყრეს და სერგეი მესხმა მუდმივი თანამშრომლობაც შესთავაზა. სადღაც სადგისით ჩხვლეტდნენ, სადღაც იმედი შლიდა მომტვრეულ ფრთას. თვალში ხან შუქი, ხან ცრემლი უდგებოდა. ოღონდ ეს ცრემლი ხან დიდი სიხარულის იყო, ხან უსაშველოდ დიდი ტკივილი იწვევდა მას.

სერგეი მესხმა პირველი შეხვედრისთანავე იგრძნო, გაუგო და შეაფასა უცნაური, ბევრისთვის გაუგებარი მოხვევე. მან ალ. ყაზბეგში ის დაინახა, რის დანახვაც სხვებს ან არ უნდოდათ და არ ხედავდნენ, ან უნდოდათ, მაგრამ მიუხედავად ამ სურვილისა, არ შეეძლოთ.

ამ დროს „დროება“ დიდ განსაცდელში იყო ჩავარდნილი, ჟურნალ „ივერიასთან“ გაერთიანებული ძლივს ითქვამდა სულს. მისი რედაქტორი– მესხი ხშირად ავადმყოფობდა, ახალი, ნიჭიერი და საინტერესო ავტორები არ ჩანდნენ. „გაზეთს საფანელი შემოკლებოდა, ზოგი განზე გამდგარიყო და მათრახებსაც არ აკლებდა.“ ეს ხომ საერთო სენია ქართველთა, გაჭირვებულისთვის ზურგის შექცევა, წაქცეულისთვის ხელის გამართვისა და წამოყენების ნაცვლად – ზედ გადავლა.

ყაზბეგის წერილებმა და ნარკვევებმა კი ამ პერიოდში ერთბაშად საყოველთაო ინტერესი და მოწონება მოიპოვეს. დოქტორ რადესა, ზისერმანთან, „რუსკი

ვესტნიკთან“ კამათში აშკარად გამოჩნდა ახალგაზრდა პუბლიცისტის ფართო განათლება, გონების ძალა, სიმართლის პათოსი და პატრიოტული ენერგია, რომლითაც უზომოდ განმსჭვალული იყო ავტორი. უცხოელმა მოგზაურებმა და თავაწეულმა ცრუმეცნიერებმა პირველად იგემეს ამგვარად განათლებული, გონებასრული კაცის მიერ ტენდენციურობისა და არაკომპეტენტურობისთვის გაწული მწარე სილა.

„საოცარი იყო, როდის და რა გზით დაუფლებოდა ახალგაზრდა ავტორი ზღვა მასალას,“ როდის შეევსო სულის საღარო ამგვარი მარგალიტებით.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა პასუხმა პეტრე უმიკაშვილის სტატიაზე, რომელშიც თავისი სიდინჯით ცნობილი ავტორი, ბაქოს რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით მოხევეებს ურჩევდა აყრილიყვნენ მამა-პაპათა სამშობლოდან და ბარში გადმოსახლებულიყვნენ.

დღესაც გვაოცებს და გვიპყრობს ამ წერილის ვნება, სიბრძნე, საბუთიანობა, მამულიშვილური შემართება და მძაფრად გვაგრძნობინებს ავტორის იმდროინდელ ნაგრძნობს:

–„გადასახლება?!“, „ხევის მიტოვება?!“, „ვინ დაიჭერს მერე ამ დიდებულ ადგილებს, ამ მადლიან ქართულ მიწას?!“ „ქირით ზიდვა ხევის მთავარი და ერთადერთი შემოსავალი არაა, რომ მისმა მოსპობამ შეგვაწუხოს!.. ჩვენი ბედ-იღბალი ორთვლიან ურმებზე არაა დამყარებული!.. გვაქვს ნაყოფიერი საძოვრები, მაშასადამე უნდა ვიზრუნოთ მესაქონლეობის, მეცხვარეობის აყვავებაზე.“

ანდა:

–„ყველა სისამაგლე, რომელსაც ჩაიდენენ ხოლმე მღვდელ-ბლადოჩინები და სხვა მოხელეები, რომ გაიგონოთ, ყურებში ხელს დაიცობდით და ისე შეაჩვენებდით იმათ მოქმედებას!“ (ყაზბეგი, 1948, 55).

კიდევ უფრო მოულოდნელი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა წერილი „მოსამსახურე იმერლების საზოგადოებაზე თბილისში.“ ჰუმანური სულით, მამულიშვილური გულშემატკივრობით, გონივრული რჩევა-დარიგებებით შეუდგენია ამ საზოგადოების პროექტიც ალ. ყაზბეგს, თავად უკიდურესად გაჭირვებულს, საკუთარი თანხაც დაუდვია „შემნახველ-გამსესხებელი საღაროს“

გასამართავად. და როგორც ვთქვით, ეს იმ დროს, როცა თავად მუდმივად ჰქონდა ფინანსური პრობლემები. „ამ საზოგადოებაში ჩაირიცხება ყველა რჯულის და სარწმუნოების ხალხი, ვინც კი იქნება წარდგენილი სამი წევრისაგან და მიიღება მაშინ, როცა საერთო ყრილობა დაამტკიცებს. საქმეები უნდა გადაწყდეს ხმების უმრავლესობით.“

–„ასეთი ნაშრომი რომ შვეიცარიაში ან ევროპის სხვა ქვეყანაში დაიბეჭდოს, ავტორს მაშინვე მეცნიერების დოქტორობას ან პროფესორობას მიანიჭებენ,“–უთქვამს ადფრთოვანებულ ივანე მესხს.

ყაზბეგმა, რომელსაც „ხევის კონიუქტივისა და თარხნიანთ შთამომავლობითი სიბეცის გამო“ თვალში ბინდი ემატებოდა, ლექსით თქვა თავისი სათქმელი:

„დეე, მოვკვდე, თუ მოვკვდები,  
ფლიდს მაინც ვერ ვემობიო,  
ბეჩავს, ძმისთვის თავგამწირავს,  
თუნდ სამუდამოდ ვეემობიო.“

ბევრის გაკეთების სურვილი ჰქონდა, ბევრ განუხორციელებელ ოცნებას, ბევრ დაუფრთიანებელ იმედს ატარებდა გულით. უნდოდა ყოფილიყო კარგი მწერალი, კარგი პუბლიცისტი, კარგი არტისტი, მაგრამ ყველაფერზე მეტად უნდოდა ყოფილიყო საქართველოს ღირსეული შვილი. უნდოდა საქმით ყოფილიყო ის, რასაც წერდა. სიტყვას საქმე უნდა მოსდევდეს. მას სხვაგვარად კაცი არ ესმოდა და კიდევ უფრო – მწერალი. „ვინც საქმით თავის სიტყვას განესხვავება, ის კაცი მთელი თავისი ღირსებისა და მონაპოვრის ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს ჰკარგავს.“ არც ცოლი, არც შვილი, არც გულშემატკივარი არ რჩებოდა. სურდა დარჩენოდა საქართველოს პირველი გულშემატკივრის სახელი. ამას კი იოლად არ დათმობდა, არავის დაანებებდა. შეჯიბრში იწვევდა ყველას. წმინდა იყო საგანი, რომელსაც ემსახურებოდა, რომლისთვისაც გაიღო ყველაფერი, რაც გააჩნდა. ვერაფერი ვერ შეარყევდა მის სიყვარულით სავსე გულის მოძრაობას.

ბულგარეთის ფრონტიდან ახლადდაბრუნებულმა კაპიტანმა ჯორჯაძემ, რომელმაც რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა „დროებაში“ „გრემელის“ ხელმოწერით, აღ. ყაზბეგზე თქვა: –„ბრწყინვალე ოჯახი, დედ-მამა, „არწივთ საბუდარი“ -ხევი...

ალექსანდრემ ეს არის ფეხი შემოდგა ასპარეზზე, მაგრამ ისეთი თხზულებები დაბეჭდა, რომ მისი სახელი უკვდავი დარჩება. ჯერ „მოხევებმა და იმათმა ცხოვრებამ“ გაგვაოცა. ამას „დაკარგული მხარე“ მოჰყვა, „ჩვენი მტერ-მოყვარენი“, „წერილი იმერლების საქმეზე“ – სულ ორ-სამ თვეში. რა ცოდნა, რა ენა, რა ფაქტები, რა მამულიშვილობა!“ – აღფრთოვანებას ვერ მალავდა და არც ცდილობდა აღ. ყაზბეგის შემოქმედების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული კაპიტანი ჯორჯაძე.

აქედნე, მაგრამ ამ დროს ახალი, მწარე რეცენზია დაიბეჭდა მისი დრამატურგობისა და მსახიობობის გასაპამპულეზად, მის გასანადგურებლად. დასცინოდნენ; „გასულ წელს დრამად წარმოდგენილი „ორი უბედური“ წელს კომედიად გადაუკეთებიათ. „მოხევე“ დიდი ხანი არაა, რაც გამოვიდა სცენაზე, მაგრამ უკვე ეტყობა, რომ არასდროს გახდება ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მსახიობი.“

მას დაწუნება ისე არ აღიზიანებდა, როგორც ეს აბუჩად ამგდები, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ტონი.

შესძრა ამ უგვანო უხამსობამ, მაგრამ მომდევნო აბზაცები კიდევ უფრო შეუბრალებელი ტონით, აუტანელი სარკაზმით გამოირჩეოდა: – „წარმოდგენა დამთავრდა დივერტისმენტით; ბ. ქორიძემ აღტაცებაში მოგვიყვანა თავისი სიმღერით და ყაზბეგმა შეგვაშინა თვალების ბრიალითა და ხანჯლების ტრიალით!“

ველეტონს ხელს აწერდა ვინმე „დამსწრე“.

გაჩნდა ახალი სადარდებელი: „ვინ უნდა იყოს ეს ნილაბაფარებული მოსისხლე მტერი?!“ ვინ უნდა ცდილობდეს საქვეყნოდ თავი მისჭრას და დაამციროს დიდი შემოქმედი?... სამწუხაროდ აქაც დავით კეზელის ხელი ერია...

რეცენზენტის მიერ დაწუნებული პიესა ავტორმა ოთხჯერ გადაამუშავა და ხუთმოქმედებიან დრამას საბოლოოდ უწოდა „დავითის სახლობა“.

აქაც ჩანს მწერლის ფანატიზმი, უსაზღვრო ერთგულება და დიდი ნებისყოფა!

– „ნუთუ ჩემი სიკვდილი განუზრახავთ?“... როდესაც კაცი რომელსამე ასპარეზზე გამოდის, მხარს უჭერენ... გამარჯვებულს ულოცავენ, დამარცხებულს ანუგეშებენ. ამ დროს თანაგრძნობის სიტყვა ეჭირვება.“ ის კი, როგორც თავად ამბობდა, მარტოდ დარჩენილი, დაობლებული, თავისივე ქვეყანაში „გამხმარ ხესავით“ იდგა.

ამ მწარე, ირონიით სავსე სიტყვებთან ერთად, გვხვდება ასეთი გულითადი თხოვნებიც: – „უნდა შეგვეწიო, სანდრო! უნდა შეეწიო მამულს, საყვარელ ხალხს, ლიტერატურას, პრესას. შენ ბევრი ისეთი ამბავი იცი, ან დაწერილი გაქვს, როგორც „ციცკაა“! დღეიდან ყველაფერი განზე უნდა გადასდო, ყოველივე პირადი დაივიწყო და წერო, წერო და მხოლოდ წერო! მაპატიე ამას რომ გიბედავ, მაგრამ რამდენი წელია საკუთარი ზურგით ვატარებ ამ მძიმე ტვირთს და ვიცი, რა გასაჭირი ადგია დღეს, რა სჭირდება დღევანდელ ქართულ პრესას, მწერლობას, საზოგადო აზრსა და მოძრაობას. დღე არ უნდა გამოგრჩეს, რომ მოთხოვნა ან წერილი არ გვიწილადო, ჩვენ კი სამაგიეროს ვერას ვპირდებით, გარდა იმისა, რომ შეგიძლია ღამე გაათიო „დროების“ რედაქციაში, გაინაწილო ჩვენი ღარიბული ტრაპეზი და იქონიო მოსიყვარულე მეგობართა იმედი.“ (ხუციშვილი, 1987, 12).

ისიც წერდა, წერდა დაუსრულებლად და შეუსვენებლად. წერდა დღე და ღამე, სიცხესა და სიცივეში, ზამთარსა და ზაფხულში. პუბლიცისტური შესავალი დაუდო საძირკვლად, ბატონყმობის გაუქმების თემას.

ცნობილია, რომ ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“ თავდაპირველად შემოკლებული დაიბეჭდა „დროებაში“, მაგრამ ასოთამწყობთა მოთხოვნით, რომლებმაც ნაწარმოების აწყობაზე უარი განაცხადეს იმ მიზეზის გამო, რომ ელგუჯა შეტაკებისას ილუპებოდა, ისინი კი დაუშვებლად სთვლიდნენ ამას, მწერალმა განავრცო და გააგრძელა იგი, კიდევ ერთხელ მისცა სიცოცხლის, ხალხთან, მკითხველთან დაბრუნების შანსი ხალხის უკვე საყვარელ გმირს. იგონებენ, რომ გაგრძელებას გაგრძელებაზე სთხოვდა ავტორს რედაქტორი სერგეი მესხიცი. ეს ნაწარმოები მრავალმხრივ საინტერესოა, იგი გვაწვდის არაერთ მნიშვნელოვან ცნობას იმ დროის ცხოვრებაზე, ხალხის ურთიერთდამოკიდებულებასა და ზნეობრივ ფასეულობებზე.

„1864 წელს დაჰკრა საქვეყნოდ სასიამოვნო საათმა და გამოცხადდა გლეხკაცობის განთავისუფლება– ბატონყმობის გადავარდნა!

მაგრამ გაიარა პირველმა აღტაცების ჟამმა და ხალხი ცოტა დამშვიდდა, გლეხებმა დაინახეს, რომ იმათი იმედი მეასედადაც არ მართლდება და მებატონეებმაც, რომ იმათი შიში ამაო ყოფილა, რადგანაც ახალ „დებულებას“ ისეთი



კული გამოუჩნდა, რომელიც ნაყმევის კეთილდღეობას პირდაპირ ნაბატონარის სურვილზედ აგდებს...”

–„აი, ამათი ცხოვრებიდან მინდა ვუძღვნა მკითხველს რამოდენიმე მოთხრობა.“ და ეს მოთხრობები მართლაც მეტად მნიშვნელოვანნი და სინტერესონი არიან, ავსებენ და ამშვენებენ ქართულ ლიტერატურას.

ალ. ყაზბეგი მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება იყო და რაკი ქართულ ენაში ბადალი არ ჰყავდა, ხშირად მიმართავდნენ ხოლმე სიტყვის შესარჩევად ან რომელიმე ადგილის ჩასასწორებლად... ისიც მაშინვე ასრულებდა თხოვნას და შეუფერხებლად განაგრძობდა თავის საქმეს.

საჩქარო მასალასა და ცენზურისაგან წაშლილ ადგილებსაც ალექსანდრე ყაზბეგით კარგად და სახელდახელოდ ვერავინ ასწორებდა.

მიუხედავად ამისა, ასეთი დამაბული მუშაობისა, ყაზბეგს „ელგუჯას“ არც ერთი „ფელეტონი“ არ დაუგვიანებია გაზეთისათვის.

ეს, რა თქმა უნდა, საოცრება იყო, მაგრამ თუ კაცმა იცოდა, რომ მან მთელი ცხოვრება წერაში გაატარა, ფარებსა და კარვებშიც თხზავდა, ადგენდა ათასგვარ საბუთს, ეუფლებოდა, როგორც მხატვრულ, ისე საქმიან სტილს, რომელიც პროზაიკოსისთვის ისევე აუცილებელია, როგორც პოეტური სიტყვა, უთუოდ მიხვდებოდა, რომ ასეთი სტილი, თვით მისი პიროვნებაც წერაში ყალიბდებოდა.

„დროების“ რედაქტორი თვალის ერთი გადავლებით ამჩნევდა ავ–კარგს. ყოველთვის მხარში ედგა მას. იმავე ნომერში, სადაც „ელგუჯას“ დასაწყისი დაიბეჭდა, გამოაქვეყნა მისივე უაღრესად პროფესიული, საეტაპო წერილი „თეატრის შესახებ“, რომელშიც ცხარედ ეკამათებოდა თავის მკილავებს, მწერალმა იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და საჭიროდ არ თვლიდა, მორიდებოდა მათ: –„ამ ბოლო დროს ძალიან ენა წაიგრძელეს ახალ–ახალმა რეცენზენტებმა, პერიოდული ლანძღვით ცდილობენ გული გაუგრილონ ქართველ საზოგადოებას... თეატრს თავისი მტრები ჰყავს.“ და არამარტო თეატრს, მასაც არ ასვენებდენ „კეთილისმსურველები.“

მიუხედავად არაერთი თავდასხმისა, „დროება“ ზეიმობდა და მასთან ერთად, რაღა თქმა უნდა, სიხარულს ალ. ყაზბეგიც იზიარებდა. თანამშრომლებს სასიხარულო ცნობები მოჰქონდათ:

–„ენფიანჯიანის მაღაზიაში დღეს ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ „დროებას“.

„ელგუჯაზე“ მუშაობა დასასრულს უახლოვდებოდა და წუთი მოსვენება არ ჰქონდა, როცა ლადო მესხიშვილმა სთხოვა მონაწილეობა მიეღო მის ბენეფისში.

სერგეი მესხი გაანერვიულა ამ ამბავმა, მაგრამ ზოგადად საოცრად ხათრიანი ყაზბეგი ამგვარ შემთხვევაში შეუვალი ხდებოდა და არც ახლა გაუწბილებია თეატრი. იმ დროს ყაზბეგის გარეშე ვეღარ წარმოედგინათ ქართული სცენა, განსაკუთრებით ბენეფისები და საიუბილეო საღამოები, რომლებშიც მას არა მარტო მთავარ როლს სთავაზობდნენ, არამედ სიტყვის წარმოთქმასაც სთხოვდნენ. არც ის დაიზარებდა, ყველაფერში თავისი წვლილი შეჰქონდა. ცდილობდა ყველას დახმარებოდა, არ ჩამორჩენოდა არავის სიკეთის ქმნაში.

## ბ) რას წერდნენ ალექსანდრე ყაზბეგის

### „ელგუჯასა“ და „განკიცხულზე“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ლიტერატურულმა (და არამხოლოდ) კრიტიკამ დამღუპველი გავლენა იქონია მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. არ დარჩენილა არც ყაზბეგის ნაწარმოები და არც მისი თუნდაც ერთი ნაბიჯი, საყოველთაო განხილვის, გარჩევის, დაცინვის საგნად რომ არ ქცეულიყო.

ალ. ყაზბეგის ბიოგრაფს, დავით კარიჭაშვილს, პირადად უნახავს ყაზბეგის მასალებში დაცული გაზეთ „დროების“ რამდენიმე ნომერი, რომლებშიც „ელგუჯა“ და „მამის მკვლელი“ იბეჭდებოდა. დამფასებელი ცოტა ჰყავდა, მაგრამ გული ვერ გაატეხინეს. უმრავლესობისათვის „ელგუჯაც“ წაუკითხავი დარჩა, უმცირესობაში კი სენსაცია მოახდინა. „დროების“ ნომრები, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონია დიდ შემოქმედს გრ. ორბელიანს. გაზეთის არეებზე პოეტის მინაწერებით გასაგები ხდება ის შთაბეჭდილება, რომელიც სახელოვან რომანტიკოსზე დიდი ბელეტრისტის გასაოცარ თხზულებებს მოუხდენია. საოცრად თბილი და მნიშვნელოვანი

წარწერებით აუჭრელებია ფურცლები: –„კარგია!“, „ძალიან კარგია!“, „დიდად მეამა!“,  
„მშვენიერება არის!“, „შაბაშ, ქართველების ჰომეროსი არს!“, „ღმერთმა გაკურთხოს,  
მოჩხუბარიძევ, იმ გულის დატკობისთვის, რომელიც მომეცა ამ მოთხრობის  
წაკითხვის ჟამსა. ჯერ ქართულს ენაზედ მსგავსი არა დაწერილა რა!“ (წ.კ.გ.ს.მ,  
№3990).

ჩანს მგრძობიარე პოეტის გულწრფელი დამოკიდებულება ალექსანდრე  
ყაზბეგისადმი, მისი უზადო შემოქმედებისადმი. ანალოგიური შეფასებები მის  
ნაწარმოებებს სხვა, ორბელიანზე არცთუ ნაკლები მოღვაწეებისაგანაც მიუღია. ამაზე  
აშკარად მეტყველებენ მისი პირადი წერილები, რომლებიც მწერლის არქივშია  
დაცული. თუ მათი რაოდენობით ვიმსჯელებთ და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ  
ყველა მათგანი არაა დაცული, მაშინ გასაგები გახდება ალ. ყაზბეგის ნაწარმოებების,  
მისი შეხედულებების აქტუალობა იმ დროის მკითხველთათვის.

სერგეი მესხი გულში იკრავს გახარებული ალექსანდრე ყაზბეგს: –„ამასაც  
მოვესწარი, რომ გრიგოლ ორბელიანი „დროებას“ აქებს, შენი „ელგუჯასთვის“,  
მადლობას გვიცხადებს! ასეთი აღტაცება ჯერ არ მსმენია! ეხლა გადმომცეს წერილი,  
ამონაწერებიც შემატყობინეს, რომლებიც კითხვისას არშიებზე წაუწერია.“ ამ  
სიტყვებიდან გასაგები ხდება ის დიდი სიხარული, რომელიც ამ ამბავს მიუნიჭებია  
სერგეი მესხისთვის და რაღა თქმა უნდა ადვილი წარმოსადგენია, რომ თვითონ ალ.  
ყაზბეგიც ფრთაშესხმული იქნებოდა ამგვარი რეცენზიით.

მარტო გრიგოლ ორბელიანის ეს მრავლისმთქმელი რეცენზია საკმარისი  
იქნებოდა, სხვას რომ აღარაფერი ეთქვა. თუმცა ვერც სხვები დარჩენილან  
გულგრილნი. აქვე უნდა გავიხსენოთ ალ. ყაზბეგის თავდაჭერილი პასუხი  
რეცენზიაზე ი. მეუნარგიასადმი: –„მე დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ ამ სიტყვებს და  
არც დიდ ღირსებად მიმაჩნია მათი გაგონება, რადგანაც არც საკვირველ და არც  
თავმოსაწონებელ ღირსებად ჩაითვლება ბ. მეუნარგია, რომ თქვენისთანა მწერალთ  
შორის, უანგაროს და გულით მოყვარე ქართველს, ქართულ ლიტერატურაში ახალი  
რამ ომროსის ნაწარმოებად ეჩვენოს.“ რა იყო ეს?.. თავმდაბლობა, თუ... ამდენი  
დევნის შემდეგ მოსული აღიარების უკვე გულგრილად მიღება?.. ან იქნებ ამასაც  
გამასხარავების მცდელობად თვლიდა ალ. ყაზბეგი და არ სჯეროდა ადრე მისდამი

მტრულად განწყობილთა მისკენ ასე ერთბაშად შემობრუნების, მათი კეთილგანწყობის?..

1884 წლის დამდეგს ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის რომანი „განკიცხული“. ნაწარმოებს, როგორც ჩანს, დიდი გავლენა მოუხდენია არამხოლოდ მასზე, არამედ მკითხველთა ფართო მასებზე. მწერლის არქივში დაცულია დავით კლდიაშვილის პირადი წერილი ავტორისადმი „განკიცხულის“ თაობაზე.

დავით კლდიაშვილი ქება-დიდებით ამკობდა ყაზბეგის „განკიცხულს“. –„მე აღტაცებული სიხარულით წავიკითხე ეს მშვენიერი ფურცლები,“ –წერდა დავით კლდიაშვილი. იგი ალექსანდრე ყაზბეგს გულითადად მიმართავდა: –„გაუმარჯოს „განკიცხულს“, გაუმარჯოს მის დამწერს. მრავალჟამიერ! მრავალჟამიერ!“

„ელგუჯას“ გამო კრიტიკოსები კარგახანს დუმდნენ საეჭვოდ, გრიგალის წინ ჩაყუჩებული ბუნებასავით. ალ. ყაზბეგს ეს სრულებით არ აწუხებდა, იცოდა თავისი ერთგული მკითხველის, საზოგადოების აზრი, გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაკის, სერგეი მესხის, სხვათა და სხვათა შთაბეჭდილება, რაც აძლევდა ახალი თხზულების დასაწერად სასურველ სიმშვიდეს, თავდაჯერებას და ძალას!..

მკითხველი გულისფანცქალით ელოდა „ელგუჯას“ თითოეულ თავს, ხელიდან ხელში გადადიოდა ყაზბეგის ნაწარმოები და დიდ სიყვარულსა და პატივისცემას უხვეჭდა ავტორს. მათ კი, ჩვენი „ევროპული ინტელიგენციის“ ერთ ნაწილს, რომელთაც საზღვარგარეთ სწავლამიღებულ ახალგაზრდებს უწოდებდნენ, ან წაკითხვის ღირსად არ ეცნოთ „მეცხვარე კაცის“ რომანი, ან აჩქარებით ჩაეთვალიერებინათ და ცხვირი მაღლა აეწიათ. საერთოდ ასეთი ზნე სჭირდათ ამ კატეგორიის ვაი-კრიტიკოსებს: საქებარს აბუჩად იგდებდნენ, აბუჩად ასაგდებს – აქებდნენ.

–„ორბელიანს რა ჭკუა მოეთხოვება! დღეს ქართულ მწერლობას თვალი უნდა ეჭირის ფსიქოლოგიურ სკოლაზე, დოდე, მოპასანი, ვუნდტი და ლომბროზო უნდა გვექონდეს მაგალითად.“ – გაკაპასებული ამბობდა კეზელი.

„თბილისი ახალი მოდის კრიტიკოსებით გაივსო. მსოფლიოს რომელ კუთხეში და უნივერსიტეტებში არ მიდიოდნენ განათლების მისაღებად, იქიდან კი მხოლოდ

კრიტიკოსებად ბრუნდებოდნენ. არავინ არ კითხულობდა, სჭირდებოდა თუ არა ჩვენს მწერლობას ამდენი კრიტიკოსი. ერთ მწერალზე მგონი ათი კრიტიკოსი მოდიოდა. რა უნდა ეკეთებინა ამდენ კრიტიკოსს? რა სამსახური უნდა გაეწია მწერლობისთვის, ან საერთოდ ქვეყნისთვის?! ათ წელიწადში ერთი-ორი ყურადსაღები რამ თუ დაიბეჭდებოდა და მიესეოდნენ ამ ერთ-ორ ნაწარმოებს, შეიქმნებოდა ერთი გაწევა, გამოწევა. ყოველი მათგანი თავს გენიოსად აცხადებდა, საბრალო ავტორს თავს დააცხრებოდა. ყველაზე შავი დღე ილიას, აკაკის და ალ. ყაზბეგს დაადგა. ცოტა უფრო გვიან ვაჟა-ფშაველას. კრიტიკოსებს წერის მოთხოვნილება კი ჰქონდათ, მაგრამ ღმერთს იმდენი ნიჭი არ ებოძებინა, რომ ლექსი, მოთხრობა ან პიესა დაეწერათ. ეს უსაქმურები ფეხებში ედებოდნენ საქმის გასაკეთებლად მოვლენილ მამულიშვილებს. ლიტერატურაზე წერდნენ თავმომწონე ფრანტები, რომლებსაც ლიტერატურა არ უყვარდათ და არც გაეგებოდათ, არ ათაყვანებდნენ და საკურთხევლად არ თვლიდნენ. თუ საქმეს სარფიანი პირი არ უჩანდა, მოიგდებდნენ საბრალო ავტორს ხელში და მაშინ დანდობა-განკითხვა აღარ იყო.“ (კალანდაძე, 1988, 59).

ნაპო კურკუმელმა „ელგუჯა“ განიხილა, როგორც ქართული მწერლობის ექსტრაორდინალური მოვლენა: –„ალ. ყაზბეგმა ერთბაშად შემოდგა ფეხი ქართულ მწერლობაში, როგორც დახელოვნებულმა მწერალმა და დიდი გამოვნების ხელოვანმა.“

„ელგუჯა“ მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობად ჰქონდა ავტორს ჩაფიქრებული, ახალ გაქანებას იძენს, ახალ-ახალ მასალას ისრუტავს. ნელ-ნელა ჩნდებიან ახალი პერსონაჟები, ახალი სიუჟეტური ხაზები, რომელთა საწყისები მოთხრობად გათვალისწინებულ ნაწილში არ ჩანს. ისახება და ღრმავდება ფართო ჩანაფიქრი, რომელიც ახალ კომპოზიციურ გადაადგილებას იწვევს. ელგუჯასა და მისი თავგადასავლის პარალელურად ჩნდება სვიმონ ჩოფიკაშვილი, მისი ცხოვრება და პოლიტიკური სახე. იბადება ისტორიულ წყაროთა ჩართვისა და შეფასების აუცილებლობა. რაც მეტ ინტერესს იწვევს მკითხველში. ასევე მკითხველთა მოთხოვნით, მწერალი დგება ახალი შინაარსობრივი და მხატვრული პრობლემების წინაშე. ახალ გარემოში, სვიმონ ჩოფიკაშვილის სასახლეში ხვდება მზალო.

ქიმბარაანთ კარში მძიმედ დაჭრილ ელგუჯას მკურნალობენ. სიტყვა ეძლევა ხალხს, რომელიც დაჩვეულია საქვეყნო საქმის ერის დაკითხვით გადაწყვეტას. იხლართება, შინაარსობრივად, ფსიქოლოგიურად რთულდება სიყვარულის ამბავი: მათიას შეუყვარდება მზალო, ჯაჯალას– მათია. უკიდურესად იძაბება მწერლის ფსიქიკა, ღრმავდება ხედვის სივრცეები, ბოზოქრობს ვნებები. მკითხველის ინტერესი პიკს აღწევს, მოუთმენლობა იბყრობს მის სულსა და გონებას, ჯადოსნურ ქსელში გახვეული ვეღარ ახერხებს თავის დაღწევას და შესაბამისად მეტად მომთხოვნი ხდება: აჩქარებენ, წინ მიაქანებენ შემოქმედს, არავინ კითხულობს ადამიანის ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების საზღვარს. თვითონ მათზე უფრო ჩქარობს, არ იცის, რა მოხდება, როგორ განვითარდება მოვლენები, რით დამთავრდება მისივე გმირების ბედ–იღბალი, ყველაზე მოუთმენელი მკითხველი ხომ თვითონაა: წამით არ წყდება სადღაც მიმალული ყვედრება: „როდის განთავისუფლდები, როდის ჩამოიღებ მხრებიდან მძიმე ტვირთს!“

უნდა ჩასწვდე და გაიგო, რა „სევდა მოაწვა მათიას“, გადასცე, აუხსნა სხვას ის, რაც გმირს „თვითონაც ვერ აუხსნია“, გაზომო თანმიმდევრობა, შექმნა შესაფერისი გარემო და ის სიყვარული არსენალი, რომელიც ერთადერთი შეიძლება იყოს ამ ვითარებისთვის, ნათელჰყო, რომ „მტერს პასუხი უნდა, ძალის მიმტანს–ძალა“, რომელიც თვით ავტორის სინდისისა და მოქმედების ნორმაა.

მკითხველმა „ელგუჯას“ პირველი თავების დაბეჭვდისთანავე იგრძნო, რომ ქართულ მწერლობაში შემოდიოდა ჭეშმარიტად ახალი შემოქმედი – მოაზროვნე, რომელსაც ხელუხლებელი ცხოვრებისეული და მხატვრული სამყარო შემოჰქონდა. „მოაბიჯებდა დევკაცი ხელუხლებელი თემებით, სახეებით, ხასიათებით, რაინდული სულით და სათუთი გრძნობებით,“ სიკეთის, თავისუფლების, მამულის ბედნიერებისათვის ცოდნით შეიარაღებული და ხმალამოწვდილი, რომელიც მზად იყო ნებისმიერ ფასად მდგარიყო სამშობლოს, ქართული სულის, სიტყვის სადარაჯოზე. აკი თვითონაც ამბობს ალ. ყაზბეგი:

–„სანამ ცოცხალი ვარ, სიტყვით თუ კალმით, უნდა ვემსახურო ჩემს ხალხს, ისიც კმარა, როცა აღარ ვიქნები და ვედარაფრით შევეწევი.“

ალ. ყაზბეგის მოთხრობები და რომანები როდია იდეათა შიშველი ბრძოლა.

მასთან ამ ბრძოლას ადამიანებს შორის, მოვლენათა შორის, რომელიც ნაწარმოებშია ნაჩვენები, საფუძვლად უდევს ავტორის მხრივ მათი გააზრება. კონფლიქტი არ დაჰყავს კინკლაობამდე, ყოველთვის უძებნის არა მარტო გამართლებას გარე პირობებით მოცემულ მომენტში, არამედ, და რაც ხელოვნებისათვის განსაკუთრებით მთავარია, შინაგანი, ადამიანის ხასიათისაგან, ბუნებისაგან გამომდინარე გამართლებას.

შეიძლება აღ. ყაზბეგი ყოველივეს არ ხსნის, არ შიფრავს ყველაფერს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამბავი იყოს შეუგნებელი აქტის შედეგი, ინსტიქტის შედეგი გონების გარეშე. პირიქით ყაზბეგთან ყველაფერი წინასწარ გააზრებული და ათაჯერ გადახარშულია გონების ქვაბში. მხატვრული დეტალის აზრს მწერალი შეიძლება არ ხსნის ყოველთვის, მაგრამ ენდობა მის ინტერპრეტაციას. ყოველი განმარტება ამ მხრივ როდია გამართლებული ან ასატანი, მითუმეტეს, როცა დეტალი ხშირად უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე მისი უთავბოლი განმარტებანი. ეს მწერლობის სპეციფიკაა. ამასთანავე ეს არ უნდა ნიშნავდეს დეტალის ტყვეობაში ყოფნის ქადაგებას, რადგან დეტალი მაშინაა საჭირო და კარგი, როცა ყოველთვის ეხმარება მწერლის იდეის გამოხატვას, მისი სათქმელის ნათლად, მკაფიოდ გადმოცემას. ეს იდეა, სათქმელის სიღრმე, განსაზღვრავს თვის მხრივ, დეტალის მნიშვნელობას და ღირსებებს.

პრინციპს, რომლითაც ხელმძღვანელობს აღ. ყაზბეგი სინამდვილისგან მიღებული იდეის განსხეულებისას, ე.ი. იდეის ჩვენებისას, მის მატარებელ მატერიალურ მოვლენებთან, სფეროსთან ერთად, აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რადგან ამ პრინციპზე ხშირადაა დამოკიდებული ნაწარმოებისა და სახის ჭეშმარიტება. ამასთანავე მწერლისათვის იდეა ხშირად იბადება შექმნის პროცესში, მეხსიერებაში შემონახულ მოვლენათა გაანალიზების პროცესში. ეს ხშირი მოვლენაა. თუ როგორ ჩნდებიან მისთვის იდეები და რა ხასიათს ატარებენ ისინი, ეს მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტური აქტი არაა, რადგან სუბიექტი გაშუალებულია წრით, ფენით, კლასით და ბოლოს – საზოგადოებითა და ეპოქით. ამიტომ ეს სუბიექტური უმეტესად ობიექტურს უდრის. მწერლის მიზანიც ის არის, რომ მისი სუბიექტური შეხედულებები ამაღლდნენ ობიექტური კანონზომიერების დონემდე.

იმ პირობებში, რომელშიაც ყაზბეგი წერდა თავის მოთხრობას, უნაკლოდ წერა შეუძლებელი იყო. „დღეს ერთ „ფელეტონს“ აქ დაწერდა და დააბეჭდვინებდა, ხვალ გორში დაწერდა, ზეგ–ქართლში, მაზეგ–ფოთში და ბათუმში, არც გასწორება, არც მეორეჯერ გადაკითხვა და არც საბოლოო რედაქცია: –„ჩქარა ფელეტონი!“– ეტყოდნენ რედაქციაში ავტორს და ამ „ფელეტონებიდან“ ცხვებოდა ჩინებული მოთხრობა.“

რბილად, არსებითად, მწარე–მწარე შენიშვნებით რეცენზენტი კორტნის მწერალს, მის გულს, ენას უწუნებს: –„სუსტია ფორმებით და კარგის ფრაზებით, „შესავალი უნდა გამოირიცხოს მოთხრობიდან, უნდა გადაკეთდეს მოთხრობის ბოლო, შემოკლდეს სვიმონა ჩოფიკაშვილის ტირილი. ეს უსწორ–მასწორობა ამხილებს ავტორის აჩქარებულ მუშაობას.“

კრიტიკოსის მიერ ნაკლი ისე ვერაგულად იყო გამოთქმული, რომ ღირსებას აქარწყლებდა. თავად პიროვნებაც კი აღიზიანებდა: –„ვინ მისცა უფლება ჩემს თხზულებებზე წეროს?! თუ ღმერთს ნიჭი უბოძებია, საკუთარი შექმნას! რით დაუმსახურებია, კანონს მიწერდეს? საიდან შეუძენია ამდენი გაბედულება? ჩემმა მასწავლებელმა და ჭკუის დამრიგებელმა ხომ ჩემზე მეტი უნდა იცოდეს!“ და რაღა თქმა უნდა აქაც მართალი იყო ალ. ყაზბეგი. თუმცა მას უფრო ის აცოფებდა, რომ იცოდა, ან ეჭვი ჰქონდა, ვისგან და საიდან მოდიოდა ეს კრიტიკა. ვინ იდგა ამ შენიშვნების უკან.

„ინტრიგაა და სხვა არაფერი!“

„არსებობს არა ლიტერატურა და კრიტიკა, არამედ ლიტერატურა და ინტრიგა!“

ალ. ყაზბეგი საბოლოოდ გამოიყვანა წყობიდან რეცენზენტის უადგილო და ყოვლად გაუმართლებელმა რჩევამ: –„ელგუჯას“ შემდეგ, მოჩხუბარიძეს ნება აქვს, რამდენიმე წელი კალამი ხელში აღარ აიღოს!“–ო.

–„ღმერთო, სანამდე მიდის იდიოტობა! კაცი ვითომ ლიტერატურაზე, თეატრზე წერს და წარმოდგენა არ აქვს, რომ შემოქმედი შთაგონების მონაა და შთაგონება არ ეკითხება: დაწეროს თუ შეისვენოს! საბრალო, ალბათ ეჭვი არ ეპარება, რომ მწერლები სახელისა და ფულისთვის წერენ! წარმოდგენა არ შეუძლია, რომ დასაწერის თავის თავში ტარება ყველაზე დიდი სატანჯველია, ხოლო შექმნა, დაწერა, ამ სატანჯველისაგან განთავისუფლებაა, შვება!“



კიდევ უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა წერილი „მოსამსახურე იმერლების საზოგადოებაზე თბილისში.“ ჰუმანური სულით, მამულიშვილური გულშემატკივრობით, გონივრული რჩევა–დარიგებებით შეუდგენია ამ საზოგადოების პროექტიც, საკუთარი თანხაც დაუდვია „შემნახველ–გამსესხებელი სალაროს“ გასამართავად. „ამ საზოგადოებაში ჩაირიცხება ყველა რჯულის და სარწმუნოების ხალხი, ვინც კი იქნება წარდგენილი სამი წევრისაგან და მიიღება მაშინ, როცა საერთო ყრილობა დაამტკიცებს. საქმეები უნდა გადაწყდეს ხმების უმრავლესობით.“

–„ასეთი ნაშრომი რომ შვეიცარიაში ან ევროპის სხვა ქვეყანაში დაიბეჭდოს, ავტორს მაშინვე მეცნიერების დოქტორობას ან პროფესორობას მიანიჭებენ!“–უთქვამს ივანე მესხს, რომელიც ალ. ყაზბეგის ნაშრომს გასცნობია.

როცა ჟურნალ „ივერიის“ 1884 წლის მესამე ნომერში „განკიცხულის“ უკანასკნელი ნაწილი დაიბეჭდა. იქვე უნდა ყოფილიყო რომანის მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე თავებიც, რომელთა ტექსტები გამოტოვებულია. ჟურნალის სქოლიოში კი გაკეთებულია მწერლის შენიშვნა: –„ამ ორს თავს ვსტოვებთ, რადგანაც მათი დაბეჭდვა ამჟამად მოუხერხებლად მიგვაჩნია.“ ამან უფრო მეტი ინტერესი გამოიწვია მკითხველებში.

დ. კლდიაშვილი პირად წერილში ალ. ყაზბეგს სთხოვდა, რომ კერძო ბარათით მაინც ეცნობებინა გამოტოვებული თავების შინაარსი. დავით კლდიაშვილის წერილი დათარიღებულია 1884 წლის 14 აპრილით და გამოგზავნილია ბათუმიდან. მიუხედავად იმისა, რომ წერილი პირადი ხასიათისაა, იგი საინტერესო დოკუმენტია. მას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ალ. ყაზბეგის, ასევე თვით დავით კლდიაშვილის შემოქმედების, შეხედულებების, რიგი საკითხების გასათვალისწინებლად.

დ. კლდიაშვილი ალ. ყაზბეგს სწერდა: –„დიდად პატივცემულო ალექსანდრე მიხეილის ძეგ! თქვენი „განკიცხული“ მშვენიერებაა, რომელიც ყოველივე ჩვენგანს, ქართველს, გვაძლევს უფლებას თვითკმაყოფილებით ვთქვათ: –„ჩვენთვის ყოველივე არ მომკვდარა, ჩვენ ისევ ვცოცხლობთ და კვლავ დიდხანს ვიცოცხლებთ.“ მე აღტაცებულის სიხარულით წავიკითხე ეს მშვენიერი ფურცლები. რამდენი ნაცნობი

სოფიო წარმოსდგა ჩემ თვალთა წინაშე? რამდენი ჩაგრული, გაწამებული მარი აღსდგა ჩემს მეხსიერებაში!

თქვენი მარი, სხვათაშორის, უფრო ბედნიერია, სხვა მის ბედში მყოფთა შორის. ბევრი მათგანი სრულიად გარიყული რჩებიან ცხოვრებიდან, ისე იქცევიან უსიტყვო მანქანებად რეგვენ მტარვალების აუტანელ ავტორიტეტს ქვეშ. თქვენი მარი ძლიერია სულით, მას რამდენადაც ძალუმს, იბრძვის, თუმცა ყველა ბრძოლებიდან დამარცხებული რჩება, მაგრამ მასში არის ძლიერი სული, რომელიც ვერ თავსდება იმ ვიწრო ჩარჩოებში, რომელშიაც ის უნდათ ჩასჭედონ. დიახაც, ქართველ ქალს, მით უფრო, რომ ის ახალი თაობის ქალია, არ შეეძლო გამხდარიყო ეგოისტ სოფიოს მონამორჩილი. ეს უგულო, უზნეო დედაკაცი ვერ დაიმორჩილებს თავის დღეში ვერც მარის, როდესაც ამ უკანასკნელს ამისთანა მომხრე ყავს, როგორც ლევანი: პატიოსანი, ჭკვიანი, პრინციპული კაცი, ლევანი – ყოველთვის მფარველი სუსტი ქალის – მარის. მე ვგონებ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან დავალებულია მწერლისაგან, რომელმან დახატა ისეთი ტიპები, როგორც ლევანი და მარი. ღმერთმა ქნას, რომ ეს ვალი კიდევ გადიდდეს. ყოველწლივ გვემატებოდნენ მაგნაირი ქალები!..

თუ არ გეწყინებათ, იმასაც მოგახსენებთ, რომ თქვენს ნაწერებში, რომლებიც მე თითქმის ყველა წაკითხული მაქვს, ერთი ვერ აჯობებს „განკიცხულს“. „განკიცხული“ ჭეშმარიტად წმინდა თხზულებაა, უმაღლესი მხატვრულობისა, წმინდა ხელოვნებისა, ღმერთმა ქნას, რომ ამისთანა თხზულებები ხშირად ჩნდებოდნენ ჩვენს ლიტერატურაში. უფალმა გააძლიეროს ყოველი მარჯვენა, რომელიც ესრე ასაჩუქრებს თავის ქვეყანას.

დიახ, მხატვრულობა, ნატურისადმი ერთგულება –აი, ურისოდაც ლიტერატურული ნაწარმოები არარაობაა, სწორედ ამ მხატვრულობით, რეალიზმით და ტიპიურობით გვიტაცებს „განკიცხული“.

გაუმარჯოს „განკიცხულს“, გაუმარჯოს მის დამწერს! მრავალჟამიერ! მრავალჟამიერ, ალექსანდრე მიხეილის–ძევ! გთხოვთ, უარი არ მითხრათ– გამაგებინოთ ორი გამოტოვებული თავის შინაარსი, იმედი მაქვს, რომ ნათამის სახელზედ ან პირდაპირ ჩემს სახელზედ მოვა წერილი, რომელიც დააბოლოებს ამ

აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩემზე და სხვებზე და აქაურებზე „განკიცხულმა“.

თუ თხოვნას ამისრულებთ და ისრე დამავალბთ, რომ შემატყობინებთ იმ ორ გამოშვებულ თავების შინაარსს, ძლიერ მადლობელი ვიქნები. ჩემი ადრესი „ივერიის“ რედაქციაშია. შეგიძლიათ დაწერილი ჩადოთ „ივერიის“ ჩემს ნომერში და ისრე გამომიგზავნოთ. სულით და გულით ველი და დარწმუნებული ვარ, უარს არ მივიღებ.

ვშთები თქვენი პატივისმცემელი - დავით კლდიაშვილი.“ (სმაკსხი, №S-3978).

თითქოს ამ დასაწყისს ელოდაო, სხვა სასიხარულო ამბებიც უხვად მოდიოდა. „ელგუჯას“ და „ელისოს“ ფრანგულად და რუსულად თარგმნიდნენ.

არტურ ლაისტმა გერმანულ ჟურნალში დიდი ქება უძღვნა „ციკოს“.

„მტრედი“ საბავშვო თხზულებათა კრებულში დაბეჭდეს და იაკობ გოგებაშვილმა გულთბილი სიტყვები უძღვნა, როგორც ნაწარმოებს, ისე მის ავტორს.

როგორც მოსალოდნელი იყო, დავით კლდიაშვილის წერილით ალექსანდრე ყაზბეგი დიდად კმაყოფილი დარჩა და პასუხიც არ დაუყოვნებია. დავით კლდიაშვილი თვითონვე მოგვითხრობს:

–„აღტაცებულმა მისი მოთხრობის „განკიცხულის“ წაკითხვით, მე მივწერე წერილი და სანდროსაგან მივიღე მაგიერი, რომელშიც იგი მწერდა: –„შენისთანა თანამგრძნობი მომეტებულად მყავდესო. ბევრი ისე მექცევა, თითქოს არც კი ღირდეს ჩემი ნაწერის წაკითხვა“–ო, რასაკვირველია, თბილისში ისეთებიც ჰყვანდა სანდროს, რომლებიც დიდად აფასებდნენ და ხელს უწყობდნენ მას, ლატაკ ცხოვრებაში მყოფს. დიდად ემადლიერებოდა ვანო მაჩაბელს, დიდის სიყვარულით იხსენიებდა ილია ჭავჭავაძეს.“ (კლდიაშვილი, 1962,77).

### გ) ალექსანდრე ყაზბეგი და მისი მკითხველი

XIX საუკუნის 80-იან წლებში ალ. ყაზბეგის ნაწარმოებების მკითხველთა წრეებზე გავლენის თვალსაზრისით საინტერესოა აღვადგინოთ კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც „ელგუჯასთან“ არის დაკავშირებული.

ეს რომანი 1884 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა. დაბეჭდილი წიგნი ცენზურამ აკრძალა და მისი მთელი ტირაჟი გაანადგურა. შემთხვევით გადარჩა ერთი ეგზემპლარი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია (ალ. ყაზბეგი. თხზულებანი. ტ. I. 1935 წ.). ამ გამოცემასთან დაკავშირებით შემონახულია ერთი მოგონება, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს „ელგუჯასა“ და მისი ავტორის პოპულარობაზე იმ დროს. მწერალ გიორგი ნათაძეს, რომელიც იმ ხანებში თბილისის სემინარიის მოსწავლე იყო, მოთხრობილი აქვს, როგორი ინტერესით დაეძებდნენ სემინარიელები ცენზურის მიერ აკრძალულ „ელგუჯას“ და როგორ წაიკითხეს მათ ეს „აკრძალული ხილი.“

აი, რას წერს გიორგი ნათაძე: –„ჩვენც გვენატრებოდა ამ წიგნის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვინ გვადირსებდა მის წაკითხვას? ერთი ჩვენი ამხანაგის ძმა მსახურობდა ქართულ დაწესებულებაში. იმის ოჯახში ეცნობოდა ჩვენი ამხანაგი ქართველ ინტელიგენციას. მოხერხებული ბიჭი იყო და როგორღაც კვალი მიაგნო „ელგუჯაზე“. სიხარულით შეგვატყობინა: –„აბა, ბიჭებო, ვიშოვე წასაკითხად, მისი პატრონი ხუთ მანეთს თხოულობს წაკითხვაში, ჩქარა ფული, თორემ წიგნი ხელიდან წაგვივა.“ საჩქაროდ შევკრიბეთ საჭირო თანხა. ვაფრინეთ ამხანაგი ნატურის თვალის მოსატანად, მოუთმენლად ველოდით მის დაბრუნებას და სანატრელ წიგნს. ამხანაგი ჩქარა დაბრუნდა და პალტოს შიგნითა ჯიბიდან დიდის სიფრთხილით დაგვანახა ლურჯ, სქელ ქაღალდისყდიანი წიგნი, რომელზედაც მოზრდილი ასოებით ეწერა „ელგუჯა“... მივაშურეთ მთაწმინდას. გაზაფხული იყო. მთის კალთაზე, მოფარებულ ადგილას მოვიყარეთ თავი და წავიკითხეთ. ერთი კითხულობდა, სხვები ყურს უგდებდნენ. ვკითხულობდით გატაცებით. წიგნის შინაარსი ძლიერ ნაპერწკლად მოხვდა ჩვენს ახალგაზრდა გულს და შიგ უცნაური ძლიერი ჭიაკოკონა გააჩინა. ასეთი რამ ძლიერი ჩვენ ჯერ არ განგვეცადა.“ (გლსსლმ № 2131/4).

მოყვანილი ამონაწერი საინტერესო ცნობას შეიცავს, როგორც იმ პერიოდის ცენზურის დამოკიდებულებაზე დიდი მწერლისადმი, ისე იმ ფართო გავრცელებაზე, რომელსაც ალ. ყაზბეგის თხზულებები პოულობდნენ, მიუხედავად იმ წინააღმდეგობებისა, რომელთა გადალახვაც უხდებოდა, როგორც მწერალს, ისე მის ნაწარმოებებს. არსებული მასალებით ჩვენთვის ნათელი ხდება მისი მხატვრული შემოქმედების პოპულარობა მკითხველთა მასებში.

1887 წლის დამდეგს ალ. ყაზბეგს მოსკოვიდან წერილს სწერდა იმხანად ახალგაზრდა სტუდენტი, ხოლო შემდეგში ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი – ალექსანდრე ხახანაშვილი. როგორც წერილიდან ჩანს, ალ. ხახანაშვილი ადრევე დაინტერესებულა ყაზბეგის მხატვრული შემოქმედებით. მას გადაუწყვეტია ალ. ყაზბეგის შემოქმედებაზე მოსკოვის უნივერსიტეტში რეფერატი წაეკითხა. რეფერატის დამუშავების დროს საჭიროდ დაუნახავს (დამატებითი მასალების მისაღებად) მიემართა ისევ და ისევ ავტორისათვის, როგორც მოხვევთა ცხოვრების ზედმიწევნით მცოდნისათვის.

დასახელებული წერილი უდავოდ საინტერესო მასალაა, როგორც ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის, აგრეთვე, თვით ალ. ხახანაშვილის იმდროინდელ ინტერესთა, მისწრაფებათა გასათვალისწინებლად. იგი ალ. ყაზბეგს წერდა:

–„პატივცემულო ბატონო ალექსანდრე! პროფესორი მილერის მონდობილობით, მე, თქვენთვის უცნობი კაცი, ვამზადებ რეფერატს „მოხვევებზე“ თქვენის თხზულებების შემწეობით. ბოდიშს ვიხდი, რომ ამაზედ თქვენ წინდაწინვე ნება არ გთხოვეთ. ბოდიშთან ერთად, ვკადნიერდები და მოგმართავთ შემდეგის თხოვნით: თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება და არ შეწუხდებით, რაც დაეტეოდეს ერთს ფოსტის ქაღალდზედ, მაცნობოთ ცნობები აი ამ კითხვებზედ:

1. გეოგრაფიული საზღვრები და მდებარეობა;
2. რიცხვი მოხვევთა;
3. სარწმუნოება;
4. ზნე-ჩვეულებანი;
5. აქვთ თუ არა სკოლები?
6. რა უფლებანი ჰქონდა და ან რა შერჩა თემს?

7. საერთო მიწის მფლობელობაა თუ საკუთრებათაც აქვთ დაყოფილი?

8. ხვანა-თესვას მისდევენ?

სამუდამოდ დამავალეობთ, თუ არ დაიშურებთ დროს ამ კითხვებზედ პასუხის მოსაცემად. გარდა ამისა, ამ წინაზედ, წერილით გთხოვეთ, თქვენი ბიოგრაფიული ცნობები შეგეტყობინებინათ. შეიძლება წერილი დაიკარგა. ჟურნალმა „Русская МЫСЛЬ“ მთხოვა რამე გადამეთარგმნა რუსულად. მე თქვენი „ელისო“ ვარჩიე, რადგან ხელთა მქონდა. ამ თარგმანს ვამზადებ და ამიტომ გთხოვთ კიდევ გვაცნობოთ, როდის დაიწყეთ წერა, სად მიიღეთ განათლება და სხვა... „ელისოს“ არ დავბეჭდავთ, ვიდრე თქვენგანით ნება არ მოგვივა.

თქვენი ბედნიერების მოსურნე -ალექსანდრე ხახანაშვილი.“ (სმაკსხი, №S-3978).

მოყვანილი წერილი მოუთითებს ალ. ხახანაშვილის ალ. ყაზბეგის შემოქმედებით და მოხვევთა ცხოვრების შესწავლით დაინტერესებაზე. აქ საინტერესოა ერთი მომენტი. ახალგაზრდა სტუდენტი „ავალებდა“ ცნობილ მწერალს, სახელმოხვეჭილ ადამიანს. ეს უბრალო საქმე არ იყო. ამიტომაც არის, რომ ალ. ხახანაშვილის წერილს ახლავს სახელოვანი ბელეტრისტის ახლო ნაცნობის, თბილისელი მასწავლებლის გრ. პაპიტაშვილის სარეკომენდაციო წერილი.

გრ. პაპიტაშვილი ალექსანდრე ყაზბეგს სთხოვდა, რომ ალ. ხახანაშვილისათვის განზრახული შრომის დასაწერად საჭირო ცნობები მიეწოდებინა. –„ერთი-ორი საათი უნდა მაჩუქოთ და უმორჩილესი თხოვნა აასრულოთო.“ -წერდა მწერალს. მოხვევთა ცხოვრება ყველა ქართველმა ინტელიგენტმა ასე სრულყოფილად როდი იცოდა. ერთადერთი მოღვაწე, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა ამ კუთხის ცხოვრების ყველა მხარეს, მის ავ-კარგს, ალექსანდრე ყაზბეგი იყო. ამიტომაც არის, რომ გრ. პაპიტაშვილი თავის წერილში მას გულწრფელად სთხოვდა: –„ბევრი ვიტრიალე და ისევ თქვენ მოგმართეთ, როგორც იმ ხალხის ჯიგარში ჩახედულს და სრულს მცოდნეს. ვიცი თქვენი გულის ამბავი, არ დაიზარებთ და მალე მომწერთ.“

ალექსანდრე ყაზბეგმა ეს წერილები მიიღო და მათ დიდი გულისხმიერებითაც მოეპყრა. მწერალს ალ. ხახანაშვილის წერილზე ვრცლად და მართლაც დაუზარებლად უპასუხნია. ამას ნათლად ადასტურებს მწერლის პირად არქივში დაცული დედანი იმ წერილისა, რომელიც ალ. ხახანაშვილისთვის გაუგზავნია.

მწერალი თავის პასუხებში ფართოდ ეხებოდა იმ საკითხებს, რომელთა განმარტებასაც მომავალი მეცნიერი სთხოვდა მას.

ალ. ყაზბეგის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩევა ოთხმოციანი წლები. სწორედ იმ დროსაა შექმნილი მისი უმთავრესი მხატვრული თხზულებები. მწერლის თანამედროვეები ერთხმად ადასტურებენ, რომ ჩვენი ბელეტრისტი დიდი გატაცებით წერდა. მისთვის წერა ისეთი მოთხოვნილება იყო, რომელსაც სხვა ვერაფრით შეცვლიდა. თითქოს დროს ეშურებოდა და ბოლომდე დახარჯვა, სათქმელის ბოლომდე თქმა, მოსწრება უნდოდა.

ალ. ყაზბეგმა სულ რაღაც ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა შექმნა. მისი ნაწერები მკითხველთა ფართო მასაში საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა. ამის წყალობით იყო, რომ მწერლის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა.

აქვე იმის აღნიშვნაც საჭირო და აუცილებელია, რომ იმავე დროს სახელოვან ბელეტრისტს მოწინააღდეგეებიც არ აკლდა. იყო ერთი ჯგუფი, რომელიც დიდ მწერალსა და მოღვაწეს სათანადოდ ვერ აფასებდა. ჩასაფრებულები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცდილობდნენ ნესტარი ჩაესოთ და გაემწარებინათ ცხოვრებისაგან ისედაც არაეთრგზის გამწარებული შემოქმედი. ალ. ყაზბეგისადმი ზოგიერთი თანამედროვის არაგულწრფელი დამოკიდებულების თაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის გამოჩენილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი. იგი მოგვითხრობს:

–„ბევრი უსამართლოდ ექცეოდა სანდროს და ხანდახან ცხარე ცრემლითაც ატირებდნენ მას. ერთხელ „დროებაში“ საოცარი ენით გალანძლა იგი, მიწასთან გაასწორა, რომ იტყვიან, როგორც პიროვნება, როგორც მწერალი, ილია ხონელმა. ძლივს დავაწყნარეთ საწყალი, ტირილი რომ აუტყდა ფელეტონის წაკითხვის შემდეგ. –„ალბათ ვანო მაჩაბელი არ არის თბილისში, თორემ ის არ მისცემდა ნებას ისერიგად გაველანძღე ხონელს. დღეს მლანძღავენ, მიწასთან მასწორებენ ზოგიერთნი, მაგრამ მე მწამს, რომ მოვა დრო, როცა ჩემს სახელს სხვანაირად ახსენებენ!“ – სთქვა სანდრომ. ეს იყო მისი ღრმა რწმენა და ამით ნუგეშობდა იგი.“(კლდიაშვილი, 1962, 77).

## დ) ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ბრძოლა წინააღმდეგობებთან

ალექსანდრე ყაზბეგისათვის, როგორც დიდი მწერლისა და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული საზოგადო მოღვაწისათვის, ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე დამახასიათებელია მუდმივი ბრძოლა წინააღმდეგობებთან. ამას ემატება მძიმე მატერიალური ხელმოკლეობა, რაც განსაკუთრებით მწვავედ საგრძნობი მისი სიცოცხლის ბოლო წლებში ხდება.

ერთ ამონაწერში მწერალი ამბობდა, რომ იგი „წინააღმდეგობათა გრეხილში კი არ იბნეოდა, არამედ კიდევ უფრო მხნედ და უკომპრომისოდ მიჰყვებოდა დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზას.“ იგივე უნდა ითქვას იმ სიძნელეებზეც, რომლებიც დიდ ბელეტრისტს სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ოთხმოციან წლებში ასე უხვად ხვდებოდა.

იმ დროს, როდესაც ალ. ყაზბეგის, როგორც მწერლის სახელს მთელი ქართველი ხალხი დიდებით მოსავდა, ზოგიერთი მისი თანამედროვე კრიტიკოსი ქართული პრესის ფურცლებზე დიდი მოღვაწის წინააღმდეგ გამკილავი წერილების გამოქვეყნებას ახერხებდა და უშხამავდა მწერალს ისედაც გამწარებულ ცხოვრებას.

იგივე კრიტიკოსები ხალხის საყვარელ მწერალს ხშირად თავიანთი ფელეტონების საგნად აქცევდნენ. მის დიდ სახელს ჩრდილის მიყენებას უპირებდნენ. ისინი საგანგებოდ დაემებდნენ მიზეზს, რომ მწერალზე დაურიდებლად აუგი ელაპარაკათ პრესაში თუ ვიწრო წრეებში. ცდილობდნენ გული ეტკინათ და წერაზე ხელი აეღებინებინათ ალექსანდრე ყაზბეგისთვის, მაგრამ იგი გაათკეცებული ძალითა და ენერგიით, შეუპოვრად მიიწევდა წინ და წინ!

თბილისში მწერალს რამდენიმე მწარე საგაზეთო წერილი დახვდა მის სასცენო მოღვაწეობაზე: „ძირს არლეკინი!“, „მოაშორეთ სცენას უნიჭო მსახიობი!“, „არტისტი მოხევე აღარ არსებობს!“

თავზარი დასცა ახალმა დარტყმებმა.

– „ნუთუ ყველაფრისთვის შეიძლება ნაცრის წაყრა?!“

ორმოცდახუთი პიესა შეაშველა ახლადფეხადგმულ ქართულ თეატრს. შეასრულა ასამდე როლი! „არსენაში“ – არსენა, „თამარ ბატონიშვილში“ – შალვა, „ელისოში“ – ანზორი, „ხანუმაში“ – კოტე ფანტიაშვილი, ოსტროვსკის „შემოსავლიან



ადგილში“ – ჟადოვი, „უდურ ხანუმში“ – არჩილი, „ჰამლეტში“ – ლაერტი, „ექვით ავადმყოფში“ – კლეონტი, „მეფე ლირში“ – ედმუნდი, „რევიზორში“ – შპეკინი, „სამშობლოში“ – დადიანი, სოლომონ ლიონიძე.

აქებდნენ. იწონებდნენ. სჭირდებოდათ „ცეკვა ხანჯლებით!“ „ლეკური!“ „ჩეჩნური!“

ივსებოდა და ზიმზიმებდა მაყურებლით სავსე დარბაზი!

ამ დროს სცენისათვის თავის დანებება მისთვის სიკვდილს ნიშნავდა! დიახ, უსათუო სიკვდილის!.. მისთვის სულ ერთი იყო, რაც უნდა ეთქვათ, ეწერათ, გაეგრცელებინათ უსაფუძლო და შეურაცხმყოფელი ჭორები... უსიამოვნო ის იყო, რომ მისი ერთგული, საყვარელი საზოგადოება შეცდომაში შეჰყავდათ.

მოწინააღმდეგეებზე გაბრაზებული და გულდაწყვეტილი ალ. ყაზბეგი ერთ შემთხვევაში პირდაპირ ამბობდა: – „საკვირველს ბედზედა ვარ გაჩენილი, ღმერთმან იცოდეს!.. არ ვიცი, რა ვარსკვლავი მიშუქებდა იმ დღეს, რომელი იმ ღმერთთაგანი თანაგრძნობის და რომელი უთანაგრძნობის სხივთა ფენდა ჩემს მომავალს.“

ყველას მასზე უნდა „ეცადათ თავიანთი ჭკუამახვილობის მჭრელობა, თავიანთი ხუმარ–მასხრობის ფხიანობა.“ ყველა ცდილობდა, „უეჭველ მოვალეობად ხადს ცოცხლათვე მიწაში ჩამფლან, თუნდა თავის მოქმედების მიზეზად საბუთიც კი არა ჰქონდეს!.. ასე რომ, მე რომ ალთას ვიმყოფებოდე, რომელიმე ფხუკუნაძემ ბალთაში ცხვირი დააცემინოს, მე უნდა დამბრალდეს ეს უბედური შემთხვევა!.. უნდა ჩემს წინააღმდეგ გამოირაზმონ, გამოილაშქრონ ყველა.“ (ყაზბეგი, 1952, 121).

გენიალურ ბელეტრისტს ზოგიერთი თანამედროვის მიმართ უკმაყოფილება ხშირად ლექსადაც გამოუთქვამს. ერთი ამათგანია ლექსი „უბედურად გავჩენილვარ“, რომელიც ასე იკითხება:

„საკვირველსა ვარსკვლავზედა უბედურად გავჩენილვარ!

ქვეყნად კაცი ვერ იპოვოთ, ვისთვისაც კი რადმე ვღირვარ,

დღემდის კაცსა ვერ შევამჩნევ, მტერთანა თუ ძმასთან ვზივარ,

ვისაც გულსა გადავუშლი, მისგან მხოლოდ ლანძღული ვარ.“

ასე მწვავედ განიცდიდა ალ. ყაზბეგი მისდამი ზოგიერთი თანამედროვის დამოკიდებულებას. შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ, რომ იგი თვითონ ძალიან

კარგად გრძნობდა ამგვარი ადამიანების შეცდომას, მაგრამ დიდი მწერალი ამგვარ შემთხვევებშიც სასოწარკვეთილებაში არ ვარდებოდა, არამედ წინ იმედინად იხედებოდა. ამასთან მეტად საინტერესოა, რომ იგი არ ცდილობს პასუხი გასცეს ამგვარ ზნედაცემულ გამკილავეებს, სწორედ აქ იგრძნობა მისი ძალა და სიდიადე. ალ. ყაზბეგი თავის მტრებზე მალა იდგა და აცნობიერებდა, რომ მათთვის პასუხის გაცემა, მათ დონეზე დაცემას და შესაბამისად დიდების კვარცხლბეკიდან ძირს ჩამოვარდნას ნიშნავდა. ყაზბეგმა მშვენივრად იცის თავისი თავის ფასი. მას ამ დიდებისთვის ადვილად არ მიუღწევია და რაღა თქმა უნდა, ასე უბრალოდაც ვერ შეელოდა, ვერ გაუხარებდა გულს აფთართა ბრბოს, რომლებიც ცდილობდნენ მისწვდომოდნენ და ნაფლეთ–ნაფლეთ ექციათ დიდი შემოქმედი. იგი წინ იცქირებოდა დაუსრულებლად და დაბლა ყურებისთვის დრო არ რჩებოდა.

დავით კლდიაშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ალ. ყაზბეგი მომავლით ნუგეშობდა. „მან იცოდა, რომ მომავალი მის სახელს დიდების შარავანდედით შემოსავდა.“– დავით კლდიაშვილის ეს ცნობა მთლიანად დასტურდება მწერლის არქივში დაცული მასალებით. როგორც ჩანს, განაწყენებული მწერალი მოწინააღმდეგეებს ზოგჯერ მაშინვე გაზეთის ფურცლებზედვე პასუხობდა, მაგრამ ხშირად მათ შენიშვნებს პირად ქალაქებში იწერდა და შესაფერი პასუხით საკუთარ არქივში ინახავდა. მაგალითად: მწერლის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა მისი აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი სტატია „ბატონი მეუნარგიასაგან „მოდერის“ წერილის გამო“, „პირადი წერილი მეუნარგიასადმი“ და სხვები. (სმაკსხი, №S-3993).

აი, რას ამბობს ალ. ყაზბეგი თავის მტრებზე: –„გუშინ ხომ არ დაწყებულა! შორიდან მოდის! ეს არის ხალხი, რომელსაც პირად მტრად მივაჩნივარ, რადგანაც მათ ყბედობას ყბედობითვე არ შევპასუხებოვარ, თავი არ გამიყადრებია, ისინი ვერ შეურიგდებიან ამას, მაგრამ საზოგადოება დაინახავს ჩემს სინდისიერს წადილს სამსახურისას და თანაც იგრძნობს, დაუფასებელის და გენიოსის ნიჭის ნაწარმოებებს თუ ვერ ვაძლევ, მიხვდება, რომ ვაძლევ ყველაფერს, რაც მაქვს, და რისი მიცემის საშუალება და მდგომარეობა გამაჩნია, დამაცადეთ, მე მხოლოდ ვიწყებ. ხალხი გონიერია და დღეს თუ ხვალ, უეჭველად დაინახავს კეთილსინდისიერ შრომას, უფრო მეტად, ვიდრე დღევანდელი კრიტიკოსები, რომელთა მოქმედება ტალახის,

ლაფის, ღვარძლის, შურისა და სრულის უმეცრებისაგან შედგენილა. პირველის მოქმედების შემდეგ მე ხალხი მიწვევდა და მიკრავდა ტაშს, დარბაზი აღტაცებულის ძახილით მეგებებოდა, ქვეყნის გულშემატკივარნი იქ იმყოფებოდნენ!“

ბევრის მოქმედია ეს წერილი, დეტალები დატვირთულია მამხილებელი ნიუანსებით. როცა ვიცით, რომ 1868-1869 წლებში ამ სულისკვეთებით ცხოვრობდა, თვალსაჩინო ხდება, რა მოღვაწეობისათვის ემზადებოდა ჭაბუკი შემოქმედი, რით სუნთქავდა, რა მოსწონდა, რა სძულდა, ნათელი ეფინება მის შემდგომ ნაბიჯებს, გასაგები ხდება, რატომ აირჩია ის გზა, რომელსაც მთელი ცხოვრება პატიოსნად და ერთგულად მიჰყვებოდა. ადამიანი ყველაზე მეტად მოწმდება იმით, თუ რამდენად ბუნებრივია, თუ რამდენად არის ის, რაც არის, თუ მართლა ისე ცხოვრობს, როგორც უნდა იცხოვროს.

საკუთარი ღირსების შეგრძნება სიკეთისთვის და არა განდიდებისთვის, გაბატონება პირადულზე და ამაღლება წვრილმანზე, ძლიერება, მაგრამ დიდბუნებოვნებაც, სიამაყე, მაგრამ აუცილებელი პატიოსნებაც, – აი, მწერლის მორალური პრინციპები, რომელთა დანერგვა, განმტკიცება და ერთგულება საწინდარია სულიერად ამაღლებული, ზნეობრივად სპეტაკი, გონებრივად ნათელი საზოგადოების შექმნისა. და ეს მორალური პრინციპები საფუძვლად უდევს მის შემოქმედებით პრინციპებსაც, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მათი ერთიანობა და ჰარმონიულობა იფარავს მწერალს ხელოვნურობისა და სიყალბისაგან. ცდილობდა ეცხოვრა ისე, რომ ერთხელ არჩეული მართალი გზიდან არ გადაეხვია. თუმცა ისიც იცოდა, რომ ყოველგვარი უსიამოვნებისათვის მზად უნდა ყოფილიყო. მწერალი ეკლიან გზას ვერ ასცდებოდა, მაგრამ ის ეკალ-ბარდები კი, რაც მას ცხოვრებაში შეხვდა თუ შეახვედრეს, ყოველგვარ ზღვარს იყო გადასული. ყველგან შარს უდებდნენ, ყველგან ედავებოდნენ, დაუსრულებლად ემებდნენ მიზეზს, რომ გაემწარებინათ მისთვის ცხოვრება და სიცოცხლეზე ხელი აეღებინებინათ.

იცოდა, რამხელა ძალა აქვს სიტყვას. ისიც იცოდა, რომ ძალა მხოლოდ მართალ სიტყვას აქვს, მაგრამ მავანთა მიერ გამოგონილ ჭორებზე მაინც სტკიოდა გული და სუნთქვა უჭირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავის თავში ყოველთვის პოულობდა ძალას, ამ უბადრუკ „კეთილისმსურველებსა“ და მათ მიერ შეთხზულ ჭორებს

გამკლავებოდა. და წერდა, წერდა დაუსრულებლად. წერაში ავიწყდებოდა ის დიდი ტკივილი და დამცირება, ყოველ ნაბიჯზე რომ ხვდებოდა. ხატავდა გმირებს, მთელი თავისი დიდებით და ხიბლავდა მკითხველს თავისი შემოქმედებით.

ცნობილია, რომ ადამიანის სახის ხატვისას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სახესთან შესისხლხორცების უნარს, ე.ი. გმირის, პერსონაჟის არა მარტო რეალურად, ცოცხლად წარმოდგენას, არამედ მისი ცხოვრებით ცხოვრებით უნარს.

პირველად 1880 წელს ალ. ყაზბეგს ყურადღება მიაქცია, თავისი გაზეთის ფურცლები გადაუშალა და რჩევა–დარიგებითაც დაეხმარა მასზე ოთხიოდე წლით უფროსმა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებულ ეროვნულ–სოციალური მსოფლმხედველობის მქონე მესხმა (1844–1983), რადიკალ–განმანათლებელ–დემოკრატი და XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ–სოციალური მოძრაობის ერთ–ერთმა იდეოლოგმა.

ალ. ყაზბეგი ერთ ადგილზე უმოქმედოდ ვერ ჩერდებოდ, ცდილობდა დახარჯულიყო მაქსიმალურად. ოდესის უნუვერსიტეტის კურსდამთავრებული ალ. ყაზბეგი გამოსცემდა საკუთარ ჟურნალ „ალმანახს“, „დროებაში“ კრიტიკის განყოფილებას განაგებდა. ბევრი მწვავე სტატია გამოაქვეყნა და ცხარე პოლემიკას ეწეოდა ოპონენტებთან. მუდმივი დრამატული დასის აღდგენისთანავე მისი ერთ–ერთი ერთგული გულშემატკივარი და მეთაურთაგანი შეიქმნა. ყველაფერში აქტიურად ოყი ჩაბმული და ყველაფერში თავისი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა.

თუმცა, მიუხედავად ამდენი შრომისა, წინააღმდეგობებიც ბევრი იყო, მაგრამ არც სასიამოვნო წუთები იყო ცოტა. გრ. ორბელიანს, რომელიც „დროებაში“ ალ. ყაზბეგის „ელგუჯას“ გამოქვეყნების დროისათვის სამოცდამეცამეტე წელში იყო გადამდგარი, დიდად არაფრად მოსწონდა „დროება“ და მისი რედაქტორი, თუმცა, ქება–დიდება არ დაიშურა სწორედ სერგეი მესხის მზრუნველობით ქვეყანას მოვლენილი მწერალ–მოაზროვნისადმი და გაზეთს მიაწერა: –„ალექსანდრე ყაზბეგი ქართველების ჰომეროსია–ო, ქართულად ამგვარი არაფერი დაწერილა“–ო.

„1881–1886 წლებში ალ. ყაზბეგის „ელგუჯას“, „მოდვარს“ დიდი ადგილი დაუთმო ევროპიდან ახლადდაბრუნებულმა იონა მეუნარგიამ (1852–1919), ქართველ

მწერალ-მოაზროვნეთა ბიოგრაფიების (ცხოვრება-მოღვაწეობების), როგორც თვითონ ამბობდა „აღმწერმა“, რომელმაც განიხილა ალ. ყაზბეგის მსოფლმხედველობის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, „ჩვენი ლიტერატურის ძვირფას განმად“ და ახალ მოვლენად მიიჩნია მისი პირველი ვრცელი მოთხრობა, მოიწონა ბუნებისა და მოხვევების ეროვნულ ზნე-ჩვეულებათა ყაზბეგისეული აღწერა. ალ. ყაზბეგი გამოჩენილ ქართველ ბელეტრისტებს ამოუყენა გვერდით, მაგრამ დაუწუნა ენა, ზოგიერთი მხატვრული აქსესუარი, ვერ შენიშნა მისი სხვა რომანების იდეურ-მხატვრული ღირსებანი. ალ. ყაზბეგის ბოლო დიდი რომანიც „მამის მკვლელი“ ჩამორჩენილ ნაწარმოებთა რიცხვს მიაკუთვნა, რადგან „მისი ნაწერების ტერიტორია ლარსში იწყება და დუშეთში თავდება“, ხოლო შინაარსი „უმეტესად მთიანი საქართველოს ეთნოგრაფიაა და არა საქვეყნო-საკაცობრიო სოციოლოგიაო.“ ალ. ყაზბეგის რომანებმა ალფონს დოდეს და ემილ ზოლას დიდი შემოქმედება და აზროვნებაც მოაგონა ქართველ ახალგაზრდა კრიტიკოსს – იონა მეუნარგიას, მაგრამ „ნაჩქარეობაც უსაყვედურა მწერალს, ხოლო მის რეალისტურ რომანტიკას რადიკალურ-ჰუმანისტურ განმანათლებლობას ბევრი ვერაფერი გაუგო.“

ალ. ყაზბეგს ბევრი არაფერი გაუთვალისწინებია იონა მეუნარგიას კრიტიკული შენიშვნებიდან, მაგრამ ამ შენიშვნებმა დიდი სარგებლობა მოუტანა ქართული აზროვნების ისტორიას, რამდენადაც მან ვრცლად უპასუხა კრიტიკოსს და წარმოაჩინა თავისი საისტორიო, საზოგადოებრივი და მხატვრული თვალსაზრისის ძირთადი პრინციპები.

ალ. ყაზბეგი თავდაუზოგავად განაგრძობდა მუშაობას 1882 წელს 1 იანვარს, თეატრმა წარმოადგინა დრამა „არსენა“, რომელსაც ზოგიერთ შენიშვნასთან ერთად აღტაცებული რეცენზია უძღვნა უცნობმა ავტორმა. სპექტაკლსა და პიესას ჩინებული უწოდა ხალხოსანმა სტეფანე ჭრელაშვილმა. ალ. ყაზბეგის „არსენა“ დავით ერისთავის „სამშობლოს“ დაუყენა გვერდში, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ ორი ნაწარმოებით კრიტიკოსის აზრით, გამთლიანებული იყო საქართველოს ეროვნული და სოციალური თავისუფლების „ორგვარი სურვილი“ ბრძოლისა, „ხალხის სოციალური და სამართლიან გზაზე დაყენებისა და ბრძოლისა, ეროვნული უსამართლობის მოსპობისათვის.“

ს. ჭრელაშვილს არ დაეთანხმა ჟურნალ „ივერიის“ რეცენზენტი. ალ. ყაზბეგის არც იდეურ და არც მხატვრული ღირსების შეფასებაში. ეროვნულის უპირატესობის მომხრე „ივერიელები“ არ იზიარებდნენ სოციალური უპირატესობის მაიაშვილ-ჭრელაშვილისეულ კონცეფციას. სამაგიეროდ, 1883 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის ეროვნულ-ისტორიული დრამა „წამება ქეთევან დედოფლისა“, რაც ნიკო ხიზანიშვილმა ავტორს გმირობად ჩაუთვალა, შეფარვით რუსეთის იმპერიის დესპოტური ხელისუფლების დაგმობა შეუქო. კრიტიკოსმა უყურადღებოდ არ დატოვა ინტელიგენციის, განათლებული ადამიანების ხელმძღვანელი როლის პრობლემაც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რაც უშუალოდ ეხმაურებოდა ალ. ყაზბეგის დროის ქართველი ინტელიგენციის მისწრაფებებს რუსეთის ცარიზმის გამარუხებელი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში.

ალ. ყაზბეგის მოთხოვნა „მტრედის“ ჰუმანურ იდეებს: –მეგობრობას, სიყვარულსა და თანაგრძნობას შეეხნენ ჟურნალ „ნობათში“ 1884 წელს იაკობ გოგებაშვილი (1840–1912) და სტეფანე ჭრელაშვილი (1857–1917). აღფრთოვანებით მოიხსენია არტურ ლაისტმა ალ. ყაზბეგის ნაწერები, მაგრამ კონსერვატიზმად და ფანატიზმად მოეჩვენა ქართული კულტურის გერმანელ მეგობარს მწერალ-მოაზროვნის პერსონაჟების თავგანწირული ბრძოლა თემურ ზნე-ჩვეულებათა დასაცავად, უცხო მოძალადე ცივილიზატორთა მოსასპობად.

ლიტერატურულ-თეატრალური ცხოვრების გარდა ალექსანდრე ყაზბეგს სხვა ცხოვრება არ გააჩნდა და იგი იძულებული იყო „კუთხეში მიყენებული, დატუქსული ბავშვივით ამ სისულელეებისაგან თავი ემართლებინა:“

–„თქვენ დაგაფრთხოთ ჩემმა მოთხოვნების რიცხვმა, როგორც ერთხელ თბილისში ჩემი ჩამოსვლისას დრამატული კომიტეტი დააფრთხო ჩემი პიესების რიცხვმა... რა ვუყოთ? ეგეთი ხასიათი მაქვს, როცა ჩავუჯდები წერას, თავს ვედარ ვანებებ ხოლმე და ამიტომ იწერება მდენი, მუშაობის დროს ერთხელ არ მომივა თავში, ამა და ამ ადგილას შამპანსკსა სმენ და ეგებ მეც დავესწრო. ამა და ამ დროს, ამა და ამ პირს გაცინება ესაჭიროება და ეგების სანაკვესო რამ ჩავუტანო. რატომ ვწერ

ამდენს? ბევრი მინახავს და გამომიცდია. ბევრი სალაპარაკო მაქვს ხალხთან, მომავალთან...”

ეს იყო ტრაგედია. იცოდა, რომ ამის მიზეზი იყო ჩვენი საზოგადო სისუსტე, გონივრულ-საზოგადოებრივი ცხოვრების მოუმწიფებლობა, მწერლობის სიღარიბე, მკითხველის სიმცირე, ნივთიერი დაბრკოლება, ინტელექტუალური კრიტიკის უქონლობა. ჩვენი ერის მცირერიცხოვნება, რომელიც ყოველგვარს ჩვენს აღმაფრენას ფრთებს ჰკვეცს და შემოქმედი სასოწარკვეთამდე მიჰყავს...

„ჩემი არსებობა გადაბმულია ჩემი ქვეყნის არსებობასთან უხილავის ძალით!... სადაც უნდა ეტკინოს ჩემსას, მისივე ტკივილი მეც მაგრძნობინებს, და მისი გუნების გვარად მოაწყობს ჩემს გუნებასაც. ამ დღეში მყოფისთვის, წადილი ნაღველის ამოღვრისა თავის მახლობელთან, თავის არსების შემადგენელს ნაწილთან, არის აუცილებელი მოვლენა! მისი გამოთქმის უფლება აქვს ყველას. ამ ფიქრებმა, ამ აზრებმა დაბადა ჩემი პიესები, მოთხრობები და ლექსები, პირველივე ნაბიჯიდან მივეც ერთი მიმართულება ჩემს ნაწერებს!“ – ვკითხულობთ ალ. ყაზბეგთან.

ძნელია მსოფლიო ლიტერატურაში საბრძოლო სულისკვეთების, მამულისათვის თავგანწირვის ისეთი დამაბული გულის ამნთები მაგალითები მოიძებნოს, როგორც ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებშია, „ისინი საიერიშო დაფდაფებად გაისმის.“ სადაც „ყველა მოდიოდა პირზე ღიმილით, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ წმინდა მოვალეობას ასრულებდა, თუ სიკვდილი შეემთხვეოდა, მისი სახელი ხალხში დიდხანს მოიხსენიებოდა და შორს მთებში გაინთქმებოდა... ბრძოლა თავის მიწაწყლის დასაცავად მეჯლისში წასვლას ემსგავსებოდა...”

„რაისთვის დაგიძალოთ, ბრძოლა გაცხარებული იქნების, ბევრის დედაი ჩაიცვამს შავსა, ბევრი მშობელი გულში ვეღარ ჩაიკრავს თავის ნაშობს... იმად, რომ მტერი ძლიერია, იცოდეთ სახუმარო საქმე არაა, მაგრამ რამდენადაც ბრძოლა გაცხარდების, რამდენადაც საქმე გაჭირდების, იმდენად გამარჯვებას მეტი ფასი ექნების... რაი ვუყოთ, რომ ერთზე ათი მოვა?! ასიც რომ მოვიდეს, გამარჯვება მაინც ჩვენი იქნების, იმად, რომ ჩვენ ღმერთთანაც და კაცთანაც მართალნი ვართ... ჩვენ გვიცვივიან სახლში, ჩვენ გვიპირებენ აკლებას, ჩვენს დედაკაცებს-გაწბილებას, და ამგვარი საქმის საწინააღმდეგოდ სიკვდილი, ღვთის მადლმა, სანატრელიც არის...”

ვინა ხართ ბედნიერი, ვის გიცემთ ქართლოსანთ გული, ვის გერჩით მკლავი!.. ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის!“ მან გამარჯვების ფასი კარგად იცოდა, მითუმეტეს ისეთი გამარჯვებისა, როცა ბრძოლაში „ერთზე ათი“ მოდიოდა.

ალ. ყაზბეგმა შექმნა განსხვავებული სიყვარულის კულტი, ათასი განსაცდელი გამოატარა, ათასი გამოცდა მოუწყო, რათა მისი ძლივამოსილება გვეგრძნო, საბოლოოდ დავრწმუნებულიყავით, რომ ეს დიადი ძალა მამულის ბედნიერებისათვის, თავისუფლებისათვის, კეთილისათვის ბრძოლის შთაგონებით საზრდოობს, მისი შუქი აღვივებს და აცისკროვნებს. შეყვარებულები ბრძოლის ველზე მიაცილებენ რჩეულებს, ეწირებიან ერთმანეთს. ყაზბეგი ჯადოქარია ამ ურთულესი გრძნობის გადმოცემაში, განსაცვიფრებელია მისი ალლო და ტაქტი, სიტუაციისა და სიტყვის შეგრძნება, თითოეულ ნიუანსზე რეაგირების სიზუსტე.

ხელოვანი გამარჯვებული გამოდის ისეთი ვითარებიდან, სადაც მარცხი გარდაუვალი ჩანს. მათიაზე უზომოდ შეყვარებული, ბიჭურად გადაცმული ჯაჯალას ბრძოლა და სიკვდილი ელგუჯასა და მათიას მხარდამხარ. კიდევ უფრო მძიმე ამოცანის წინაშე იდგა მწერალი, როცა მათიას თავშეკავების არავითარი ძალა აღარ გააჩნია და სიგიჟემდე მისულ სიყვარულს ვეღარ ფარავს მზადისთან ბოლო შეხვედრისას.

მიუხედავად ტრაგიკული ბედისა, ყაზბეგის გმირები შეუპოვარი ხასიათით, შემართებით, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეურყეველი რწმენით სიცოცხლეს ამკვიდრებენ, გამარჯვების იმედს ნერგავენ. ყოველგვარი ტირანიისადმი, ძალმომრეობისადმი, ცარიზმისადმი სიზულვილს იწვევენ. მამულის ერთგულება ზნეობრივი სიწმინდის სათავეა. მათ სჯერათ, რომ „მოვა დრო და ღრუბელი გაიმქვრევს, მზე გამოიხედავს, დრო შეიცვლების... ძმა ძმას დაინახავს და შეერთებული საქართველო, ერთხორც და ერთსულ გადაქცეული აღსდგების.“

ზოგ შემოქმედს კარგად ესმის თავისი ღირსება და კრიტიკის აზრს არას დასდევს, არც კითხულობს, ზოგს წარმოდგენა არა აქვს თავისი ნაწერის ავ-კარგზე, თავის თავს ვერ ხედავს. მათთვის კრიტიკოსის სიტყვა ღვთის განაჩენია, თვალში შესციცინებენ, ყველაფერი სჯერათ, მზად არიან მათ ჭკუაზე იარონ. დიდმა მწერლებმა მშვენივრად იციან თავიანთი სიდიადე, განმხილველის აზრს



სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, მაგრამ დილეტანტურ, მიკიბულ–მოკიბულ, პრიმიტიულ შენიშვნებს მაინც მწარედ განიცდიან, ღიზიანდებიან, გული სტკივით, სწორდ მათ რიცხვს ეკუთვნის ალ. ყაზბეგიც.

ამიტომაც უნდა დაიცვას თავისი რეპუტაცია, ერთ წერილში პირდაპირ მიუთითებს გაზეთის ჭორიკანა თანამშრომლებზე, რომლებიც რედაქტორს ცრუ ცნობებს აწვდიან:

„ბატონო ჩემო, კნიაზო ილიავ!

მომიტევით, რომ მრავალგვარად დატვირთულს საქმეებით, რამოდენიმე წამს წაგართმევთ ამ წერილით. საქმე, რომელზედაც მე გწერთ, პირადად მე რომ შემეხებოდეს, გარწმუნებთ, რომ ჩემზე თავის მობეზრებას დავაცდიდი ჩემზედ თქვენს წინაშე მოჭოჭმანეთა და მეჭორავეთა.“

ჩხვლეტა, კორტნა და კბენა დაუსრულებლივ მიჰყვება და მიაცილებს მის მრავალფეროვან ცხოვრებას.

ილიას ბოროტი მოენეები არწმუნებდნენ: „ყაზბეგი ის ყაზბეგი აღარაა, რაც იყო. სნება რომ შეეყარა, კალამი დაუჩლუნგდა და ყურადღებას აღარ იმსახურებსო.“

არ ასვენებდნენ, სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ გარსშემოხვეული ქართული სიტყვის საბრალო „ვითომ ქომაგნი.“ ამოსუნთქვა ვერ მოასწრო ალ. ყაზბეგმა, რომ დაიბეჭდა ხონელის მიერ მისი მიმართულებით სასიკვდილოდ ნასროლი „საკვირაო სხარტულა.“

გამოქვეყნდა რეცენზიები: „ყაზბეგმა აღიარა, რომ დრამა უხეირო და გამოუსადეგარიაო... ძლიერ გაჭიანურებულია. ბენეფიციანტმა თავისი როლი არ იცოდა. სცენაზე სახელდახელოდ თხზავდა სიტყვებს...“ რა თქმა უნდა ეს არ იყო ადვილი მისასმენი და შესაბამისად არც მოსათმენი.

სერგეი მესხი სთხოვდა „ელგუჯას“ ყაიდის რომანი დაეწერა, რომელსაც რამდენიმე თვის მანძილზე ყოველდღე „ფელეტონებად“ მიაწვდიდა „დროების“ მკითხველებს. ყაზბეგიც დაუყოვნებლივ შეუდგა „მამის მკვლელის“ წერას.

პირველი თავიც არ დაესრულებინა, რომ ილია ჭავჭავაძემ სთხოვა, ჟურნალ „ივერიისთვის“, რომელიც ბელეტრისტული ნაწერების უქონლობის გამო მოსპობის

პირას იდგა, საჩქაროდ მიეცა ახალი მოთხრობა ან რომანი. ხათრმა და სიყვარულმა გასაჭირი დაავიწყა, უარი ვერ უთხრა და ხელი მოჰკიდა „ელისოს“.

„დროება“ ალ. ყაზბეგის გარეშე ერთ წუთს ვეღარ სძლებდა. მისი შესწორებისა და ნებართვის გარეშე სტამბა არც ერთ მასალას არ იღებდა. პუბლიცისტიკა და კორესპონდენციაც მხრებზე დააწვა. ის კი მაინც აგრძელებდა წერას, ემატებოდა აბზაცს აბზაცი, ფურცელს–ფურცელი! ასე იქმნებოდა შეუდარებელი „მამის მკვლელი“ და „ელისო.“

„მამის მკვლელი“ 1882 წლის დასაწყისში გამოჩნდა „დროების“ ფურცლებზე და მთელი საზოგადოება დაიპყრო. გაზეთის ნომრები ხელიდან ხელში გადადიოდა.

მოეწონა ხალხს დესპოტიზმის, ძალმომრეობის შეჩვენება და მის წინააღმდეგ გამოსვლა. უსამართლობის მიმართ სიძულვილით, სიმართლის პათოსით ზრდიდა ალ. ყაზბეგის შემოქმედება ქართველ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი უახლოესი ისტორიის მორალური და ფსიქოლოგიური მოვლენების ასახსნელად. მსოფლაქემაში საკუთარ ადგილს იკავებდნენ ნუნუს, გირგოლას, გლახას, იაგორას, კობას, ონისეს, ფარჩოს, ელბერდის სახეები. და არა თუ ყველა მათგანი ერთად, თითოეულიც კი საკმარისი იქნებოდა მწერლის სახელის უკვდავსაყოფად.

რომანის გამირულ–რომანტიკული სამყარო განმსჭვალულია ლირიზმით, რომელიც თავს იჩენს, როგორც ამბავსა და დიგრესიებში, ისე საერთო პოეტურ განწყობილებასა და რიტმულ რხევაში.

მისი აზრებისა და გმირების სულიერი სითბო იზიდავდა და იზიდავს მკითხველს.

კრიტიკამ იმთავითვე შენიშნა მწერლის ფსიქოლოგიური წვდომის არაჩვეულებრივი, განსხვავებული ტალანტი:

დიდი მხატვრული ფუნქცია დააკისრა ალ. ყაზბეგმა პეიზაჟს, რომელიც ხან პერსონაჟთა განწყობილებას ეხმიანება, ხან მოქმედების განვითარებას აწონასწორებს, კომპოზიციურ–სიუჟეტურ ხაზებს ქმნის, ან მიზნობრივ ფონად გვევლინება.

ბუნება არსებითი ესთეტიკური ფენომენია, ხშირად კომპოზიციურ ფუნქციას ასრულებს, კონტრაპუნქტადაა გამოყენებული, ხელს უწყობს ვითარებაში გარკვევას,

მასალის შემეცნებას, შინაგანი განწყობილების გამოვლინებას, პერსონაჟის ხასიათის გახსნას, ზოგან ადამიანის ცხოვრების ანტითეზაა.

ალ. ყაზბეგი განუყოფელ კავშირს ხედავს მწერლობასა და ცხოვრებას შორის, აღიარებს ლიტერატურისა და ხელოვნების გარდამქმნელ როლს. ბრწყინვალედ ფლობს მხატვრული ოსტატობის საიდუმლოებებს, უნარი შესწევს დაიცვას თავისი ესთეტიკური პოზიცია.

„მამის მკვლელის“ სიმართლისათვის თავდადებული, იმედით აღსავსე, კეთილშობილი გმირები რაინდობის, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, ძმობისა და სიყვარულის წმინდა ტაძარი, ხასიათის წრთობისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საუკეთესო სკოლა იყო მთელი ქართული საზოგადოებისათვის.

ის მომენტი, რასაც მწერალი თავის შემოქმედებაში ეხება, იმდენად ზუსტად შეესაბამება არსებულს, რომ საზოგადოებრივი ყოფა, სოციალური შეგრძნება და ქმედებები გადმოცემულია ზედმიწევნითი სიზუსტით, ლამის მეცნიერულ-ისტორიული ანალიზის დონეზე.

იგი თვლიდა, რომ საჭირო იყო მტკივნეული ეროვნული და ზნეობრივი პრობლემატიკის გააზრება, გარკვეული მასალის შერჩევა, რათა მამხილებელ სიტყვას დაენგრია უზნეობაზე, უსიყვარულობაზე დამყარებული ურთიერთობები. ეს ნგრევა შესაძლებელი იყო იმ მწერლური და პიროვნული გამბედაობით, რაც ითვალისწინებდა საზოგადოების სამარცხვინო და სათაკილო თვისებების – შურის, გაუტანლობის, სიცრუის, უმაქნისობის, უნდობლობის, თვითკმაყოფილების, მოქალაქეობრივი სიბეცის, პასიურობის, გულგრილობის და ა. შ. სააშკარაოზე გამოტანას და საზოგადოებისათვის თვალის ახელას.

იმავე წელს „ივერიამ“ დაბეჭდა „ელისო“, რომელშიც ყაზბეგმა წარმოგვისახა მცირერიცხოვანი ხალხის ტრაგედია, სამშობლოდან განდევნის სიმწარე, ცარიზმის უსამართლობა, მოხელეთა ულმობლობა, ბოროტების იმპერიის სოციალურ-ეროვნული საშინელებანი. წარმოჩინდა არსებული სინამდვილის სიმახინჯე. ბუნებრივად, ფსიქოლოგიური სიღრმით განავითარა მწერალმა შეყვარებული ვაჟიას, მშვენიერი ელისოს და მისი პატიოსანი მოხუცი მამის-ანზორის სამართლიანი მისწრაფებების დაპირისპირება უსამართლობისამი. მკითხველი ხედავს, რა არის

ტრაგედიის მიზეზი, რისთვის იღუპებიან პატიოსანი, კეთილი ადამიანები და ბოროტების მიმართ ზიზღი, უსაზღვრო სიძულვილი იპყრობს.

„ელისო“ შემდგომ დრამად გადააკეთა ავტორმა, ანზორის როლს თვითონვე ასრულებდა, მაგრამ გაუთავებელი პრობლემები აქაც იჩენდა თავს. დრამა ფოთში ჩაიტანეს, მაგრამ ნატო და სიკო მიზეზთა გამო ვერ ჩავიდნენ ფოთში, რის გამოც „სრული წარმოდგენა“ ჩაიშალა, ხოლო ადრე გათვალისწინებული კონცერტის აფიშას პოლიცემისტერმა ხელი არ მოაწერა.

ყაზბეგი და მესხიშვილი ფოთიდან იმერეთის სოფლებში გაემგზავრნენ სადამოკონცერტების გასამართავად.

აქ მათ მოუსწრო „შრომის“ ნომერმა, რომელშიც სასტიკად კიცხავდნენ ფოთში კონცერტის ჩაშლას და ყველაფერში ყაზბეგს ადანაშაულებდნენ. „შრომა“ ქუთაისში გამოდიოდა. აქ თავი მოიყარა ყაზბეგის მოძულე ჯგუფმა, რომელთაც კეზელი და ხონელი წარმართავდნენ. კეზელი ნაწერებს აქვეყნებდა „დუშელის“, „დ. არაგველის“, „მთიულის“, „ტარიელის“, „დავით სოსლანის“, „ზოილის“ და სხვა ფსევდონიმებით, რათა გზაკვალი აერია საზოგადოებისა და მოწინააღმდეგეთათვის. აღწრდა რა ფოთში კონცერტის ჩაშლას, კეზელი აღნიშნავდა: –„ყაზბეგს ორასი მანეთი მოუგროვებია და, როგორც კი ეს ფულები ხელში უგდია, მაშინვე ფოთიდან გაქცეულა...“ და რომ: „ფოთელებმა დღესაც არ იციან, სად არის და სად იმალება.“ (მოზდოკელი, 1988, 151–153, 156, 159–167, 176, 183, 200).

ალექსანდრე ყაზბეგი ცხოვრებამ შეაჩვია ყოველგვარი ჭორისა და ცილისწამების მოთმენას. ეს კი უკვე ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. არამხოლოდ ყაზბეგი, არამედ თვით საზოგადოებაც ვერ გარკვეულიყო, რატომ ექცეოდნენ ასე უღმობლად „ელგუჯას“, „მამის მკვლელის“, „ელისოს“ ავტორს!..

აღშფოთებულმა და დამცირებულმა ალექსანდრე ყაზბეგმა „დროების“ რედაქციას დეკემბით შეატყობინა, რაც მოხდა სინამდვილეში ფოთში.

კეზელისა და ხონელის „შრომამ“ ახალი დარტყმის მისაყენებლად სასწრაფოდ გამოაქვეყნა სიკო ცაგარელის დაუნდობელი წერილი, რომელშიც ახალ, დაუნდობელ ბრალდებებს უყენებდა ყაზბეგს. ამის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ყაზბეგი დაუყოვნებლივ დაბრუნდა თბილისში და თეატრალურ საზოგადოებას საბუთებით

დაუმტკიცა, რომ „შრომამ“ უსინდისოდ დაამახინჯა ფოთის ამბავი და რომ უსაფუძვლოდ სწამებდნენ ცილს.

„შრომა“ იძულებული გახდა დაებეჭდა ალ. ყაზბეგის „პასუხი ბ. ცაგარელს“, რომელიც სუსხიან ფაქტებზე მითითებით, ასე მთავრდება: „სირცხვილია თქვენთვის, სირცხვილი, ბატონო ცაგარელო!“

ამ ამბებმა, როგორც იყო გადაიარა. დიდ მარცხს მცირე, მაგრამ მაინც წარმატება და აღიარება მოჰყვა: „ყაზბეგმა და მესხიშვილმა „სამშობლო“ ისე წარმოადგინეს, რომ ბევრს მოუვიდა თვალში ცრემლი“...

დრამამ „ყაჩალი არსენა“, რომელიც 1882 წელს საბენეფისოდ წარმოადგინეს, ხოლო ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ დაბეჭდა, გული მოუოხა ავტორს: – „საზოგადოებამ მობენეფისე დაასაჩუქრა მრავალის ტაშით და ძვირფასი ნივთებით.“

ყაზბეგმა ორიგინალურად გაიაზრა არსენას ბედი, სოციალური მასალის საფუძველზე შექმნილი პიროვნების ტრაგედია ფსიქოლოგიურ საყრდენებს დაამყარა. პატრიოტული, მწვავე სოციალური ჟღერადობის პიესამ ფართო საზოგადოების ყურადღება მალე მიიპყრო. „ივერიის“ 1882 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა ვანო მაჩაბლის „არსენას“ განხილვა.

„ჩვენ არ შეგვიძლიან მადლობა არ განვუცხადოთ ამ ახალ მწერალს, როგორც „ელგუჯასათვის“, ისე დრამა „არსენასთვის“. მოჩხუბარიძემ დაამტკიცა ამ თავის თხზულებებით, რომ ის კარგად იცნობს კაცის გულს და შეუსწავლია იმისი მოძრაობა“, – წერდა იმ დღეებში „დროების“ რეცენზენტი.

ეს თხზულებანი, ისე, როგორც ალ. ყაზბეგის მთელი შემოქმედება, მკაფიოდ გამოხატავს ეპოქის მოწინავე სოციალურ–იდეურ მრწამს.

სტეფანე ჭრელაშვილი „იმედის“ მკითხველებს აუწყებდა: „არსენას“ დადგმით ქართულ თეატრს კარგი ახალი წელი გაუთენდაო.“ დამაჯერებლად ასაბუთებდა თავის მოსაზრებას: – „ორჯერ დაიდგა ქართულ სცენაზე და ორჯერვე აღტაცებაში მოუყვანია პუბლიკა. ეს ჩინებული პიესა ჩვენს თვალწინ აცოცხლებს იმ სახალხო ცნობილ გმირ არსენას, რომელიც ასე უყვარს ხალხს. აქ მაყურებელი ჰხედავს და უსმენს იმ არსენას, რომელიც ასე უყვარს.“

ამ საერთო აღტაცებაში უხილავად გაისმა ერთადერთი ლანძღვა-გინების ხმა, რომელიც ისევ დ. კეზელს ეკუთვნოდა. მისი სიტყვით, „პიესას არავითარი მხატვრული ღირსება არა აქვს. ისტორიიდან არ დასტურდება, არსენას კაცი მოეკლასო.“

ალექსანდრე ყაზბეგმა ეს თავდასხმა უყურადღებოდ ვერ დატოვა. „ივერია“, „დროება“, „იმედი“, პიესას აქებს, „შრომა“ კი სასაცილოდ იგდება. „ახლა მითხარით: ან მკითხველმა, ან ავტორმა როგორ უნდა ახსნას, რომელს რა ფასი დასდოს?!“

ალ. ყაზბეგის დრამებსა და რომანებს მრავალი იდეურ-ლიტერატურული ნიშან-თვისება აკავშირებს ერთმანეთთან. იმავე წელს „დროებამ“ გამოაქვეყნა საკუთარი ინფორმაცია: „ჩვენ გავიგეთ, რომ ერთი ყმაწვილი მწერალი, რომლის სახელის გამოცხადების ნება არა გვაქვს, წერს ისტორიულ დრამას: „წამება ქეთევან დედოფლისა.“

მომდევნო წელს „ყმაწვილი მწერლის“ ამ „ხუთმოქმედებიან და შვიდსურათიან ისტორიულ დრამას“ ილია ჭავჭავაძემ ადგილი დაუთმო ჟურნალ „ივერიაში“. ილია კი, როგორც ცნობილია მხოლოდ საუკეთესოს ამოარჩევდა, რათა ჟურნალის მკითხველი გაენებივრებინა და მოეხიბლა.

ეს თხზულებანი, ისე, როგორც ყაზბეგის მთელი შემოქმედება, მკაფიოდ გამოხატავს მოწინავე სოციალურ-იდეურ მრწამსს. მამულიშვილთა კეთილი მისწრაფებები დრამატურგს წარმოსახული აქვს მძაფრი ადამიანური ვნებების ჭიდილში, ქმნის ეროვნული გმირის იდეალს, რომლის ძირითადი თვისებაც სამშობლოსათვის თავდადება. „მე არ გავიქცევი, შიშს არ ვუჩვენებ, როდესაც მთელი ქრისტიანობის თვალი ჩვენკენ არის მოქცეული, როდესაც ჩვენგან მოელიან მაგალითს, მე ნება არა მაქვს, რომ შევდრკე ამსოფლიური სატანჯველის წინაშე, ვერვინო სულმოკლედ და არც ვერვინები!“

მიუხედავად ამ სიტყვებისა, ერთ-ერთ კორესპონდენციაში მჭედლიშვილი ყაზბეგს ადარებს „ბათუმის წურბელა ვაჭრებს.“ ეს წერილიც „კეზელის მიერ პილპილმოყრილი“ ჩანს და მიზნად ისახავს მოჩხუბარიძის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მიმართვას: „მოხევე არავითარ პატივს არ სცემს მწერლებს, მისი პეპო ავადმყოფ ცხვარს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე კაცს. გული გიწუხს,

როდესაც პატიოსანი და ნიჭიერი მწერლის ასე შესაბრალისად წამებას ხედავ. ბატონმა სუნდუკიანცმა ყველას არ უნდა მისცეს პეპოს თამაშის ნება. მასხარად ვართ აგდებული ამ ჩვენგან შეწყნარებულის გენიოსობისგან.“

გაყურებას, დათმენას სიმშვიდე არ მოჰქონდა. ალ. ყაზბეგიც აღარ აყოვნებდა და რედაქციას სწერდა: „ჩვენს დროში ვინც ლიტერატურას ხელს ჰკიდებს, სახელის მეტი არა აქვს რა და მეც რომ ჩემ სახელს ვუფრთხილდებოდე, გასაკვირი რა უნდა იყოს. ამას ვაკეთებ არა პირადი თავმოყვარეობისათვის, არამედ მწერლის წოდების, საერთოდ ლიტერატურის პატივისცემისათვის, რომელსაც მე ვეკუთვნი. მაშასადამე, ასეთ საქმეში გაჩუმების ნება არა მაქვს. თუ დაშინებით მიპირებენ ხმა ჩავიკმიდო, ლაჩრობა არ შეშვენის იმ კუთხის შვილს, საიდანაც მე გახლავართ.“

სიმართლე რომ იცოდეთ, მაშინ არ დამძრაბავდით, რატომ ჩავურთე სპექტაკლში რამდენიმე მწარე სიტყვა. ამ ჩანართს საერთო ზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა და არა პირადული. თეატრის, ხელოვნების დანიშნულებად ჩვენ სწორედ ეს ზნეობრივი დამოდღრა მიგვაჩნია, არავის გვარი არ დამისახელებია, არავისკენ ხელი არ გამიშვერია და თუ ჩემს სიტყვებში ვინმემ თავის თავი დაინახა, ჩემზე ტყვილაუბრალოდ წყრება, თუ ნიორი არ უჭამია, პირი რად დაეწვა?! ეს არის და ეს.“ (ყაზბეგი, 1882, 3 ).

„არ მწამს დრამატიული რეზონიორობა, არ მწამს ის ქურუმები, რომლებიც თავიანთი გულის ტალახიდან ქმნიან საკურთხეველს.“

ვფიქრობ და ვერ გავრკვეულვარ, რატომ გამიმეტა „დროების“ რედაქციამ გასაკიცხავად, რატომ არ გამხადა იმის ღირსი, რომ ჩემთვისაც ეკითხა საქმის გარემოება და ისე გადაეწყვიტა თავისი თანამშრომლის ბედი.

მოჰყოლიხართ ლანძღვას და რას არ მკადრებთ, თუ გავლანძღე ვინმე, ალბათ საბუთი მქონდა და გავლანძღე, თქვენ კი ასე იოლად კვერს უკრავთ თქვენს ბათუმელ კორესპონდენტს, რომელსაც მოუტყუებხართ. „მოხვევემ შეიტყო, რომ მისი სცენაზედ თამაში გაკიცხული იქნებოდა ჩემის მხრიდან და ამიტომ გამომლანძღაო.“

ჩვენს კრიტიკოსებს ათასჯერ გაულანძღავთ ჩემი სცენაზედ თამაში, პიესები, მოთხრობები, ლეკურიც კი სალაპარაკოდ გაუხდიათ, მაგრამ ერთი შემთხვევის მეტი

არ მომხდარა, რომ მე პასუხი მიმეცა, ისიც მაშინ, როდესაც პირველად შევდგი ფეხი ლიტერატურაში და იმისთვის, სხვისი სიტყვები მე მომაწერეს.

–მაშ, რაღა უმნმიშენელო, ყოველ ზნეობას მოკლებული კორესპონდენტი – ლასლასმანი (ამას დავამტკიცებ!), რომელსაც თეთრი შავიდან ვერ გაურჩევია, ავიღე მიზნად და სცენიდან დავუწყე ლანძღვა ჩემზე, ვითომ, რეცენზიის დაწერის გამო?!

მე გავლანძღე საზოგადოდ ისეთი კორესპონდენტები, რომლებიც „აბლა–კატობას“ გამოჰკიდებიან. ყვირიან ხალხის სარგებლობაზე და თვითონ კი სძარცვავენ და ატყუებენ ხალხს, ვინც ყველას ემუქრება, არ გამაჯავროთო, თორემ კორესპონდენტი ვარ და გაზეთში გაგწერთო.

გავლანძღე ის კორესპონდენტი, ვინც ვერ აფასებს ისეთ პირს, როგორც ბ. სერგეი მესხია, რომელმაც თავისი ჯანმრთელობა შესწირა საქვეყნო საქმეს, ამ საქმისათვის სიცოცხლე გაატარა გაჭირვებაში. გავლანძღე ის უნამუსო, რომლის ენა დაიდრა ხალხის თანდასწრებით წარმოეთქვა „სერგეი მესხი ქრთამს იღბდა და ამიტომ მათ შესახებ სტატიებს აღარ მიბეჭდავდაო.“ ამ სიტყვებისათვის ვიღაც „ლასლასმანს“ კი არა, თვით ჩემი სულის უფალსაც გაულანძღავს არ დავტოვებდი.

კორესპონდენტი ლანძღავს თოთხმეტ კაცს, რომლებიც გამართლებულის პატივსაცემად გამართულ სადილს დაესწრო, რედაქტორს კი უმაღლავს, რომ სადილს თვითონაც ესწრებოდა გაზეთის „უსასყიდლო მშრომელი“, მაგრამ როგორც აქ უწოდეს „მუქთა მოსადილე.“

ეს არის ჭეშმარიტებით სავსე კორესპონდენცია? ამისთანა კორესპონდენტის სცენიდან გალანძღვა ცოდვა და უზრდელობაა?! მით უფრო, როცა გვარი არ დამისახელებია!“– ამოხეთქა ყაზბეგის გულიდან სათქმელმა.

ვერც მეგობრობა, ვერც პატივისცემა, ვერც მუქარა ვერ გააჩუმებდა: საზიზღარს საზიზღრად ხედავდა, ლიტერატურისთვის მავნებელს–მავნებლად. არ დგებოდა არავითარი საშიშროების წინაშე! რაც უნდათ, ის მოეგონათ, რამდენიც უნდა, ეგრეთ წოდებული, სარწმუნო პირი შეამხანაგებულებო მის წინააღმდეგ, მაინც ვერ გააჩერებდნენ. მაინც გამოააშკარავებდა საზოგადოების წინაშე და უწმინდურებს არ მიაკარებდა ლიტერატურის წმინდა მიზანს.



უნდოდა გამოერკვია მისი დამოკიდებულება რედაქციასთან, გაეგო, განეგრძო მათთან თანამშრომლობა, თუ, როგორ მოქცეულიყო. უნდოდა, ან სრული ნდობა და რწმუნება, ან საჯაროდ გამოეცხადებინათ, რომ მათთან საერთო აღარაფერი აქვს.

მაშინ ორივეს ეცოდინებოდა, რა თვალთ ეყურებინათ ერთმანეთისათვის!

მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგს ეშინოდა, გაბრაზებულ კაცს რამე გადაჭარბება რომ არ მოუვიდეს, არ იქნება. ისინი სამივე გაბრაზებული იყვნენ, ამიტომ წერილი რედაქციას კი არ გაუგზავნა, არამედ „ყველაზე მშვიდ და გონიერ კაცს,“ რომელიც იქ ეგულეობდა, – ალექსანდრე ნანეიშვილს. მისწერა, გულდასმით წაეკითხა, გაესწორებინა, შეერბილებინა და თუ დაბეჭდვას საჭიროდ ჩათვლიდა, მაშინ გადაეცა რედაქციისათვის.

ალექსანდრე ყაზბეგის მიმართვას რედაქციისადმი უძღვის „რედაქციის“ შესავალი, რომელიც ხელმოუწერელია:

„ბ–ნ მოჩხუბარიძეს!

ქვემოთ წაიკითხავთ ბ. ყაზბეგის წერილს, რომელიც სცენაზედ ცნობილია მოხვედ და ლიტერატურაში მოჩხუბარიძედ. ეტყობა, მოჩხუბარიძეს ძალიან მოსდებია ის პატარა შენიშვნა რედაქციისა, რომელიც კიდეც ვიტყვით, იმის უზრდელობას ადასტურებდა. შორს რას მიდიხართ? წაიკითხეთ დღეს დაბეჭდილი ყაზბეგის წერილი და დარწმუნდებით, ბ. მოჩხუბარიძეს როგორ ესმის ლიტერატურული ზნეობა და ზრდილობა. „მოჰყოლიხართ ლანძღვას და რას გვკადრებთო!“ გვსაყვედურობს „ელგუჯას“ ავტორი. მერე ვისა ჰკადრებს თავმოწონებული მოხვევე ამისთანა უზრდელ სიტყვებს?... არა კერძო პირს, არამედ მთელ რედაქციას, რომლის წევრადაც თვითონ ითვლება. თვითონ ფაქტს უარს ვერ ჰყოფს და რაღაც ყმაწვილური გულწრფელობით აღიარებს: „თუ გავლანძღე ვინმე, ალბათ, საბუთი მქონდა და გავლანძღეო.“

საქმე იმაში კი არ გახლავთ, ბატონო მოჩხუბარიძევ, ვინ, როდის და სად გაჰლანძღეთ? გაჰლანძღეთ „დროების“ კორესპონდენტი, რომელსაც ასე თუ ისე, მაგრამ მაინც უსასყიდლოდ შემოაქვს თავისი წვლილი. თქვენ „ჭორების მკრეფელი“ დაუძახეთ და ამით ჩვენს გაზეთსაც სახალხო შეურაცხოვა მიაყენეთ და მელოპენის ტაძარიც, რომლის ნაკუთრს ქურუმათაც თქვენს თავსა თვლით. მაშასადამე, თქვენ

ემსახურებით ლიტერატურასაც, თეატრსაც, მაგრამ როდესაც... ცუდ გუნებაზედ ბრძანდებით, ორივეს ერთნაირად ჰსვრით ტალახში და წიხლითაც ჰქელავთ. რა სახელი ეკადრება ამისთანა ქცევას? ეს უფრო მტკიცე საბუთია იმისა, თუ რა პატივს სცემს ბეჭედივით სიტყვას ეს ჩვენი პატივცემული ლიტერატორი!... მართლა, კინაღამ დაგვავიწყდა, რომ თქვენ ლესინგებად და ბელინსკებად მარტო თბილისელი ლაქიები და სემინარისტები მიგაჩნიათ!

ბ. მოჩხუბარიძე ვითომ ულოლიკობასაც სწამებს რედაქციას! „ვსთქვათ, მე „დროების“ კორესპონდენტი გავლანძღეო,“ გვასწავლის ჭკუას „ციკოსი“, „წიწიკასი“ და ჯერ გაუთავებელი „ციციას“ ავტორი, აქ „ლიტერატურული ნათლიმამობა რა შუაშიაო?“ სწორედ, რომ შიგ შუაში გახლავთ ჩაჭედილი, რომელსაც ამ საათში აგისხნით, თქვენ, საუბედუროდ, მარტო ლიტერატორი არა ხართ, არტისტიცა ბრძანდებით და საზოგადო სენი არტისტობისა ერთობ ტანში გაგჯდომიათ. ეს სენიც იმაში მდგომარეობს, რომ რამდენადაც უფრო უხეიროა აქტიორი, იმდენად უფრო დიდი წარმოდგენა აქვს თავის ნიჭზედ. თქვენ ბათუმში სიმონ ლეონიძის როლისთვის მოგველოთ ხელი, და, როგორც წინადავე უნდა გცოდნოდათ მთლად ჩაგეფლავებინათ. როდესაც შეგეტყვოთ, რომ თქვენს არტისტულ თამაშობაზედ „დროებაში“ მზადდებოდა რეცენზია, ჯერ ტელეგრამა მოგეწერათ, რომელშიც, ჩვენდა საოცრად შემდეგი ეწერა: „если вы про меня напечатаете что М – швили пришлет то меня глубоко оскарбите“. და მერე, სცენიდან გაჰლანძღეთ ის, მაშ, რა უფლება გქონდათ, რომ ამისთანა ტელეგრამასა სწერდით რედაქციას, თუ ლიტერატურული ნათლიმამობით დაიმედებული არა ჰბრძანდებოდით? ბოლოს, ბ. მოჩხუბარიძე შემდეგ კითხვებს აძლევს რედაქციას: „მე მინდა გავიგო ჩემი დამოკიდებულება რედაქციასთან და შევიტყო, შემდეგში რას უნდა მოველოდე და როგორ უნდა მოვიქცე!“

უადგილო გახლავთ ამისთანა კითხვები. რედაქციას უფლება არ აქვს და არც თვითონ თქვენ იკადრებთ, რომ ინსტრუქცია დაგეწეროთ, ბათუმში და ფოთში როგორ უნდა მოიქცეთ. რედაქცია გიცნობთ, როგორც მოთხრობების ნიჭიერ მწერალს და ყოველს თქვენს ნაშრომს დიდი სიამოვნებით და მადლობით დაჰბეჭდავს. მაგრამ, თუ, რაც ბათუმში ჩაიდინეთ, იმის მსგავსს, ან უარესს რასმე ჩაიდინთ, რედაქცია, ისე

მოგეპყრობათ, როგორც ყველას. ამას მოითხოვს წმინდა მოვალეობა ყველა პატიოსანი სალიტერატურო ორგანოსი.“ რატომღაც ზოგჯერ ავიწყდებოდათ ამ „სალიტერატური ორგანოს“ მესვეურთ, რომ ეს „პატიოსანი“ ორგანო ვალდებული იყო ასევე პატიოსნად მოჰპყრობოდა იმ ადამიანებს, რომელთა შემოქმედებითაც იკვებოდა და სულდგმულობდა.

–„ძმაო სანდრო! დღეს დილას რედაქციაში შევედი და „დროების“ უკანასკნელ ნომერში წავიკითხე შენი წერილი რედაქციისადმი. წერილის დაბეჭდვისა და მასზე შენიშვნების შემდეგ გადმომცეს შენ მიერ ჩემთან მოწერილი ბარათი. თან მითხრეს, რომ კონვერტი ჩემი ადრესით მოსვლოდა რედაქციას ჩემდა გადმოსაცემად. რადგანაც მეჩქარებოდა, შენი ბარათი რედაქციაში არ წამიკითხავს, ერთობ მეოცა ჩემთან გამოგზავნილი წერილის გახსნა.

შენი ბარათიდან შევიტყვე, რომ მე მიგზავნიდი შენს წერილს, მე მანდობდი მის გარდაკითხვას და დაბეჭდვას.

როგორც ხედავ, შენი ბარათი მივიღე შენი წერილის დაბეჭდვის შემდეგ, ესეც ჩემდა უნებურად მოხდა.

მაშასადამე, მე ბრალს ნუ დამდებ.“ წერდა ნანობაშვილი ალ. ყაზბეგს.

– „მე არავის ვებრძვი. მე თავს ვიცავ. ყველა ადამიანს აქვს თავდაცვის უფლება.“ ამბობს ალ. ყაზბეგი და ყურში ჩაესმის ზოილის ხითხითი: –„ალიარება გინდა?“...

ეს ხომ დევნა იყო... სახელის გატეხა. ყოველივე ამას ალ. ყაზბეგი რაღა თქმა უნდა მტკივნეულად განიცდიდა. სხვაგვარ წამალს საჭიროებდა მისი დანესტრილი სული...

„ლასლასმანი“ და „დროებაში“ დაბეჭდილი ის პროვოკაცია რომ აგონდებოდა, აღმფოთებული იმახდა: –„როცა არ ჰყოფნით საბუთები, მიმართავენ ჭორს, ცილისწამებას, ამით ეწევიან უზნეობის პროპაგანდას. აი, რა მოელის პატიოსან კაცს, თუ ნაძირალებს ქედი არ მოუხარა. ადამიანის აბუჩად აგდებით, ადამიანისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებით თვით არაკაცებს უნდათ კაცად გახდომა... გული მეხუთება, გული, ჰაერი აღარ მყოფნის... ასე მიმიყვანენ სიკვდილის პირას და მერე ვინ იცის!... ესაა საქმე?!...“

„დროების“ გარშემო იმჟამად დიდი ინტრიგა ტრიალებდა: მოღვაწეთა საკმაოდ გავლენიან წრეს მაჩაბლის ჩამოშორება უნდოდა რედაქციისათვის და ალ. ყაზბეგს ემინოდა მისი საქმე ცეცხლზე ნავთის დასხმად არ ქცეულიყო. თუმცა მაჩაბელი ყაზბეგის დიდი გულშემატკივარი იყო, მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის თაყვანისმცემელი, მის ხასიათსა და უიღბლობასაც იცნობდა. ისიც იცოდა, რომ უსინდისო მოწინააღმდეგეები ჰყავდა და არავინ არაფერს დაუთმობდა: „იმისი რკინის ხასიათი შეუპოვრად ებრძვის მწარე ბედს!“ „როგორც რედაქტორს, ათას ზოილს, ერთი ყაზბეგი ეჩივნა, მაგრამ ხელწამოსაკრავი არც ზოილი იყო, მით უფრო, რომ გვერდით კარგა მოზრდილი რაზმი ეგულეობდა.“ ეს იყო მიზეზი, რომ ზოილი ილია ჭავჭავაძეს არ შეეპუა და სასტიკი ომი გაუჩადა და აბა, სხვას ვიღას შეუშინდებოდა.

„ყაზბეგს მიხვევ–მოხვევა და რევერანსები არ უყვარდა! რაც გულში ჰქონდა, ენაზეც ის ეკერა. ბევრი ვინმე მოიმდურა! „ვისრამიანის“ ლექსიკონის კრიტიკით ილიასაც გული ატკინა და პეტრე უმიკაშვილიც გააბრაზა. „ვეფხისტყაოსნის“ გამოაკაკი გადაიკიდა! ავიწყდებოდა, რომ ჩვენში ენამწარე ქრონიკიორს უფრო ერიდებიან, ვიდრე მწერალს! ბათუმშიც ნახეს და ეოცათ: ჩვეულებრივი ქართველი კაცი ჩოხით და ნაზდის ქუდით სცენაზე ხანჯლებით დახტის, მიდი და დააჯერე ვინმე იმის გენიოსობაში! ჩვენ ჯერ ამდენი კულტურა და გაგება სად გვაქვს! მორალის ფანატიკოსია! შეძლია დანაშაული ჩაიდინოს, მაგრამ ამაში ერთი ბეწო პირადული არ იქნება.“ (ცაიშვილი, 1984, 90).

პრესის მოვალეობაა საზოგადოებას სიმართლე გააგებინოს!...

ალ. ყაზბეგმა თხოვნით მიმართა რედაქციას, გამოერკვიათ ვის ეკუთვნოდა მისი შეურაცხმყოფელი „შენიშვნა“.

მომდევნო ნომერში ამის პასუხად დაიბეჭდა „წერილი რედაქტორთან“:

„დროების“ 137-ე ნომერში დაბეჭდილი იყო ბ. მოჩხუბარიძის წერილი, რედაქციისაგან საკუთარი შენიშვნის წამმღვარებით. ბ. მოჩხუბარიძე მას შემდეგ მიჩუმდა, აღარც ავად ამოუღია ხმა და აღარც კარგად. ეხლა, როდესაც ბ. მოჩხუბარიძე თავისი არტისტული მოგზაურობიდან დაბრუნდა, ამ საქმის განახლება სწადიან და

ითხოვს, თავი იჩინოს რედაქციის იმ წევრმა, რომლის კალამსაც ის შენიშვნა ეკუთვნის.

ბ. მოჩუბარიძის სურვილი ახირებულად მიმაჩნია, მაგრამ მაინც ვასრულებ მის წადილს და ვაცხადებ, რომ ის შენიშვნა საკუთრად მე მეკუთვნის და მის დაწერაში არც არავინ წამქეზებელი, არც მომხმარებელი არა მყოლია. დავით კეზელი.“

ამ აღიარებამ შეაცბუნა ქართველი საზოგადოება: „ნუთუ შესაძლებელია თანამშრომელმა ეს იკადროს, თავისთავს უფლება მისცეს, მთელი რედაქციის სახელით გალანძლოს დვაწლმოსილი ადამიანი, ისიც სარედაქციო კოლეგიის წევრი?!“

ხმა გავრცელდა, რომ უახლოეს ნომერში გამოქვეყნდებოდა ალექსანდრე ყაზბეგის სასტიკი პასუხი. შეშინებულმა კეზელმა და მისმა მეგობრებმა ყაზბეგს შუაკაცები მიუგზავნეს თხოვნით, არ გამოექვეყნებინა პასუხი.

ალ. ყაზბეგი მიუხედავად დაუმსახურებელი ლანძღვისა და დამცირებისა, პასუხის გამოქვეყნებისაგან მაინც თავს იკავებდა. არც ის უნდოდა, „დროება“ გაეხვია კინკლაობაში. გადაწყვიტა, კეზელისა და ლასლასმანის მთელი ამბავი ცალკე წიგნად გამოეცა სათაურით „ყველაფერი ამკარად“.

წინასიტყვაობაში ამბობდა:

„ლიტერატურაში სახელი ჩემთვის მეტად ძვირფასი რამაა, ამისთვის იძულებული ვარ, იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც შევწირე მთელი ჩემი დრო, მოსვენება, ცოდნა, სახელი და სარჩო–საბადებელი, იმათ თვალში მაინც, ვისაც ჩემი ცხოვრება ეძვირფასება. იქნებ ზოგმა ეს მეტისმეტ თავმოყვარეობად ჩამითვალოს, მაგრამ ეს გრძნობაც არ უნდა იყოს გასაკიცხი, რადგანაც კაცს, რომელსაც ყველაფერი დაუთმია, ყოველგვარის პირადის სარგებლობისათვის ზურგი შეუქცევია, სახელი მაინც დარჩეს წმინდა.

მივატოვე ყველაფერი და მწერლობა დავიწყე. ლიტერატურული შრომა ჩვენში არავითარ სასყიდელს არ აძლევს ავტორს, მაშასადამე, ამგვარის შრომისათვის, რაკი მატერიალურ სარგებლობას არ ელის, მწერალს სხვა, უფრო მაღალი ინტერესი უნდა ამოდრავებდეს.

დღეს ჩემს სახელს შეურაცხყოფა მიაყენეს, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ამას ფაქტები დაგვანახვენს, იძულებული ვარ, ჩემი პასუხი ცალკე ბროშურად გამოვცე.

დღეს მე გაჩუმების ნება არ მაქვს!“ (ყაზბეგი, 1950, 77).

„დროების“ შეურაცხყოფა ჩემს პირად შეურაცხყოფად მიმაჩნია. მთელმა საქართველომ იცის, რომ „დროების“ სტატიებს ჩავაწყალე ჩემი თვალის სინათლე, ეს გაზეთი შეიქმნა ჩემი არსების ნაწილი...“

კეზელსა და მის მეგობრებს თავზარი დასცა სამარცხვინო ამბების გამოაშკარავების შიშმა. სხვა გზა აღარ იყო: კეზელს „დროება“ უნდა დაეტოვებინა და მაშინვე გამოქვეყნდა მისი „წერილი რედაქციისადმი“, სადაც გაზეთთან თანამშრომლობაზე უარს ამბობდა.

საქმე ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ კეზელის მეგობრებმა ხმა გაავრცელეს, თითქოს, ის ყაზბეგის ინტრიგების მსხვერპლი გამხდარიყოს, თან ერთმანეთზე უარესი ცილისწამების გავრცელება დაიწყეს მათ ურთიერთობაზე და რაღა თქმა უნდა თავად ყაზბეგზე.

ამან ალექსანდრე ყაზბეგი აიძულა მამხილებელი პასუხი დაებეჭდა „დროებაში“.

„სხვადასხვა ხმების გავრცელება მე და კეზელის შესახებ, მაიძულებს თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვავაშკარაო ამ ხმების გავრცელების უსაფუძვლობა.

ბ. კეზელმა რედაქციის სახელით ისეთი სისაძაგლე ჩაიდინა, რომ ნება–უნებლივ მისი ავტორის სახელის გამოცხადება საჭიროდ დავინახე. ამის გამო „დროებაში“ დავაბეჭდვინე ბ. კეზელს, რომ ხსენებული წერილი ეკუთვნოდა მის კალამს, რომ მის დაწერაში ბ. კეზელის მეტს არავის მონაწილეობა არ მიუღია.

მე ვფიქრობ, რომ თვით ავტორისაგან სახელის გამოცხადება სრულიად საკმარისი იქნებოდა და სიბრაღული კი ნებას არ მამლევდა „დროების“ თანამშრომლის სამარცხვინო მოქმედება საქვეყნოდ მომეტებულად გამომეაშკარავებინა.“

კეზელმა ბრალი დასდო; – „თბილისელ სემინარისტებს და ლაქიებს ალ. ყაზბეგი ლესინგსა და ბელინსკიზე მაღლა აყენებსო.“

–„მითქვამს და გიმეორებთ,– პასუხობს ყაზბეგი,– რომ თქვენს და პირადად თქვენს, ბ. დავით სოსლან, დაფასებაზედ, იმათ მალლა ვაყენებ, მალლა ვაყენებ იმიტომ, რომ ისინი, რასაც გრძნობენ, პირდაპირ გამოთქვამენ, მოეწონებათ – გულწრფელად იცინიან და სიამოვნებენ, თუ არადა, უკმაყოფილებესაც პირდაპირ გამოთქვამენ.“

ულმობელია ეს წერილები! თუმცა ამ პასუხმა ერთიორად გაზარდა აღ. ყაზბეგის პოპულარობა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემელთა რიცხვი. „დროება“ გამოცოცხლდა. აჟრიაშულდა რედაქცია და სტამბა. წიგნის მაღაზიებთან რიგები ჩამწკრივდა. გაზეთის მორიგ ნომრებს ელოდნენ, ხელიდან ხელში გადადიოდა, გაისმოდა „გოჩა“, „ონისე“, „მიძია“, „გუგუა“...

ზეიმობდა ყაზბეგი!..

ლიტერატურულ–თეატრალური ცხოვრების გარდა ყაზბეგს სხვა ცხოვრება არ გააჩნდა, თუმცა, ზოგჯერ იგი იძულებული იყო კუთხეში მიყენებული, დატუქსული ბავშვივით სისულელური ცილისწამებისაგან თავი ემართლებინა: –„თქვენ დაგაფრთხოთ ჩემმა მოთხრობების რიცხვმა, როგორც ერთხელ თბილისში ჩემი ჩამოსვლისას დრამატული კომიტეტი დააფრთხო ჩემი პიესების რიცხვმა... რა ვუყოთ? ეგეთი ხასიათი მაქვს, როცა ჩავუჯდები წერას, თავს ვეღარ ვანებებ–ხოლმე და ამიტომ იწერება ამდენი, მუშაობის დროს ერთხელ არ მომივა თავში, ამა და ამ ადგილას შამფანსკსა სმენ და ეგებ მეც დავესწრო. ამა და ამ დროს, ამა და ამ პირს გაცინება ესაჭიროება და ეგების სანაკვესო რამ ჩავუტანო. რატომ ვწერ ამდენს? ბევრი მინახავს და გამომიცდია. ბევრი სალაპარაკო მაქვს ხალხთან, მომავალთან...“

და ეს იყო ტრაგედია. იცოდა, რომ ამის მიზეზი იყო ჩვენი საზოგადო სისუსტე, გონივრულ–საზოგადოებრივი ცხოვრების მოუმწიფებლობა, მწერლობის სიდარბე, მკითხველის სიმცირე, ნივთიერი დაბრკოლება, ინტელექტუალური კრიტიკის უქონლობა. ჩვენი ერის მცირერიცხოვნება, რომელიც ყოველგვარს ჩვენს აღმაფრენას ფრთებს ჰკვეცს და შემოქმედი სასოწარკვეთამდე მიჰყავს...

მიუხედავად მცირე წარმატებისა, ვითარება საზიანოდ იცვლება. ინტელიგენცია ორ ნაწილად იყოფა: ერთი ცდილობდა „დროება“ ივანე მაჩაბელს შეენარჩუნებინა,

მეორე– მის ჩამოშორებას ლამობდა. ყაზბეგს არ სურდა „პარტიოზაში“ მიეღო მონაწილეობა, ამიტომ მიტოვებულივით რჩებოდა.

გულში მაინც მაჩაბელს თანაუგრძნობდა, რომელიც ყოველთვის მისი მფარველი, დამფასებელი იყო და რომელმაც მისი უსაფუძვლო გალანძღვისთვის ხონელი რედაქციიდან დაითხოვა.

იცოდა, შეუცდომელი რომ არ იყო, იცოდა საკუთარი ესთეტიკური კრედო, ჰქონდა საკუთარი ლიტერატურული პრინციპები, შეეძლო მათი დაცვა და კიდევ იცავდა! გავა დრო და იტყვიან, როგორ ესმოდა ეს პრინციპები და როგორ იცავდა. „სულიერ მოძრაობას თავი დაანებეთ და მიბაძეთ საფრანგეთის გამოჩენილ მწერალ ზოლასო, რომელმაც ათჯერ აღწერა ერთი და იგივე პარიჟიო. ზოლამ კი არ აღწერა ათგვარად პარიჟი– ეს სრულიად უკანონობა, ჭეშმარიტებისა სიმართლის დაღვევა იქნებოდა, არამედ ზოლამ აღწერა ის გუნება სულიერის მდგომარეობისაგან აღძრული... რომელსაც პარიჟიც სხვადასხვაგვარად ეჩვენებოდა, ამ აღწერაში ზოლა თავის ქეიფს კი ვერ აჰყვებოდა, არამედ სრულიად უნდა დამორჩილებულიყო მისგან გამოყვანილი გმირის სულიერ მოძრაობას. რამდენადაც მისი მოძრაობის სინამდვილეს დაუახლოვდებოდა, იმდენად მოთხრობას მეტი ღირსება მიეცემოდა. სახე, ხმა, ენა, საქციელი გმირს ეცვლებოდა ვითარების მიხედვით.“(თუმანიშვილი, 1956, 119–121).

მიაჩნდა, რომ ნაწარმოებში ტენდენცია აუცილებლად უნდა ჩანდეს. არ სწამდა იმათი ნაწერი, ვინც აზრის გაუტარებლად უსულო სურათს ხატავდა, მაგრამ არც გადამლაშება ვარგა.

„არ შეეძლო კალმის ხელში აღების მაგივრად სხვისი კოვზით სხვისი ქოთნიდან სხვისი ლობიო ელოკა.“

–„შეცდომები მექნება. სადაა დრო, ჩავუფიქრდე ნაწერების გეგმას, სამჯერ–ოთხჯერ გადავწერო და ჩავასწორო, ვიზრუნო მხატვრულ სიტურფეზე, ტექნიკურ სიკეთეზე, ეს ჩემი პირადი ნაკლი არ არის, ეს ჩვენი უბედურებაა.

მიჩვენეთ, დამისაბუთეთ შეცდომები.“ მაგრამ ამის ნაცვლად დასცინოდნენ: „წერის სიადვილე მოჩხუბარიძის ხელობააო“,

–„არ ესმით, რომ თხზულების შექმნა არასოდეს იოლი არაა!



თქვენ შეგიფარებიათ თავი ძლიერთა ფრთებქვეშ, შეჩვევიხართ სითბოს, ფუფუნებას და იქიდან აბუჩად მიგდებთ: გაამართლებს თუ არა მოჩხუბარიძე ამ იმედებს, ეს მისგან არის დამოკიდებულიო. ვერ გავამართლე? საკმარისი არ არის? თუ ვერ გავამართლე, მხოლოდ ჩემი ბრალი იქნება?!

ვიცი, მე იმისთვის არ ვწერ, რომ უკვდავების სახელი დავიმკვიდრო, მე მიყვარს ჩემი ხალხი და ყოველი კაცის მოვალეობათა ვთვლი, ემსახუროს თავის ხალხს იმით, რითაც შეუძლიან... მე ვნახე, რომ ჩვენს ხალხს აკლდა მოთხოვნიანი ჩვენის ცხოვრებიდან, რომ მთიელთ მხარეს თითქმის ქართველებადაც არ თვლიდნენ და ვცადე გამეცნო ეს ხალხი ქართველებისათვის... ეს იყო ჩემი წადილი, ამას წარმოადგენდა მთელი რიგი ელგუჯებისა, ბერდიებისა და სხვათა.“

ლექსი ალესილ დაშნად აქცია. აქ მტრებს არავითარი წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ:

„რას ლობე–ყორეს ედებით  
რას მიზამს თქვენი შარია?  
რწმუნება სალზედ მაგარი  
ჩემი დაშნა და ფარია!  
მე ელმეცრობა არ ვიცი,  
სწორედ სცემს ჩემი ზარია,  
ტკბილზედ ვიძახი–ტკბილია–  
მწარეზედ–შესაზარია!  
მე ვერ გამომცვლის, რაც უნდა,  
ძალზე დამქროლოს ქარმაო,  
ვერც ქედი მომახრევინოს  
აწმყო ცხოვრება მწარმაო,  
ვერცა წამლეკოს ზეციდან  
მომნდევმა ნიაღვარმაო.  
ვერც ლაჩრად უკუმაქციოს  
სულმთლად დუნისი ჯარმაო!  
მე ჩემსა გზასა ვადგევარ

და ვლენჯავ ჩემსა კალოსა,  
საქმის დროს დაულალავი,  
არ ვემსგავსები ნალოსა.“

კრიტიკულ წერილში გამოთქმულ აზრებს პოეტურ სტრიქონებშიც  
გამოხატავდა, რომელიც სწრაფად აღწევდა და სწვდებოდა მკითხველის გულს.

„სადაც მივსულვარ, ძალ–ღონე  
ვისთვისაც შემომლევია,—  
იმისგან სავსე ფიალა  
ნაღველი დამილევია.  
ბეითალმანი დავდივარ,  
დღე ღამედ ჩამბნელებია!  
დავსუსტდი, ღონე მომაკლდა,  
სიცოცხლე გამჭირვებია,  
ამ ტიალ წუთისოფელში  
ერთხელ არ გამხარებია.“

ლექსს ხელს აწერს : „მოსისინეებისაგან განაწამები კაცი.“

გული ბორგავს, უკიდურესობათა შორის წყდომით იფლითება, ხან  
სასოწარკვეთა ისადგურებს, ხან იმედი იელვებს.

„ბეჩაო, ბეჩავ–ობოლო,  
ველარ გადურჩე შარსაო,  
მაგდენი ერთად შეყრილან,  
ცხვირით გადენენ ძმარსაო.  
ობოლო, გულითობოლო,  
სადა ხარ გაჩენილია?  
შემიბრალებით ბეჩავო,  
სიპ ქვაზე დარჩენილია.“

იქვე:

ლექსი „მოდავეს“

„ამაოდ რასმე პირქუმობ,

ამაოდ მწამებ ცილსაო,  
ტყუილად დაიჭიფხები,  
ფხიზელს ვერ მომგვრი ძილსაო!  
ნეტავ რა უნდა წამართვა  
დიდის მყინვარის შვილსაო,  
რასაც მთა აძლევს მემკვიდრეს,  
იქ ვინ ჩაგიდებს წილსაო?!  
მთა ბუნებითვე ზემოთ ცას  
სიმადლით შაერთებია,  
შენ კი ჭაობში ჩაფლულხარ  
და ტლაპო გაგდმერთებია...  
მე გრძნობას ვემორჩილები,  
იმას ვლოცულობ მარადის...  
ნუ დამიღონდი! ჯერ კიდევ  
ბევრს ნახამ ჩემსა ნაშრომსა,  
ნახული აგაბაბანებს  
ბოროტს, შხამიანს, ქვემძრომსა.  
სულით სუსტს, გულით მურტალსა,  
გაბრაზებს სხვისი სიკეთე?  
მეც სწორედ ამაღ ვმუშაობ  
და ამაღ შემოგიკეთე!“

ათქმევინეს და ისიც ამბობდა. თავი ხომ უნდა დაეცვა ყველა მათგანისაგან, ვინც მის დაგესვლას, დაჩაგვრას, დამხობასა და განადგურებას ცდილობდა. ის სხვებს არ ჰგავდა, რომ მუშტი-კრივი გაემართა და არც აკადრებდა ამას თავის თავს, ამიტომ, როგორც შეეძლო ისე სცემდა პასუხს მისი დიდებით გამწარებულ-გაბოროტებულებს.

## თავი IV.

### ალექსანდრე ყაზბეგი და ქართული თეატრის მოღვაწენი

XIX საუკუნის დამდეგი ქართველი ერის ცხოვრებაში გარდატეხის პერიოდია. რუსეთმა საქართველოს ჩამოაშორა მისი ისტორიული მტრები – ირანი და თურქი დამპყრობლები. ხალხს საშუალება მიეცა, აღედგინა თავისი დანგრეული კულტურის კერებიც. გიორგი ერისთავის თეატრი ამის ნათელი დადასტურებაა. თუმცა, ხუთი წლის შემდეგ, გიორგი ერისთავის თეატრი დაიშალა. მომავალმა თაობამ დიდი წინაპრის გზა განაგრძეს და შეუდგნენ თეატრის აღდგენას. ქართულ პრესაში განუწყვეტლივ ისმოდა მუდმივი პროფესიული დასის დაარსების აუცილებლობა. ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ წერდა:

–„ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართული სიტყვის მიხვრა–მოხვრა, ის სიმდიდრე ქართული სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას წარმოადგენს, რადგანაც ჩვენი ჩვენი ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება. ამისთანა სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ქართული სამუდამო სცენა, სწორედ ცის ნამია დამჭკნარი ყვავილებისათვის.“

ამ მოწოდებიდან შვიდი თვის შემდეგ, 1879 წლის 1 სექტემბერს დედაქალაქში პროფესიული დასი შეუდგა მუშაობას. აქ ისეთმა არაჩვეულებრივმა მსახიობებმა დაიწყეს მუშაობა, როგორებიც იყვნენ: ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი და მათ მალე შეუერთდა ლადო მესხიშვილი.

თეატრმა, როგორც ბელეტრისტი, თავისთან ალექსანდრე ყაზბეგიც გააერთიანა. იგი მრავალი პიესის ავტორია. ამ თეატრს მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდა, როგორც მსახიობიც და მაყურებელს არაჩვეულებრივი ცეკვით ხიბლავდა და აჯადოებდა.

მას თეატრში მუშაობის პერიოდში მრავალი მწარე და დაუნდობელი სიტყვა მოუსმენია, როგორც პიესების ავტორს და როგორც მსახიობს. ამის გამო გულნაკლულს უთქვამს:

„დამეხსენ, თორემ მეც დაგკრამ,  
გიმიწყდა მოთმინებაო.  
ჩემი დაკრული, ცას ვფიცავ,  
დაკრულსა ეგვანებაო.“

ასევე, ბევრი დაცინვა, ბევრი მწარე სიტყვა მოუსმენია და წაუკითხავს ალექსანდრე ყაზბეგს, ბევრჯერ შებრძოლებია კრიტიკოსებს და უთქვამს:

„დავსუსტდი, ღონე მომაკლდა,  
სიცოცხლე გამჭირვებია,  
ამ ტიალ წუთისოფელში  
ერთხელ არ გამხარებია.“

მიუხედავად ამისა, ალ. ყაზბეგი გრძნობდა, რა შეეძლო, რეალურად აფასებდა თავის შესაძლებლობებს, დედისადმი მიწერილ პირველ წერილში ვკითხულობთ მრავლისმთქმელ ფრაზას: „და შემოვალ საქართველოს კარებში დიდებით“... იგი გრძნობდა თავის ძალას. დიდება, როგორც ბელეტრისტს, წილად ხვდა, როგორც დრამატურგსა და მსახიობს – იმედი არ გაუმართლა. დიდების ნაცვლად, ბევრჯერ გაუმწარებიათ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბევრი ქებით მოიხსენიებდა, როგორც დრამატურგს.

ალ. ყაზბეგი ბავშვობიდანვე თეატრის დიდი მოყვარული იყო, დრამატურგიაშიც ვარიშობდა. 14 წლისამ ავტობიოგრაფიული ხასიათის პიესა „აღმზრდელები“ დაწერა. მოსკოვში თარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და გრიბოედოვის – „ვაი ჭკუისაგან.“

„ავტობიოგრაფიულ ცნობებში“ ალ. ყაზბეგი წერს: – „1874 წელს მე ვიყავი თბილისში, სადაც გახშირებული ლაპარაკი იყო რეპერტუარის უქონლობის გამო... მე წავედი შინა და შევუდექე პიესების წერას, თარგმნას და გადმოკეთებას. მოკლე ხანში შევადგინე ოცდაერთი პიესა და თბილისისაკენ გამოვწიე და რწმუნებულმა, რომ ქართულ თეატრზე მზრუნველი საზოგადოება სიამოვნებით მიიღებს ჩვენს შრომას.“ (ყაზბეგი, 1850, 185–186).

ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ქართული თეატრის ერთ-ერთი მესვეური – გიორგი თუმანიშვილი: – „ყაზბეგს მე გავეცანი 1879 წელს შემდეგ

განსაკუთრებულ მდგომარეობაში. ამ წელს საქართველოს ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ღირსშესანიშნავ მოვლენას; ჩამოყალიბდა მუდმივი ქართული დრამატული დასი... რეპერტუარი კი, შეიძლება ითქვას, სრულებით არ იყო. ერისთავისა და ანტონოვის პიესებმა ყველას საკმაოდ მოაბეზრა თავი, ახლები კი თითზე ჩამოსათვლელი იყო... სწორედ ამ მომენტში დ. გ. ერისთავმა (დრამა „სამშობლოს“ ავტორმა) ახლად ჩამოყალიბებულ არტისტების ამხანაგობას აუწყა მეტად სენსაციური ახალი ამბავი. მან, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, გამონახა პროვიდენციალური არსება, რომელსაც შეეძლებოდა ქართული თეატრის გადარჩენა. ამასთან მან დაასახელა მანამდის ყველასათვის უცნობი ალ. ყაზბეგი, რომელიც, თუ არ ვცდები, ის იყო დაბრუნდა პეტერბურგიდან.

ყაზბეგს, როგორც გადმოსცემდა დავით ერისთავი, ჰქონდა 25-მდე თარგმნილი პიესა ქართულ ენაზე. გავიგე რა ამის შესახებ, მე, რომელიც მეტად გატაცებული ვიყავი ქართული თეატრით, გაშმაგებით დაუწყე ძებნა მოგზავნილ კეთილმომქმედს. ბევრი ძებნის შემდეგ კეთილმომქმედი ნახული იქნა რომელიღაც ნომრებში ჩუღურეთში (თუ არა ვცდები, ახლანდელ კომერციულ შენობაში). ეს იყო გამხდარი და ფერმიხდილი ახალგაზრდა, მაგრამ მეტად სიმპათიური და ლამაზი ფიზიონომითაც კი. მან განაცხადა, რომ მართლაც ბევრი თარგმნა, არც კი ახსოვს, სახელდობრ რამდენი, მაგრამ მას ყველაფერი უწესრიგოთ აქვს. ამასთან მან გამოთქვა თავისი მზადყოფნა, გასამრჯელოს გარშე ემსახუროს ქართულ თეატრს, რითაც კი შეუძლიან და ამხანაგობას სრულ განკარგულებაში გადასცა ხუთმომქმედებიანი დრამა „ცხოვრების მეგობარი“. ეს პიესა მანამდის მე ნახული მქონდა რუსულ სცენაზე, ვთვლიდი მას შინაარსის მიხედვით სავსებით შესაბამისად ქართული ცხოვრებისათვის და აღტაცებული ვიყავი, როდესაც მივიღე დიდი რვეული, სუფთად დაწერილი თვით ყაზბეგის მიერ. მე შევპირდი, მიმეცა ის გადასაწერად და დამებრუნებინა ორი-სამი დღის შემდეგ. თარგმანში გვხვდებოდა ზოგიერთი რუსიციზმი... რამდენიმე თვის შემდეგ მე თეატრს ჩამოვშორდი, მაგრამ მაცურებლის როლში მიხდებოდა თვალყური მედევნებინა ყაზბეგის აქტიური მოღვაწეობისათვის ახლად შექმნილ ქართულ სცენაზე.

ქართულმა რეპერტუარმა მისგან სერიოზული დახმარება მიიღო. ის კიდეც თარგმნიდა, კიდეც გადმოაკეთებდა და კიდეც წერდა ორიგინალურ პიესებს.“ (თუმანიშვილი, 1956, 119–121).

უნდა ითქვას, რომ თეატრის მოღვაწენი სიხარულით შეხვდნენ ალ. ყაზბეგს, როგორც დრამატურგს. ამ დროისათვის, მას ჯერ კიდეც არ გამოექვეყნებინა თავისი ნაწარმოებები. ბევრს ვერ წარმოედგინა, რომ განებივრებულ ჭაბუკს უნარი შესწევდა დაეწერა ასეთი შესანიშნავი დრამები.

ვასო აბაშიძე და მაკო საფაროვა პიესას ეძებდნენ. ვასომ გაიცნო ალექსანდრე და სახლში მიიპატიჟა. ამ ამბავს მაკო ასე გადმოგვცემს:

–„რადაც ავადმყოფობა დამერთო და ხანგრძლივათაც ვიწექი. ერთხელ ჩემმა ქმარმა ერთი ყმაწვილი კაცი თავზე დამაყენა და გამაცნო.

–ეს არის სანდრო ყაზბეგი, რომელსაც ქართულ თეატრში, ჩვენთან ერთად უნდა მუშაობა. აბა, შენ იცი, როგორ შენებურად შეუწყობ ხელსა.

მე ცოტა არ იყოს ავიმრიზე, –ლოგინში მწოლიარეს ასეთი ფრანტი თავზე რად დამაყენა მეთქი. როცა შევხედე, გარეგნობა განსვენებულს ისეთი ჰქონდა, სილამაზით იმ დროს ჩვენს დასში ვერავინ შეედრებოდა, ტანადი, დიდრონი, მომცინარი, ჟუჟუნა თვალები, მშვენიერი ტუჩები, ჩაცმული ხომ ისე იყო, რომ ჩვენს ღარიბ სცენას იმ ხანებში არ ჰყოლია ისეთი მორთული არტისტი.“ (საფაროვი–აბაშიძე, 1947, №5, 127–128).

ცოლ–ქმარს (ვასო აბაშიძეს და მაკო საფაროვას) პიესა („ერთი უბედურთაგანი“) ძალიან მოეწონათ. პიესის დადგმა გადაწყვიტეს. ადმინისტრაციას ნებართვა სთხოვეს. თეატრის წარმომადგენლები მაინცადამაინც აღტაცებით არ მიეგებნენ ამ არჩევანს.

იმავე ამბავს ალ. ყაზბეგი ასე გადმოგვცემს: –„დაიწყო მისი კითხვა და გარჩევა. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რასა შვრებოდნენ... მისი აღწერა და გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია კალმით. პირველ საღამოს რვა საათიდან სწორედ ღამის პირველ საათამდე მაწამეს და მხოლოდ პირველი მოქმედების წაკითხვა მოასწრეს. რჩებოდა კიდეც ოთხი მოქმედება, ოთხჯერ წამება შეუბრალებლის, უგულო ხალხისაგან. მეორე მოქმედების გარჩევა გადასდეს მეორე დღისათვის... წარმოიდგინეთ, რომ

პიესიდან მეორე მოქმედება სრულიად ამოაგდეს. გესმით? სრულიად ამოაგდეს და მით მოსპეს პირველსა და მესამე მოქმედებას შორის ყოველივე კავშირი. იქამდის მიმიყვანეს თავიანთი ახირებით და გამოკიდებით, რომ მათთან ლაპარაკიც აღარ მინდოდა და მსხვერპლად მივეც მშობელმან ჩემი ნაშობი, ოღონდაც კი ჩქარა, როგორც იყო მალე გათავებულიყო ამგვარი წამება...” აქედან ცხადი ხდება, როგორ დამამცირებელ და მძიმე პირობებში უწევდა ალ. ყაზბეგს მუშაობა. თუმცა იგი მიუხედავად ყველაფრისა ყველანაირად ცდილობდა, აეცილებინა თავიდან კონფლიქტი, რაც ერთი შეხედვით შეუძლებელი იყო, მაგრამ ალ. ყაზბეგი ამასაც წარმატებით ართმევდა თავს. და არამხოლოდ ცხოვრებაში, იგი ამას შემოქმედებაშიც კარგად ახერხებდა.

#### ა) კონფლიქტი ალექსანდრე ყაზბეგის

##### ცხოვრებასა და შემოქმედებაში

კონფლიქტი არსებობს ცხოვრებაში, საზოგადოებაში, როგორც რეალობა, იგი დამახასიათებელია ეპოქისათვის, ამ ეპოქის ადამიანებისა და მათი ურთიერთობებისათვის. ის გაჩნდა ადამიანების ურთიერთობაში ადამიანებთან, საზოგადოებრივ მოვლენებთან, საკუთარ თავთან. მეორეს მხრივ, ნაწარმოებში ის მკაცრ, ლოგიკურ ურთიერთობაშია სახეებთან, ზუსტად შეესატყვისება სახეთა განვითარების შინაგან კანონზომიერებას.

ცხადია, ყოველგვარ ურთიერთობას არ შეიძლება ეწოდის კონფლიქტი. იგი ჩნდება იქ, სადაც იქყება ბრძოლა, წინააღმდეგობა, შეჯახება ხასიათებს შორის, როცა ვლინდება საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანთა სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება, როცა წინააღმდეგობაში მოდიან ადამიანთ საარსებო,



სასიცოცხლო, ერთი სიტყვით, ისეთი ინტერესები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ბედზე, ყოფაზე, მდგომარეობაზე.

კონფლიქტის საგნის არსებობა ალ. ყაზბეგთან მუდამ ნიშნავს ამ საგანთან ადამიანების დამოკიდებულების აუცილებლობას, ამ დამოკიდებულების მეტ-ნაკლებად პრინციპულ განსხვავებას, რაც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთობის სიმწვავესა და მის შედეგს.

მწერლისათვის არსებობს კონფლიქტი ადამიანისა თავის თავთან. ეს ერთ-ერთი საინტერესო, რთული და ლიტერატურის ისტორიაში ფართოდ ცნობილი სახეა კონფლიქტისა. როცა ადამიანი გრძნობს, ფიქრობს, რომ მისი დამოკიდებულება მოვლენებისადმი ცალმხრივია, მცდარია, ან შეიძლება ასეთი იყოს, როცა ის ცდილობს შეცვალოს ეს დამოკიდებულება, ჰყოფნის ძალა და ენერჯია და იმარჯვებს, ან მარცხდება თვით მოვლენების გამო და საკუთარი სისუსტის ან მარტოობის გამოც, იქმნება კონფლიქტი, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ეწოდოს კონფლიქტი ადამიანისა თავის თავთან.

ასეთია მაგალითად, ბრძოლა სინდისისა და სიყვარულისა, ნათესაობისა და მოვალეობისა, ეროვნული ტრადიციისა და ამ ტრადიციის სიყალბის შეგნებისა პიროვნებაში, ინდივიდში.

ასეთი კონფლიქტის საფუძველი შეიძლება იყოს გაუგებრობაც, ან შემთხვევა. ძველი ბერძნები მას ხშირად უწოდებდნენ ბედს. ერთ ადამიანში თავს იყრის ჰუმანურობისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის საწყისები. მოხდა ეს შემთხვევით, თუ ასეთი იყო ბედისწერა, მაგრამ ამ საწყისების შეხვედრისა და ბრძოლის არენად იქცა ერთი ადამიანი, რომლისთვისაც სულიერი მთლიანობის დაკარგვას მოჰყვა ტრაგედიის დასაწყისი.

რეალიზმის ჩასახვისა და განვითარების ეპოქიდან მოყოლებული დღემდე ეს კონფლიქტი, ადამიანისა თავის თავთან, ხშირად არის სოციალური წინამძღვრებით განპირობებული. სოციალური მოტივები აიძულებენ ადამიანს წავიდეს საკუთარი სინდისის, მოვალეობის, რწმენის, შეხედულების წინააღმდეგ. სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური წინამძღვრებით განპირობებული. სოციალური,

ეკონომიკური და პოლიტიკური წინამძღვრები იჭრებიან ადამიანის ცხოვრებაში, მის არსებაში, არყევენ და აფორიაქებენ მის ხასიათს, მის „მე“-ს.

იქმნება ტრაგედია, რომელსაც მართლაც არა ჰყავს გმირი, რომლის გმირიც ცხოვრებაა– დუხჭირი და მძიმე, რომელიც ადამიანს აკეთებინებს ისეთ რამეს, რაც ეწინააღმდეგება მის მორალურ და გონებრივ პრინციპებს.

მორალური და სოციალური მოტივები უდევს საფუძვლად შინაგან კონფლიქტს.

შინაგანი კონფლიქტის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის გარდაქმნის ჩვენება. ეს გარდაქმნაც ხშირად ღებულობდა შაბლონურ და დაუჯერებელ ხასიათს იმის გამო, რომ ის ხდებოდა უმტკივნეულოდ, შინაგანი დამაბვის, ტკივილების, ბრძოლის გარეშე. მთავარი იყო და არის, არა მხოლოდ სოციალური, პოლიტიკური, მორალური წინამძღვრების შექმნა შინაგანი კონფლიქტისათვის, არამედ ადამიანზე მისი ზემოქმედების, სახეში მათი ასახვისა და გარდატეხის დახატვა, რაც ალ. ყაზბეგმა შესანიშნავად შეძლო.

შეიძლება იმაზე დაკვირვება, თუ რა ძნელია და ამასთანავე რა მომგებიანი, სახეში შინაგანი კონფლიქტის შეტანა და ჩვენება. ფაქტია, რომ ჩვენთვის ცნობილ ბევრ ლიტერატურულ სახეს სწორედ ასეთი კონფლიქტი აძლევს დიდ დრამატულ ძალას და მიძზიდველობას. ამასთანავე, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმასაც, თუ რა წინამძღვრები, როგორი საზოგადოებრივი და საკაცობრიო მნიშვნელობის მოტივები ედება საფუძვლად შინაგანი კონფლიქტის შექმნას სახეში.

წინააღმდეგობა, რომელიც მოვლენების განვითარებას ახასიათებს, ლიტერატურულ კონფლიქტად იქცევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ადამიანთა ხასიათებში აისახება, გატყდება და გამოიწვევს ადამიანთა წინააღმდეგობას, ბრძოლას.

ნაწარმოებში კონფლიქტის არსებობას, მის ხასიათს, სინამდვილიდან მისი წარმოსახვის დროს განსაზღვრავს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. ადამიანისაგან დამოუკიდებელი „რეალური აზრი და ბუნება“ საზოგადოებაში არსებული კონფლიქტისა, რომლის წარმოსახვასაც ალ. ყაზბეგი ისახავდა მიზნად, არის ობიექტური ფაქტორი, ობიექტური წინამძღვარი ნაწარმოებში არსებული კონფლიქტისათვის.

სუბიექტურია, ნაწილობრივ მაინც, როგორც ნაწარმოებში არსებული კონფლიქტი, ისევე მისი ავტორისეული ახსნა, ინტერპრეტაცია. მაგრამ, როგორც ყოველთვის, მწერალი ამ შემთხვევაშიც ცდილობს წაშალოს ზღვარი სუბიექტურსა და ობიექტურს შორის, ე.ი. მიაღწიოს რეალურად არსებული კონფლიქტის ობიექტურ წარმოსახვას და შეფასებას. ხომ შეუძლებელია ყოველი კონფლიქტის, რომელიც სინამდვილეში შეიძლება არსებობდეს, უშუალო განცდა და დაკვირვება. მაგრამ სავსებით შესაძლებელია სინამდვილის განვითარების ინდენად ღრმა ცოდნა მოცემულ ეტაპზე, რომ ლოგიკურად მიხვიდე ამ დროს არსებულ და შესაძლო კონფლიქტების ხასიათის გაგებას. ამავე დროს, ლიტერატურის ტრადიცია ფართოდ იცნობს მეთოდს, – დადებით გმირთან ერთად, მისი უაღრესად რელიეფურად, სრულქმნილად დახატვისათვის აჩვენოს უარყოფითი გმირიც, რომელიც პრინციპში დადებითი გმირის მიხედვითაა შექმნილი.

კონფლიქტის რაობას განსაზღვრავს ადამიანთა სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობა, მისი პოლიტიკური, რელიგიური თუ მორალური მრწამსი – ჩამოყალიბებული მისი ცხოვრებით, ბიოგრაფიით. ადამიანთა რაც უფრო ფართო ჯგუფის, წრის, კლასის ან ბოლოს – მთელი საზოგადოების სოციალური, იდეოლოგიური ინტერესებია გამოხატული კონფლიქტის წარმმართველ სახეებში, რაც უფრო მკვეთრად ეროვნული და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი ხასიათია გამოხატული მათში, მით უფრო მწვავეა არა მარტო თვით კონფლიქტი, არამედ მით უფრო დიდი საზოგადოებრივი, საყოველთაო მნიშვნელობა ენიჭება მას.

დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო იმას, თუ, როგორ ესმის პერსონაჟს მოვლენა, არამედ იმასაც, თუ რა მიზანი და მოტივი ამოქმედებს მას. ამ მხრივ, დამახასიათებელია რწმენა საკუთარი სიმართლისა. ეს რწმენა ადამიანს მოქმედების შინაგან მოტივს აძლევს. ეს რწმენა შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ შექმნილი მდგომარეობიდან. მაშინ მას თუმცა აქვს ძალა, მაგრამ საყრდენს მაინც გარეშე პირობებსა და ფაქტორებში ეძებს. ამ შემთხვევაში სახის მოქმედებას საფუძვლად ედება სიტუაცია, რომელიც ხელსაყრელია პერსონაჟის ხასიათის გასხნისათვის. ყოველივეს თუ გავითვალისწინებთ, არ გაგვიკვირდება ის წარწერები, რაც „განკიცხულის“ შემთხვევაში იყო:

„გაუმარჯოს „განკიცხულს“, გაუმარჯოს მის დამწერს! მრავალჯამიერ! მრავალჯამიერ, ალექსანდრე მიხეილის–ძევ! გთხოვთ, უარი არ მითხრათ – გამაგებინოთ ორი გამოტოვებული თავის შინაარსი, იმედი მაქვს, რომ ნათამის სახელზედან პირდაპირ ჩემს სახელზედ მოვა წერილი, რომელიც დააბოლოებს ამ აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩემზედ და სხვებზედ აქაურებზედ „განკიცხულმა.“

„განკიცხული“ ჭეშმარიტად უმაღლესი ხელოვნების წმინდა ნაწარმოებია, წმინდა ხელოვნებაა.

ღმერთმა ჰქნას, რომ ამისთანა თხზულებები ხშირად ჩნდებოდნენ ჩვენს ლიტერატურაში.

უფალმა გააძლიეროს ყოველი მარჯვენა, რომელიც ესრე ასაჩუქრებს თავის ქვეყანას...“

თითქოს ამ დასაწყისს ელოდაო, სხვა სასიხარულო ამბებიც მოდიოდა.

„მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო ალექსანდე!

1886 წლიდან გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია“. ამისთანა მძიმე ტვირთს მე ვერ ვიტვირთებდი, თუ არა მქონოდა სახეში დახმარება და შემწეობა თქვენისთანა პატივცემულ მოღვაწეთაგან. დარწმუნებული ვარ, ეგ იმედი, რომელმაც ასეთი ძნელი საქმე გამაბედვინა, არ გამიმტყუნდება. თქვენის კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენი რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.“

ალ. ყაზბეგმა რაღა თქმა უნდა დიდი სიხარულით მიიღო ილია ჭავჭავაძის მიწვევა, თუმცა, რატომღაც არც აქ აკლდა გულის გატეხვა უიღბლო შემოქმედს. დიდი გარცევა მოჰყვა მის „ცოლი–მეუღლეს.“ მოკლე წერილი–განმარტება გაუგზავნა გაზეთს, მაგრამ არ დაუბეჭდეს, სამაგიეროდ, ცნობა გაიმეორეს ახალი რეპლიკით: „რატომ უწოდა ავტორმა ამ პიესას „ცოლი–მეუღლე“ და არ აკმარა მარტო უკანასკნელი სახელი?!“

შეურაცხყოფილი კაცი რედაქტორს გაღიზიანებული ტონით სწერს: „თქვენმა პატივცემულმა გაზეთმა „ივერიამ“, ჩემდა გასაოცრად, ჯერ განცხადებით და მერე

ქრონიკით გვაუწყა, რომ არტისტთა დასი ითამაშებს მოჩხუბარიძის კომედიას „ცოლი–მეუღლეს?!“

შემდეგ თქვენსავე გაზეთის რეცენზიის ნაწერმა შესახებ „ცოლი–მეუღლის“ თამაშობის აღწერისამ გამაშტერა.“

წერილს შედეგი არ მოჰყოლია, რედაქციამ არც ამის განმარტება გამოაქვეყნა. მკითხველები თვალს არ უჯერებდნენ: „ნუთუ შესაძლებელია, მწერალზე, მოღვაწეზე, ადამიანზე ასეთი ბილწი პასკვილი გამოქვეყნდეს? ილია ბანკის საქმეებზე პეტერბურგში წასულიყო და ამით ესარგებლათ“ ყაზბეგის მტრებს.

„ყაზბეგს, „ვითომდა არტისტს“ ეძახის, რომელმაც „პრასა–ნიახურის გვირგვინი დაიმსახურა“, „განგებ გამოდის სცენაზე სხვა მწერლებისა და არტისტების დასამცირებლადო.“ საზოგადოებას მოუწოდებს: მიესიეთ, ლაყე კვერცხები დაუშინეთო, ათას ცოდვას სწამებს. მოითხოვს, სამუდამოდ გააგდონ სცენიდან: „ამისთანა არტისტებს ფული კი არ უნდა მისცენ, დამპალი ვაშლებით შეხვდნენ და დამხრჩვალ კატებით აუვსონ სცენა. ამათ იმ ენით უნდა ელაპარაკოთ, რომელიც გაეგებათ!...“ ეს მართლა ზღვარს გადასული უნსგავსობა იყო...

თავად ხონელი სპექტაკლს არ დასწრებია: როგორც გაზეთის წინა ნომრიდან ჩანს, იგი ცნობილი კორესპონდენტის ლასლასმანის და კეზელის ცნობებს ეყრდნობა. მსგავსი სისაძაგლე ქართულ პრესაში მანამდე არ დაბეჭდილა. უკანასკნელ ნაძირალასაც არ აკადრებენ ამას.

ყაზბეგის თაყვანისმცემლები მოთმინებიდან გამოიყვანა ხონელის საქციელმა.

„ხონელი“ ცილს სწამებდა, რედაქცია პასუხს არ უბეჭდავდა. რა ექნა ამგვარად წამებულ კაცს, გაჩუმებულიყო თუ აელო ნასროლი ხელკავი და მიიღოს ბრძოლა, რომელიც მის წინააღმდეგ დაუწყიათ! იქამდე მივიდა, რომ საზოგადოებასთანაც თვითონ ჩიოდა. ეძებდა ცილისმწამებელს...

რედაქტორს ერიდებოდა საჯაროდ გამოეთქვა თავისი აზრი და თანაგრძნობა, მაგრამ დიდი დრო არ გასულა, ხონელი „იძულებული გახდა“ გასცლოდა „ივერიას“. საერთოდ, „კუდი ამოეძუებინა“ ქართული პრესიდან და „ნოვოე ობოზრენიეს“ შეხიზნოდა.

ამ მძიმე სიტუაციაში ნონეშვილმა მოძებნა გულგატეხილი ალ. ყაზბეგი და ჟენევიდან „ივერიაში“ მის სახელზე მიღებული წერილი გადასცა.

„ბატონო ყაზბეგო!

აქ მყოფი ქართველი სტუდენტები გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თითო ეგზემპლარი თქვენი თხზულებებისა, რომელნიც ცალკე წიგნებად არიან გამოსულნი, ჩვენ დარწმუნებულნი გახლავართ, რამდენადაც გიცნობთ, რომ ამ თხოვნაზე უარს არ გვეტყვით, რადგან ჩვენს ლიტერატორებს თქვენ ყველას იცნობთ, სთხოვეთ, რამ წიგნებით შეგვეწიგნენ.

თეოდოტი სახოკია,

ივანე მაჭავარიანი,

სიკო სალარიძე,

ივანე ემილიანოვი.“

ყაზბეგს დიდად აფასებდა ახალგაზრდა თაობა, ხვალინდელი დღე.

იაკობ გოგებაშვილმა ვეღარ შეიკავა აღშფოთება და მთელი ინტელიგენციის სახელით გამოვიდა „ივერიაში“.

–„კითხულობ ყაზბეგს, სტკბებით და ეს ძვირფასი შთაბეჭდილება გეშხამებათ იმით, რომ ბოროტი ენა ჩაგმახის: ესენი უბიწიერესი კაცის დაწერილნი არიანო. ჰო, რატომ არ შეიძლებოდა მოგვეხსენებინა თავდაუქერელი ცხოვრება ყაზბეგისა, მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა გვეჩვენებინა, რამდენად დააზიანა მისი არწივისებური ფრთები ამისთანა თავდაუქერლობამ. რამდენი თიხა გაურია მის ოქროიან ნაწერებში, რამდენი ბავშვური დეფექტი ჩაადენინა მას მოთხრობებში, რომლებიც ასე მდიდარია ემოციებით.

ჩვენ, პირადად, იმდენად საყურადღებოდ მიგვაჩნია აღზრდა, ცხოვრება და მოქმედება ყაზბეგისა, მეტადრე ჩვენის მოზარდითაობისათვის, რომ ახლო მომავალში ვიძღვნი მას ვრცელს ნაშრომს.

...მახსოვს შენი ნათქვამი: მე მინდოდა ბედნიერი ვყოფილიყავი, მაგრამ ამისთვის აუცილებელი იყო, მთელი ჩემი ხალხი ყოფილიყო ბედნიერიო... ისიც კარგად მახსოვს, ერთხელ რომ მითხარი: ღმერთმა დამიფაროს, პირველი ქართველი

ვეფლიყო. ღმერთმა მომასწროს, ყველა ქართველი ჩემზე უკეთესი იყოს, მე მჯობდესო!“

ექვთიმე ხელაძის სტამბაში „მოდღვარის“ თავფურცელი იბეჭდებოდა. მკითხველი გულისბგერით მოელოდა წიგნს.

ილია ჭავჭავაძემაც სთხოვა, დაეწერა ვრცელი ნაწარმოები „ივერიისათვის“, რომელიც, პროზის უქონლობის გამო, სულს დაფავდა.

გულში ჩაიკლა ტანჯვა, შეურაცხყოფა, დაიმორჩილა თავი, ხელი აიღო ყველაფერზე, დაჯდა და ხორცი შეასხა დიდი ხნის ნაფიქრალსა და ნატანჯს.

რალა თქმა უნდა, მაშინვე დაბეჭდა „ივერიამ“.

დასრულდა თუ არა „მოდღვარის“ ბეჭდვა, ანტონ ფურცელაძემ მიიღბინა „ივერიის“ რედაქციაში, ჩაეხუტა ავტორს, თანამშრომლებს, თავადვე ჰყვებოდა, რომ მთელი ღამეები გაუთენებია კითხვაში. იგი გულწრფელად უწოდებდა ალ. ყაზბეგს „პირველ ბერეტრისტს“, „უნიჭიერეს“.

სწორედ მაშინ გამოქვეყნდა „მოდღვარის“ გამო, რომელიც სასიკვდილოდ ნასროლი ისრებით იწყებოდა: „არ იქნა, ვერ დაუწინაურდა „ელგუჯას“ ბ. მოჩხუბარიძე, ვერა, ვერა!... „მამის მკვლელი“, „ელისო“, „მოდღვარი“ და სხვა წვრილმანი სულ უბრალო, ღონემიხდილი, მაჩანჩალა ნაწერებად მიმაჩნია.“ ამიტომ ურჩევდნენ; „ელგუჯას“ შემდეგ რამდენიმე წელს ხელში კალამი არ აეღო?...“

აქ იმდენად აშკარაა კრიტიკოსის განზრახვა და ხერხები, რომ მწერალს შეიძლება გასცინებოდა და თავისი გზა განეგრძო, მაგრამ ყაზბეგმა ისე მძიმედ განიცადა, რომ კინაღამ თან გადაჰყვა ამ ყოვლად გაუმართლებელ, დამამცირებელ წერილს.

ალ. ყაზბეგს „მოდღვარი“ გამორჩეულად უყვარდა. „ჩემი მოდღვარი ხალხისა და ქვეყნისთვის თავგანწირულიაო,— ამბობდა, —მე დავხატე იდეალური მოდღვარი, რომელიც წირვა—ლოცვის დროს მლოცველს ხელეზში არ შეჰყურებს.“

XIX საუკუნის საქართველოში, პოლიტიკური წინამძღოლის არსებობის პირობებში, მწერლობამ საფუძვლიანად შენიშნა, რომ იდეალური მოდღვრის სახის წამოწევა ერის ტრიბუნად გამოდგებოდა. ამიტომ, ამ თემამ, კონცეპტუალური ფუნქცია შეიძინა. აღსანიშნავია, რომ თავისი მომწოდებლური, დამრიგებლური

სულისკვეთებით გაჟღერებული შემოქმედებითა და მოღვაწეობით, ერის სატკივარზე დაულაღავი ზრუნვით, XIX საუკუნის მწერალი თვითონ ასრულებდა მოძღვრის ფუნქციას. მოძღვრის სახეში ზოგჯერ პერსონიფიცირდება თვითონ ავტორი.

მოძღვრის თემისადმი ქართველ კლასიკოსთა ინტერესი გამოწვეულია არა მარტო განმანათლებლური ტენდენციებით, არამედ, პირველ ყოვლისა, ეროვნული იდეის სამსახურით. ალ. ყაზბეგმა მოძღვარში ქართულ სინამდვილეში არსებული მოძღვრის ფენომენის კრებითი სახე-სიმბოლო ჩამოაყალიბა, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც სულიერ მოძღვარს, ასევე ერის წინამძღოლს და აგრეთვე ამ ფუნქციათა გამაერთიანებელს – მწერლის პიროვნებას.

მწერალზე აღმზრდელობით-განმანათლებლური ფუნქციის დაკისრებამ ალ. ყაზბეგი 60-იანელთა ტრადიციების მიმდევრად და ერთგულ მემკვიდრედ აქცია. „ყაზბეგი ადამიანის საიდუმლო გრძნობათა და განცდათა უდიდესი ოსტატია, რამაც იგი ადამიანის სულის მესაიდუმლე მწერალი გახადა. ყაზბეგის ნაწარმოებებში შეიგრძნობა დიდი ჰუმანიზმი, რომელიც მისი შინაგანი ბუნებითაა ნაკარნახევი. ამაშია ყაზბეგის ნაწარმოებების უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.“

ალ. ყაზბეგის „მოძღვარი“ (1885 წ.) მწერლის მიერ შექმნილი ბოლო ნაწარმოებია. სიმონ ჩიქოვანი ყაზბეგის ონოფრეს ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“ გამოყვანილი მოძღვრის მემკვიდრედ თვლიდა. თვით შემოქმედს თავის ნაწარმოებებს შორის „მოძღვარი“ ყველაზე მეტად უყვარდა. „ამ მოთხრობაში ვხატავ იდეალურ მოძღვარს და უმაღლესი მოვალეობის აღსრულების დროს დახლზე არ ფიქრობს. ჩემი მოძღვარი ხალხისა და ქვეყნისათვის თავგანწირულია“, –ამბობს ალ. ყაზბეგი. (ავსაჯანიშვილი, 1988, 314).

ყოველი ნაწარმოები ფასდება ან ხილვის ხასიათით, ან აზრის სიღრმით, ან ვნების სიძლიერით, ან პრობლემის მნიშვნელობითა და სიახლით. ანდა ყველაფრით ერთად, მაგრამ ნაწარმოების შეფასება შეიძლება იმითაც, თუ როგორ პასუხობს ის თავის ამოცანას, როგორ ასრულებს თავის ფუნქციას, არის თუ არა მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც უნდა იყოს, რამდენად სრულქმნილია და დასრულებული თავისთავში. ეს ნაწარმოები სათაურითაც და შინაარსითაც პასუხობს მოძღვრის



თემას. წინაა წამოწეული ცოდვა–მადლის პრობლემა, რაც უშუალოდ შედის მოძღვრის ფუნქციაში.

ალ. ყაზბეგის მოძღვარი გულმოდგინედ იბრძვის თითოეული არსების სიცოცხლისათვის, „ქვეყნის საერთო მშვენიერების“ შენარჩუნების, გაფრთხილებისა და დანდობისათვის: –„მოძღვარს თავის თავი იქამდის მოკრძალებულად ეჭირა, რომ ნების ნებად არც ერთ ცხოველს, არც ერთ ქმნილებას, ბუნებისაგან გაჩენილს, ხელს არ ახლებდა, არ მოუსპობდა სიცოცხლეს და ცოდვადა სთვლიდა ქვეყნის საერთო მშვენიერებისაგან მის გამოკლებას.“ (ყაზბეგი, 1985, 440).

ამ თვალსაზრისით, რაოდენ უფრო მიუტევებელი ცოდვაა ადამიანის სიცოცხლის გაუფრთხილებლობა. ადამიანისა, რომლის სული ამოუწურავი სიმდიდრის სალაროა. ამიტომაც ბუნებრივია ონოფრეს ლტოლვა, გადაარჩინოს, სიცოცხლის სიხარულს დაუბრუნოს განწირულნი. ამიტომ, ნიჩაფმომარჯვებული მიჰკვალავს ცხოვრების ქარბუქიან გზას ყაზბეგის მოძღვარი – ონოფრე, „ჩაჩუმქრულ-მინამქრულებს“ ეძებს, ფეხზე აყენებს, ასულიერებს. მის მთავარ საწუხარს წარმოადგენს: –„რატომ არ ძალმიძს ყველა გავაბედნიერო, ყველას განსაცდელი ავარიდო?“ მოძღვარი, რომელსაც ახასიათებს ასეთი გულწრფელობა, ქრისტიანული სინდისიერება და აღვსილია მოყვასის სიყვარულის წმინდა ალით, არ შეიძლება მისაზამ მაგალითად არ იქცეს თავისი სამწყსოსათვის.

ონოფრემ, მოძღვრის დანიშნულება რომ საუკეთესოდ შეასრულა, ეს მკაფიოდ ჩანს მისსავე სამწყსოს თავშეყრისას უფროსი დეკანოზის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში, რომელიც ონოფრეს გულშემატკივარ ხალხისადმი არის მიმართული: „თქვენა გყვანდათ მოძღვარი, რომელიც თქვენთვის თქვენზედ მეტსა ზრუნავდა, თქვენა გყვანდათ მამა, რომლის მაგალითიც გზას გიშუქებდათ... თქვენა გყვანდათ მოძმე, რომელიც ღვთიურ ჭემმარიტებას გაწვდიდათ... ხალხო, მოიგონეთ, ვისა გტკივებიათ გული და შვება ვის მოუცია... ვინა ყოფილხართ დაჭრილი და განუკურნებიათ, ვინა ყოფილხართ დაცემული სულით და ვის აღუდგენიათ?“ (ყაზბეგი, 1985, 504).

ხალხს სწამს, რომ ასეთი ზნემაღალი პიროვნება არის მოძღვარი ონოფრე. ამდენად, სულიერი კავშირი მრევლსა და ონოფრეს შორის შემდგარია. ამაში ხედავს ყაზბეგი მოძღვრის დანიშნულებასა და უპირველეს მისიას.

გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ მოძღვრის სახეში ზოგადად მწერალს, ან ხელოვანს მოვიაზრებთ, რადგან მათი დანიშნულებაც უშუალოდ სულიერ კავშირში მდგომარეობს, რომელიც მკითხველსა და შემოქმედს შორის უნდა დამყარდეს, რომელსაც უნდა მოჰყვეს სულიერი განწმენდა, კათარზისი.

ჭეშმარიტ შემოქმედზე ისევე მართებულია ითქვას ის, რაც ყაზბეგმა ონოფრეს მიმართ თქვა: „აღჭურვილი რწმუნებით, გამოცდილებით და გონების განათლებით ხალხს ბევრით წინ გასცდენოდა, სჯეროდა, რომ სამართლიანობა ოდესმე თავს იჩენდა, ნათელი ბნელზედ გაიმარჯვებდა.“ (ყაზბეგი, 1985, 496).

ასეთი უკვდავი რწმენის ხალხისათვის ჩანერგვაში ხედავდნენ XIX საუკუნის კლასიკოს-განმანათლებლები მწერლის დანიშნულებას. ალექსანდრე ყაზბეგიც თავისი მრწამსით, შემოქმედებით მათი ერთგული თანამებრძოლი და მიმდევარი იყო.

მხატვრული ნაწარმოები როდია იდეათა შიშველი ბრძოლა, მაგრამ ბრძოლას ადამიანებს შორის, მოვლენათ შორის, რომელიც ნაწარმოებშია ნაჩვენები, საფუძვლად უნდა ედოს ავტორის მხრივ მათი გააზრება. კონფლიქტი არ შეიძლება დაიყვანო კინკლაობამდე, ყოველთვის უნდა მოეძებნოს არა მარტო გამართლება გარე პირობებით მოცემულ მომენტში, არამედ, და რაც ხელოვნებისათვის განსაკუთრებით მთავარია, გამართლება შინაგანი, ადამიანის ხასიათისგან, ბუნებისაგან გამომდინარე.

მწერლობა ყოველივეს არ ხსნის, არ შიფრავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მწერლობა იყოს შეუგნებელი აქტის შედეგი, ინსტიქტის შედეგი გონების გარეშე. მხატვრული დეტალის აზრი მწერალს შეუძლია არ ახსნას მკითხველისათვის, შეუძლია ენდოს მის ინტერპრეტაციას. ყოველი განმარტება ამ მხრივ როდია გამართლებული ან ასატანი, მითუმეტეს, როცა დეტალი ხშირად უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე მისი უთავბოლო განმარტებანი. ეს მწერლობის სპეციფიკაა. ამასთანავე, ეს არ უნდა ნიშნავდეს დეტალის ტყვეობაში ყოფნის ქადაგებას, რადგან დეტალი მაშინაა საჭირო და კარგი, როცა ყოველთვის ეხმარება

მწერლის იდეის გამოხატვას, მისი სათქმელის გადმოცემას. ეს იდეა, სათქმელის სიღრმე განსაზღვრავს, თავის მხრივ, დეტალის ღირსებას.

პრინციპს, რომლითაც ხალმძღვანელობს მწერალი სინამდვილისაგან მიღებული იდეის განსხეულებისას, ე.ი. იდეის ჩვენებისას, მის მატარებელ მატერიალურ მოვლენებთან, სფეროსთან ერთად, აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რადგან ამ პრინციპზე ხშირადაა დამოკიდებული ნაწარმოებისა და სახის ჭეშმარიტება. ამასთანავე, მწერლისათვის იდეა ხშირად იბადება შექმნის პროცესში, მეხსიერებაში შემონახულ მოვლენათა გაანალიზების პროცესში. ეს ხშირი მოვლენაა. თუ როგორ ჩნდებიან მისთვის იდეები და რა ხასიათს ატარებენ ისინი, ეს მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტური აქტი არაა, რადგან სუბიექტი გაშუალებულია წრით, ფენით, კლასით და ბოლოს – საზოგადოებითა და ეპოქით. ამიტომ ეს სუბიექტური უმეტესად ობიექტურს უდრის. მწერლის მიზანიც ის უნდა იყოს, რომ მისი სუბიექტური შეხედულებები ამაღლდნენ ობიექტური კანონზომიერების დონემდე. არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ იდეა, რომლის სახეში „გამოხატვა“ უნდა ავტორს, და იდეა, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს სახე.

იდეის მატარებელი ლიტერატურაში სახეა, ხოლო ყველაზე ღრმად და ობიექტურად გამოხატველი არის ტიპი, რადგან ის არის უმაღლესი სახეთა შორის.

სავსებით შესაძლებელია იდეისათვის, რომელსაც ტიპი გამოხატავს, იბრძოდეს ავტორი, ან პირიქით, ებრძოდეს ამ იდეას. ეს ერთგვარად იქნება კონფლიქტის „იდეური მხარე“ ნაწარმოებში. ორივე შემთხვევაში იდეა უნდა იყოს, არამხოლოდ სუბიექტით პირობადადებული, არამედ ობიექტური შინაარსის მქონე.

იდეა გამოხატულია სახეში, მაგრამ გამოხატულია არა მისი სუფთა, აზრობრივი მხარით, არამედ – როგორც „მატერიალური საგანი“, რომელშიც ხაზგასმულია განვითარების პერსპექტივა (ამ პერსპექტივაში იბადება სწორედ იდეა). ამიტომ შეიძლებოდა გველაპარაკა გარკვეული აზრით იდეის პერსონიფიკაციაზე – გაპიროვნებაზე, ისევე, როგორც საზოგადოებრივ ძალთა, სოციალურ ძალთა პერსონიფიკაცია – გაპიროვნებაზე ვლაპარაკობთ ხოლმე.

აღ. ყაზბეგთან ტიპში არა მარტო ნაჩვენებია მოვლენათა კანონზომიერი განვითარება და მოცემული მოვლენის არსება, არამედ შეგნებულია ეს

კანონზომიერება და ეს არსება. ხოლო ამ კანონზომიერების შეგნება განსაზღვრავს მწერლის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი ერთის მხრივ, და ამ სინამდვილის წარმოსახვის მეთოდს, მეორეს მხრივ, მოჰყავს ისინი ორგანულ მთლიანობაში. ამიტომ ვამბობთ, რომ იდეა ტიპში „გამოხატულია“ მაქსიმალური სიღრმითა და სიზუსტით.

სახე არსებობს უარყოფითი ან დადებითი, რაც ნიშნავს სახისაგან გამომდინარე იდეის უარყოფითობას ან დადებითობას თავისთავად, მაგრამ ეს მომენტი ვერ განსაზღვრავს სახის დადებით ან უარყოფით მნიშვნელობას მკითხველისათვის და ყაზბეგის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იდეურობის საკითხთან.

პროგრესული მნიშვნელობა აქვს, არამარტო სახეში გამოხატულ დადებით იდეას, არამედ უარყოფითსაც, თუ კი ნაჩვენებია მისი უარყოფითობა, განვითარების შემბორკავი ძალა. მის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველაფერს წყვეტს ის, თუ რა მიზნისათვის და რამდენად კარგად, ოსტატურად იყენებს ავტორი თავისთავად უარყოფით ან დადებით იდეას სახეში.

უარყოფითი იდეა უარყოფითია თავისთავად, თავის სახეში და ნაწარმოების სინამდვილეში, მაგრამ სახიდან წარმოშობილი იდეა, რომელიც მკითხველს უჩნდება და საწინააღმდეგოა სახეში გამოხატული იდეის, შეიძლება იყოს პროგრესული, რაკი ის ჩნდება, როგორც უარყოფითის საწინააღმდეგო. ამიტომ პირობითად შეიძლება ლაპარაკი სახეში მოცემულ უარყოფით იდეაზე და მის პროგრესულ მნიშვნელობაზე მკითხველისათვის.

რაც უფრო მეტი სინათლით, სისრულითა და სიძლიერითაა ნაჩვენები უარყოფითი იდეა ყაზბეგთან, მით უფრო კარგია ნაწარმოები, მეტი გამართლება აქვს ამ იდეასთან ბრძოლას, უფრო საინტერესო ხდება ეს ბრძოლა, მისი ჩვენება, და დამაჯერებლობას იძენენ დადებითი იდეები.

სახის, ე.ი. პიროვნების მარცხი როდი იწვევს იდეის დამარცხებას ყოველთვის, და პირიქით, ხშირად იდეის გამარჯვებისათვის საჭიროა პიროვნების დაღუპვა. ყაზბეგის ტრაგედიებში უმეტესად მარცხდებიან გმირები, მაგრამ იმარჯვებენ იდეები. იმარჯვებენ იდეები მაყურებლებისათვის, რადგან ისინი განეწყობიან ამ იდეებისათვის ბრძოლად სამსახურად. დადებითი იდეის გამომხატველი პიროვნების

დამარცხება მკითხველს აზღვევს თვითდამშვიდებისა და კმაყოფილებისაგან. ეს გრძნობა უკმაყოფილებისა, ეს ალელვება და აღზუნება არის ის მომენტი, როცა ხშირად იბადება იდეა, მისწრაფება, აზრი, სურვილი ბრძოლისა.

რაკი რეალურ ადამიანში შინაარსი და ფორმა მოცემულნი არიან მთლიანობაში, მწერალი უნდა ცდილობდეს ამ მთლიანობისა და ურთიერთობის ასახვასაც; მაშასადამე, რეალური ადამიანის ანალიზით ჩვენ შევისწავლით იმ საფუძველს, რომლის შედეგად გვინტერესებს საბოლოოდ.

უცნაურობისა და უხერხულობის გვერდით, ამ მსჯელობაში საკმარისი ლოგიკაა, მაგრამ ის მაინც მცდარია და არ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას და ჭეშმარიტებას. ეს სიმცდარე გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ რეალური ადამიანი (და ადამიანები) იძლევა მხოლოდ მასალას, რომელიც სახის შინაარსად იქცევა მისი განცდის და გააზრების (იშვიათად მხოლოდ განცდის) შემდეგ და ფორმდება, როგორც ადამიანის მხატვრული შემოქმედების აქტი, მისი შედეგი. ამასთანავე მოცემული მასალა, რომელიც შინაარსად იქცევა მისი განცდისა და გააზრების შემდეგ, მოითხოვს გამოვლინდეს მისთვის შესაფერ ფორმაში.

ცოცხალ პროტოტიპზე „მუშაობის“ შემთხვევაშიც კი, ეს პროტოტიპი მწერლისათვის იშვიათად არსებობს ისეთად, როგორადაც მას მწერალი ხედავს, როგორადაც მწერალს ჰგონია და, ბოლოს, როგორც მწერალს უნდა, რომ ის (პროტოტიპი) იყოს. უკვე შექმნილ სახეში სავსებით შესაძლებელია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს არა ის, რაც პროტოტიპს ჰქონდა, არამედ ის, რაც მას მწერალმა მისცა. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მწერლის მუშაობისას, ჩვენ მუდამ საქმე გვაქვს მწერლის ემოციური და ინტელექტუალური სამყაროს ობიექტივაციასთან, მის განვითარებასთან

უშუალობას, ბუნებრიობასა და მთლიანობას რეალური ადამიანი კარგავს იმის შემდეგ, რაც ის შემოვა შეგრძნებებში, არქივდება, იქცევა წარმოდგენის და განსჯის ობიექტად, მასალად, რომელზეც მუშაობას იწყებს მწერალი, რათა შემოქმედების პროცესში და განსაკუთრებით მის დასასრულს კვლავ მიანიჭოს მას უშუალობაც, ბუნებრიობაცა და მთლიანობაც, მაგრამ ამ დროისათვის, როგორც უკვე ვთქვით, სხეში შეიძლება მთავარი და მნიშვნელოვანი მოდიოდეს არა პროტოტიპიდან,

არამედ ავტორიდან. რაკი შინაარსი, მისი ობიექტური ხასიათის გამო, მოითხოვს შესაფერ ფორმას, მწერლის მგრძნობელობაც, განსჯაც და გონებაც ანგარიშს უწევენ ამ მოთხოვნას, მაგრამ უკვე მაშინ, როცა სინამდვილიდან მწერალი იღებს მხოლოდ მისთვის გამოსადეგ, შესაფერ და საჭირო მასალას, საფუძველი ეყრება შინაარსის გარკვეულ ხასიათს, ისეთს, როგორც მწერლისთვისაა მიზანშეწონილი. ამიტომ შინაარსის მოთხოვნაში – „გამოვლინდეს მისთვის შესაფერისი ფორმით“ უკვე არის და ჩანს ის ინდივიდი, რომელიც ამ შინაარსზე მუშაობს.

ეს მოსაზრება არ უნდა იწვევდეს ეჭვს, რადგან არ არსებობს ისეთი შემთხვევა, რომ ერთსა და იმავე მასალაზე მომუშავე ორ მწერალს (რისი მაგალითებიც უხვადაა ცნობილი) შეექმნათ ერთი და იმავე შინაარსის მქონე სახეები. ამიტომ, თუ რეალური ადამიანი (ან ადამიანები) აიძულებს მწერალს ანგარიში გაუჭიოს მას და ამოვიდეს მისგან, რასაც მწერალი უმეტესად „მაქსიმალურად“ აკეთებს, „შემოქმედების პროცესში“ ის მაინც „ხელახლა ქმნის“ შინაარსსაც და მის ფორმასაც და ბატონობს მასზე.

ყოველ შემთხვევაში, წარმოდგენელია ჭეშმარიტი და მძლავრი ტლანტი, რომელიც არ აღწევდეს ამ ბატონობას, არ ისწრაფოდეს, შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად, მისკენ. სახის შექმნის პროცესში ის თვითონ „ქმნის“ შინაარსსაც და ფორმასაც, ორივეს მუდამ ერთდროულად, რადგან ერთის შეცვლა, თითქმის მექანიკურად, ცვლის მეორესაც. მას არ შეუძლია რეალურ ადამიანს „წაართვას“ მისი შინაარსი და ფორმა, ან პირდაპირ შემოიტანოს ის ნაწარმოებში (რა თქმა უნდა, სინამდვილე ფიზიკურად არ შედის არც ხელოვნებასა და არც მეცნიერებაში). ის შეიგრძნობს, აღიქვამს და მიიღებს შთაბეჭდილებას.

შთაბეჭდილების მიღებისათვის კი უკვე საჭიროა აზროვნებაც, რომელიც შეიძლება, მკრთალად, მაგრამ მუდამ შეიცავს შეფასების ელემენტსაც. შეგრძნებაში შემოსულსა და აღქმულს შემდეგში, მეხსიერების წყალობით, ის მისცემს წარმოდგენის სახეს; ნებისყოფით განმტკიცებული განწყობის მეოხებით, ასოციაციებით, კვლავ განმეორებული და გამდიდრებული, დახვეწილი განცდებით, ფანტაზიით, რომელსაც გონება ხელმძღვანელობს და წარმართავს, ის იწყებს

შემოქმედებით მუშაობას სახის შესაქმნელად. გონების წარმმართველი მისი იმაში გამოიხატება, რომ მწერალი ქმნის გარკვეული მიზნით და პრინციპით.

როგორც კი დავფიქრდებით ამ პრინციპზე და მიზანზე, მაშინვე ნათელი ხდება არა მარტო ფორმისა და შინაარსის განსხვავება სინამდვილესა და მხატვრობაში, არამედ ისიც, რომ ლიტერატურული სახის ფორმისა და შინაარსის რაობისათვის ერთ–ერთი ძირითადი მნიშვნელობა აქვს მიზანს, რომლისთვისაც ის იქმნება, და პრინციპს, რომლითაც იქმნება.

მწერალი ხშირად (არა ყოველთვის) სახის შექმნის დროს იდეით ხელმძღვანელობს. ეს იდეა მეტ–ნაკლებად გარკვეულია და, იშვიათად, ზუსტად ჩამოყალიბებულიც. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იდეისაგან წარმოიშვა, დაიბადა სახე.

ლიტერატურული სახის შინაარსი არ არის იდეა, ან უფრო რბილად რომ ვთქვათ, არ არის მხოლოდ იდეა, თუმცა ამ დებულებას უკან უდგანან ისეთი ავტორიტეტები, როგორც არიან ჰეგელი, დოსტოევსკი და პლექანოვი. ამ აზრს იცავს რამდენიმე თანამედროვე მკვლევარიც, რომლებიც, უპირატესად, ფილოსოფიაში მუშაობენ.

## ბ) ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის საკითხი

ალ. ყაზბეგმა, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, არაერთი დამცირება გადაიტანა, თუმცა ამათ შორის ყველაზე დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი იყო საკითხი, რომელიც მის ავტორობას ეხებოდა.

ეჭვი, ალ. ყაზბეგის ავტორობის ორიგინალობის შესახებ გაზეთში არაერთხელ დაბეჭდილა. ეს ეჭვი უფრო გაძლიერდა ალ. ყაზბეგის გარდაცვალებისთანავე. რადგან, გავრცელდა ცნობა, რომ 1880 წლის თებერვალში, სოფელ სტეფანწმინდაში

გარდაიცვალა „მეტად ნიჭიერი, განათლებული, დარბაისელი, იდეური, წყნარი მოღვაწე– დიმიტრი ყაზბეგი.“ ამბობდნენ, რომ ამ დროს იქ დიმიტრის ახლობელთაგან არავინ იმყოფებოდა, გარდა ალ. ყაზბეგისა, მან კი, გატეხა განჯინა, სადაც დიმიტრი ყაზბეგის ხელნაწერები ინახებოდა, გადამალა ისინი და აღარ დაუბრუნებია დიმიტრის ოჯახის წევრებისთვის, ხოლო მოგვიანებით უკვე ამ ხელნაწერებს თავისად ასაღებდა.

იმ გარემოებამ, რომ გარდაცვალების მომენტში ალ. ყაზბეგი მარტო იმყოფებოდა დიმიტრი ყაზბეგის სახლში, გააძლიერა ეჭვი, რომ „სულით ავადმყოფი“ ვერ შექმნიდა იმ მშვენიერ ნაწარმოებებს, რომლის ავტორადაც „თავს ასაღებდა.“ ეს იყო მხოლოდ ეჭვი, როგორც აღვნიშნე, სინამდვილეში კი, საერთოდ არსებობდა თუ არა დიმიტრი ყაზბეგის რაიმე ხელნაწერი, ეს მხოლოდ თავად დიმიტრი ყაზბეგმა იცოდა. იმის თქმა კი, რომ ალ. ყაზბეგმა დიმიტრის ხელნაწერები მისაკუთრა, არაა გამართლებული და ზოგადად ძნელად დასაჯერებელია, თუ გავითვალისწინებთ ალ. ყაზბეგის ცხოვრების დეტალებს, მან ხომ ყველაფერი, რაც გააჩნდა უანგაროდ ჩამოურიგა სხვებს და ვინ დაიჯერებს, რომ ასეთმა პიროვნებამ იკადრა და სხვისი განჯინიდან ხელნაწერები მოიპარა, ეს კიდევ არაფერი, მას თავისად ასაღებდა და ცდილობდა ხალხის სიყვარული და ადგილი საზოგადოებაში ნაქურდალი ხელნაწერების ხარჯზე მოეპოვებინა.

ასე იყო, თუ ისე საზოგადოებაში ამ მონაჭორმა ეჭვი უფრო მეტად გააღრმავა. ეს ხმა ისეთი ძლიერი იყო, რომ თვით ალ. ყაზბეგის სიკვდილმა და დიდი ამბით დასაფლავებამაც კი ვერ დაფარა. ამ ხმების გასაფანტავად გამოვიდნენ ოთხმოციანი წლების მოღვაწენი და ალ. ყაზბეგის, მისი შემოქმედების პატივისმცემელნი.

ალ. ყაზბეგის ბიოგრაფი დავით კარიჭაშვილი ამბობდა: –„ალ. ყაზბეგის ავტორობის ორიგინალობის საკითხი რომ ჭეშმარიტებად იქნას ცნობილი, ჯერ საკმარისი მასალები არ არის. ისინი ჰზადებენ ეჭვს, რომელიც დარჩება მხოლოდ ეჭვად, ვიდრე არ აღმოჩნდება სხვა საბუთები.“(კარიჭაშვილი, 1904, 34).

მართლაც საჭირო იყო სხვა საბუთებიც და არსებულშიც უკეთესად გარკვევა. საჭირო იყო გაეფანტა, ან ჭეშმარიტებად ექცია ის, რაც შავ ლაქად დასტრიალებდა



მწერლის სახელს. ამისათვის შეძლებისდაგვარად შეისწავლეს როგორც ალექსანდრე ყაზბეგის, ისე დიმიტრი ყაზბეგის ცხოვრება, ბიოგრაფიები, ხელნაწერები, წერილები.

ნიკო ღუდუშაური, დიმიტრი ყაზბეგის თანამედროვე წერს:–„როდესაც მამაჩემი გარდაიცვალა, მის ქალაქებში ვნახე რამდენიმე წერილი განსვენებული პეტრე უმიკაშვილისა, რომლებშიაც სწერდა მამაჩემს: „პავლე, შენ მიტკასთან იყავი უკანასკნელ სულის ამოხდამდე, მეგობარი იყავი მისი, ისიც იცი, რომ მას ბევრი ნაწერები ჰქონდა, შემატყობინე, რა ბედი ეწია ამ ნაწერებსაო.“ არ ვიცი, რა უპასუხა მამაჩემმა.“ ასე ამთავრებს ნიკო ღუდუშაური.

ამასვე მოწმობს პეტრე უმიკაშვილის ელისაბედ ყაზბეგთან გაგზავნილი წერილის შინაარსიც, სადაც დიმიტრიზე წერს: „იქნება მართლა რამე აღმოჩნდეს დიმიტრისა. რა მოხარული ვიქნები, რომ იცოდეთ! მე დარწმუნებული ვარ, კარგი რამ უნდა იყოს მისი ნიჭის ნამოქმედარი. თუმცა, ვინ იცის, შემუშავებას აპირებდა და დარჩა შეუმუშავებელი. სტეფანწმინდას ჩემს ყოფნაში მისი ნაწერი ვთხოვე დიმიტრის და, როგორც მახსოვს, მითხრა, რომ ვაპირებო თუ დაწყებული მაქვსო, მაგრამ გუნებაზე, წერის გუნებაზე ვერ მოვდივარ, რომ დაუჯდეო. ძალად ნამუშავრობა კი არ ვარგაო.“

1894 წლის 30 ივნისს პეტრე უმიკაშვილს ელისაბედ ყაზბეგისთვის წერილი გაუგზავნია. იგი აღელვებული ეკითხება, რად ახსენებს ერთად დიმიტრის და ალექსანდრეს: –„მეკითხები, სანდროს და დიმიტრის ერთად რად ახსენებო, რად გინდა იცოდეთ იმათი ამბავიო? სწორედ უნდა გითხრა, ძალიან ღრმად ვიგრძენი და გულში ჩამეჭრა შენი გამწარებული სიტყვები. დიმიტრის კარგი თავი გაჰქრა, არაფერი დასტოვა და არავინ იცნობსო, სანდროს ვარსკვლავი სხვა სახით განათდა, მთელი საქარველო დასტირისო და საუკუნოდ სახსენებელი იქნებაო... სანდროს ცხოვრება მინდა გავიგო... ჩვენის მწერლობის და მწერლების ვითარების გაგებისათვის. დიმიტრის ცხოვრება მინდა გავიგო, როგორც კაცისა, თავისი ღირსებით და ნაკლულევანებით, რომელიც გამოუყვანია ჩვენის ხალხის და საზოგადოების ნიადაგს და მიწა–წყალს... ილია ჭავჭავაძე დღესაც იტყვის ხოლმე, რომ ამხანაგებში მთელი თავით მალა იდგა ჩვენშიო. ამისთანა კაცის ავი და კარგი რომ ვიცოდეთ, გამოგვადგება, საერთოდ ჩვენ, ქართველობას... განა მარტო მწერალი

არის სადიდებელი, იმიტომ, რომ ისა სწერს? რატომ არ უნდა ვიცოდეთ სხვა, არა-მწერლის ცხოვრებაც... აი, რად ვახსენე დიმიტრი და სანდრო ერთად.“

პეტრე უმიკაშვილის აზრი და სურვილი გადაგვბია. ალექსანდრე ყაზბეგის, როგორც მწერლის ცხოვრება აინტერესებს, დიმიტრისა კი „როგორც კაცისა თავისი ღირსებითა და ნაკლულოვანებით.“ ამ თვალსაზრისით, „ჩვენ უნდა ვიცოდეთ არა-მწერლის ცხოვრებაც“ (ე. ი. დიმიტრისა), რადგან „მარტო მწერალი არ არის სადიდებელი იმისათვის, რომ სწერს.“(ე.ი. ალექსანდრე).

საინტერესოა, სასურველია აიხსნას და განიმარტოს დავით კარიჭაშვილის შემდეგი მოსაზრებაც: „თუკი 1872 წელს დიმიტრი ყაზბეგმა საჭიროდ და შესაძლებლად სცნო დაებეჭდა „კრებულში“ პატარა სცენა მოხვევთა ცხოვრებიდან – „მავნე სული“, რატომ არ დაინახა საჭიროდ გამოექვეყნებინა დიდი და საკითხავად ფრიად საინტერესო მოთხრობები: „ელგუჯა“, „მამის მკვლეელი“, „მოდღარი“, „ხევის ბერი გოჩა“, „ციკო“?(კარიჭაშვილი, 1904, 34).

ეს მოსაზრება შეიძლება ჩაითვალოს ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის ორიგინალობის დამტკიცების ერთ-ერთ საბუთად. გააჩნია, რა კუთხით შევხედავთ.

ყველა ამ მოსაზრებათა გარდა არსებობს კიდევ ერთი სერიოზული და საყურადღებო ფაქტიც. „როდესაც საკითხს დავსვამთ ამა თუ მწერლის ორიგინალობისა ან ამა თუ იმ მწერლის მთლიან შემოქმედების გაგებისა და შესწავლის შესახებ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ თხზულებანი, რაც უნდა ობიექტურად იყვნენ დაწერილი, მაინც მწერლის, მის სულისა და აზრის სარკეა, მისი გულის აღსარებაა. იმიტომ, რომ ყველა მოქმედება და მოვლენა, რომლებიც დახატული აქვს ავტორს თავის ნაწარმოებში, ბოლოს და ბოლოს მაინც გარდატეხილია მის სუბიექტურ შეხედულების ალში. თხზულებებში თითქმის ყოველთვის გამოხატულია მწერლის მთელი მსოფლ-შეხედულება, მისი ცხოვრება და მოქმედება...“ კიტა აბაშიძე თავის ეტიუდებში ალ. ყაზბეგზე წერას განაგრძობს: „ჩვენ გვგონია, რომ მწერლის ჩვეულებრივ ცხოვრებას თითქმის არა აქვს მის სულიერ, მის პოეტურ განწყობასა და ცხოვრებასთან.“(აბაშიძე, 1962, 182).

ვფიქრობ, კიტა აბაშიძეს ამ თვალსაზრისის დაფიქსირებით სურს ის წინააღმდეგობა და შეუთანხმებლობა მოსპოს, რაც ალ. ყაზბეგის ავტორობის

ორიგინალობაზე არსებობდა. თუმცა, ბოლომდე ვერ შესძლო ეჭვის გაბათილება, რადგან იმ ამბავის გადავიწყება, რამაც ერთხელ ძირ-ფესვიანად თითქმის შეარყია მკითხველის რწმენა და ნდობა, ასე ერთბაშად ვერ დაივიწყებს მკითხველი.

თავად შემოქმედი კი ამ ამბავს მეტად მტკივნეულად განიცდიდა და ცდილობდა პასუხი გაეცა მისდამი მტრულად განწყობილი არაერთი ადამიანისათვის. თავდაპირველად მათ რიგებში იყო იმ დროის ერთ-ერთი ცნობილი ლიტერატურული მოღვაწე ანტონ ფურცელაძე.

ალ. ყაზბეგის უკანასკნელი ნაწერია 1881 წლის ბარათი ანტონ ფურცელაძისადმი, რომელსაც მასთან მეტად თავისებური, თუ შეიძლება ასე ითქვას, მტრულ-მოყვრული ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ბოლოს (როგორც თავად ანტონ ფურცელაძე აღნიშნავდა) ყველასთან მოჩხუბარი ანტონის მიერ ალ. ყაზბეგის პიროვნებისა და მსოფლმხედველობის ობიექტური და სამართლიანი დახასიათებით დამთავრდა. ა. ფურცელაძე წერდა, რომ ალ. ყაზბეგი-მოჩხუბარიძე „ჩვენი სასახელო... უნიჭიერესი ბელეტრისტია... რომელმაც ღვაწლი და ამაგი დასდო ქართულ მწერლობას... საოცარი მხატვრობით, ჩვენში უმაგალითო შემჩნევით და დაკვირვებით, დაგვანახა ჩვენი ხალხის გული, ჩვეულება, ადათი, კანონი, აქამდე ხელშეუხებელი და სრულიად ჩვენგნით შეუნიშნავი სოციალური წყობილებანი... დიდებული მხატვრობანი შეამკო დიდებულის, მაღალის აზრებით და შემოსა დიდებული იდეებით...“

იგი ამჯერად გადაეხვია ადრე მის მიერ დაწუნებულ ალ. ყაზბეგ-მოჩხუბარიძეს, „ადამიანის გულის ღრმად მცოდნე მხატვარს, კაცის გულში ღრმად ჩამხედველ მწერალს, მისი შემოქმედებით, აზროვნებით მოჯადოებული, დატყვევებული მთელი თავისი გონებით, არსებით.“

ა. ფურცელაძემ სწორედ ერთ-ერთმა პირველმა ორაზროვნად დააყენა ის საჭოჭმანო საკითხი, რომელსაც მოგვიანებით ვნებათა დიდი ღელვა მოჰყვა: – „ნუთუ ეს ნებიერად, უშრომლად გაზრდილი კაცის შემოქმედება, რომლის მსგავსი არამცთუ ჩვენს მწერლობაში, უცხო მწერლობაშიაც ძვირად რომ დახატულა, არის ნაღვაწი ჩვენი სანდროსი?... თითქოს თავადვე პასუხობს ა. ფურცელაძე, – ხშირად დიდებულ

ნიჭს ბევრი რამ შეუძლიან... ყაზბეგი (კი) არც ისე უცხო იყო მაღალთა აზრთა, რომ მათთვის ყური არ მოეკრა, არ ჩანერგილიყვნენ მის გულში ამ აზრთა ძლიერებანი.“

ა. ფურცელაძესაც უნდა სცოდნოდა გამოთქმული ეჭვი ალ. ყაზბეგის ავტორობასთან დაკავშირებით. აკი კიდევ ამბობს; „სულით ავადმყოფმა, უგზო-უკვლოდ მოხეტიალე სანდრომ ასეთი გენიალური ნაწარმოებები და ისიც ხუთ წელიწადში როგორ შექმნაო,“ – იგი ამ საჭოჭმანო საკითხზე პასუხს ეძებს მისი ბიძაშვილების „იმ დროის ინტელიგენტურ წრეებში ერთ უკეთეს მოღვაწეთა“ –ოლგა, ელისაბედ და დიმიტრი ყაზბეგების მიერ ალ. ყაზბეგის მსოფლმხედველობაზე თითქოს მოხდენილ გავლენაში.

ელისაბედ ყაზბეგის მთავარი ამოცანაა, დაამტკიცოს, რომ ალ. ყაზბეგმა მიითვისა დიმიტრი ყაზბეგის ნაწერებები და სახელი. არათუ მიითვისა, „დაჯიჯგნა“ კიდევ. ამის დამტკიცებას ცდილობს, როგორც „მოწმე და დამსწრე“. ელისაბედი ძმას, ფიდოს, 1894 წლის 6 აპრილს პირველად ეუბნება, რომ „დიმიტრის შრომა და აზრები გაფლანგა სანდრომ.“

ჩანს, სწორედ ა. ფურცელაძის ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა „ივერიის“ რედაქცია. „ვბეჭდავთ (ანტონ ფურცელაძის თ.გ.) წერილს, თუმცა ყველაფერში ვერ ვეთანხმებით ავტორსო.“ ასეა თუ ისე, ა. ფურცელაძის მიერ ქარაგმულად მოხსენიებული „გავლენა“ დიმიტრი ყაზბეგისა ალ. ყაზბეგზე ელისაბედ ყაზბეგის მიერ შეთხზული ლეგენდა, „ყალბი, მაგრამ კარგად მოგონილი“, დიმიტრი ყაზბეგის ავტორობაზე, ან თუნდაც ალ. ყაზბეგის მიერ ვითომდა მისი ნაწერების დამახინჯებასა და მითვისებაზე, მეცნიერულად, კვლევების შედეგად არ დადასტურდა და ვერც დადასტურდებოდა, რადგან ამას ხელი შეუწყო იმ მრავალრიცხოვანმა მოგონებებმაც, რომლებიც იქმნებოდა ალ. ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ, განსაკუთრებით XIX საუკუნის 90–იან და XX საუკუნის 20–იან წლებში.

არც ალ. ყაზბეგის თანამედროვეთა თუ შემკვიდრეთა უდიდესი უმრავლესობა არ დაეჭვებულა მის ავტორობაში, ისინიც კი, ვინც XIX საუკუნის 80–იანი წლების დამლევს ხშირად ხედავდნენ მას „ქუჩაში დახეული ჩოხა-ახალუხით“, უბინაოს, რომელსაც სიძე – დის ქმარი, შინ არ უშვებდა. ალ. ყაზბეგის თანამედროვე, ცნობილი

ეთნოგრაფი, თედო სახოკია (1868–1966), ალ. ყაზბეგის ტრაგიკულ ბედს სახელგანთქმული ფრანგი რომანისტის გი დე მოპასანის ბედს ადარებდა, ამავე 1893 წელს რომ გარდაიცვალა, აგრეთვე სულით ავადმყოფი.

ალ. ყაზბეგის ავტორობასთან დაკავშირებით არ იყო არც ერთი სერიოზული მოსაზრება, არც ერთი ობიექტური ხასიათის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც მას ბრალს დასდებდა, იყო მხოლოდ ეჭვი, დაწყებული „განჯინიდან“, ეჭვები, რომლებიც მათი (უნდა ვაღიაროთ) ძალის მიუხედავად მალე დასუსტდნენ და გაიფანტნენ.

## თავი V.

### ალექსანდრე ყაზბეგი და ქართული პრესა

ალექსანდრე ყაზბეგი აქტიურად თანამშრომლობდა თავისი ეპოქის ჟურნალ-გაზეთებთან. ოთხმოციან წლებში ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა მისი ცნობილი თხზულებები: „ელისო“, „ციკო“, „განკიცხული“, „მოძღვარი“ და სხვები. გაზეთ „თეატრში“ კი მის მიერ შეკრების ხალხურ ლექსებს ბეჭდავდა.

ამრიგად, მოულოდნელი არაა, რომ ქართული პრესის მეთაურები ამაცობდნენ კიდევ სახელოვანი ბელეტრისტის მათთან თანამშრომლობით.

ალექსანდრე ყაზბეგი თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის პირველ ხანებში ცდილა, რომ მოეწყო სტამბა, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართული წიგნების ბეჭდვასა და გავრცელებას. თანამედროვეთა გადმოცემით, მას, არსენ კალანდაძესთან ერთად, შეუდგენია ამხანაგობა და სტამბისათვის საჭირო მოწყობილობათა შეძენაც დაუწყია, მაგრამ საბოლოოდ მწერალს ამ იდეის განხორციელება ვეღარ მოუხერხებია. იმავე წელს იგი ცნობილ ჟურნალისტს – სერგეი მესხს დაახლოებია და მისივე მიწვევით გაზეთ „დროების“ რედაქციაში დაუწყია მუშაობა.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების გაზეთ „დროების“ მოამაგეთა მცირერიცხოვან ჯგუფში ალექსანდრე ყაზბეგი საპატიო ადგილს იჭერს. იგი ამ გაზეთის ძირითადი მუშაკი, მისი ერთ-ერთი ნაყოფიერი მოღვაწე იყო. „დროების“ რედაქციაში დიდი მწერლის მუშაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის სერგეი მესხის ძმა – დავითი, რომელიც აგრეთვე „დროების“ ძირითადი მუშაკი იყო.

იგი წერს: –„სერგეის აუკრძალეს მუშაობა. გულის ანევრიზმი თანდათან უმძაფრდებოდა. რედაქციაში ვმუშაობდით: სანდრო ყაზბეგი, სტ. ჭრელაშვილი (სანო), დავით კეზელი (სოსლანი), პეტრე უმიკაშვილი, ილია ხონელი (ბახტაძე) და მე. მუდმივად რედაქციაში პეტრე, სანდრო და მე ვიყავით. დანარჩენები შემოივლიდნენ და მასალას გვაწოდებდნენ.

„დროება“ მაშინ დიდი ტანის გაზეთი არ იყო და ამდენს მომუშავეს მასალის დაგროვება არ უნდა გაგვჭირებოდა... მასალის შემოკლება მაინც ხდებოდა. უფრო ხშირათ ცენზორის წყალობით.“ (მესხი, 1940, 76).

დავით მესხის გადმოცემით, ალექსანდრე ყაზბეგი იყო „გაჭირვების ტალკვესი“ იმ მომენტებში, როდესაც მეფის ცენზურა დასაბეჭდად გამზადებული „დროების“ გვერდებს წითელი მელნიტ „დაასისხლიანებდა.“ ასეთ შემთხვევებში გაზეთი ალ. ყაზბეგის თხოვლებით უნდა შევსებულიყო. იგი „დროების“ რედაქციისათვის წარმოადგენდა ისეთ უტყუარ ძალას, რომელიც ყოველ წუთს მზად იყო ეწერა, რომ გაზეთის დროულად გამოსვლა არ შეფერხებულიყო.“

დავით მესხი განაგრძობს თხრობას: –„თუ ისეთი რამ დროული საგაზეთო მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, მაშინ სანდრო თავისუფალი იყო, ხოლო როცა ასეთი მასალა ანდა ცენზორის წითელი მელანი ულმოვლად გადახაზავდა ხშირად ვრცელ წერილსაც, მარქაფად სანდრო გვყავდა... ჩაუჯდებოდა, ჩვენც ვუცაცხანებდით, თავს კიდევ გზირი – ასოთამწყობი ადგა, ფარატინს ფარატინზე აჭრელებდა თავის დიდი მოთხრობებისას და ასეთი ნაწყვეტები სტამბაში ხშირად გადაუკითხავადაც იგზავნებოდა. ხშირად ვეტყოდით ხოლმე:

– სანდრო, კაცო, არ დაგვლუპო, მოთხრობა მალე არ გაათავო!

–რა გინდათ, რა ვქნა! თუ ამას მოვრჩები, სხვა ველარ დავიწყე?! – იტყოდა ხოლმე.“

დავით მესხის მიერ მოწოდებულ ცნობას ერთგვარად ავსებს და აფართოებს მწერლის მეორე თანამედროვის – პ. ცხვილოელის მოგონება. ცხვილოელი ალ. ყაზბეგს საკმაოდ კარგად იცნობდა. იგი 1881 წელს სამი თვის განმავლობაში ალექსანდრესთან ერთად ცხოვრობდა.

პ. ცხვილოელი თავის მოგონებაში ვრცლად მოგვითხრობს იმ ეპიზოდს, როდესაც ალ. ყაზბეგი გატაცებით წერდა რომანს – „მამის მკვლეელი“ და მის ახალ-ახალ ნაწილებს სერგეი მესხის „დროებაში“ ბეჭდავდა. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს რომანი, ისე, როგორც სხვა ნაწარმოებები, „დროებას“ მკითხველთა მასებს შემოუკრებდა, გაზეთის ავტორიტეტის ზრდას ეხმარებოდა, მაგრამ იმ დროს ალ. ყაზბეგისათვის რომ ეკითხათ, იგი ამ მომენტს ანგარიშში არც კი მიიღებდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ალ. ყაზბეგს, როგორც რედაქციის ძირითად თანამშრომელს, საკუთარი თავი ვალდებულად მიაჩნდა, რომ გაზეთი მუდამ და ყველა შემთხვევაში გასაჭირისაგან ეხსნა, რომ მკითხველს ყოველი გაზეთის ახალი

ნომერი დროულად მიეღო. უმნიშვნელო მოვლენა არც ესაა, როდესაც „დროებას“ სხვა ავტორთაგან მოწოდებული მასალა შემოაკლდებოდა, ყაზბეგს თავისი რომანების გაგრძელება უნდა მიეცა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იმ მომენტებში იგი წერის განწყობილებაზე. საქმე მოითხოვდა და მწერალს უნდა ეწერა. ალექსანდრე ყაზბეგი ამგვარი შემთხვევისათვის ყოველთვის მზად იყო. იგი არ ზოგავდა თავის თავსა და ენერგიას.

პ. ცხვილოელის დამოწმებით, მწერალი თითქმის ყოველდღიურად ჩადიოდა დაბლა „დროების“ რედაქციაში და წერდა „მამის მკვლელს“. – „რაკი კალამს აიღებდა ხელში და დაადებდა ქალაქს, ვიდრე არ შეასრულებდა მთელს საფელეტონე წერილს, თავს მალა არ აიღებდა. ქალაქიდან ერთის გოჯის მანძილზე ძლივს ეჭირა თავი, ისე ახლო მიაყოლებდა თვალს ახალ-ახალ სტრიქონს (ალ. ყაზბეგს თვალთ აკლდა ძალიან და ბეცი იყო). ამ დროს ლაპარაკი, ფეხის ხმა, რახარუხი, სიცხე, სიცივე მისთვის არ გაეჩინა, სწერდა და სწერდა განუწყვეტლივ. ხშირად ჟაკო შეახტებოდა კისერზედ, მოიკალათებდა და დაიძინებდა ხოლმე და როცა წერას გაათავებდა, მხოლოდ მაშინ გაიგებდა ჟაკოს კისერზე ყოფნას.“

დავით მესხისა და პ. ცხვილოელის მოგონებები საკმაო წარმოდგენას იძლევიან ალ. ყაზბეგის საგაზეთო მოღვაწეობაზე და ზოგადად ცხოვრებაზე. ეს მოგონებები მით უფრო ძვირფასია, რომ მათი ავტორები დიდ მწერალს კარგად იცნობდნენ. დავით მესხი და პ. ცხვილოელი სხვადასხვა დროს მასთან ერთად ცხოვრობდნენ ერთ ბინაში, გაზეთ „დროების“ რედაქციის შენობაში და შესაბამისად სხვებზე უკეთ ხედავდნენ, როგორ თავდაუზოგავად წერდა და წერდა ალ. ყაზბეგი, შესაბამისად, მათი მოგონებები მეტად მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია.

გაზეთ „დროების“ რედაქციაში მის მოღვაწეობაზე საინტერესო ცნობას იძლევა თვითონ ალ. ყაზბეგიც. იგი მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით მოგვითხრობს იმ უანგარო შრომაზე, რომელსაც „დროების“ რედაქციაში ეწეოდა:

– „დაახ, ბევრი, ძალიან ბევრი ვიმუშავე „დროებაში“. მის სტატეებს ჩავაწყალე ჩემი თვალის სინათლე. ამ გაზეთში დავიწყე შრომა, მას შევთვისდი და ეს გაზეთი შეიქმნა თითქმის ჩემი არსების ნაწილი. მაგის გარეთ მე დავიწყე „დროებაში“ მუშაობა სწორედ იმ დროს, როდესაც რედაქცია ყოველ ნაკლულოვანებას ხედავდა.



ვმუშაობდი ყინვაში, სიცივეში, მთელს ღამეებს ვატარებდი უძილობაში, რადგანაც ყველა ჩამოცილებული ჰყვანდა და დღე-დღეზე მოელოდა მის მოსპობას. ისეთი წუთებიც შემხვედრია, როდესაც გაცხარებულს მუშაობაში სანთელი ჩამქრალა, ღამის სიბნელეს გახურებული გონების მუშაობა შეუწყვეტია. ამაოდ მიძებნია სანთელი, ლამპებიდან ერთითგან მეორეში ჩამიწურავს ნავთის ნაძირალები და იმითი შემწეობით გამითავებია სამუშაო.“ (ყაზბეგი, 1950, 119).

ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგი ოთხმოციან წლებში სერგეი მესხის გაზეთის „დროების“ ერთ-ერთი ძირითადი მუშაკი იყო. მისი გამოჩენა ფართო სამწერლო და საზოგადოებრივ ასპარეზზე ამ გაზეთის ფურცლებიდან დაიწყო. „დროებაში“ იბეჭდებოდა მისი, როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული ნაწარმოებები. იმავე გაზეთის რედაქციასთან არის დაკავშირებული დიდი მწერლის ზოგიერთი ნაწარმოების შექმნის ისტორიაც.

ალექსანდრე ყაზბეგის პირად არქივში დაცულია მისი დროინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთა მთელი რიგი პირადი წერილები, რომელშიც მას დიდი პატივისცემით მოიხსენიებდნენ და თანამშრომლობას სთხოვდნენ. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ილია ჭავჭავაძის პირადი წერილი ალ. ყაზბეგისადმი.

1885 წელს ილია ჭავჭავაძემ დიდი წვალეების შემდეგ მიიღო ნებართვა, რომ ჟურნალი „ივერია“ 1886 წლის იანვრიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაეკეთებინა. ახალი გაზეთის რედაქტორმა 1885 წლის ბოლოს ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს წერილები დაუგზავნა და გაზეთ „ივერიაში“ თანამშრომლობა სთხოვა. სწორედ ამ დროს ილიამ ასეთი მიმართვა ალ. ყაზბეგსაც გაუგზავნა.

ალ. ყაზბეგი „ივერიას“ თავისი კალმის შეუდარებელ ნაყოფს მაშინაც დაუზარებლად აწვდიდა, როცა ეს ორგანო ჟურნალის სახით გამოდიოდა. ახლა, როდესაც „ივერია“ გაზეთად გადაკეთდა და მაშასადამე, იგი უფრო ცხოველმყოფელი უნდა გამხდარიყო, როცა მისი როლი ქართველი ერის ცხოვრებაში კიდევ უფრო იზრდებოდა, მისმა ბრძენმა ხელმძღვანელმა თანამებრძოლებს მოუხმო და მათგან ამ დიდ ეროვნულ საქმეში შემწეობა ითხოვა.

სავსებით ბუნებრივია, რომ ამჯერადაც ალექსანდრე ყაზბეგი იმ მოღვაწეთა შორის აღმოჩნდა, რომელთა იმედითაც ილია ჭავჭავაძემ ყოველდღიური გაზეთის გამოცემას მოჰკიდა ხელი.

ინტერესმოკლებული არ იქნება, რომ ქართველი ერის სულიერი მამის ეს მიმართვა ქართველი მწერლებისადმი ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების მატთანემიც იკითხებოდეს. „მამის მკვლელის“ ავტორს, რომელსაც ამ დროს ქართველთა ჰომეროსის სახელი უკვე შერქმეული ჰქონდა, ილია ჭავჭავაძე წერდა:

„მოწყალეო ხელმწიფევ,

ბატონო ალექსანდრე!

გაზეთებიდან მოხსენებული გექნებათ, რომ პირველი იანვრიდან 1886 წ. გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია“, რომლის რედაქტორობა ვიკისრე მე. რასაკვირველია, ამისთანა მძიმე ტვირთს მე ვერ ვიკისრებდი, თუ სახეში არა მქონოდა დახმარება და შემწეობა თქვენისთანა პატივცემულ მოღვაწეთაგან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ იმედი, რომელმაც ესეთი ძნელი საქმე გამაბედვინა, არ გამიმტყუნდება. გაზეთის საქმე საერთო, საზოგადო საქმეა. იქნება სხვაგან ისე არა, როგორც საკუთრივ ჩვენში. თქვენი წარსული, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩვენთვის უტყუარი საბუთია იმისა, რომ საცა საერთო, საზოგადო საქმეა, იქ თვითონ თქვენი გული იძულებულს გყოფთ, მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ. მაშასადამე, თხოვნა ჩემგან მეტია, მე მარტო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ თქვენის კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენის რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი.

გაზეთი გაზღდებათ „დროებაზედ“ უფრო მომეტებულის ზომისა. თქვენდა საყურადღებოდ მომირთმევია პროგრამა გაზეთისა.

თქვენი თანამშრომლობის მოიმედე,

თქვენი გულითადი პატივისმცემელი - ილია ჭავჭავაძე.“ (სმაკსხი, №S-3993).

1887 წლის გაზაფხულზე ალექსანდრე ყაზბეგი სწორედ ანალოგიური ხასიათის წერილს იღებს ალექსანდრე ნებიერიძისაგან. ნებიერიძე, რომელიც ერთ პერიოდში გაზეთ „თეატრის“ რედაქტორი იყო, მწერალს ამ გაზეთში თანამშრომლობას სთხოვდა. იგი ალ. ყაზბეგს სწერდა:

„იანვრის პირველიდან გაზეთ „თეატრის“ რედაქტორ-გამომცემელი მე ვარ, თუმცა ვ. აბაშიძე აწერავს ხელს. აქამდინ არ ვიცოდი სად იყავ, ეხლა გავიგე და გწერ კიდევ ამ წერილს. თუ გაქვს რამე პატარ-პატარა მოთხრობა, ან სხვა რამ, გამომიგზავნე ხოლმე და განა არ იცი, გადაგიხდი. თუ გინდა, შენი სახელი მოაწერე, თუ გინდა სხვისა (ფსევდონიმი). დარწმუნებული იყავ, რომ თუ გინდა სახელის დაფარვა, ჩემგან ვერავინ გაიგებს.“ (სმაკკსხი, №S-3978).

იმავე 1887 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე ყაზბეგი კვლავ ღებულობს წერილს და კვლავ „თეატრში“ თანამშრომლობას სთხოვენ. წერილის ავტორი ანტონ ფურცელაძე იყო. იგი ალ. ყაზბეგს სწერდა:

„ძმაო სანდრო! ეს მესამე წერილს გიგზავნი ფულით და შენი პასუხი არა მაქვს. გიგზავნი ორ თუმანს, რადგან მეტი არ შეგროვდა ჯერჯერობით.

სანდრო! ჩვენ ავიღეთ „თეატრი“, უნდა ჟურნალად გადავაკეთოთ. იანვრიდან ჩვენს ხელთ იქნება. მანამ ჟურნალის ნებას მოგვცემდნენ, მანამ ორ ნომერს ერთად გამოვცემთ ხოლმე და ისრე იქნება, როგორც ჟურნალი. ამის გამო შენ უნდა სრული შენი მონაწილეობა მიიღო ჩვენთან. ჩვენ გვეყოლებიან თანამშრომლები: დიმიტრი ბაქრაძე, აკაკი პეტრიაშვილი, ხუდადოვი, ხიზანოვი ხომ თვითონ რედაქციაში იქნება, როგორც ჯაბადარი, კატო გაბაშვილისა და ერთი სიტყვით ყველა, ვისაც კი ჩვენში წერა შეუძლიან. ხომ იცი, რაოდენად ვაფასებ შენს ნაწერებს. ამის გამო შენ უფრო, ვიდრე სხვებს, გთხოვ, რომ ჩემთან ერთად იმუშაო, ერთად გავწიოთ საზოგადო საქმისათვის ღვაწლი. თუ გაქვს რამე მოთხრობა, ამ პირველი ნომრისათვის გამომიგზავნე. გამოგზავნე აგრეთვე შენი რომელიც უფრო კარგი ლექსები გეგულეობდეს. იმედი მაქვს, მალე მივიღებ შენს პასუხს.

შენი ერთგული ძმა ანტონ ფურცელაძე.“ (სმაკკსხი, № S-3978).

ეს მეორე წერილი იყო ალექსანდრე ყაზბეგისადმი, რომელშიც გაზეთ „თეატრში“ თანამშრომლობას სთხოვდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერალი „თეატრში“ უმთავრესად, მის მიერ ხალხში შეგროვილ ლექსებსა და სიმღერებს ბეჭდავდა.

ანტონ ფურცელაძის ეს წერილი სხვა მხრივაც არის საინტერესო. როგორც ვნახეთ, ანტონ ფურცელაძე ალ. ყაზბეგს სწერდა: „ხომ იცი, რაოდენ ვაფასებ შენს

ნაწერებს.“ ასე რომ, ანტონ ფურცელაძე ამ პირადი ბარათის წერის მომენტში უკვე დიდად აფასებს ალ. ყაზბეგის შემოქმედებას. წერილი მთლიანად სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მისი ავტორი უდიდესი პატივისცემით ეპყრობა „ელგუჯას“ დამწერს.

აქვე ინტერესმოკლებული არ იქნება გავიცნოთ ერთი ისტორიაც, რომელიც ამ ორი მწერლის ურთიერთდამოკიდებულებაზე მოგვითხრობს. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ალ. ყაზბეგსა და ანტონ ფურცელაძეს შორის გულითად დამოკიდებულებას უსწრებდა ერთგვარ გაუგებრობაზე აღმოცენებული პირადი უკმაყოფილება მათ შორის.

ანტონ ფურცელაძე თავის ერთ მოგონებაში თვითონვე გულწრფელად ამბობს, რომ მას ადრე ალექსანდრე ყაზბეგი არ მოსწონდა: არ სწამდა იგი, როგორც მწერალი, მაგრამ სახელოვანი ბელეტრისტიც მას ვალში არ რჩებოდა, ამ გულცივ დამოკიდებულებაზე არანაკლებ გულცივობით პასუხობდა. „მამის მკვლელის“ ავტორსაც არ მოსწონდა ანტონ ფურცელაძე, როგორც მწერალი. „უწყალოდ მდევნიდა მეც და ჩემთა ნაწერთაცო“, - ამბობს მოგვიანებით ანტონ ფურცელაძე.

ასეთი იყო ამ ორი მწერლის ურთიერთდამოკიდებულება პირველ ხანებში. ანტონ ფურცელაძე კი ალ. ყაზბეგისადმი უდიდეს პროტესტს იმით გამოხატავდა, რომ პრინციპულად არ კითხულობდა მის ნაწარმოებებს. მას ალ. ყაზბეგის არც ერთი ბელეტრისტული ნაწარმოები არ წაეკითხა. იმავე დროს იგი, როგორც მწერალი არ მოსწონდა. რალა თქმა უნდა, ეს მოვლენა უცნაურია, მაგრამ მაინც ასე ყოფილა. ასევე გაგრძელებულა მანამ, სანამ ფურცელაძეს შემთხვევით ხელში არ ჩავარდნია ცალკე წიგნად გამოცემული ალ. ყაზბეგის რომანი „მოდვარი“, რომელიც 1885 წელს გამოქვეყნდა.

ანტონ ფურცელაძეს „მოდვარის“ კითხვა, როგორც თავდევე აღნიშნავდა, იმ იმედით დაუწყვია, 2-3 გვერდის ჩაკითხვის შემდეგ ნაწარმოებზე ხელს აიღებდა, აღარ წაიკითხავდა. მოულოდნელი არაფერია იმაში, რომ ფურცელაძეს სინამდვილეში ასე აღარ გამოსვლია. ჭეშმარიტი ხელოვნების ყოველ ნაწარმოებს მოეპოვება რალაც თავისებური ანდამატი, რომელიც მკითხველს ადრევე იზიდავს და იპყრობს. მკითხველი, ვიდრე ამგვარი პოეტური ქმნილებების კითხვას

შეუდგებოდეს, თავისუფალია. მას შეუძლია ასეთი თხზულება დიდხანს ხელში არ აილოს, მაგრამ როდესაც ხელში აიღებს, ვეღარ თმობს. და რა გასაკვირია, რომ ანტონ ფურცელაძესაც იგივე დაემართა, მოჯადოებულმა წიგნის ხელიდან გაშვება ვეღარ შეძლო. სწორედ ამ მომენტის შემდეგ დაინტერესდა იგი დიდი შემოქმედის –ალ. ყაზბეგის ნაწერებით.

### ა) ალექსანდრე ყაზბეგი ქართულ თეატრსა და მის მნიშვნელობაზე

„არსენას“ სცენაზე წარმოდგენამდე ერთი თვით ადრე, 1881 წლის 24 ნოემბერს, გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის წერილი „თეატრის შესახებ.“ ეს მრავალმხრივია საინტერესო. იგი გარკვევით მიუთითებს როგორც ავტორის მოწინავე იდეებზე, ისე იმ ეპოქის ქართული თეატრის მდგომარეობაზე საზოგადოდ. მწერალი ეხებოდა ქართველ მსახიობთა ცხოვრებას, განსაკუთრებითი აღნიშნავდა მათ ხელმოკლეობას, ხაზს უსვამდა იმ პრობლემებს, რომელთა გარემოშიც უწევდათ მოღვაწეობა იმ დროის თეატრის მესვეურთ. იქვე უყურადღებოდ არ ტოვებდა ქართული თეატრის მთელ რიგ მტკივნეულ საკითხებს.

ალ. ყაზბეგი ამ წერილში საგანგებოდ მსჯელობდა თეატრალურ რეცენზენტებზე. წერილის შესავალში იგი ამბობდა: „დიდი ხანია მსურდა მელაპარაკნა ქართული თეატრის აქტიორებსა და რეცენზენტებზეო.“ როგორც ჩანს, ალ. ყაზბეგს დიდი ხნის განმავლობაში ხარშავდა გონებაში სათქმელს, დიდად აღელვებდა ეს საკითხები. იგი ქართული თეატრის განვითარების საქმეში კვალიფიციურ რეცენზიებს და რეცენზენტებსაც დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მწერალი იძულებული იყო განეცხადებინა: „რეცენზენტი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არ გვყავსო.“

სახელოვანმა ბელეტრისტმა 80-იანი წლების ზოგიერთ რეცენზენტზე ასეთი აზრი გამოთქვა: „ამ უკანასკნელს დროში მეტად ენა წაიგრძელეს სხვადასხვა ახალ-ახალმა რეცენზენტებმა და, არ ვიცი, ვის სასარგებლოთ. ყოველი ღონისძიებითა ცდილობენ პერიოდულის ლანძვით გული გაუგრილონ ქართველ საზოგადოებას ჩვენს თეატრზე.“

საინტერესოა ვიცოდეთ, რა ალაპარაკებდა მწერალს რეცენზენტების წინააღმდეგ, ხომ არ იყო ეს გამოწვეული იმით, რომ მას, როგორც დრამატურგს არ აქებდნენ? ხომ არ იყო ეს პირადი ღვარძლი?

ალ. ყაზბეგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ღვარძლიანი არასოდეს არ ყოფილა. ამ შემთხვევაშიც მწერალი ქართული თეატრის საერთო ინტერესებიდან გამოდიოდა და არა თავისი პირადი თავმოყვარეობიდან. იგი თვლიდა, რომ ყოველი ქართული წარმოდგენა ქართული თეატრისათვის ახალი მიღწევა უნდა ყოფილიყო და თუ ეს არ მოხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ქართული წარმოდგენა ყბადასაღებად მაინც არ უნდა გამხდარიყო, რადგან ის ის იყო ფეხს იკიდებდა ჩვენში ქართული თეატრი. იგი რეცენზენტებს მოუწოდებდა, რომ ქართული წარმოდგენების დაცინვის უფლება არავისთვის მიეცათ, რადგან ამით მოწიმააღმდეგე სარგებლობდა. ქართული თეატრისა და საზოგადოდ ქართული კულტურის მტრები უარყოფით რეცენზიებს „კატის კნუტებივით დაათრევენ და ქართული თეატრის უნიათობას ამტკიცებენო.“

იგი წერდა: –„თეატრს, როგორც საზოგადოდ ყოველ ქართულს საქმეს, თავისი მტრები ჰყავს და აი ეს მტრები სარგებლობენ იმ მოუაზრებელი რეცენზენტების სიტყვებით. წამოავლებენ ხელს, მაგალითად, ბატონ „ქართული სცენისმოყვარის“ წერილის მსგავს სტატიებს, დაათრევენ იმას, როგორც კატა თავის კნუტებს და ყოველის ღონისძიებითა ცდილობენ გაავრცელონ საზოგადოებაში აზრი, როგორც ქართული თეატრის, ისე ქართული ენის საქმის შეუძლებლობაზე.“

სახელოვანი ბელეტრისტი თავის წერილში აშკარად იცავდა არტისტებსა და ქართული სცენის მოყვარეებს საზოგადოდ. იგი დიდად აფასებდა სცენისათვის ყველა თავდადებულს, რომელიც ყოველგვარი ანგარების გარეშე ეროვნული კულტურის სასარგებლოდ იღწვოდა, რადგამ მან ყველაზე კარგად იცოდა, რამდენად მძიმე და დაუფასებელი იყო შრომა თეატრში. წერილის ეს ადგილი საინტერესოა

იმიტაც, რომ იგი საბოლოოდ გვიდგენს მწერლის რეალისტურ შეხედულებებს თეატრზე.

უკვე გავეცანით ერთ ამონაწერს, რომლიდანაც გარკვევით ისმის მიზანი, რომელიც მწერალს ქართული სცენისაკენ იზიდავდა. იგი თეატრს უყურებდა, როგორც საქვეყნო საქმეს, ხალხის სასამსახურო დაწესებულებას. ამ წერილში კი მწერალი თავის შეხედულებას ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს. აქ იგი პირდაპირ გვეუბნება, რომ „ვერ გაუგიათ, რომ ჩვენ აქტიორებს სასყიდლისათვის კი არ მიუღიათ თავიანთ თავზე თეატრის საქმე, არამედ ემსახურებიან იმას, იმიტომ, რომ მართლა უყვართ თეატრი, იმიტომ, რომ თეატრზედა აქვთ იმედი, რომელიც ყველაზე უკეთ თანაშემწეობს დედაენის აღდგენას. თუ ეს ამალგებული აზრები არ აკმაყოფილებდეს ჩვენ აქტიორებს, მაშინ ექვს თუმნად თვეში რომელი სულელი დაადგებოდა იმისთანა ძნელსა და მოსაწყენ საქმეს, როგორც როლების დაზეპირებაა?“

ალ. ყაზბეგი თავისი წერილით მკაცრად ეკამათებოდა იმ კრიტიკოსებს, რომლებიც ქართული თეატრის ბედზე პესიმისტურად და ირონიითაც კი მსჯელობდნენ.

ალ. ყაზბეგს წერილში მიტანილი ჰქონდა რიგი ციფრობრივი მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული თეატრი, დღიდან მისი აღდგენისა, წინ მიდიოდა და მტკიცდებოდა. იგი მიუთითებდა მაყურებელთა რიცხვის თანდათანობით ზრდაზე, თეატრის საქმით ხალხის საერთო დაინტერესებაზე და დაასკვნიდა, რომ ქართული თეატრის მოსპობა უკვე შეუძლებელი იყო, რადგან მან თავისი კუთვნილი ადგილი უკვე დაიმკვიდრა ქართულ კულტურულ ცხოვრებაში.

ალ. ყაზბეგი, როდესაც ასე ხმამაღლა ლაპარაკობდა ქართული პროფესიული თეატრის საბოლოო დამკვიდრებაზე, ხალხის ნება-სურვილიდან გამოდიოდა. იგი ამბობდა: „ქართულ თეატრს უდგას ისეთი მაგარი ბურჯი, რომლის შერყევა არავითარ ძალას აღარ შეუძლიაო. ეს ურყევი ბურჯი არის თეატრისადმი მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერა.“

მწერალი მტკიცედ აცხადებდა: „ხალხმა ჩასჭიდა ხელი ქართულ თეატრს და მას არავის დაუთმობსო... ჩვენი თეატრი ისეთ მაგარ საძირკველზედ არის აშენებული,

ისეთი მაგარი ბურჯები უდგას, რომ ამისი კეთილდღეობა ყველა იმისათვის გამომავარაგებელია, ვინც ძალად თვალების დახუჭვას არ მოინდომებს. ეს საძირკველი, ეს ბურჯები არის ხალხის მოთხოვნილება, რომელმაც დაინახა, გაიგო და მაგრა ხელი მოჰკიდა თავის საჭიროების, მოთხოვნილების აღმასრულებელ საგანს. ქართული თეატრის საქმის შეყენება კიდევ შეიძლება, მაგრამ ძირიანად ამოგდება, სამუდამოდ ამოფხვრა კი აღარა.“

ასე სწამდა ალ. ყაზბეგს ქართული თეატრის მომავალი. ამავე რწმენით იგი მოუწოდებდა, რომ ყველა მოწინავე ქართველი ინტელიგენტი ეროვნული თეატრისათვის თავდადებული ყოფილიყო. შემთხვევით მოვლენად არც ის უნდა ჩაითვალოს, რომ მწერალი თეატრალურ რეცენზენტებს ურჩევს, ქართული წარმოდგენებისა და ქართველი არტისტების დაწუნებისაგან თავი შეეკავებინათ. როგორც ირკვევა, ალ. ყაზბეგმა ამ წერილით რეცენზენტები ძალზე გაანაწყენა. განაწყენებულ რეცენზენტთა შორის აღმოჩნდა აგრეთვე იმ დროის ცნობილი კრიტიკოსი – იონა მეუნარგია. და გაჩაღდა ბრძოლა მათ შორის.

ალ. ყაზბეგის ზემოდასახელებული წერილის გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ ი. მეუნარგიამ გაზეთ „დროებაში“ განაახლა რეცენზიების ბეჭდვა სათაურით – „თეატრალური ქრონიკა“. წერილის შესავალში კრიტიკოსმა ალ. ყაზბეგის გაკენწვლა მოინდომა. ამით, ალბათ, სამაგიეროს გადახდას ფიქრობდა. იგი წერდა: „მას აქეთ, რაც მოჩხუბარიძემ „დროების“ თეატრალურ რეცენზენტებს („დროებაშივე“) „ენის წაგრძელება“ გვითხრა, ჩვენ პირველათაა, რომ თეატრალურ ქრონიკას ხელს ვკიდებთ. იმ ხანათ ისე მოხდა, სიტყვა ჩამოგვართვა ე მ ბ ე მ, რომელიც თეატრალურ საქმეში ძლიერ არის განვითარებული და ჩვენ „ენა დავიმოკლეთ.“

ასეთი პასუხი გასცა იონა მეუნარგიამ თავის „თეატრალურ ქრონიკაში“ ალ. ყაზბეგის წერილს. ასეთი შესავლის შემდეგ რეცენზენტმა განიხილა 1881 წლის 9 დეკემბერს კოტე ყიფიანის საბუნეფისოდ გამართული საღამო-წარმოდგენა.

იონა მეუნარგიას არაგულწრფელ გამოსვლას იმავე გაზეთის ფურცლებზე მწერალი მყისვე გამოეხმაურა. მეორე დღესვე „დროებაში“ გამოქვეყნდა მისი წერილი რედაქტორის მიმართ. ალ. ყაზბეგმა ი. მეუნარგიას საპასუხო მათრახები გადაჰკრა



უადგილო ოხუნჯობისათვის, ხოლო თავის მხრივ, მანვე „ენა დამოკლებულ“ რეცენზენტს გონებამახვილობა მოუწონა და თანაც მადლობა გადაუხადა „გონივრული სიჩუმისათვის“.

ალ. ყაზბეგის „წერილი რედაქტორთან“ საინტერესო ფურცელია, როგორც დიდი მწერლის სათეატრო მოღვაწეობაში, ისე საზოგადოდ XIX საუკუნის 80-იანი წლების ქართული თეატრის ისტორიაში.

იგი წერდა: „მე დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს რჩევას ისეთი მოქმედება ჰქონია „დროების“ რეცენზენტებზედ, რომ პირველივე რჩევის შემდეგ „ენა დაუმოკლებიათ“. ეს ამტკიცებს, რომ ისინი იქამდისინ ყოფილან გონიერნი და მოაზრებულნი, რომ პირველი სიტყვიდანვე გაუგიათ ჩემი სიტყვების სიმართლე და თავიანთი თავმოყვარეობა შეუწირავთ გონივრულის სიჩუმისათვის. ისიც დიდი საქებარია, რომ დაუთმიათ თეატრის საქმის მცოდნე ემბესეთვის რეცენზიების წერა. ვუცხადებ რეცენზენტებს ჩემს გულუხვს მადლობას.

ამ ბატონ ლელოს წერილმა მე იქამდინ მასიამოვნა და იმედი მომცა შემდეგისთვისაც, რომ ეხლაც არ დავიზარებ კიდევ რამდენიმე რჩევა მივცე რომელსაც ბატ. ლელო, უეჭველია, დამიჯერებს. ეს რჩევა გახლავს შემდეგი: თქვენი რეცენზიები არ ვარგა და გირჩევთ ისევ გონიერად ენა დაიმოკლოთ. თქვენი კეთილისმყოფი, რომელიც მზად არის ყოველ დროს გიჩვენოსთ შეცდომა. ა. მოჩხუბარიძე.“ (ყაზბეგი, 1950, 112).

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ალ. ყაზბეგის ეს სიტყვები მხოლოდ მეუნარგიას არ შეეხებოდა. იგივე შეეძლო მწერალს ზოგიერთი სხვა რეცენზენტის მისამართითაც ეთქვა, რომლებიც ბრჭყალებით ჩაფრენოდნენ ქართულ თეატრს და აქეთ–იქით ექაჩებოდნენ.

ალ. ყაზბეგმა ამ წერილით ერთგვარად ანგარიში გაუსწორა მის მიერ დაწუნებულ რეცენზენტებს. წერილმა მეუნარგიაც ჩააჩუმა. მის მიერ დაწყებული „თეატრალური ქრონიკა“ პირველსავე წერილზე შეწყვიტა. მას განუხილველი დარჩა უკანასკნელი წარმოდგენები და მათ შორის თვით ყაზბეგის დრამის „არსენას“ წარმოდგენა. ი. მეუნარგიას იმხანად „არსენას“ წარმოდგენაზე რეცენზია არ გამოუქვეყნებია და ეს საქმისათვის კარგიც იყო, რადგან ამგვარ ვითარებაში

კრიტიკოსს მით უფრო აღარ შეეძლო ობიექტური ყოფილიყო ალ. ყაზბეგის ნაწარმოების მიმართ.

ალ. ყაზბეგის სათეატრო მოღვაწეობა წლობით გრძელდებოდა. მისი პიესები „არსენა“ და „წამება ქეთევან დედოფლისა“ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ. გარდა ამისა, მწერალი პირადად მონაწილეობდა თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქართულ წარმოდგენაში. იგი, როგორც მუდმივი ქართული დასის მსახიობი, სცენაზე ხშირად გამოდიოდა.

ალ. ყაზბეგის სასცენო მოღვაწეობა რომ სისრულით წარმოვიდგინოთ, აუცილებელია ერთი მომენტის წინასწარ გათვალისწინება. იგი არ ყოფილა ბრწყინვალე არტისტი, პირიქით, ზოგიერთი თანამედროვე მას, როგორც არტისტ-შემსრულებელს, საერთოდ არ იწონებდა. სწორედ ამიტომ, აუცილებელია აქვე ითქვას, რომ ალ. ყაზბეგს ბუნებით მინიჭებული ჰქონდა ისეთი მაღლი, რომელიც ყველა ჭეშმარიტი არტისტისათვის საჭიროა. ამგვარი მაღლი შეიძლება მის ცეკვებს ეწოდოს. მწერალს თავისი ცეკვით მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა. თანამედროვეთა გადმოცემით, ამ დროს მოხვევე მართლაც შეუდარებელი იყო. სხვა შემთხვევაში „გულჩათხრობილი და მხედველობანაკლული ადამიანი სცენაზე ერთბაშად ცოცხლდებოდა, ახალგაზრდული ენერგიით დაჰქროდა და თან აპრიალეზულ ხანჯლებს ეთამაშებოდა.“

ალ. ყაზბეგის ცეკვას მაყურებელში რაღაც არაჩვეულებრივი სიცოცხლე და აღმაფრენა შეჰქონდა. სცენაზე მოხვევის მოძრაობა მრავალრიცხოვან დამსწრეებს გადაეცემოდა და აღელვებდა კიდევ. ხშირად მისი ხანჯლებით თამაში მაყურებლის სიხარულს თავისებურ შიშის გრძნობასაც უმატებდა ხოლმე. დიდი მწერლის განსაკუთრებული სიმკვირცხლე, როგორც ჩანს, საზოგადოებას ჟრუანტელს ჰგვრიდა. ხოლო თვითონ მწერალი ამ დროს თავისებურ კმაყოფილებას გრძნობდა. მისი ერთ-ერთი მეგობარი პ. ცხვილოელი მოგვითხრობს:

„ალ. ყაზბეგს მეტად ეხერხებოდა ლეკურ-ჩეჩნური თამაშობა, მერე ხანჯლებით, როდესაც რომელიმე წარმოდგენის შემდეგ სცენაზედ უნდა ეთამაშნა, მეტად მხიარულად იყო ხოლმე. ღიღინებდა და დასრიალებდა მესტებით გაპრიალეზულ იატაკზედ. სცენაზედ ყველას უნახავს ალექსანდრეს მოხდენილი ჩეჩნური თამაშობა.“

ვკითხავდი: „სანდრო, ეგრე ბეცი რომ ხარ, როგორ ჰბედავ სცენაზე ხანჯლებით თამაშობას, არ გეშინია, ან თვით მოიხვედრო სადმე, ან სხვას მოახვედრო-მეთქი?“ – „სცენაზე თამაშობის დროს თითქოს თვალთხედვა მომემატება და ვცოცხლდებიო.“ – იტყოდა ხოლმე.“ (ცხვილოელი, 1893, 2).

ალ. ყაზბეგის ცეკვის თაობაზე საინტერესო მოგონებას გვაწვდის მისი თაყვანისმცემელი დავით კლდიაშვილიც. მისი სიტყვები რომ გავიმეოროთ „გაგაჟებით უყვარდა სანდროს სცენა, მაგრამ, საუბედუროდ, ძლიერ სუსტი მსახიობი იყო. სამაგიეროდ, ლეკურის გასაოცარი მოცეკვავე იყო. უცნაური, ლამაზი რამ იყო მისი თამაში ორი ხანჯლით. მაყურებელს თან ხიბლავდა მისი სიმარდე, თან შიშს ჰგვრიდა.

– „სანდრო, თუ კაცი ხარ, თავი გაანებე მაგ ხანჯლებით თამაშს, ფეხებს დაიჭრი ერთ დღეს და ეს იქნება! – ვეუბნებოდი ხოლმე, რაზედაც იგი მხოლოდ სიამოვნებით იცინოდა.“ (კლდიაშვილი, 1962, 39).

დავით კლდიაშვილის ამ ცნობას სოფრომ მგალობლიშვილიც ადასტურებს. ამის თაობაზე სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებებში შთამბეჭდავად მოგვითხრობს: – „ალ. ყაზბეგი თეატრთან განუყრელი იყო, მინამ სენი არ შეიპყრობდა. არტისტი სუსტი იყო, მაგიერში შესანიშნავი მოცეკვავე მოხვეურად და ჩაჩნურად ხანჯლებზე. ეს ბეცი კაცი გასაოცრად ატრიალებდა ხანჯლებს, თვალბთან მიიბიზნებდა და ისე გაფრინდებოდა სცენაზე, როგორც მერცხალი.“ (მგალობლიშვილი, 1938, 118).

## ბ) ალექსანდრე ყაზბეგი სცენაზე

ყაზბეგი, რომელიც სცენაზე „ალექსანდრე მოხევის“ სახელით გამოდიოდა, დასში მიიღეს, ყოველთვიურად ოთხი თუმანი დაუნიშნეს და ჟან-პრემიერის როლებზე იწვევდნენ.

ჟან-პრემიერის ამპულას ნაკლებ ჯამაგირს უხდიდნენ, ვიდრე ტრაგიკულ ან დრამატულ მსახიობებს, თუმცა ჟან-პრემიერის –ახალგაზრდა ამიკის როლის შემსრულებელს –განსხვავებული სცენური გარეგნობა, პლასტიკა, მიხვრა–მოხვრა და მანერები სჭირდებოდა. ერთხმად იყო აღიარებული, რომ ისეთი ჟან-პრემიერი, როგორც სანდრო იყო, „ევროპის დიდ თეატრებსაც კი შეშურდებოდათ.“

მაკო საფაროვა ხუმრობდა: –„ღობემძვრალა, თავდიდა ჯამბაზებს ექვს თუმანს აძლევენ, ასეთ მომხიბლავ ჯენტლმენს კი მთელ ოც მანეთს ვაკლებთო.“

მალე ყაზბეგი მოდურ მსახიობად იქცა, პირველი რეცენზენტები ქებით იხსენიებდნენ:

„განსაკუთრებით მშვენიერი გამოვიდა ელენესა (მარიამ საფაროვა) და არჩილის (მოხევის) სიყვარულის სცენა. ევროპის განვითარებულ და გამოცდილ მოთამაშეებისგანაც ძვირად გვინახავს ამაზე უკეთესი წარმოდგენილი სიყვარულის განცხადება.“

თვით „კუდურ ხანუმის“ ავტორი აკაკი წერეთელი ამბობდა: –„მოხევემ, იქ, სადაც ძნელია საზოგადოდ თამაში, ე.ი. სიყვარულისა და ტრფიალის როლში, სამაგალითოდ ითამაშა.“ ალბათ იმიტომ, რომ ეს მის ხასიათთან მეტად ახლოს იყო. შემოქმედი ხომ წარმოდგენელია სიყვარულის უდიდესი და ულამაზესი გრძნობის გარეშე.

აღტაცებულნი იყვნენ პარტნიორები –მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი... უქებდნენ ჟესტ–მიმიკას, ხმის ტემბრს, მოდულაციას: –„თუ მოხევე ასე თანდათან გაკეთდა ახალგაზრდა მოარშიყეების (ჟან-პრემიერების) როლში, უეჭველია, ერთ დროს ის საუკეთესო მოთამაშე შეიქმნება ამ მძიმე და უმადურ როლებისა, რაც ახალგაზრდა მოარშიყეთათვის საჭიროა, ყველაფერი მიუნიჭებია ღმერთსა მოხევისათვის. კარგი ტანი, ლამაზი მიხვრა–მოხვრა, ტკბილი საარშიყო ხმა, ლამაზი სახე.“

ანდა:

„ბ. მოხევე ყველაზე უფრო უმადურ როლებს თამაშობს ჩვენს სცენაზე და ამ როლებშიც კი ხშირად გამოუჩენია ხელოვნება. ის ღირსია საზოგადოების თანაგრძნობისა და თანაგრძნობას დღეს დაუმტკიცებენ იმას, მოლიერის „ექვით ავადმყოფში“ მხოლოდ მოხევეს არ წაუხდენია თავისი როლი.“

სხვაგან გკითხულობთ:

„ვინ იცის, რა უმადურია, რა ძნელია მოსიყვარულე ახალგაზრდა ვაჟის (ჟან-პრემიერის) როლი, ის დაგვეთანხმება, რომ ა. მოხევე ამ როლს ურიგოდ არ ასრულებდა და ის კი უეჭველია, რომ ახლანდელს ჩვენს გრუპაში ამგვარ როლს იმასავით ვერც ერთი ვერ ითამაშებს.“

ან კიდევ:

„ჯიმშერის როლი ჩინებულად შეასრულა.“

თითქმის დასაწყისშივე, ჯამაგირთან ერთად, სანდროს „ნახევარი ბენეფისი“ დაუნიშნეს, მაგრამ ეს საკმაოდ მცირე თანხა იყო.

–„შენი „ხანჯლურით“ გვხიბლავ, გვაჯადოებ, და თან შიშს გვგვრი, არაფერი შეგემთხვას!“–ეუბნებოდა დავით კლდიაშვილი.

–„ფრთხილად, სანდრო! თუ კაცი ხარ, თავი დაანებე მაგ ხანჯლებით თამაშს,–ურჩევდა სოფრომ მგალობლიშვილი.–ფეხებს დაიჭრი და ის იქნება!“

ყაზბეგს მხოლოდ ეღიშებოდა მეგობრების ნათქვამზე, რადგან იცოდა, რომ ისინი დიდად აფასებდნენ მას და მის შემოქმედებას. ვინ გაიგებდა, რომ ეს გიჟური ცეკვა ავიწყებდა თავის აწეწილ, აფორიაქებულ ცხოვრებას და საშუალებას აძლევდა სულ ცოტა ხნით მაინც დაეღწია თავი მწარე და თითქმის აუტანელი რეალობიდან.

ლადო მესხიშვილის ბენეფისმა პრესაში დიდი შეხლა–შემოხლა გამოიწვია. გამოითქვა ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები. საოცარია, მაგრამ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა არა ბენეფიციანტი, არამედ – ალექსანდრე ყაზბეგი.

ახალგაზრდა კრიტიკოსი ილია ჭყონია წერდა: –„ჯიმშერის როლი ჩინებულად შეასრულა ა. მოხევემ. პიესის დასასრულს, ქორწილის დროს ითამაშეს ლეკური. საზოგადოების ყურადღება მიიქცია მოხევის ჩინებულმა ჩეჩნურ–ლეკურმა. აღტაცებაში მოსულმა საზოგადოებამ სამჯერ გაამეორებინა ცეკვა ამ ღირსეულ ჟან–

პრემიერს და სამჯერვე დაუბოლოებელი ტაშით და ბრავოთი აჯილდოვებდა მის დარდიმანდულ ცეკვას.“

ეს შეფასება იძირებოდა სხვა რეცენზენტების დაცინვასა და თავშეუკავებელ, მეტად დამამცირებელ ლანძღვა-გინებაში. სასაცილოდ იყო აგებული „მოხევის ტლინკაობა,“ „ხანჯლების ტრიალი“ და „თვალების ბრიალი.“ თითქოს თავად უკეთესად ახერხებდა ნებისმიერი მათგანი. მწარე, ყოვლად გაუმართლებელ შენიშვნებს არ იშურებდნენ ყაზბეგისთვის, თუმცა მათ შენიშვნებს არც ეთქმოდა შენიშვნები, ეს უფრო ირემს მისეული მგლების ხროვის შეუბრალებელი შეტევა იყო, რომელთაც შეგნებულად კი არ ჰქონდათ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის კულტურული განვითარებისთვის თეატრის არსებობას და იმ ხალხის მიღვაწეობას, ვინც ქვეყნის სულიერ წინსვლაზე, ერის განვითარებაზე ფიქრობდა. აკი თავად ყაზბეგიც გაოცებული და შეურაცხყოფილი აღნიშნავს:

–„მე კი თეატრში სამსახურს ისე ვუყურებ, როგორც ერთს მამულიშვილურს საქმეს. წმინდა საკურთხეველია. აქტიორები განათლების გავრცელების და გონების გახსნის პიონერები არიან. იცი, რა ხალხმა მოიყარა თავი ქართულ თეატრში?! ჩვენ ისე ვუყურებთ სცენას, როგორც სამშობლოს სამსახურს, მეტიმეტად სჭირდება ჩვენს ქვეყანას, დედაენის შესაფერებლად და სათაყვენებლად, ხალხის ცხოვრების შესასწავლად და გამოსაჩენად. ამიტომ დავუდექი გვერდით! სანამ ცოცხალი ვარ, სიტყვით თუ კალმით, უნდა ვემსახურო ჩემს ხალხს, ისიც კმარა, როცა აღარ ვიქნები და ველარაფრით შევეწევი.“ –წერდა მთელი გრძნობით შემოქმედი.

კრიტიკა ზოგადად დადებით შედეგს უნდა ახდენდეს კრიტიკის საგანზე, მაგრამ ყაზბეგის შემთხვევაში კრიტიკაა ის ერთ-ერთი ძირითადი, რამაც საბოლოო განადგურების პირას მიიყვანა ყაზბეგი, რამაც დაანგრია მისი ცხოვრება და ქართველ მკითხველს არ მისცა საშუალება ალ. ყაზბეგის კიდევ მრავალი ნაწარმოებით დამტკბარიყო. იმ ნაწარმოებებით, რომლებიც თან წაიღო უდროოდ უფალთან გაფრენილმა ყაზბეგის სულმა. ყაზბეგი თავისი სიცოცხლის მანძილზე (და შემდეგაც) ბევრჯერ ყოფილა ყვავ-ყორნების სათრევი, მაგრამ რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა გვეჩვენოს, ყოველთვის საღსალამათსა და შეურყვნელს დაუღწევია თავი ათასი ჭორისა და უბედურებისაგან, მტრულად განწყობილი ვაი-მოკეთებებისაგან,

რომლებიც ალექსანდრეს გამოწვდილ ხელზე საკენკს კენკავდნენ და უმადურები თან ცდილობდნენ ჩირქი მოეცხოთ მისი სახელისთვის.

### გ) გაზეთი „დროება“ ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ

ალექსანდრე ყაზბეგი თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის პირველ ხანებში ცდილა, რომ მოეწყო სტამბა, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართული წიგნების ბეჭდვასა და გავრცელებას. თანამედროვეთა გადმოცემით, მას, არსენ კალანდაძესთან ერთად, შეუდგენია ამხანაგობა და სტამბისათვის საჭირო მოწყობილობათა შეძენაც დაუწყო, მაგრამ საბოლოოდ მწერალს ამ იდეის განხორციელება ვეღარ მოუხერხებია. იმავე წელს იგი ცნობილ ჟურნალისტს – სერგეი მესხს დაახლოვებია და მისივე მიწვევით გაზეთ „დროების“ რედაქციაში დაუწყო მუშაობა.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების გაზეთ „დროების“ მოამაგეთა მცირერიცხოვან ჯგუფში ალექსანდრე ყაზბეგი საპატიო ადგილს იჭერს. იგი ამ გაზეთის ძირითადი მუშაკი, მისი ერთ-ერთი ნაყოფიერი მოღვაწე იყო. „დროების“ რედაქციაში დიდი მწერლის მუშაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის სერგეი მესხის ძმა – დავითი, რომელიც აგრეთვე „დროების“ ძირითადი მუშაკი იყო.

იგი წერს: –„სერგეის აუკრძალეს მუშაობა. გულის ანევრიზმი თანდათან უმძაფრდებოდა. რედაქციაში ვმუშაობდით: სანდრო ყაზბეგი, სტ. ჭრელაშვილი (სანო), დავით კეზელი (სოსლანი), პეტრე უმიკაშვილი, ილია ხონელი (ბახტაძე) და მე. მუდმივად რედაქციაში პეტრე, სანდრო და მე ვიყავით. დანარჩენები შემოივლიდნენ და მასალას გვაწოდებდნენ.

„დროება“ მაშინ დიდი ტანის გაზეთი არ იყო და ამდენს მომუშავეს მასალის დაგროვება არ უნდა გაგვჭირებოდა... მასალის შემოკლება მაინც ხდებოდა. უფრო ხშირათ ცენზორის წყალობით.“

დავით მესხის გადმოცემით, ალექსანდრე ყაზბეგი იყო „გაჭირვების ტალკვესი“ იმ მომენტებში, როდესაც მეფის ცენზურა დასაბეჭდად გამზადებული „დროების“ გვერდებს წითელი მელნიტ „დაასისხლიანებდა.“ ასეთ შემთხვევებში გაზეთი ალ. ყაზბეგის თხოვლებით უნდა შევსებულიყო. იგი „დროების“ რედაქციისათვის წარმოადგენდა ისეთ უტყუარ ძალას, რომელიც ყოველ წუთს მზად იყო ეწერა, რომ გაზეთის დროულად გამოსვლა არ შეფერხებულიყო.“

დავით მესხი განაგრძობს თხრობას: –„თუ ისეთი რამ დროული საგაზეთო მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, მაშინ სანდრო თავისუფალი იყო, ხოლო როცა ასეთი მასალა ანდა ცენზორის წითელი მელანი ულმოვლად გადახაზავდა ხშირად ვრცელ წერილსაც, მარქაფად სანდრო გვყავდა... ჩაუჯდებოდა, ჩვენც ვუცაცხანებდით, თავს კიდევ გზირი – ასოთამწყობი ადგა, ფარატინს ფარატინზე აჭრელებდა თავის დიდი მოთხრობებისას და ასეთი ნაწყვეტები სტამბაში ხშირად გადაუკითხავადაც იგზავნებოდა. ხშირად ვეტყოდით ხოლმე:

– სანდრო, კაცო, არ დაგვლუპო, მოთხრობა მალე არ გაათავო!

–რა გინდათ, რა ვქნა! თუ ამას მოვრჩები, სხვა ველარ დავიწყე?! – იტყოდა ხოლმე.“

დავით მესხის მიერ მოწოდებულ ცნობას ერთგვარად ავსებს და აფართოებს მწერლის მეორე თანამედროვის – პ. ცხვილოელის მოგონება. ცხვილოელი ალ. ყაზბეგს საკმაოდ კარგად იცნობდა. იგი 1881 წელს სამი თვის განმავლობაში ალექსანდრესთან ერთად ცხოვრობდა.

პ. ცხვილოელი თავის მოგონებაში ვრცლად მოგვითხრობს იმ ეპიზოდს, როდესაც ალ. ყაზბეგი გატაცებით წერდა რომანს – „მამის მკვლეელი“ და მის ახალ-ახალ ნაწილებს სერგეი მესხის „დროებაში“ ბეჭდავდა. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს რომანი, ისე, როგორც სხვა ნაწარმოებები, „დროებას“ მკითხველთა მასებს შემოუკრებდა, გაზეთის ავტორიტეტის ზრდას ეხმარებოდა, მაგრამ იმ დროს ალ. ყაზბეგისათვის რომ ეკითხათ, იგი ამ მომენტს ანგარიშში არც კი მიიღებდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ალ. ყაზბეგს, როგორც რედაქციის ძირითად თანამშრომელს, საკუთარი თავი ვალდებულად მიაჩნდა, რომ გაზეთი მუდამ და ყველა შემთხვევაში გასაჭირისაგან ეხსნა, რომ მკითხველს ყოველი გაზეთის ახალი



ნომერი დროულად მიეღო. უმნიშვნელო მოვლენა არც ესაა, როდესაც „დროებას“ სხვა ავტორთაგან მოწოდებული მასალა შემოაკლდებოდა, ყაზბეგს თავისი რომანების გაგრძელება უნდა მიეცა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იმ მომენტებში იგი წერის განწყობილებაზე. საქმე მოითხოვდა და მწერალს უნდა ეწერა. ალექსანდრე ყაზბეგი ამგვარი შემთხვევისათვის ყოველთვის მზად იყო. იგი არ ზოგავდა თავის თავსა და ენერგიას.

პ. ცხვილოელის დამოწმებით, მწერალი თითქმის ყოველდღიურად ჩადიოდა დაბლა „დროების“ რედაქციაში და წერდა „მამის მკვლელს“. – „რაკი კალამს აიღებდა ხელში და დაადებდა ქაღალდს, ვიდრე არ შეასრულებდა მთელს საფელეტონე წერილს, თავს მალა არ აიღებდა. ქაღალდიდან ერთის გოჯის მანძილზე ძლივს ეჭირა თავი, ისე ახლო მიაყოლებდა თვალს ახალ-ახალ სტრიქონს (ალ. ყაზბეგს თვალთ აკლდა ძალიან და ბეცი იყო). ამ დროს ლაპარაკი, ფეხის ხმა, რახარუხი, სიცხე, სიცივე მისთვის არ გაეჩინა, სწერდა და სწერდა განუწყვეტლივ. ხშირად ჟაკო შეახტებოდა კისერზედ, მოიკალათებდა და დაიძინებდა ხოლმე და როცა წერას გაათავებდა, მხოლოდ მაშინ გაიგებდა ჟაკოს კისერზე ყოფნას.“

დავით მესხისა და პ. ცხვილოელის მოგონებები საკმაო წარმოდგენას იძლევიან ალ. ყაზბეგის საგაზეთო მოღვაწეობაზე და ზოგადად ცხოვრებაზე. ეს მოგონებები მით უფრო ძვირფასია, რომ მათი ავტორები დიდ მწერალს კარგად იცნობდნენ. დავით მესხი და პ. ცხვილოელი სხვადასხვა დროს მასთან ერთად ცხოვრობდნენ ერთ ბინაში, გაზეთ „დროების“ რედაქციის შენობაში და შესაბამისად სხვებზე უკეთ ხედავდნენ, როგორ თავდაუზოგავად წერდა და წერდა ალ. ყაზბეგი, შესაბამისად, მათი მოგონებები მეტად მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია.

გაზეთ „დროების“ რედაქციაში მის მოღვაწეობაზე საინტერესო ცნობას იძლევა თვითონ ალ. ყაზბეგიც. იგი მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით მოგვითხრობს იმ უანგარო შრომაზე, რომელსაც „დროების“ რედაქციაში ეწეოდა:

– „დაახ, ბევრი, ძალიან ბევრი ვიმუშავე „დროებაში“. მის სტატიებს ჩავაწყალე ჩემი თვალის სინათლე. ამ გაზეთში დავიწყე შრომა, მას შევთვისდი და ეს გაზეთი შეიქმნა თითქმის ჩემი არსების ნაწილი. მაგის გარეთ მე დავიწყე „დროებაში“ მუშაობა სწორედ იმ დროს, როდესაც რედაქცია ყოველ ნაკლულოვანებას ხედავდა.

ვმუშაობდი ყინვაში, სიცივეში, მთელს ღამეებს ვატარებდი უძილობაში, რადგანაც ყველა ჩამოცილებული ჰყვანდა და დღე-დღეზე მოელოდა მის მოსპობას. ისეთი წუთებიც შემხვედრია, როდესაც გაცხარებულს მუშაობაში სანთელი ჩამქრალა, ღამის სიბნელეს გახურებული გონების მუშაობა შეუწყვეტია. ამაოდ მიძებნია სანთელი, ლამპებიდან ერთითგან მეორეში ჩამიწურავს ნავთის ნადირალები და იმითი შემწეობით გამითავებია სამუშაო.“ (ყაზბეგი, 1950, 119).

ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგი ოთხმოციან წლებში სერგეი მესხის გაზეთის „დროების“ ერთ-ერთი ძირითადი მუშაკი იყო. მისი გამოჩენა ფართო სამწერლო და საზოგადოებრივ ასპარეზზე ამ გაზეთის ფურცლებიდან დაიწყო. „დროებაში“ იბეჭდებოდა მისი, როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული ნაწარმოებები. იმავე გაზეთის რედაქციასთან არის დაკავშირებული დიდი მწერლის ზოგიერთი ნაწარმოების შექმნის ისტორიაც.

გაზეთ „დროებაში“ 1880–1885 წლებში დაიბეჭდა სულ 25 წერილი, აქედან მხოლოდ ის წერილები დავაფიქსირე, რომელიც უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნიე.

1. 1880 წ. 103. - მიმოხილვა რედაქციის სახელით, „საფაროვას ქალის ბენეფისი“. განხილულია მაკო საფაროვას ბენეფისზე წარმოდგენილი ა. მოჩხუბარიძის ოთხმოქმედებიანი დრამა „ერთი უბედურთაგანი“, ამ რეცენზიის მიხედვით, პიესას აკლია დრამისათვის აუცილებელი სიცოცხლე და ბრძოლა.

2. 1880 წ. 139. – რეცენზია (დამსწრის ხელმოწერით) ა. მოჩხუბარიძის მიერ ნათარგმნ ვოდევილზე - „ორი ქორწილი ერთად“. უარყოფითად განწყობილი რეცენზენტი იწუნებს პიესის ენას. ამის საპასუხოდ „დროებაში“ დაიბეჭდა ა. მოჩხუბარიძის - „წერილი რედაქტორთან“.

3. 1880 წ. 205 – რეცენზია ა. მოხევის (ალ. ყაზბეგის სასცენო ფსევდონიმია) მიერ ნათამაშებ როლზე დრამაში - „კუდურ-ხანუმი“. რეცენზია დადებითია.

4. 1883 წ. 139 – ი. წინამძღვრიშვილის (ხორეშან ლოყაწითელის ფსევდონიმით) შარჟი ალ. ყაზბეგზე.

5. 1883 წ. 168 – დ. კეხელის (დ. სოსლანის ფსევდონიმით) „წერილი რედაქტორთან.“ ამ სტატიით ავტორი გამოეხმაურა ა. ყაზბეგის წერილს „ბ.

რედაქტორო!“ (137). ორივე წერილი მათ ავტორთა შორის გამწვავებული ურთიერთობის საკითხს ეხება.

6. 1883 წ. 172 – ნ. ხიზანიშვილის (ურბნელის ფსევდონიმით) რეცენზია ა. მოჩხუბარიძის დრამაზე – „წამება ქეთევან დედოფლისა“. მიმომხილველი მაღალ შეფასებას აძლევს ადამიანის შინაგან განცდათა გადმოცემის ალ. ყაზბეგისეულ ნიჭს.

7. 1883 წ. 248 – უარყოფითი რეცენზია (რედაქციის სახელით) ა. მოჩხუბარიძის პიესებზე – „აღმზრდელები“, „დილა ქორწილის შემდეგ“.

8. 1884 წ. 12 – იაკობ გოგებაშვილის რეცენზია საბავშვო ჟურნალ „ნობათში“ (1883 წ. 1) დაბეჭდილ ალ. ყაზბეგის მოთხრობაზე „მტრედი“. შეფასებულია დადებითად.

ყაზბეგის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ „დროების“ ფურცლებიდან ჩემს მიერ ამოკრეფილ შეხედულებათა ნუსხა გვარწმუნებს იმაში, რომ ალ. ყაზბეგი XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ყურადღების ცენტრშია. გარდა ამისა, კვლევის დროს ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმის დაზუსტება, თუ რა კრიტერიუმებით სარგებლობდნენ რეცენზენტები. რამდენად „სვინდისიან რეცენზიებს“ (ეს გამოთქმა დავაფიქსირეთ ალ. ყაზბეგის ვრცელ პოლემიკურ წერილში – „ყველაფერი აშკარად“) წერდნენ ალ. ყაზბეგის მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროს შესაფასებლად და როგორ პასუხობდა იმ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი სხვადასხვა მხრიდან წამოსულ შემოტევებს.

## თავი VI.

### ლიტერატურათმცოდნეები ალექსანდრე ყაზბეგზე

დავით მიქელაძე-მეველის თქმით, ალ. ყაზბეგის საფუძვლიანი დაფასება მომავლის საქმე იყო. მან „თანასწორად იცოდა საიდუმლო თავადისა და გლეხისა, მისი ნაწერის ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია სამშობლოსა და მოძმის სიყვარულით, იმ გრძნობით, რომელიც კაცობრიობისა და ცივილიზაციის საუკეთესო სამკაულია.“

ისტორიკოსმა და ლიტერატორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა (1864–1912) ალ. ყაზბეგს „ქართველი მოპასანი“ უწოდა. მან საკმაო ადგილი დაუთმო ალ. ყაზბეგს „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ IV ტომში. – „განვითარებულ ქვეყნებში,– წერდა მეცნიერი,– ხალხი თავის ისტორიას მხატვრულ–ლიტერატურულ ნაწარმოებთა მეშვეობითაც სწავლობს და ჭეშმარიტად დიდებისა და პატივისცემის ღირსია ალექსანდრე ყაზბეგიც, რომ მან ამ მხრივაც ქართველი ერი მოწინავე ევროპულ ერებს ამოუყენა გვერდით. იგი მეღნით კი არა, სისხლით წერს ხალხის ისტორიას.“

ს. ჭრელაშვილი ქება–დიდებას ასხამს მთიანეთის ისტორიულ ყოფა–ცხოვრებას, მიიჩნევს მას „ქართული სულის შემნახველად, გაუტეხელი გულის, დაურღვეველი აზრის, მტკიცე ზნეობის, მაღალი ადამიანურობის სამეფოდ, რასაც ოდესღაც მთელი საქართველო წარმოადგენდაო.“

ს. ჭრელაშვილი პარალელს ავლებს, ერთი მხრივ, ალ. ყაზბეგსა და მეორე მხრივ, ემილ ზოლას, ნიკოლოზ გოგოლის და მიხეილ სალტიკოვ–შცედრინის საზოგადოებრივ–პოლიტიკურ შეხედულებებს შორის და დიდ მსგავსებას ხედავს მათ ზრუნვაში, სამარცხვინო ბომზე გაეკრათ და მასხრად აეგდოთ რუსული და ევროპული ცივილიზებული მოძალადეობა.

აკაკი წერეთელმა ალ. ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ ქართველ ინტელიგენციას თითქოსდა უსაყვედურა და აღნიშნა, რომ „დიდ მწერალ–მოაზროვნეს, ალ. ყაზბეგს სიცოცხლეში რომ მოვქცეოდით ისეთი ინტერესით, როგორც გარდაცვლილს ვექცევით, იქნებ ასე ნაადრევად არც დაღუპულიყო. რაც

შეეხება მის მსოფლმხედველობას, იგი გამოხატავდა სიკვდილ–სიცოცხლის, საიქიო–სააქაო ცხოვრების საიდუმლოს.“ ალ. ყაზბეგს „კვირფას საუნჯედ ემარხა გულში ქრისტეს მოძღვრება და წმინდა მცნება, ძმათ სიყვარული და სათნოება, შრომის კავშირით შეერთებული გული სიწმინდითა და სული მარად წრფელი ზრახვებით გაახლებული.“

ვაჟა–ფშაველამ „ტანჯული ქვეყნის შვილი“ უწოდა თავის მეგობარს ალ. ყაზბეგს, რომელიც „ეკლის გვირგვინდადგმული“ ამოღებული ხანჯლით და „სისხლის გუბეში ნაწები კალმით“ მიუვიდიდა „მამულისათვის გამწყდარ“ მამა–პაპას.

რომანოზ ფანცხავა–ხომლეღმა (1861–1928) განუხილველი დატოვა ალ. ყაზბეგის შემოქმედება, მხოლოდ გაკვრით ახსენა იგი სხვა თემაზე დაწერილ სტატიაში, მაგრამ დასაბუთებულად მიაკუთვნა „განსხვავებული ა. მოჩუბარბე იმ დრამატურგებს, რომლებიც „გონებაგაუხსნელი და ბინძური გემოვნების საზოგადოების მოსაწონ ისტორიულ დრამებს“ ქმნიდნენ „ცრუკლასობრივ ყალბის მოთხოვნილებისდაგვარად“, მერე თითქოს ამგვარი მიმართულების მწერლებმა მოთხოვნილებად აქციეს „ცრუკლასობრივი და სენტიმენტალური იდილიზაცია“ წარსულისა და აწმყოსი, ხოლო 10–15 წლის წინანდელი მწერლები შეადგენდნენ „მარტო იდეალისტებს და რეალისტებს, ანდა ერთსა და იმავე ბელერტიისტი იდეალისტიც იყო და რეალისტიც.“ (მაგ: ილია ჭავჭავაძე, ალ. ყაზბეგი).

დაახლოებით ასეთი იყო მწერალ–მოაზროვნის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის ასე თუ ისე შესწავლისა და შეფასების ვითარება იმ დროისათვის, როცა 1912 წელს ქუთაისში გამოქვეყნდა დიდი ქართველი მოაზროვნის, კიტა აბაშიძის (1870–1917) ნაშრომის მეორე ტომი, „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“, რომლის ერთ–ერთი ვრცელი ნარკვევია „ალექსანდრე ყაზბეგი“. კიტა აბაშიძემ სცადა განესაზღვრა მისი კუთვნილი ადგილი ახალი ქართული სალიტერატურო და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

კიტა აბაშიძემ თავის გამოკვლევას დევიზად წაუძმღვარა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ცნობილი გენიალური ეპილოგი, რომლითაც დიდი

მწერალი–მოაზროვნე თანამემამულეებს მოუწოდებდა ეროვნულ–სოციალური თავისუფლებისათვის მოძრაობის გაფართოებისაკენ: –„მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითაც ხარ ნაჩხვლეტი. ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო!“ – სთქვი შენ და მე გავიგონე; მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა; იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეს ტკივილი გულში, როდემდის? ეხ, როდემდის, როდემდის?“... უკვე აქედან ჩანს, კიტა აბაშიძის აზრით „მტკიცე კავშირი“ ილია ჭავჭავაძისა და ალ. ყაზბეგის ეროვნულ–საზოგადოებრივ შეხედულებებს შორის, რაც მას „ეტიუდების“ სხვა ნარკვევებშიც აღუნიშნავს, მაგ: 143–ე გვერდე, ალ. ყაზბეგისადმი მიძღვნილ ნარკვევში დაბეჯითებით იმეორებს, რომ ალ. ყაზბეგი „ილია ჭავჭავაძის მიმდევარია პროზაში. ალექსანდრე ყაზბეგმა განავითარა და ახალ ნიადაგზე ააყვავა რომანტიკული მხარე ილია ჭავჭავაძის მწერლობისა და... დაასურათა ის ღრმა აზრი, რომელიც ამოვწერეთ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“. მთელ ნაწარმოებს ალ. ყაზბეგისას მისი გამოკვლევა აქვს აზრად, „თუ რა ნესტრით არის ნაჩხვლეტი“ მოხევე და ამასთან ერთად მთელი ქართველი ერი, „დროთაგან შეუბღალავი, შეუმუსრავი საღი ნაწილი ამ ერისა.“

მხატვრულ–ესთეტიკური და იდეურ–საზოგადოებრივი მსოფლმხედველობით, ალ. ყაზბეგი კიტა აბაშიძის აზრით, რომანტიკოსიცაა და რეალისტიც, უფრო ზუსტად ნეორომანტიკოსი. თუმცა ყაზბეგის ნაწარმოები ერთი ბეწოთიც არ არის სინამდვილეს დაშორებული. მწერალი ცდილობს სინამდვილეს შეხედოს ობიექტურად... ამდენად იგი რეალისტია“... ხოლო, რამდენადაც იგი ჩვეულებრივ სინამდვილეს ამაღლებულად გადმოგვცემს, „იგი იმდენად რომანტიკოსია, მისი წერის მანერა რომანტიულია...“ „მან შექმნა მთელი ახალი ქვეყანა, მშვენიერი და წარმტაცი გმირებით დასახლებული, რომელიც სამაგალითოდ, მისაბამად დაგვისახა. არსებული სინამდვილის ელემენტებიდან ყაზბეგმა, ვით ჯადოსანმა ქიმიკოსმა, სრულიად ახალი სანახაობა დაგვიხატა... მერე სამყარო, თითქმის ისეთივე დიდებული, როგორც არსებული.“

კიტა აბაშიძე ემიჯნება „დავით კარიჭაშვილის ყაზბეგს“, აღწერილს მისი „ბიოგრაფიული მეთოდით“ და განადიდებს „ყაზბეგს ჩვენს ლიტერატურაში ახალი

(რეალისტურ–რომანტიული ანუ ნეორომანტიული) მიმართების დამამკვიდრებელს.“  
„ყაზბეგმა... არათუ ახალი მიმართულება მისცა ლიტერატურას (და საზოგადოებრივ აზროვნებას– თ.გ.), მან დიდი პოლიტიკური მამაცობაც გამოიჩინა, მოქალაქეობრივი სითამამე და ის, რაც ილიამ და აკაკიმ ვერ გაბედეს და მხოლოდ სიმბოლოს სახით დაგვანახეს, ყაზბეგმა თვალსაჩინო სურათებით დახატა; დოკუმენტალურად, მშვენიერი... ფერადებით დაგვისურათა ქართველი ერის მდგომარეობა... მდუმარე აღშფოთება... საეროვნო აზრი... რომელიც მის ნაწარმოებებში უმაღლეს წერტილამდის არის აყვანილი.“

კიტა აბაშიძე მის კონკრეტულ დახასიათებას მშობელი ქვეყნის ბუნებისადმი მწერალ–მოაზროვნის დამოკიდებულების განსაზღვრით იწყებს:

–„კავკასია ულამაზეს ქვეყნად არის მიჩნეული და ამ ულამაზესი ქვეყნის საუკეთესო მხარე მთებია. რაღა გასაკვირველია, თუ აქ დაბადებული და აღზრდილი ალექსანდრე ყაზბეგი უდიდესი მხატვარია ბუნებისა.“ ბუნება ბუნებრივი თუ ადამიანური, მაინც დეკორაციაა ადმიანის აზროვნებისა თუ განცდისა და კიტა აბაშიძის თქმით, ალ. ყაზბეგის მიერ დახატულ „ამ საუცხოო დეკორაციაში იმლება თავზარდამცემი ტრაგედია ცხოვრებისა“, რომლის უმთავრესი სოციოლოგიურ–ფსიქოლოგიური საგანია, თუ რა გავლენა იქონია მთიელთა (და საერთოდ ქართველ და არაქართველ და საზოგადოდ კაცობრიობის. თ.გ.) ცხოვრებაზე, რა ცვლილებანი მოახდინა ფსიქიკაში, რანაირად დაამსხვრია და გაანადგურა მთიელთა (და საერთოდ ადამიანთა. თ.გ.) ზნე–ჩვეულებანი მთაში (და სხვაგან. თ.გ.) ახალი ბარბაროსული ძალის შესევამ და დამკვიდრებამ...“ ამის ამოცნობას ისახავს მიზნად ალ. ყაზბეგის „ბუნების ფილოსოფია, მისი აზრი სიყვარულსა და მეგობრობაზე, მისი საზოგადოებრივი დაკვირვება...“

ალ. ყაზბეგის მიხედვით ადამიანის ცხოვრებაში მისგან დამოუკიდებლად მოქმედებს სამი უძლეველი ძალა: სიყვარული, სიცოცხლე და სიკვდილი. მას „სიყვარულის ხორციელი, ფიზიოლოგიური ძალა პირველ პლანზე აქვს დაყენებული,– ამბობს კიტა აბაშიძე,– მაგრამ სიყვარულის ძალის მისეული აღწერა მაინც შეიცავს „რაღაც ღვთაებრივს, რაღაც რუსთაველისებურს.“ მისი წარმოდგენით, ცხადია, უძლეველია სიკვდილიც, მაგრამ სიცოცხლესაც როდი აქვს მასზე ნაკლები

ძალა, ისიც იბრძვის მეტოქეობის გრძნობით განმსჭვალულ უკიდევანო სამყაროში, სადაც „მისი სამეფო ბევრად უფრო ძლიერია და თვალუწვდენელი, ბევრად უფრო უსაზღვრო და მშვენიერი, ვიდრე სამეფო სიკვდილისა, სიცოცხლის ამ დაუძინებელი მტერისა.“

1927 წელს გამოვიდა ვახტანგ კოტეტიშვილის მესამე წიგნი – „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია.“ მისი აზრით, ალ. ყაზბეგი მსოფლმხედველობით ნეორომანტიკოსია, ხოლო „მისი შემოქმედება ერთი მთლიანი რომანია.“

სერგი ჭილაია წერდა: – „თავდაპირველი „დიდი ინტერესი და მღვწარება“ ყაზბეგის ნაწერებისადმი „დღემდე არ შენელებულა“ და ისინი „დაუბერებლად ცოცხლობენ“, თავიანთი ჰუმანიზმით, კეთილშობილებით, რაინდობით, პატრიოტიზმით „დღესაც აღაფრთოვანებენ (ადამიანებს) ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად“, რადგან „ალექსანდრე ყაზბეგს შეურყევლად სწამდა საქართველოს მომავალი და ეს ნათელი რწმენა მომავლისა გადასცა მან თავის საყვარელ გმირებს... ეს ნათელი ოპტიმიზმი სამშობლოს აღდგენისა და განახლებისა არის ის ძალა, რაც წინ მიუძღვის მის გმირებს. ხშირად ისინი უთანასწორო ბრძოლაში იღუპებიან, მაგრამ შეგნებული აქვთ და იციან, რომ ვინც სამშობლოსათვის სიცოცხლეს სწირავს, ის სიცოცხლის დღეგრძელობისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძვის.“

შალვა რადიანი აღნიშნავდა, რომ ალ. ყაზბეგის შემოქმედებისათვის „განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მეცხვარეობაში გატარებულ წლებს... მის შემოქმედებაში მთავარი ადგილი ხალხს უჭირავს... მთის ადამიანი უპირატესად ეხატება, როგორც პატიოსანი, გაუტეხავი, თავისუფლებისმოყვარე, ოჯახის, გვარის, თემის, სამშობლოსათვის თავგანწირული... ალ. ყაზბეგმა იცის ისიც, რომ თემსა და პიროვნებას შორის მძაფრი წინააღმდეგობა არსებობდა... იგი თემის თავყანისმცემელია, მაგრამ ვერ ურიგდება პიროვნების შეზღუდვასაც... თემის იდეალიზაცია მისი მსოფლმხედველობის სუსტი მხარეა, იგი სრულად ითვალისწინებს ქვეყნის ისტორიულ ვითარებას... ბუნების დიდი მესაიდუმლეა... ყაზბეგის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სიყვარულის პრობლემას. ...



სიყვარულს ტრაგიკულ გრძნობად წარმოგვიდგენს – სიყვარული არამარტო შემოქმედებითი, ამაღლებული, არამედ დამღუპველი ძალაცაა.“

გურამ ასათიანის თქმით, ალ. ყაზბეგის „გამოსვლა ლიტერატურულ ასპარეზზე ქართველი მწერლობისათვის, მანამდე თითქმის უცნობი სამყაროს აღმოჩენას უდრიდა...“, ნივთიერად გადატაკებულმა მწერალ-მოაზროვნემ „სულ რამდენიმე წლის განმავლობაში... ქართული მწერლობა გამდიდრა მთელი რიგი ბრწყინვალე ქმნილებებით.“ ალ. ყაზბეგმა „კი არ გამოიგონა, არამედ აღმოაჩინა, შეითვისა და წარმოსახა, როგორც ჭეშმარიტი, შინაგანად კანონზომიერი რეალობა.“ მისი „ამაღლებული და რომანტიული“ გმირები და „ამავე დროს მათი ხასიათები ავტორის მიერ გახსნილია დიდი მხატვრული სიმართლითა და დამაჯერებლობით. რომანტიკულისა და რეალისტურობის ერთიანობა წარმოადგენს ყაზბეგის პროზისთვის (მსოფლმხედველობისთვის. თ.გ.) დამახასიათებელ თვისებას.“

მიხეილ ზანდუკელს (1889–1969) 1923 წელს დაუწყია და 1924 წელს გამოუცია ალ. ყაზბეგის ორიგინალების კრიტიკული გამოკვლევა და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ა. მოჩხუბარიძის ფსევდონიმით 1880–1885 წელს ალ. ყაზბეგის მიერ „დროებასა“ და „ივერიაში“ გამოქვეყნებული მოთხრობები და რომანები ხალხოსანი მოღვაწე-მოაზროვნის დიმიტრი ყიფიანის დაწერილია, ხოლო მანამდე დაწერილი პიესების ავტორი იყო „კლეპტომანი, პლაგიატორი, სიმულიანტი, სულითა და ხორციტ ავადმყოფი და დეგენერატი“ ალ. ყაზბეგი, რასაც მოწმობსო დავით კარიჭაშვილისა (1862–1927) და გიორგი ნათაძის (1870–1946) მიერ შედგენილი ბიოგრაფიები ალექსანდრე ყაზბეგისა და ელენე ყაზბეგის (1870–1915) მიერ დაწერილი „ა. მოჩხუბარიძის ბიოგრაფიის მასალა.“ იგივე გაიმეორა მ. ზანდუკელმა 1928 წელს გამოცემულ ნაშრომში – „ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევა.“ „თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“, მერე კი 1932–1959 წლებში გამოცემულ სამტომიან „ახალ ქართულ ლიტერატურაში“, რამდენადაც ვიცით, ეს მცდარი თვალსაზრისი ცნობილმა მეცნიერმა შემდგომ უარყო.“

სხვაგვარად ჭეშმარიტად ობიექტურად შეხედა ექიმმა და სოციოლოგმა ივანე გომართელმა ალ. ყაზბეგის ავადმყოფობასა და ჰუმანურ პატრიოტიზმსაც და მის მკვლევართ ნააზრევსაც. მისი აზრით ალ. ყაზბეგის „ავადმყოფობა“ არა მარტო

ბუნებრივ-ფიზიოლოგიური, არამედ სოციოლოგიურ-ფილოსოფიურიც იყო, ხოლო ყველაზე ღრმად „ვახტანგ კოტეტიშვილმა შეიცნო ბუნება ყაზბეგისა, როდესაც მისი ერთი ბეჭი ზეცისაკენ აიზიდა, მეორე კი მიწისაკენ დაიხარა“ ანუ მისი მსოფლმხედველობა ზეციურ-მიწიერ მოვლენად მიიჩნია. ალ. ყაზბეგი თავისი ფილოსოფიითა და სოციოლოგიით მიილტვოდა ზეცასავით ამადლებული მარადიული სიკეთის, სიმართლისა და სიყვარულისაკენ, მაგრამ მიწიერმა უსამართლო ბოროტებამ ბოლო მოუღო მას, დასცა და გაანადგურა. „ის რომ არ შეშლილიყო, თავს მოიკლავდა,- განაგრძობს ივანე გომართელი,- რადგან „გაორებულია“, მის პიროვნებასა და მსოფლმხედველობაში ორი სხვადასვა საწყისი ებრძვის ერთმანეთს. ეს ჩანს გარეგნულად, მისი შინაგანი „მთლიანი ბუნება კი შეუმჩნეველი რჩება.“ ამიტომ ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში ყაზბეგი არ არის ახსნილი, გამოცნობილი... იმიტომ, რომ მასში ორი ადამიანია ერთი-მეორის უარმყოფელი. ზოგი ერთს ამჩნევს, ზოგი –მეორეს.“

თუ ალ. ყაზბეგის ცხოვრებასა და მსოფლმხედველობას მთლიანად განვიხილავთ, იგი უაღრესად ტრაგიკული პიროვნებაა, „რომელშიც წინააღმდეგობრივია პიროვნება, ერი, საზოგადოება, მისი წყობილება –ერი და თვითმპყრობელობა, ერი და საზოგადოება, პიროვნული სიკეთე და ბოროტება.“ (გომართელი,1959).

ალ. ყაზბეგის შემოქმედების ცხოველმყოფელი ძარღვია ზოგადადამიანური და ზოგადეროვნული საზრისი, „მთელი შემოქმედება ყაზბეგისა გამოსახვაა, მხატვრული განსახიერებაა მისი ფილოსოფიური აზროვნებისა, კეთილისა და ბოროტის ბრძოლისა, როგორც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, ოღონდ რუსთაველის ფილოსოფიის უმთავრესი პრაქტიკული დასკვნაა „დათრგუნვა ბოროტისა და კეთილის მარადიულობა.“ პირველ შემთხვევაში უდიდესი ოპტიმიზმი, მეორეში-პესიმიზმი.“

ივანე გომართელი არ ეთანხმება მათ, ვისაც ალ. ყაზბეგის მწერლობა-აზროვნება ერთფეროვანი ჰგონია. ბევრს ეს იმიტომ ეჩვენება, რომ „ყაზბეგი ყველგან და ყველაფერში დაძვებ ერთსა და იმავეს: სამართალს, ჭეშმარიტებას, კეთილის ძლევამოსილებას“, რომლისათვის დაუდევარ ბრძოლაში იგი „ხან ამაყია, როგორც

მთის არწივი, ხან მრისხანე, როგორც გახელებული ლომი, ხან წყნარი და ნაზი, ვით ქალწული, ხან აღელვებული, ვით ზღვა, ხან გალალეებული... ხან ძაძით შემოსილი – მგლოვიარე... ჭირვეული... შეყვარებული თემზე... ყოველთვის კი უამრავი ბრძოლების აღმძვრელი.“

1938 წელს ალ. ყაზბეგის დაბადების 90 წელი შესრულდა და ამ თარიღს გამოეხმაურა ლევან ასათიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ თუ „თავის დროზე ქართული ინტელიგენციის ნაწილმა აბუჩად აიგდო უდიდესი მწერალი“... ოქტომბრის დიდი რევოლუციის მიერ სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულმა ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა“ იგი, „...ერთი პირველთაგანი უკვდავ მწერალ–მაზროვნეთაგანი.“

ამგვარი მოსაზრებანი გამოითქმებოდა იმ დროს და მომდევნო წლებშიც არამარტო ქართულ, არამედ სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ, ჩეჩნურ–ინგუშურ, უკრაინულ, რუსულ, ლიტვურ, ლატვიურ, თურქულ, რუმინულ, ჩეხურ, ბულგარულ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, „საზღვარგარეთულ ლიტერატურაში დიდ მწერალ–მოაზროვნეს დღემდე არ უკავია ის საპატიო ადგილი, რომელსაც იგი უდაოდ იმსახურებს.“

„ავტობიოგრაფიულ ცნობებში“ ალ. ყაზბეგი მკითხველს მიმართავს: „დარწმუნებული ვარ, რომ თუ ოდესმე ჩვენს ლიტერატურას შეეხება სერიოზული კრიტიკა და აუცილებლად ჩემი თხზულებანიც შიგ მოჰყვებიან, უეჭველია, დაიწყებენ ძებნას იმ მიმართულების მიზეზებისას, რომელსაც მე ვადგავარ...“ თითქოს აცხადდა ალ. ყაზბეგის წინასწარმეტყველება. დიმიტრი ბენაშვილის თქმით „ალექსანდრე ყაზბეგი გვირგვინია XIX საუკუნის ქართული რომანისა.“

უარყოფით რეცენზიათა ავტორები ალ. ყაზბეგის პიესებისა და სცენაზე განსახიერებული როლების განხილვას შეფასების ობიექტური კრიტერიუმებით კი არ ცდილობენ, არამედ თვალშისაცემი ნიშნისმოგებითა და დამცინავი მიდგომით. აქედან გამომდინარე, კითხვა კითხვადვე რჩება: შეიძლებოდა, ასეთი რეცენზიები „სვინდისიანი“ ყოფილიყო?

ამგვარი უსამართლო, სულიერი ტკივილების გამომწვევი ატმოსფეროს მიუხედავად, ალ. ყაზბეგი მაინც შეუპოვრად იდგა იქ, სადაც ჭეშმარიტი

მამულიშვილი და შემოქმედი უნდა მდგარიყო. პატიოსნად ემსახურებოდა თავის სამშობლოს, ქართულ ლიტერატურას და თავის სიტყვას ამბობდა.

1881-1886 წლებში ალ. ყაზბეგის „ელგუჯასა“ და „მოდღარს“ დიდი ადგილი დაუთმო ევროპიდან ახლადდაბრუნებულმა იონა მეუნარგიამ, რომელმაც განიხილა ყაზბეგის მსოფლმხედველობის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, „ჩვენი ლიტერატურის ძვირფას განმად“ და ახალ მოვლენად მიიჩნია მისი პირველი ვრცელი მოთხრობა, მოიწონა ბუნებისა და მოხევეების ეროვნულ ზნეჩვეულებათა ყაზბეგისეული აღწერა. ალ. ყაზბეგი გამოჩენილ ქართველ ბელეტრისტებს ამოუყენა გვერდით, მაგრამ დაუწუნა ენა, ზოგიერთი მხატვრული აქსესუარი, ვერ შენიშნა მისი სხვა რომანების იდეურ-მხატვრული ღირსებანი. ყაზბეგის ბოლო დიდი რომანიც – „მამის მკვლელი“ ჩამორჩენილ ნაწარმოებთა რიცხვს მიაკუთვნა, რადგან „მისი ნაწერების ტერიტორია ლარსში იწყება და დუშეთში მთავრდება“, ხოლო შინაარსი უმეტესად მთიანი საქართველოს ეთნოგრაფიაა და არა საქვეყნო-საკაცობრიო სოციოლოგიაო.“

„ალ. ყაზბეგის რომანებმა ალფონს დოდესა და ემილ ზოლას შემოქმედება და აზროვნებაც მოაგონა ახალგაზრდა ქართველ კრიტიკოსს – იონა მეუნარგიას, მაგრამ ნაჩქარეობაც უსაყვედურა მწერალს. ხოლო მის რეალისტურ რომანტიკასა და რადიკალურ-ჰუმანიტურ განმანათლებლობას ბევრი ვერაფერი გაუგო.“

ალ. ყაზბეგს ბევრი არაფერი გაუთვალისწინებია იონა მეუნარგიას კრიტიკული შენიშვნებიდან. პირიქით, ცოტა არ იყოს კიდევაც გააღიზიანა მწერალი-მოაზროვნე, მაგრამ ამ შენიშვნებმა დიდი სარგებლობა მოუტანა ქართული აზროვნების ისტორიას, რამდენადაც მან ვრცლად უპასუხა კრიტიკოსს და გამოთქვა თავისი საისტორიო, საზოგადოებრივი და მხატვრული თვალსაზრისის ძირითადი პრინციპები.

1882 წელს, 1 იანვარს ქართულმა თეატრმა წარმოადგინა ალ. ყაზბეგის დრამა „არსენა“, რომელსაც ზოგიერთ შენიშვნასთან ერთად აღტაცებული რეცენზია უძღვნა უცნობმა ავტორმა. სპექტაკლსა და პიესას ჩინებული უწოდა ხალხოსანმა სტეფანე ჭრელაშვილმაც. ყაზბეგის „არსენა“ დავით ერისთავის „სამშობლოს“ დაუყენა გვერდით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ ორი ნაწარმოებით, კრიტიკოსის აზრით,

გამთლიანებლი იყო საქართველოს ეროვნული და სოციალური თავისუფლების „ორგვარი სურვილი“ – ბრძოლისა, ხალხის სოციალური ცხოვრების სამართლიან გზაზე დაყენებისათვის და ბრძოლისა, ეროვნული უსამართლობის მოსპობისათვის.

სტეფანე ჭრელაშვილს არ დაეთანხმა ჟურნალ „ივერიის“ რეცენზენტი ალ. ყაზბეგის არც იდეური და არც მხატვრული ღირსების შეფასებაში. ეს გასაგებიცაა, რადგან ივერიელ ჰუმანისტ განმანათლებელ-დემოკრატებსა და ჟურნალ „იმედის“ ხალხოსან დემოკრატებს შორის იმ დროს მწვავე კამათი იყო გამართული ეროვნულისა და სოციალურის პრიორიტეტულობის პრობლემაზე. ეროვნულის უპირველესობის მომხრე ივერიელები არ იზიარებდნენ სოციალურის უპირატესობის ჭრელაშვილისეულ კონცეფციას.

სამაგიეროდ, 1883 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის ეროვნულ-ისტორიული დრამა – „წამება ქეთევან დედოფლისა“, შეხედულება რაც ქართულ ხალხოსნობასთან ახლო მდგომმა მოაზროვნე ნიკო ხიზანიშვილმა ავტორს გმირობად ჩაუთვალა, შეფარვით რუსეთის იმპერიის დესპოტური ხელისუფლების დაგმობა შეუქო და, როგორც თავისი, ისე ალ. ყაზბეგის ეროვნულ-პოლიტიკური და სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივი შეხედულება დაახასიათა.

იაკობ გოგებაშვილი ვეღარ იკავებს აღშფოთებას და მთელი ინტელიგენციის სახელით გამოდის „ივერიაში“.

– „კითხულობ ყაზბეგს, სტკბებით და ეს ძვირფასი შთაბეჭდილება გეშხამებათ იმით, რომ ბოროტი ენა ჩაგმახის: ესენი უბიწიერესი კაცის დაწერილნი არიანო. ჰო, რატომ არ შეიძლებოდა მოგვეხსენებინა თავდაუჭერელი ცხოვრება ყაზბეგისა, მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა გვეჩვენებინა, რამდენად დააზიანა მისი არწივისებური ფრთები ამისთანა თავდაუჭერლობამ. რამდენი თიხა გაურია მის ოქროიან ნაწერებში, რამდენი ბავშვური დეფექტი ჩაადენინა მას მოთხრობებში, რომლებიც ასე მდიდარია ემოციებით.

ჩვენ, პირადად, იმდენად საყურადღებოდ მიგვაჩნია აღზრდა, ცხოვრება და მოქმედება ყაზბეგისა, მეტადრე ჩვენის მოზარდი თაობისათვის, რომ ახლო მომავალში ვუძღვნი მას ვრცელს ნაშრომს.“

„მახსოვს შენი ბოლო ნათქვამი: –მე მინდოდა ბედნიერი ვყოფილიყავი, მაგრამ ამისთვის აუცილებელი იყო, მთელი ჩემი ხალხი ყოფილიყო ბედნიერიო... ისიც კარგად მახსოვს, ერთხელ რომ მითხარი: –ღმერთმა დამიფაროს, პირველი ქართველი ვყოფილიყო. ღმერთმა მომასწროს, ყველა ქართველი ჩემზე უკეთესი იყოს, მე მჯობდესო!“

აკაკი წერდა:

–„წარმდგარვართ ჩვენც დღეს თვალცრემლიანი და თაყვანსა ვცემთ, ვინც ღირსეულად განვლო ამ ქვეყნის გზა ეკლიანი.“

გიორგი წერეთელი:

–„მშვიდობით, ძმაო, შენ მიდიხარ საქართველოს ძველთა ძმათა წიაღში. შენ იქ მოგეგებებიან ხევსბერი გოჩა, ელგუჯა, ელისო, ბედია, გელა, ონისე და სხვანი. ამოუდექი იმათ გვერდით, წარიმძღვარეთ წინ ხევსბერი გოჩა, თავის დროშითა.“

„ივერია“, „კვალი“, „ჯეჯილი“, „ნოვოე–ობოზრენიე“, ქართული, რუსული, სომხური ჟურნალ–გაზეთები ერთმანეთს გაჯიბრებოდნენ ღვაწლის დაფასებაში:

„არც ერთი ქართველი მწერალი ამ საუკუნისა არ ღირსებია ყაზბეგისთანა დიდს ასპარეზს.“

„ერის გულნადების პოვნა და აღძვრა ყველას არ ძალუძს, ეგ მხოლოდ ყაზბეგისთანების საქმეა.“

„მის მოთხრობებს, არაერთი გულმაგარი კაცის თვალები აუვსია ცრემლით და არაერთი ლაჩარი და ძაბუნნი გაუმხნევებია.“

„დადგა ჟამი ბზემ განდევნოს ბნელი ჩვენება და გაანათოს, ააკაშკაშოს სული ტანჯული.“

„სიცოცხლეში მწუხარება, ხანდახან ცრემლიც – აი, ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება.“

გარდაიცვალა და ჩამოხნელდა.

თბილისი ძაძით შეიმოსა.

ვერცხლისა და დაფნის გვირგვინებით გაივსო საავადმყოფოს ეზო, სამლოცველო, ქაშუეთის ეკლესია.

გაისმა მონანიების და მიტევების ხმაც.

–„ენა მებმება! – თქვა აკაკიმ – და ამის მიზეზი უფრო სიცოცხლეა განსვენებულისა, ვიდრე სიკვდილი, ის სიცოცხლე, რომელიც სიკვდილზე ბევრად უფრო მწეარე იყო... ჩვენ სხვა წესს მივსდევთ, სიცოცხლეში კაცს ქვას და ლოდს ვესვრით...“

მოთქვამდა შიო მღვიმელი.

მის წინაშე მუდამ პირნათელი ნანეიშვილი მიმტევებლურად ამბობდა:

–„ყაზბეგისადმი თანაგრძნობა იმ სიყვარულსა და პატივისცემაში გამოხატა საზოგადოებამ, რომლითაც ყაზბეგის ნაწერებს ეკიდებოდა. თვითონ მწერალი თავის გაჭირვებას არ ამჟღავნებდა, ხელში არავის შესცქეროდა. თითო–ოროლა ლანძღავდა, გულქვად ექცეოდა, მაგრამ ეს იყო თითო–ოროლა...“

ვაჟამ ლექსი ძეგლად დაუდგა ძმას:

„შვილო ტანჯულის ქვეყნისავ

სული დალიე ტანჯვითა

მიუხველ მამა–პაპათა

ამოდებული ხანჯრითა“.

## დასკვნა

XIX საუკუნის 80–იან წლებში ალ. ყაზბეგმა დაიპყრო ქართული პრესა და აზროვნება. ოპონენტებიც ვერ მალავდნენ, რომ ხუთი წლის განმავლობაში „მთელ თბილისში სანდროს ქება ისმოდა, მთელ საქართველოში მოჩხუბარიძის ხმა ქუხდა და ელავდა. სანდროს ნიჭის თაყვანისმცემლები მრავლდებოდნენ, მოჩხუბარიძის ნაწერებს მთელი საქართველო კითხულობდა მკითხველი საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა.“ (წერეთელი, 1989, 108).

ამბობენ, ყოველი ადამიანი თავისი ეპოქის პირმოაო. ალ. ყაზბეგის პიროვნება ამ დებულების ბრწყინვალე დადასტურებაა.

–„ჩემი არსება გადაბმულია ჩემი ქვეყნის არსებასთან უხილავის ძალით... სადაც უნდა ეტკინოს ჩემს ერს, მისივე ტკივილი მეც მაგრძნობინებს და მის გუნების გვარად მოაწყობს ჩემს გუნებასაც. ამ დღეში მყოფს წადილი ნაღველის ამოღვისა თავის მახლობელთან, თავის არსების შემადგენელს ნაწილთან არის წესიერი, ჩვეულებრივი და აუცილებელი მოვლენა! მისი გამოთქმის უფლება აქვს ყველას, საერთო ტკივილის დროს კვნესა ერთისა არის უფლება თვითოეულისა და წმინდა მოვლენის შეხება უწმინდურის ხელითა არის კაცისათვის უღირსი საქციელი, მისივე დამამცირებელი საქციელი. ამ ფიქრებმა, ამ აზრმა დაბადა ჩემი პიესები, მოთხრობები და ლექსები.

პირველსავე ნაბიჯიდან მე მივეც ერთი მიმართულება ჩემს ნაწერებს და დღემდე მივდეგ მას. მივდეგ მას, თუმცა ეს შრომა ბევრჯერ გარჩეული კი არაა, რადგანაც ჩვენში დღემდის შრომის ღირსების გარჩევა არ არის, არამედ პირადი ლანძღვა...“ (ყაზბეგი, 1948, 46).

ალ. ყაზბეგის, როგორც პროზის ოსტატის პირველი დიდი აღმოჩენა, ჩემი აზრით, ის იყო, რომ მან საოცარი სიზუსტით მიაგნო თხრობის შესაფერის კილოს. თითქოს მოხსნა ყოველგვარი პირობითობა და პირდაპირ, უშუალოდ გაგვაცნო მის არსებაში გარდატეხილი ჩვენთვის კი მანამდე უცნობი სამყარო.

ზოგადი ზნეობრივი კანონი – თანაგრძნობა, ურთიერთ დახმარება, რომელიც დასაბამიდანვე წარმოადგენდა ადამიანთა თანაცხოვრების პირობასა და კეთილდღეობის საშუალებას, შეიცვალა კლასობრივი ზნეობით. აქ იკვეთება ზნეობის



არსიც და სპეციფიკაც. ზნეობის არსია პიროვნებათა შეგნებული ზრუნვა ერთმანეთისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

მორალსა და ზნეობაზე იმიტომაც დაგვჭირდა საუბარი, რომ ალ. ყაზბეგს ხშირად უზნეოდ, ამორალურად ექცეოდნენ და უსაფუძვლოდ სტკენდნენ გულს. საერთო საზოგადოებრივ მიზანს აზრთა სხვადასხვაობა და აზრთა ჭიდილი არ არღვევს. პირიქით, აღრმავებს, მნიშვნელოვანსა და მრავალფეროვანს ხდის. საერთო საზოგადოებრივ მიზანს შლის და არღვევს ეთიკური უპატივცემულობა. უპირველესად, ამიტომ არ უნდა დაერღვიათ იგი ალ. ყაზბეგის შემოქმედების ვაი-კრიტიკოსებს.

1874 წელს ალ. ყაზბეგი ნაგროვები მარგალიტებით თბილისში ჩამოსულა, მაგრამ ჩვენი ინტელიგენციის „მოწინავე რაზმი“, უწინარეს ყოვლისა, სათეატრო კომიტეტის ზოგი მოღვაწე, გულცივად შეხვედრია, მთიდან ჩამოტანილი პიესები არ მოუწონებიათ, უფრო მეტიც – „საზოგადოების საერთო გულგრილობა და კაცობრიული გრძნობის უქონლობა“ უჩვენებიათ.

– „დავდიოდი ჩემს ქალაქში, – წერს ალ. ყაზბეგი, – ჩემს მოძმეთა შორის, ჩემს საყვარელთ შორის, რომელთაც ელტვოლდა, ისე განუსაზღვრელად ეახლებოდა მთელი ჩემი არსება და ამ ყოველს შორის დადიოდა მარტო, განცალკევებული როგორც გზადაკარგული უდაბნოსა შინა!... არა მგონია, რომ ისტორიაში აღმოჩნდეს ისეთი ჯალათი, რომელიც თავის მსხვერპლს ასე უღმერთოდ, შეუბრალებლად მოჰქცეოდეს, როგორც ეს განათლების მომსახურენი მე მომიქცნენ.“

ალ. ყაზბეგს არ შორდებოდა მწვავე დეპრესია, რაც მის შემოქმედებაზე დიდ გავლენას ახდენდა. მაშინ, როცა ასეთი სულიერი სტრესის, დეპრესიის ქვეშ მყოფმა ალ. ყაზბეგმა ასეთი შესანიშნავი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა; მისთვის შესაფერისი გარემო რომ შეექმნათ, ალბათ ყაზბეგი მსოფლიოს გააცნობდა და გააოცებდა ქართველი, მთის ადამიანის შეურყვნელი ბუნებით, ორიგინალურობით; მაგრამ ამაზე ოცნებაც არ შეიძლება, რადგან წაბორძიკებულ ალ. ყაზბეგს არათუ ხელი შეაშველეს, არამედ, განურჩევლად ყველამ, შინაურმა თუ გარეულმა, ზურგი შეაქცია და უბიძგეს საბოლოოდ დაცემისაკენ ქართული

ლიტერატურის ისეთ გენიას, როგორც იყო უკვდავი ნაწარმოებების „ელგუჯას“, „ხევისბერი გოჩას“ და მრავალი მარგალიტის ავტორი –ალექსანდრე ყაზბეგი.

ბევრი კრიტიკული შენიშვნა მიუღია თვისი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ელოდა მასზე და მის ნიჭიერებაზე განაწყენებული და შურით აღვსილი ადამიანების მხრიდან.

ალ. ყაზბეგი იყო უაღრესად თავმოყვარე პიროვნება, რომელსაც სწამდა საერთო ადამიანური ღირსება და არც თავი ავიწყდებოდა. კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი პიროვნული და მწერლური ღირსება–უპირატესობა, იმათთან ერთად, ვინც დიდად აფასებდა, ყველანაირად ხელს უწყობდა და იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც ჰიპერკრიტიკულად უდგებოდა მის მწერლობას და აზროვნებას. „დღეს მლანძღავენ, მიწასთან მასწორებენ ზოგიერთნი,– უთქვამს მას თვალზე ცრემლმორეულს დავით კლდიაშვილისთვის,– მაგრამ მე მწამს, რომ მოვა დრო, როცა ჩემს სახელს სხვანაირად ახსენებენ.“

აკი აუხდა კიდევ წინასწარმეტყველება!

თუმცა, სიცოცხლეშიც იყო ბედნიერი დღეებიც...

მაგალითად; როცა სერგეი მესხი გულში იკრავს –„ამასაც მოვესწარი, რომ გრიგოლ ორბელიანი „დროებას“ აქებს, „შენი ელგუჯასთვის“, მაღლობას გვიცხადებს! ასეთი აღტაცება ჯერ არ მსმენია! ეხლა გადმომცეს წერილი, ამონაწერებიც შემატყობინეს, რომლებიც კითხვისას აშიებზე წაუწერია“.

მარტო ეს გრიგოლ ორბელიანის რეცენზია საკმარისი იქნებოდა, სხვას რომ არაფერი ეთქვა. აქვე უნდა გავიხსენოთ ალ. ყაზბეგის თავდაჭერილი პასუხი რეცენზიაზე ი. მეუნარგიასადმი: –„მე დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ ამ სიტყვებს და არც დიდ ღირსებად მიმაჩნია მათი გაგონება, რადგანაც არც საკვირველ და არც თავმოსაწონებელ ღირსებად ჩაითვლება ბ. მეუნარგია, რომ თქვენისთანა მწერალთ შორის, უანგაროს და გულით მოყვარე ქართველს, ქართულ ლიტერატურაში ახალი რამ ომბროსის ნაწარმოებად ეჩვენოს.“

1884 წლის დამდეგს ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის რომანი „განკიცხული“. ნაწარმოებს, როგორც ჩანს, დიდი გავლენა

მოუხდენია მკითხველთა ფართო მასაზე. მწერლის არქივში დაცულია დავით კლდიაშვილის პირადი წერილი ავტორისადმი.

დავით კლდიაშვილი ქება-დიდებით ამკობდა ალ. ყაზბეგის „განკიცხულს“. „მე აღტაცებული სიხარულით წავიკითხე ეს მშვენიერი ფურცლები, –წერდა დავით კლდიაშვილი. იგი ალექსანდრე ყაზბეგს გულითადად მიმართავდა: –„გაუმარჯოს „განკიცხულს“, გაუმარჯოს მის დამწერს. მრავალჯამიერ! მრავალჯამიერ!“

„ელგუჯას“ გამო კი კრიტიკოსები კარგახანს დუმდნენ. ყაზბეგს ეს სრულებით არ აწუხებდა, იცოდა საზოგადოების აზრი, გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაკის, სერგი მესხის, სხვათა და სხვათა შთაბეჭდილება, რაც აძლევდა ახალი თხზულების დასაწერად სასურველ სიმშვიდესა და თვითდაჯერებას!..

მკითხველი გულისფანცქალით ელოდა „ელგუჯას“ თითოეულ თავს, ხელიდან ხელში გადადიოდა ყაზბეგის ნაწარმოები და დიდ სიყვარულსა და პატივისცემას უხვეჭდა ავტორს. იმ პირობებში, რომელშიაც ალ. ყაზბეგი წერდა თავის მოთხრობებს, უნაკლოდ წერა შეუძლებელი იყო. ამით სარგებლობდნენ რეცენზენტები, რომლებიც რბილად, არსებითად, მწარე-მწარე შენიშვნებით კორტნიდნენ მწერალს. ეს მეტად აღიზიანებდა ალ. ყაზბეგს: –„ვინ მისცა უფლება ჩემს თხზულებებზე წეროს?! თუ ღმერთს ნიჭი უბოძებია, საკუთარი შექმნას! რით დაუმსახურებია, კანონს მიწერდეს? საიდან შეუძენია ამდენი გაბედულება? ჩემმა მასწავლებელმა და ჭკუის დამრიგებელმა ხომ ჩემზე მეტი უნდა იცოდეს!“

„არსებობს არა ლიტერატურა და კრიტიკა, არამედ ლიტერატურა და ინტრიგა!“

პირდაპირ გააცოფა რეცენზენტის რჩევამ: „ელგუჯას“ შემდეგ, მოჩხუბარიძეს ნება აქვს, რამდენიმე წელი კალამი ხელში აღარ აიღოს!“

–„ღმერთო, სანამდე მიდის იდიოტობა! კაცი ვითომ ლიტერატურაზე, თეატრზე წერს და წარმოდგენა არ აქვს, რომ შემოქმედი შთაგონების მონაა და შთაგონება არ ეკითხება: დაწეროს თუ შეისვენოს! საბრალო, ალბათ ეჭვი არ ეპარება, რომ მწერლები სახელისა და ფულისთვის წერენ! წარმოდგენა არ შეუძლია, რომ დასაწერის თავის თავში ტარება ყველაზე დიდი სატანჯველია, ხოლო შექმნა, დაწერა, ამ სატანჯველისაგან განთავისუფლებაა, შვებაა!“

ალ. ყაზბეგი უშუალოდ სინამდვილესთან ურთიერთობაში ამჟღავნებს თავის სოციალურ მდგომარეობას, თავისი პიროვნების ობიექტურ ბუნებას, რომელიც საზოგადოების გარკვეული ფენების არსს გამოხატავს.

წერდა, რაც წლობით გულს შემოსწოლოდა, რაც ენახა, რაც გამოეცადა, რაც გაეგონა. ამას მოსდევდა ახალი ბრალდებები! ახალი დაცინვა! ახალი თავზარი! ქართული ენის უცოდინრობასაც აბრალდებენ! აბუჩად იგდებენ!

„მოხევე“ – ყაზბეგი სულ კოტე ყიფიანს შეჰყურებდა: რას იზამს, რომ მეც გავიმეოროო!“

–„გუშინ ხომ არ დაწყებულა! შორიდან მოდის! ეს არის ხალხი, რომელსაც პირად მტრად მივაჩნევარ, რადგანაც მათ ყბედობას ყბედობითვე არ შევპასუხებევარ, თავი არ გამიყადრებია, ისინი ვერ შეურიგდებიან ამას, მაგრამ საზოგადოება დაინახავს ჩემს სინდისიერს წადილს სამსახურისას და თანაც იგრძნობს, დაუფასებელის და გენიოსის ნიჭის ნაწარმოებებს ვერ ვაძლევ, მიხვდება, რომ ვაძლევ ყველაფერს, რაც მაქვს, და რისი მიცემის საშუალება და მდგომარეობა გამაჩნია, დამაცადეთ, მე მხოლოდ ვიწყებ. ხალხი გონიერია და დღეს თუ ხვალ, უეჭველად დაინახავს კეთილსინდიდირ შრომას, უფრო მეტად, ვიდრე დღევანდელი კრიტიკოსები, რომელთა მოქმედება ტალახის, ლაფის, ღვარძლის, შურისა და სრულის უმეცრებისაგან შედგენილა. პირველის მოქმედების შემდეგ მე ხალხი მიწვევდა და მიკრავდა ტაშს, დარბაზი აღტაცებულის ძახილით მეგებებოდა, ქვეყნის გულშემატკივარნი იქ იმყოფებოდნენ!“

ეს იყო სიცოცხლე მწარე და ნატანჯი, სიკვდილის შემდეგ კი ბევრი ქომაგი გამოუჩნდა. იაკობ გოგებაშვილი ვედარ იკავებს აღშფოთებას და მთელი ინტელიგენციის სახელით გამოდის „ივერიაში“.

„კითხულობ ყაზბეგს, სტკბებით და ეს ძვირფასი შთაბეჭდილება გეშხამებათ იმით, რომ ბოროტი ენა ჩაგძახის: ესენი უბიწიერესი კაცის დაწერილნი არიანო. ჰო, რატომ არ შეიძლებოდა მოგვეხსენებინა თავდაუჭერელი ცხოვრება ყაზბეგისა, მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა გვეჩვენებინა, რამდენად დააზიანა მისი არწივისებური ფრთები ამისთანა თავდაუჭერლობამ. რამდენი თიხა გაურია მის ოქროიან ნაწერებში,

რამდენი ბავშვური დეფექტი ჩაადენინა მას მოთხრობებში, რომლებიც ასე მდიდარია ემოციებით.

ჩვენ, პირადად, იმდენად საყურადღებოდ მიგვაჩნია აღზრდა, ცხოვრება და მოქმედება ყაზბეგისა, მეტადრე ჩვენის მოზარდითაობისათვის, რომ ახლო მომავალში ვიდგინი მას ვრცელს ნაშრომს.

მახსოვს შენი ბოლო ნათქვამი: მე მინდოდა ბედნიერი ვყოფილიყავი, მაგრამ ამისთვის აუცილებელი იყო, მთელი ჩემი ხალხი ყოფილიყო ბედნიერიო... ისიც კარგად მახსოვს, ერთხელ რომ მითხარი: ღმერთმა დამიფაროს, პირველი ქართველი ვყოფილიყო. ღმერთმა მომასწროს, ყველა ქართველი ჩემზე უკეთესი იყოს, მე მჯობდესო!“

გიორგი წერეთელი:

„მშვიდობით, ძმაო, შენ მიდიხარ საქართველოს ძველთა ძმათა წიაღში. შენ იქ მოგეგებებიან ხევსბერი გოჩა, ელგუჯა, ელისო, ბედია, გელა, ონისე და სხვანი. ამოუდექი იმათ გვერდით, წარიმძღვარეთ წინ ხევსბერი გოჩა, თავის დროშითა.“

„ივერია“, „კვალი“, „ჯეჯილი“, „ნოვო-ობოზრენიე“, ქართული, რუსული, სომხური ჟურნალ-გაზეთები ერთმანეთს გაჯიბრებოდნენ ალ. ყაზბეგის ღვაწლის დაფასებაში:

„არც ერთი ქართველი მწერალი ამ საუკუნისა არ ღირსებია ყაზბეგისთანა დიდს ასპარეზს.“

„ერის გულნადების პოვნა და აღძვრა ყველას არ ძალუძს, ეგ მხოლოდ ყაზბეგისთანების საქმეა“.

„მის მოთხრობებს, არაერთი გულმაგარი კაცის თვალები აუვსია ცრემლით და არაერთი ლაჩარი და ძაბუნი გაუმხნევებია“.

„დადგა ჟამი მზემ განდევნოს ბნელი ჩვენება და გაანათოს, ააკაშკაშოს სული ტანჯული.“

„სიცოცხლეში მწუხარება, ხანდახან ცრემლიც – აი, ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება“.

„ენა მებმება! – თქვა აკაკიმ – და ამის მიზეზი უფრო სიცოცხლეა განსვენებულისა, ვიდრე სიკვდილი, ის სიცოცხლე, რომელიც სიკვდილზე ბევრად

უფრო მწერე იყო... ჩვენ სხვა წესს მივსდევთ, სიცოცხლეში კაცს ქვას და ლოდს ვესვრით“...

„ყაზბეგისადმი თანაგრძნობა იმ სიყვარულსა და პატივისცემაში გამოხატა საზოგადოებამ, რომლითაც ყაზბეგის ნაწერებს ეკიდებოდა. თვითონ მწერალი თავის გაჭირვებას არ ამჟღავნებდა, ხელში არავის შესცქეროდა. თითო–ოროლა ლანძღავდა, გულქვად ექცეოდა, მაგრამ ეს იყო თითო–ოროლა...“

ვაჟამ ლექსი ძეგლად დაუდგა ძმას:

„შვილო ტანჯულის ქვეყნისაგ

სული დალიე ტანჯვითა

მიუხველ მამა–პაპათა

ამოღებული ხანჯრითა“.

და ბოლოს, ალ. ყაზბეგი სიკვდილითაც განსაკუთრებული იყო, მისმა გარდაცვალებამ ბევრს აუხილა თვალი, ბევრს შეანანა უაზროდ წამოსროლილი არაერთი რეპლიკა, ბევრი დააფიქრა თავის წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე.

მიუხედავად ასეთი მძიმე ცხოვრების გზისა, ალ. ყაზბეგმა შეძლო, ეთქვა ის მთავარი სიტყვა, რომლის სათქმელადაც იყო მოვლენილი, მან თავისი, განსხვავებული, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა, არამხოლოდ ქართული ლიტერატურის, არამედ ზოგადად ქართული კულტურის განვითარებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე, 1962 – აბაშიძე კ. ეტიუდები, თბ., 1962 წ.
2. აბაშიძე, – აბაშიძე კ. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, ტ. II, თბ., 1962 წ.
3. აბზიანიძე, 1950 – გ. აბზიანიძე, ქართველი კლასიკოსები, თბ., 1950 წ.
4. ავსაჯანიშვილი, 1988 – ე. ავსაჯანიშვილი, ცხოვრება ალ. ყაზბეგისა, თბ., 1988 წ.
5. ასათიანი, 1974 – გ. ასათიანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ალ. ყაზბეგი, ტ. IV, თბ., 1974 წ.
6. ასათიანი, 1958 – ლ. ასათიანი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1958 წ.
7. ასათიანი, 1940 – ლ. ასათიანი, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, ალექსანდრე ყაზბეგი, თბ., 1940 წ.
8. ბენაშვილი, 1948 – დ. ბენაშვილი, ალ. ყაზბეგი, თბ., 1948 წ.
9. ბენაშვილი, 1939 – დ. ბენაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, სახელგამი., 1939 წ.
10. ბენაშვილი, 1989 – გ. ბენაშვილი, კრიტიკული ეტიუდები, თბ., 1989 წ.
11. ბენდიაშვილი, 1921 – ალ. ბენდიაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1921 წ.
12. ბერიძე, 1983 – ფ. ბერიძე, ლიტერატურული წერილები, თბ., 1983 წ.
13. ბერძენიშვილი, 1971 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობისათვის, ტ. II–V, თბ., 1971 წ.
14. ბოცვაძე. 1967– თ. ბოცვაძე, საქართველო–დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან XV–XVIII სს, თბ., 1967 წ.
15. ბოჭორიშვილი, 1982 – ა. ბოჭორიშვილი, რას ამბობენ ფილოსოფოსები ადამიანის არსის შესახებ, 1982 წ.
16. ბოჭორიშვილი, 1991 – ა. ბოჭორიშვილი, პიროვნება, ღირებულება, შემოქმედება, თბ., 1991 წ.
17. ბრეგაძე, 1991 – ა. ბრეგაძე, ადამიანის არსი და ხასიათი, თბ., 1991 წ.
18. ბრეგაძე, 1984 – ა. ბრეგაძე, ადამიანის შინაგანი ბუნება და მისი გარემამოვლენა, თბ., 1984 წ.

19. ბუაჩიძე, 1987 – თ. ბუაჩიძე, ღირებულება და ადამიანის დანიშნულება, თბ., 1987 წ.
20. ბუაჩიძე, 1990 – თ. ბუაჩიძე, გონი და სინდისი, თბ., 1990 წ.
21. ბურთიკაშვილი, 1955 – ა. ბურთიკაშვილი, აღ. ყაზბეგი სცენაზე, თბ., 1955 წ.
22. გაგოშიძე, 1986 – შ. გაგოშიძე, ლიტერატურულ-პუბლიცისტური ეტიუდები, თბ., 1986 წ.
23. გაფრინდაშვილი, 1995 – მ. გაფრინდაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1995 წ.
24. გაფრინდაშვილი, 1970 – მ. გაფრინდაშვილი, ქართველი ერი და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის II ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970 წ.
25. გაფრინდაშვილი, 1995 – მ. გაფრინდაშვილი, საქართველოს ახალი ისტორია, თბ., 1995 წ.
26. გაჩეჩილაძე, 1968– ვ. გაჩეჩილაძე, სულიერი გამოცდილების სამყაროში, თბ., 1968 წ.
27. გაწერელია, 1962 – ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1962 წ.
28. გელოვანი, 1980 – ა. გელოვანი, მარად ცოცხალი ხელოვნება, თბ., 1980 წ.
29. გელოვანი, 1957 – ა. გელოვანი, თავმდაბლობისა და უბრალოების შესახებ, თბ., 1957 წ.
30. გოგუაძე, 1980 – ვ. გოგუაძე, სიმშვიდის ქრისტიანული იდეალი, ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი, თსუ., 139–141, 1980 წ.
31. გოზალიშვილი, 1962 – შ. გოზალიშვილი, აღ. ყაზბეგის ხელნაწერები, აღწერილობა, თბ., 1962 წ.
32. გომართელი, 1996 – ივ. გომართელი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბ., 1996 წ.
33. გომართელი, 1959 – ივ. გომართელი, რჩეული თხზულებანი, ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ძიება, ტ.1, თბ., 1959 წ.
34. გორდეზიანი, 1993 – რ. გორდეზიანი, ქართული თვითმშენების ჩამოყალიბების პრობლემა, თსუ., 1993 წ.
35. გრიშაშვილი, 1952 – ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1952 წ.



36. გრიშაშვილი, 1965 – ი. გრიშაშვილი, მინიატურული ლიტერატურული ნარკვევები, ტ. V, საბჭოთა საქართველო, თბ., 1965 წ.
37. გრიშაშვილი, 1948 – ი. გრიშაშვილი, ძველ თეატრში, თბ., 1948 წ.
38. ზანდუკელი, 1924 – მ. ზანდუკელი, ალ. ყაზბეგის (ა. მოჩხუბარიძის) ორიგინალობა და დიმიტრი ყაზბეგი, თბ., 1924 წ.
39. ზანდუკელი, 1928 – მ. ზანდუკელი, თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1928 წ.
40. ითონიშვილი, 1989 – ვალ. ითონიშვილი, ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1989 წ.
41. კალანდაძე, 1988 – ალ. კალანდაძე, ცეკვა ხანჯლებთ, თბ., 1988 წ.
42. კარიჭაშვილი, 1904 – დ. კარიჭაშვილი, ალ. ყაზბეგის ბიოგრაფია, თბ., 1904 წ.
43. კენკებაშვილი, 1999 – თ. კენკებაშვილი, ალ. ყაზბეგის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, თსუ., 1999 წ.
44. კლდიაშვილი, 1962 – დ. კლდიაშვილი, რჩეული ნაწერები, თბ., 1962 წ.
45. კოტეტიშვილი, 1925 – ვ. კოტეტიშვილი, ალ. ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი, ტფილისი., 1925 წ.
46. კოტეტიშვილი, 1959 – ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ალექსანდრე ყაზბეგი, თბ., 1959 წ.
47. ლოლაშვილი, 1949 – ივ. ლოლაშვილი, ოცი წერილი გიორგი ლეონიძესთან, თბ., 1949 წ.
48. მახარაძე, 1941 – აპ. მახარაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ბიოგრაფიული ნარკვევი, საბლიტგამი., 1941 წ.
49. მახარაძე, 1974 – აპ. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1974 წ.
50. მესხი, 1964 – ს. მესხი, თხზულებანი სამ ტომად, ტ. III, თბ., 1964 წ.
51. მეუნარგია, 1957 – ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1957 წ.
52. ნატროშვილი, 1947 – გ. ნატროშვილი, ალ. ყაზბეგი, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1947 წ.

53. ნიკოლაძე, 1930 – ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, გლეხთა განთავისუფლება საქართველოში, ტ. I. თბ., 1930 წ.
54. რადიანი, 1954 – შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, ალექსანდრე ყაზბეგი, თბ., 1954 წ.
55. რადიანი, 1976 – შ. რადიანი, მოგონებები, წერილები, თბ., 1976 წ.
56. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. თბ., 1970 წ.
57. სახოკია, 1969 – თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1969 წ.
58. ქიქოძე, 1946 – გ. ქიქოძე, ალექსანდრე ყაზბეგი, თბ., 1946 წ.
59. ქიქოძე, 1965 – გ. ქიქოძე, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ალ. ყაზბეგი, თემის იდეოლოგიები, თბ., 1965 წ.
60. ყაზბეგი, 1948 – ალ. ყაზბეგი, თხზულებანი 5 ტომად, ტ. V, თბ., 1948 წ.
61. ყაზბეგი, 1976 – ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1976 წ.
62. ყაზბეგი, 1950 – ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ავტობიოგრაფიული ცნობები, თბ., 1950 წ.
63. ყაზბეგი, 1948 – ალ. ყაზბეგი, ნამწყემსარის მოგონებანი, თბ., 1948 წ.
64. შადური, 1989 – ვ. შადური, ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიისა და შემოქმედების საკითხები, თბ., 1989 წ.
65. ცინცაძე, 1944 – პოლ. ცინცაძე, ალ. ყაზბეგის შემოქმედება, თბ., 1944 წ.
66. წერეთელი, 1989 – ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1989 წ.
67. წერეთელი, 1963 – ა. წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგის კუბოსთან, ტ. I, თბ., 1963 წ.
68. ჭილაია, 1946 – ს. ჭილაია, ალექსანდრე ყაზბეგი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1946 წ.
69. ხახანაშვილი, 1913 – ალ. ხახანაშვილი, ალ. ყაზბეგი ქართული სიტყვიერების ისტორია, სახელგამი., 1913 წ.
70. ჯიბლაძე, 1948 – გ. ჯიბლაძე, ყაზბეგის ესთეტიკა, ლიტერატურა და ხელოვნება, 1948 წ.

### პერიოდული პრესა:

1. აზნიანიძე, 1939 – გ. აზნიანიძე, აღ. ყაზბეგი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №2, 1939 წ.
2. ლაისტი, 1886 – ა. ლაისტი, მცირე მოგონება აღ.ყაზბეგზე, გაზ. „ივერია“, №5–6, 1886 წ.
3. მეველე (მიქელაძე), 1893 – დ. მეველე (მიქელაძე), აღ. ყაზბეგი, გაზ. „ივერია“, №268, 1893 წ.
4. მეუნარგია, 1881 – ი. მეუნარგია, გაზ. „დროება“ №269, 1881 წ.
5. მეუნარგია, 1886 – ი. მეუნარგია, მოძღვრის გამო, გაზ. „ივერია“ №91, 1886 წ.
6. საფაროვა– აბაშიძე, 1947 – მ. საფაროვა– აბაშიძე, „მოგონებანი“, ჟურნალი „მნათობი“, №5, 1947 წ.
7. ურბნელ–ხიზანიშვილი, 1883 – ნ. ურბნელ–ხიზანიშვილი, ლიტერატურული მიმოხილვა, გაზ. „დროება“, №61, 1883 წ.
8. უცნობი რეცენზენტი, 1882 – უცნობი რეცენზენტი, გაზ. „დროება“, №41, 1882 წ.
9. ფურცელაძე, 1891 – ან. ფურცელაძე, აღ.ყაზბეგის(მოჩხუბარიძის) შესახებ, ჟურნ. „მწყემსი“, №1, 1891 წ.
10. ფურცელაძე, 1898 – ან. ფურცელაძე, მცირე მოგონება აღ.ყაზბეგზე, გაზ. „ივერია“, №52–53, 1898 წ.
11. ჭრელაშვილი, 1882 – სტ. ჭრელაშვილი, გაზ. „იმედი“, №1, 1882 წ.
12. ჭრელაშვილი, 1884 – სტ. ჭრელაშვილი, ბიბლიოგრაფია, გაზ. „ივერია“, №1, 1884 წ.
13. ჭრელაშვილი, 1884 – სტ. ჭრელაშვილი, გაზ. „ივერია“, №12, 1884 წ.
14. ხახანაშვილი, 1893 – აღ.ხახანაშვილი, ყაზბეგის გარდაცვალების გამო, გაზ. „ივერია“, №276, 1893 წ.

## არქივი:

1. გლსსლმ, №2131/4 – გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, №2131/4.
2. სმაკსხი, № S-3978 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, № S-3978.
3. სმაკსხი, № S-3980 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, № S-3980.
4. სმაკსხი, № S-3983 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, № S-3983.
5. სმაკსხი, № S-3988 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, № S-3988.
6. სმაკსხი, №S-3993 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, №S-3993.
7. სსცსა, 1850–1851 – საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, მიმოწერა მიხეილ გაბრიელის ძე ყაზბეგის მთის ხალხის უფროსად დანიშვნის შესახებ, ფ. № 3, საქმე №1537, 1850–1851 წ.
8. წკგსმ, №3990 – წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, №3990.

## სარჩევი

შესავალი.....	1-4
1. თავი I.	
ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების გზა .....	5-20
ა) აღიარება გარდაცვალების შემდეგ .....	20-23
2. თავი II.	
ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების ძირითადი მხარეები .....	24-30
3. თავი III.	
კრიტიკული მოსაზრებები და გამონათქვამები ალექსანდრე ყაზბეგზე .....	31
ა) სინამდვილის აღქმა ალექსანდრე ყაზბეგთან .....	31-41
ბ) რას წერდნენ ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯასა“ და „განკიცხულზე“ .....	41-50
გ) ალექსანდრე ყაზბეგი და მისი მკითხველი .....	51-54
დ) ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ბრძოლა მოწინააღმდეგეებთან .....	55-82
4. თავი IV.	
ალექსანდრე ყაზბეგი და ქართული თეატრის მოღვაწენი.....	83-87
ა) კონფლიქტი ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებასა და შემოქმედებაში.....	87-102
ბ) ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის საკითხი .....	102-108
5. თავი V.	
ალექსანდრე ყაზბეგი და ქართული პრესა .....	109-116
ა) ალექსანდრე ყაზბეგი ქართულ თეატრსა და მის მნიშვნელობაზე .....	116-122
ბ) ალექსანდრე ყაზბეგი სცენაზე .....	123-126
გ) გაზეთი „დროება“ ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ .....	126-130
6. თავი VI.	
ქართველი ლიტერატურათმცოდნეები ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ.....	131-142
დასკვნა.....	143-149
გამოყენებული ლიტერატურა .....	150-153
პერიოდული პრესა.....	154
არქივი .....	155